

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## ქართველური ენათმეცნიერება

### თამარ თუშიშვილი

გაგშირებითის მწერივთა ფუნქციები  
საშუალი პერიოდის ქართულში

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

### დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი-ემერიტუსი დამანა მელიქიშვილი

თბილისი

2011

## შესავალი

ნაშრომის მიზანია კავშირებითის მწყრივების განხილვა ე. წ. საშუალ ქართულში. ტერმინი საშუალი ქართული პირობითად არის აღებული, რაღაც, როგორც ცნობილია, ქართული მწერლობის განვითარების ეს მონაკვეთი, საკმაოდ ვრცელი და უანრობრივად მრავალფეროვანი, იწყება დაახლოებით მეათე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან და გრძელდება მეცხრამეტე საუკუნემდე, მას ქართული სამწერლობო ენის განვითარების ისტორიაში გარდამავალი პერიოდი ეწოდება ძველსა და თანამედროვე ქართულს შორის. დროის ამ მონაკვეთში საეკლესიო მწერლობასთან ერთად განვითარდა მდიდარი საერო მხატვრული ლიტერატურა, სალიტერატურო ენა დაუახლოვდა სასაუბრო, ხალხურ მეტყველებას, ამავე დროს საერთო სახალხო ენაშ ორიენტაცია აიღო დიალექტურ სამყაროზე, რამაც ნიადაგი მოუმზადა ახალი სალიტერატურო ქართულის განვითარებას. სწორედ აქედან იწყება არნ. ჩიქობავასთვის სალიტერატურო ქართულის გადასვლის პროცესი ახალ ნიადაგზე, რომელსაც დასაბამი ეძლევა XI–XII საუკუნეებში (ჩიქობავა 1946: 105).

საშუალი პერიოდის გამოყოფა ქართული სამწერლობო ენის ისტორიაში მეტად ჭირს, რადგან ათასეუთასწლიანი განვითარების მანძილზე ცალკეული ფორმაცვალებადობის მიუხედავად, მორფოლოგიური სისტემა არ შეცვლილა. ამის მიზეზებად სხვადასხვა ფაქტორებია დასახელებული. მაგალითად, ენის ფონეტიკური სისტემის ნაკლებად შეცვლის ფაქტორად მიჩნეულია მახვილის სისუსტე და არტიკულაციის გამოკვეთილობა (ახვლედიანი 1949: 132), მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ ქართულში, როგორც პრეფიქსულ-სუფიქსური წყობის ენაში, ფუნქციურად დატვირთულია სიტყვის თავკიდური და ბოლოკიდური ნაწილები, რის გამოც სიტყვის ძირი ცვლილებისგან დაცულია. გადამწყვეტ ფაქტორად მიჩნეულია ისიც, რომ ამ თხუთმეტი საუკუნის მანძილზე სალიტერატურო ენას არ გამოუცვლია საყრდენი დიალექტები, მისი განვითარება არ გადანაცვლებულა განსხვავებული ფონემატური სტრუქტურისა და გრამატიკული წყობის დიალექტზე (ჩიქობავა 1963: 18), ასევე ისიც, რომ ქართველი ხალხი არ გათქვეფილა და შერეულა უცხო მოდგმის ერებში (Deeters 1926: 56).

ეველაფერმა ერთად განაპირობა ის, რომ ძველ და ახალ ქართულს შორის არაა ისეთი დაპირისპირება, როგორიცაა ძველ (თუნდაც ბიზანტიური პერიოდის) და ახალ ბერძნულს შორის (Мейе 1954: 67). ამიტომ საშუალი ქართულის ცალკე პერიოდად გამოყოფა ქართული ენის განვითარების ისტორიაში მეტად ჭირს, მაგრამ ძველიდან ახლისკენ გარდამავალი პერიოდის გამოყოფა მაინც გამართლებულია და საჭირო, რადგან, როგორც ანტუან მეიე წერს, “სხვადასხვა პერიოდის ენის მდგომარეობის შედარება ქმნის ენის ისტორიას” (Мейе 1954: 18).

სხვადასხვა მეცნიერი ძველი ქართულის დასასრულსა და ახალი პერიოდის დასაწყისს ქართული ენის განვითარების ისტორიაში სხვადასხვა სათანადო ენობრივ, ლექსიკურ-გრამატიკულ ნიშნებში ეძებს.

ივ. ჯაგახიშვილის დასკვნით, XIII–XIV და მომდევნო საუკუნეები წარმოადგენს ახალ პერიოდს ქართული ენის ლექსიკური შედგენილობის განვითარების ისტორიაში, რამდენადაც გარკვეული მიზეზებით შესამჩნევი ხდება აღმოსავლური ნასესხობა (ჯაგახიშვილი 1956: 37).

ენის ისტორიის სხვა ნიშნებითაც მეთორმეტისა და მომდევნო საუკუნეების ქართული ენის ძეგლები, ა. შანიძის მიხედვით, საშუალ ქართულს განეკუთვნება (შანიძე 1935).

ძველ და ახალ ქართულს შორის შუალედური პერიოდი გამოყოფილი აქვს კ. პეპელიძესაც (კეკელიძე 1951: 28).

კ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი ახალი ქართულის ისტორიას (ართანამედროვეს) იწყებენ უშუალოდ XII საუკუნიდან. მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის ფაქტორი, რომ ამდროინდელი ქართული, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, ახალია, მაგრამ თანამედროვე არაა არც ლექსიკით, არც გრამატიკითა და არც ფონეტიკური სისტემის თავისებურებით (Топуриა 1957: 749).

ივ. ქავთარაძისთვის ეს პროცესი იწყება იქიდან, როცა ამ პარალელურ ფორმათაგან საბოლოოდ ერთი დარჩა: “როცა ქართულში ვრცელდება იმ დიალექტური წრის ნორმები, რომელთაც ახასიათებდა ნაცვალსახელებში იგი-ს მნიშვნელობით ისი, მრავლობითში ებ სუფიქსის ხმარება, მაქუს ჩუენ წარმოების ნაცვლად გუაჭუს ჩუენ და მისთანანი (ქავთარაძე 1984: 30).

ცნობილია სხვა მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებებიც, მაგალითად: ბ. ჯორბენაძე ნაშრომში “ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციისათვის” ქართულ სამწერლობო ენას ხუთ ეტაპად გამოყოფს, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა ჩვენს თემას სცილდება. ვიტყვით მხოლოდ, რომ შევეცდებით გარკვეული შეხედულება შევქმნათ კავშირებითის მწკრივებსა და მათ ფუნქციებზე XII–XVIII საუკუნეების ძეგლების მონაცემების მიხედვით. ვაჩვენებთ, რა ცვლილებებს განიცდის ქართული ზმნის დრო-კილოთა სისტემა აღნიშნულ პერიოდში, განვსაზღვრავთ, განიცდის თუ არა ენის მორფოსინტაქსური სისტემა არსებით ცვლილებებს და შეიძლება თუ არა კავშირებითის მწკრივთა ფუნქციების თვალსაზრისით ენის განვითარების ეს ვრცელი და მრავალფეროვანი მონაკვეთი ცალკე პერიოდად გამოყოს, რადგანაც კავშირებითი, როგორც კილოს დამოუკიდებელი კატეგორია, გვიან ჩამოყალიბდა.

საორიენტაციო მასალაც იმ ნიშნით შეირჩა, რომ შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულიყო და გამოკვეთილიყო ნათარგმნ თუ ორიგინალურ ძეგლებში ამ მწკრივთა ფუნქციების თავისებურებანი.

ჩვენი მიზნებისათვის საერო ხასიათის ლიტერატურისა და სიგალ-გუჯრების მასალაა ყურადსალები, რადგანაც ამ ტიპის ტექსტები არ არის შეზღუდული სალიტერატურო ენის ნორმებით და ასახავენ საერთო სახალხო ენის თავისუფალ განვითარებას.

სარაინდო-სამიჯნურო უანრიდან შეირჩა “ამირანდარეჯანიანი” (XIIს.), “ვისრამიანი” (XIIს) და “ვეფხისტყაოსანი”(XIIს), რომელმაც შექმნა მთელი ეპოქა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში და საუკუნეების მანძილზე განსაზღვრა მისი მიმართულება; დიდაქტიკურ-მორალური თხზულებათაგან – “მევეთა სალარო” (XVIIს.) და “დავითიანი” (XVIIIს.); იგავარაკული უანრიდან – “იგავნი ესოპესნი” და “სიბრძნე-სიცრუისა” (XVIIIს.).

კავშირებითების მწკრივთა ფუნქციების შესწავლისთვის საინტერესოდ ჩაითვალა ასევე ხალხური მედიცინის უძველესი ძეგლის, ე.წ. “სააქიმო” წიგნის, “იადიგარ-დაუდის” გათვალისწინება, რომელიც 1579 – 1585 წლებში შეუდგენია მეფე ლურსაბ I-ის უმცროს შვილს – დავითს, ანუ დაუდ-ხანს.

სჯულდების, სამართლის ძეგლებიდან აღებულია “სამართალი ბატონიშვილის დავითისა” (XVIII–XIXსს.) და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი; მოგზაურობის

ქანრიდან – სულხან-საბა თრბელიანის “მოგზაურობა ევროპაში”(XVIII ს.-ის პირველი ნახევარი) და გიორგი ავალიშვილის “მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“ (XIX ს.-ის პირველი ნახევარი); ხოლო ისტორიული საბუთების ენა შესწავლილია თ. ქორდანიას ქრონიკების მიხედვით (1213–1700წწ.).

კავშირებითის მწერივთა ფუნქციებზე დაკვირვება და შესწავლა საშუალ ქართულში ძველი ქართული ენის მონაცემების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ნაშრომში კიდევ ერთხელ არის განხილული კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის ურთიერთმიმართების საკითხი, ასევე მოსაზრებები პიპოტაქსური კონსტრუქციების გენეზისის შესახებ, რომელთა საფუძველზეც გამოითქვა გარაუდი, თუ რა ტიპის წინადაღებებში შეიძლებოდა ჩასახულიყო კავშირებითი კილო და, ბოლოს, ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი –**მცა** ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც ფუნქციების თვალსაზრისით უტოლდება კავშირებითის მწერივებს. სხვადასხვა შინაარსისა და აგებულების წინადაღებებში ამ კონსტრუქციების განხილვის შედეგად ძალიან საინტერესო დასკვნები მივიღეთ შესასწავლი საკითხის შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნაშრომი სამ თავად დაიყო:

პირველ თავში განხილულია სხვადასხვა ენათმეცნიერის მიერ გამოთქმული ვარაუდები კავშირებითის მწერივთა ფუნქციების შესახებ ძველ ქართულში. ამავე დროს, დამატებული და შევსებულია საკუთარი მოსაზრებებით ესა თუ ის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული კავშირებითების მწერივებით მომავალი დროის გამოხატვის ფუნქციაზე, რაც ბუნებრივად მოიცავს კავშირებითი კილოსა და თხრობითი კილოს მომავალი დროის ურთიერთმიმართებებსაც.

ამავე ნაწილში გამოთქმულია მოსაზრება პიპოტაქსური კონსტრუქციების სავარაუდო გენეზისის შესახებ.

II თავი დაეთმო კაგშირებითის წკრივების ფუნქციების შესწავლას საშუალი პერიოდის ძეგლების მიხედვით. მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები კავშირებითის მწერივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემის შესახებ ამ პერიოდის ძეგლებში და შეფარდებულია ეს მონაცემები მომავალი დროის ახლებურ, ზმნისწინიან წარმოებასთან.

შემჩნეულია მომავალი დროის ძველი და ახლებური ფორმების გამოყენების გარკვეული კანონზომიერება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, რაც ერთგვარი “მორიგების” მცდელობა უნდა იყოს მომავალი დროის გამოხატვის ორ აქტიურ საშუალებას შორის ამ პერიოდის ძეგლებში, ვინაიდან, როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ მოქმედია კავშირებითის მწკრივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვის ფუნქცია, მაგრამ ამავე დროს ძალიან გახშირებულია თხრობითი კილოს მწკრივებით მომავალი დროის გადმოცემის შემთხვევები.

თავი იჩინა კიდევ ერთმა საინტერესო ფაქტმა: გარკვეული უანრის ნაწარმოებებში, საკმაოდ გვიანი პერიოდის ძეგლებში, არა თუ იკლებს, არამედ მატულობს კავშირებითის მწკრივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემის მაგალითები. ნაშრომში მოცემულია ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზების ახსნა.

განხილულია კავშირებითის მწკრივები სხვადასხვა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში.

დადასტურებულია კავშირებითის მწკრივებით II ჰირის ბრძანებითის გამოხატვის იშვიათი ფორმები, რომელთა რიცხვი არა თუ იკლებს, არამედ უზეულოდ იზრდება საორიენტაციო ძეგლებში (უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ენათმეცნიერი კავშირებითების მიერ გამოვლენილ ამ ფუნქციას ძველ ქართულში არც აღიარებს).

ამავე ძეგლების მიხედვით, დადასტურდა კავშირებითის მწკრივებით I ჰირის ბრძანებითი კილოს გამოხატვა მხოლობით რიცხვში.

გამოვლინდა კავშირებითის მწკრივების კიდევ ერთი საინტერესო ფუნქცია – გამოხატოს თხრობითი კილოს ახლანდელი დრო: კავშირებითის მწკრივებით შესაძლებელია კავშირებითი კილოს ახლანდელი დროის გამოხატვა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, მაგრამ თხრობითი კილოს ახლანდელი დროის გამოხატვის ფუნქცია საინტერესო ფაქტია.

საკმაოდ კრცელი პარაგრაფი აქვს დათმობილი ნაშრომში კავშირებითის მწკრივებში გამოვლენილ პოლისემანტიზმს. ეს იმას ნიშნავს, რომ კავშირებითის მწკრივები ერთსა და იმავე კონსტრუქციაში გამოავლენს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა კილოს. პოლისემიური ფორმები გვხვდება რთული ქვეწოდილი წინადაღებების დამოკიდებულ ნაწილში და რაც უფრო გვიანი პერიოდისაა ძეგლი, მით უფრო მატულობს მათი რიცხვი.

ამ მოვლენის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი უნდა იყოს კავშირებითის მწერივებში მისი უმთავრესი ფუნქციის, თხრობითი კილოს მომავალი დროის მოშლის ტენდენცია.

ნაშრომის III თავი დაეთმო მთლიანად -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებს ძველი და საშუალი პერიოდის ქართულში. ძველი ქართულის გათვალისწინება აუცილებლად მივიჩნიეთ, ვინაიდან გვინდოდა გამოგვეპერა გარკვეული კანონზომიერება -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებში სხვადასხვა ფუნქციების გამოვლენისას, რომლის მიხედვითაც ამ ნაწილაკის უმთავრეს დანიშნულებაზე განსხვავებული მოსაზრება შეგვექმნა. აქვე არის მცდელობა -მცა ნაწილაკის მდა ცა ელემენტების გარკვეული წარმომავლობა დასაბუთების.

რაც შეეხება -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებს ეწ. საშუალ ქართულში, ისინი განხილულია ჟანრების მიხედვით, მოყვანილია სტატისტიკა, ნაჩვენებია, თუ რომელ ძეგლებშია შენარჩუნებული ძირითადად მათი სინტაქსური ზემოქმედების უნარი, რომელ ფუნქციას ინარჩუნებენ ყველაზე ხანგრძლივად, როდის და რა ხდება მათი გადავარდნის მიზეზი.

## თავი I

### კავშირებითის მწკრივთა წარმოება და ფუნქციები ძვ. ქართულში

#### 1.1. კავშირებითი კილოსა და თხრობითი კილოს მომავალი დროის ურთიერთმიმართების შესახებ

ცნობილია, რომ ძველ ქართულში გ.წ. კავშირებითის მწკრივებით შესაძლებელი იყო არა მხოლოდ კავშირებითი კილოს გამოხატვა: იმავე ფორმებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა ყველაზე გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენდა. ძირითადი კითხვები, რომლებიც კავშირებითი მწკრივების გარშემო ისმის, სწორედ მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთმიმართებაა.

კილო, ისევე როგორც დრო, მწკრივის ფარგლებში შემავალი მნიშვნელოვანი ელემენტებია და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კატეგორიებია.

კილოს კატეგორიის საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა ძველ ქართველ გრამატიკოსებშიც: ანტონ I-ის მიხედვით, ქართულ ზმნას აქვს ხუთი “სქესი” (კილო): საზღურებითი, ბრძანებითი, იპოტეტიკა, „უჩინო“ (ანტონი 1885: 20).

ზ. შანშოვანის გრამატიკის მიხედვით, ქართულ ზმნას ხუთი სახის კილო აქვს: “ასამძღვრო, კავშირებითი, საბრძანებო, კავშირებული, სახეტარო, კავშირებული, საქუანი, კავშირებითი, თუმცა კავშირებული, უჩინო, კავშირებითი, თუმცა კავშირებითი, უჩინო” (შანშოვანი 1881: 22).

გაიოზის, ქართველი შვილის, სოლომონ დოდაშვილის, პლატონ იოსელიანის გრამატიკებში გამოყოფილია ზმნის ოთხი კილო: თხრობითი, კავშირებითი, პირობით-კავშირებითი. ისინი სხვადასხვა ტერმინებითაა გადმოცემული (გაიოზი 1789: 26; ქართველი შვილი 1815: 23; დოდაშვილი 1830: 18; იოსელიანი 1840: 66).

კავშირებითი კილო გამოყოფილია ყველა ენათმეცნიერის მიერ, ქართული ენის განვითარების ყველა საფეხურზე. მისი განსაზღვრება ასეთია: “კავშირებითია კილო, რომელიც განსაზღვრავს სუბიექტის დამოკიდებულებას ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართ”.

ძველ ქართველ გრამატიკოსებს შენიშნული აქვთ და საგანგებოდ აღნიშნული ის ფაქტი, რომ კავშირებითი კილოს გაგებას თვით ზმნის ფორმები კი არ შეიცავენ, არამედ ამ შინაარსს შესაბამისი ნაწილაკებისა და კავშირების დართვის შემდეგ იძენენ. ასე მაგ.: გაიოზისა და სოლ. დოდაშვილის

გრამატიკების მიხედვით, კავშირებითისა და თხრობითი კილოს მომავალი დროის ფორმათა გარჩევა ევალება ნაწილაკებს: კაშათუ, უძუეთუ, ნუთუ, ნეტართუმცა, რათა, ვითარმუდ, რათამცა, რომელიმცა და სხვ. (გაიოზი 1789,25; დოდაშვილი 1830: 22).

ანტონისთვის ა, ე, ო, მაწარმოებლები მყოფადის ჯგუფისაა: “არიან ნიშანნი მყობადსა შინა მოხრილთა ზმნათანი: ა, მაგალითებრ....შეგვერა, გავხსნა,...და სხუანი; ო,...აღვლესო, გეუტო, გვხწერო და სხუანი; ე,...გვხდგე, განვარდე, ...ვესუვდე და სხუანი” (ანტონი 1885: 22).

ვ. თოფურია -ა,-ე,-ო სუფიქსებს დროის, კილოსა და ჯერობის მაწარმოებელ აფიქსებად მიიჩნევს (გოგოლაშვილი 1984: 7).

ჩვენ ვეთანხმებით იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც -ა,-ე,-ო მწკრივის ნიშნებია, მწკრივის ფუძეს აწარმოებს, ამიტომ, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია მწკრივის ყველა ფორმაში, თუ ფონეტიკური მიზეზით არ არის დაკარგული (ბარამიძე 2003: 14).

როცა საუბარია კავშირებითის ფორმებზე ძველსა თუ თანამედროვე ქართულში, მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კავშირებითის მწკრივი და კავშირებითი კილო. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება არასწორი დასკვნა მივიღოთ, როგორიცაა: კავშირებითი სხვა კილოებსაც გადმოსცემს: იგი ძველ ქართულში ძირითადი საშუალებაა თხრობითი კილოს მყოფადის გადმოსაცემად, ერთადერთი საშუალებაა პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ბრძანებითი კილოს გამოსახატავად და ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს მეორე და მესამე პირის ბრძანებითის გადმოსაცემად (კოტინოვი 1986: 36), – გამოდის, რომ კავშირებითი კილო ასრულებს სამივე კილოს – თხრობითის, კავშირებითისა და ბრძანებითის ფუნქციებს. რომელიმე მწკრივი შეიძლება იყოს გამოყენებული ამა თუ იმ კილოს გადმოსაცემად, მაგრამ ესა თუ ის კილო გერ შეიძენს სხვა კილოს მნიშვნელობას.

შევნიშნავთ, რომ მასალის ანალიზის პროცესში ჩვენთვისაც ხელისშემსლელი (დეზინფორმაციული) აღმოჩნდა ტერმინი “კავშირებითი” ძველი ქართული ენისა და რამდენადმე გარდამავალი პერიოდის მწკრივთა სახელწოდებისთვის. ამდენად, ისმის საკითხი საერთოდ ე.წ. კავშირებითის მწკრივთა სახელწოდების შესახებ – რამდენად მოტივირებულია ეს ტერმინი ძველი ქართულისთვის.

ცნობილია, რომ კავშირებითის მწერივი სხვადასხვა კილოს გამოხატავს (თხრობითს, ბრძანებითსა და კავშირებითს). ეს ფაქტი აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში. მისი სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა ძველი ქართულიდან მოდის.

გარკვეულია ასევე, რომ კილოს ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია გამოიხატება ენის მორფოლოგიურ, სინტაქსურ-ლექსიკურ, ინტონაციურ და სხვადასხვა კონტექსტურ საშუალებათა კომბინაციით (ოქროპირიძე 1975: 296).

ამიტომ ბრძანებითი კილოს გადმოსაცემად, გარდა ინტონაციური საშუალებისა, ერთგვარი ფუნქციური ძალა აქვს იმასაც, რომ ბრძანებითის გადმოცემისას ზმნა გადმოდის წინადადების დასაწყისისკენ, ამით ნაბრძანები მოქმედება უფრო აქცენტირებულია. კავშირებითის მწერივების მიერ ბრძანებითის გამოხატვის შემთხვევაშიც შენიშნულია, რომ ზმნა ყოველთვის წინადადების დასაწყისშია. ამგვარი ქვევა ახსნილია სწორედ სათანადო კომუნიკაციური მიზანდასახულობით (მოწოდება მოქმედებისაკენ) (აფრიდონიძე 1971: 257).

კავშირებითი კილოს შინაარსის გამომხატველი ფორმები კი დამოკიდებულ წინადადებაშია, სადაც ის იხმარება სათანადო კავშირების თანხლებით.

კავშირებითის მწერივით თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა კი შესაძლებელია ნებისმიერი სახის წინადადებაში: მარტივშიც და შერწყმულშიც, როგორც რთულ თანწყობილ, ისე რთულ ქვეწყობილ კონსტრუქციებში; რთული ქვეწყობილი წინადადების როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ ნაწილში.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულში კავშრებითის ფორმები ახლანდელი და წარსული დროის მნიშვნელობითაც იხმარება (კოტინოვი 1986: 37). ავტორი ეყრდნობა ბერძნულ დედანსა და პარალელურ ტექსტებს, რომლებშიც კავშირებითის მწერივებს თხრობითი კილოს აწმყო ან აორისტის ფორმები შეესაბამება. ავტორი თვლის, რომ ძველ ქართულში კავშირებითისთვის, ისევე როგორც ხოლმეობითისთვის, არაა არსებითი რომელიმე დროის გადმოცემა, მისთვის მთავარია კილოს კატეგორიის აღნიშვნა. თუ მყოფადის გადმოცემა კავშირებითის ფორმებს ეკისრება ძველ ქართულში, ეს თვით კავშირებითის, როგორც კილოს, ბუნებითაა შეპირობებული: კავშირებითი საერთოდ ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც ფაქტი არ არის, მაგრამ შესაძლებელია მისი განხორციელება მომავალში ან აწმყოში, ან

შესაძლებელია წარსულშიც იყო. ზოგადად, კავშირებითი ჯერ განუხორციელებელ, პერსპექტიულ მოქმედებას აღნიშნავს. ამგვარ შინაარსს, უპირველეს ყოვლისა, მომავალ დროსთან მივყავართ. კილოს კატეგორიის ჩამოყალიბება ძველ ქართულ ში უნდა მიეკუთვნებოდეს იმ ხანას, როდესაც დროის კატეგორია ჯერ არ იყო კონკრეტიზებული, ე.ო. არ არსებობდა სპეციალური ფორმები აწმყოს, ნამყოსა და მყოფადის გადმოსაცემად, – ფიქრობს აგტორი (კოტინოვი 1986: 38).

თავის მოსაზრებას მეცნიერი ამყარებს იმ არგუმენტითაც, რომ კავშირებითი ძველ ქართულ ში არ წარმოადგენს ერთადერთ გრამატიკულ საშუალებას მყოფადის გამოსახატავად, რომ ამ ფუნქციით გამოიყენება ხოლმეობითიც, რომელიც წარმოების მხრივ გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე კავშირებითი.

ის ფაქტი, რომ კავშირებითის ფორმებს (ძირითადად II კავშირებითისას) სხვა ენებზე იმავე ტექსტის შესაბამის ადგილებში ან ქართულსავე პარალელურ რედაქციებში ზოგჯერ აწმყო ან ნამყო უპირისპირდება, შესწავლილი აქვს დ. მელიქიშვილს. იგი მიდის დასკვნამდე, რომ ერთ რედაქციაში კავშირებითის ფორმის გამოყენება მეორე რედაქციით (და ბერძნულ-სომხურის) შესაბამისი ნამყოს საპირისპიროდ უნდა აიხსნას არა იმით, რომ კავშირებითის ფორმებს ნამყო დროის გამოხატვის შესაძლებლობაც პქონია, არამედ, ალბათ, იმით, რომ ოთხთავის ეს რედაქციები სხვადასხვა წყაროებიდან გამომდინარეობს; ავტორის თქმით, “ის, რომ II კავშირებითს სხვა ენებზე ტექსტის შესაბამის ადგილებში ან ქართულსავე პარალელურ რედაქციაში ზოგჯერ აწმყო ან ნამყო უპირისპირდება, არ არის იმის დამადასტურებელი საბუთი, თითქოს მეორე კავშირებითის ფორმებს აწმყოსა და ნამყოს გაგების გამოხატვაც შეუძლიათ, ისევე, როგორც ვერ ვიტყვით, რომ იგი ასრულებს ინფინიტივის ან მიმდეობის ფუნქციას, როდესაც ბერძნული ან სომხური ტექსტის მიმდეობური ან ინფინიტიური კონსტრუქციაა ქართული II კავშირებითის სანაცვლოდ” (მელიქიშვილი 1955: 69).

ჩვენ მიერ განხილული მასალის მიხედვით არ დასტურდება კავშირებითი ფორმებით წარსული დროის გადმოცემა, მაგრამ გვაქვს მაგალითები, რომლებშიც კავშირებითი შეიძლება ახლანდელი დროის გაგებით გადმოვიჩნოთ თანამედროვე ქართულ ში, მაგალითად:

ოდებით ხაშ ხენებით ვიხიდე ძმათაგანისათ იყოს, ხერობად ხაზ-ხაზი კრასოვული ხუდების ძმათა (აღაპ., 217,9).

რაოდენი-რაო იყოს მას შიდა, არაწმიდა არს იგი (ლევიტ., 11,33).

კავშირებითის მწკრივით ახლანდელი დრო მაშინ ივარაუდება, როცა მთავარი წინადადების ზმნაც აწმყოს ფორმითაა გამოხატული.

ზოგადად დროისა და კილოს კატეგორიების პრობლემა მეტად რთულია. ამის დასტურად გამოდგება ის ფაქტიც, თუ რამდენად განსხვავებულია ენათმეცნიერთა შეხედულებები დროისა და კილოს რაოდენობის თვალსაზრისით ქართულ ენაში (შანიძე 1956: 203).

მ. მეგრელიშვილი დროის საკითხზე მსჯელობისას მომავალი დროის უარყოფამდეც მივიდა. იგი გამოყოფს წარსულსა და არაწარსულ დროს. ავტორის თქმით, წარსული დროის არაწარსულთან დაპირისპირება დაფუძნებულია არა მარტო სემანტიკურ, არამედ სტრუქტურულ ნიშანზე და არსებობს დროის სამწვერა სისტემის შიგნით. გრამატიკულ კატეგორიას აქვს შინაარსის პლანი და გამოხატულების პლანი. დრო, ავტორის მიხედვით, გრამატიკული კატეგორიაა, მაგრამ მას “ამ ფორმებში არავითარი ცალკე აღებული ფორმალური ელემენტი არ შეესატყვისება”. შემდეგ ავტორი აკეთებს ასეთ დასკვნას: “ძველ ქართულში მომავალი დროის ფორმა არ არსებობდა, ამიტომაც გამოხატულების პლანში დროთა სისტემა რთული არ იყო, ფუნქციონირებდა დროის მხოლოდ ორი ფორმა – წარსული და არაწარსული (მეგრელიშვილი 1986: 79). მსჯელობა ორი დროის არსებობის თაობაზე კავშირებითის მწკრივების შესწავლის ფონზე ჩვენთვის მიუღებელია.

არნ. ჩიქობავას ვარაუდით, ქართულ ენაში გრამატიკული დროის ჩამოყალიბებამდე მოვლენათა შორის დროული მიმართება გამოხატული უნდა ყოფილიყო ასპექტური დაპირისპირებით: წყვეტილი (მომენტობრივი) და განგრძობითი (დიურატიული) –აქედან წყვეტილი წარსულს გულისხმობს, ხოლო განგრძობითი –ახლანდელს და აგრეთვე იმას, რასაც დასასრული არა აქვს, ე. ი. მომავალშია შესაძლებელი (ჩიქობავა 1948: 34).

მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთმიმართებაზე საუბრისას დ. მელიქიშვილი აღნიშნავს: “ახლანდელი დროის თანდათანობითმა კონკრეტიზაციამ და განსაზღვრამ გამოკვეთა და გამოყო მესამე მიმართება – შემდგომისა, მომავლისა. მომავალი დრო კი, ჩვეულებრივ, გამოხატავს ისეთ

არარეალურ მოქმედებას, რომელიც სათუოა, საეჭვოა, ამდენად, მომავალი დროის გაგებას თან მოჰყვა შესაძლებლობის, სათუო, სასურველობის შინაარსიც, ანუ კილოს გაგებაც. სხვაგვარად, კილოს გაგება ჩაისახა მომავალი დროის წიაღში, მის გაჩენასთან ერთად” (მელიქიშვილი 1955: 71).

ამგვარად, არა მარტო ძველი ქართული ენის მონაცემების მიხედვით, დ. მელიქიშვილი ასკვნის, რომ კავშირებითი კილო მომავალი დროის წიაღში წარმოიშვა, ქრონოლოგიურად პიპოტაქსური კონსტრუქციის ჩამოყალიბებას უკავშირდება და ამდენად, უფრო გვიანდელია, რასაც ძველი ქართული ტექსტების მიხედვით ასაბუთებს. ისინი ისტორიულად უკავშირდება ერთმანეთს როგორც ფუნქციური, ისე ფორმალური თვალსაზრისით.

ქვემოთ ავტორი აგრძელებს მსჯელობას და ასკვნის, რომ კავშირებითი კილო დამოუკიდებელი სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც პიპოტაქსური კონსტრუქცია წარმოიქმნა, ე.ი. როდესაც ნათლად გამოიკვეთა წინადაღებათა ურთიერთმიმართების – დაქვემდებარების გამოხატვა, სახელიც სწორედ ამ სინტაქსური ფუნქციის მიხედვით არის შერჩეული: *Conjunctivus* “შემაკავშირებელი”, – აქედან ქართული სახელწოდებაც – ”კავშირებითი” (მელიქიშვილი 1955: 72).

ჩვენ ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს განხილვა ერთმანეთთან კავშირის გარეშე შეუძლებელია. მომავალი დროის გაგება გულისხმობს სათუო, საეჭვო, სასურველობის მოდალობას, ხოლო კავშირებითი კილო შეიცავს მომავლის შინაარსს.

ქვემოთ ჩვენ ვაჩვენებთ, რომ მხოლოდ დამოკიდებულ წინადაღებებში არ გამოხატება -ა, -ო, -ე, -ი (ოდიანი ზმნების აწმყოს მწკრივში) მწკრივის ნიშნებით კავშირებითი კილო. ძველ ქართულში, ასევე თანამედროვეშიც, არის გარკვეული შინაარსის წინადაღებები (არადამოკიდებული) კავშირებითი კილოს გაგებით, მაგრამ, ვფიქრობთ, არსებითად საქმის ვითარებას ეს არ უნდა ცვლიდეს: იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კავშირებითის მწკრივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა შესაძლებელია ნებისმიერი სახის წინადაღებაში – მარტივში, შერწყმულში, როგორც რთულ თანწყობილ, ისე რთული ქვეწყობილი კონსტრუქციების მთავარ და დამოკიდებულ ნაწილებში, ვვარაუდობთ, რომ ამ ფორმათათვის ძირითადი სწორედ მომავალი დროის ფუნქციის გამოხატვაა.

ბოლო დროს გ. გოგოლაშვილმა დასვა საკითხი იმის თაობაზე, არის თუ არა დრო და კილო მორფოლოგიური კატეგორიები. მკვლევარი აღნიშნავს: “ფაქტია, რომ სხვადასხვა ინტონაციით წარმოთქმულ ერთი და იმავე შედგენილობის წინადადებაში შემავალი ზმნის დრო და კილო სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. ინტონაცია წინადადებას შინაარსს უცვლის, იცვლება ზმნური ფორმის ფუნქცია. ამ შემთხვევაში ინტონაცია შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სუპერსეგმენტური მორფემა” (გოგოლაშვილი 1988: 23).

თანამედროვე მასალის ანალიზე დაყრდნობით, გ. გოგოლაშვილი ასკვნის, რომ II კავშირებითს სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა დროის გაგება აქვს: მომავალი, წარსული, ახლანდელი. არც კილო II კავშირებითისათვის უცვლელი კატეგორია: მეორე კავშირებითის ფორმები კავშირებითი კილოს გაგებით მხოლოდ დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება, ან წარმოშობით დამოკიდებულში, სათანადო კავშირის თანხლებით; კავშირებითი გამოიყენება წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითების გამოსახატავად და კავშირებითი გადმოსცემს გარკვეულ შემთხვევებში თხრობით კილოსაც” (გოგოლაშვილი 1988: 25).

განხილული მასალიდან ჩანს, რომ დროისა და კილოს საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რადგანაც ამ ორ კატეგორიას არ გააჩნია მორფოლოგიური ნიშანი და განსაზღვრა ხდება მხოლოდ შინაარსის საშუალებით, ანუ სემანტიკურად. ეს ქართული აგლუტინაციური ენისათვის ანომალიაა, სადაც ყოველ გრამატიკულ კატეგორიას თავისი მორფოლოგიური ნიშანი და საპირისპირო, ოპოზიციური წყვილი უნდა ჰქონდეს. ამასთან, უნიშნობაც ნიშნად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ მას ნიშნიანი საპირისპირო ცალი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ დროს და კილოს საკუთარი ნიშნები არ ჰქონიათ და ფაქტიურად, არც ახლა აქვთ, ისინი მაინც დამახასიათებელი კატეგორიებია ქართული ზმნისა, სწორედ მორფოლოგიური თვალსაზრისით და ისინი აქტიურად ცდილობენ მონახონ განმასხვავებელი საშუალებები ენაში კუთვნილი ადგილის მოსაპოვებლად. ეს იქიდან ჩანს, რომ:

ა) ერთადერთი საშუალება ბრძანებითი კილოს გადმოსაცემად იყო პირის ნიშნები. ეს კილო გადმოიცემოდა ხანმეტობისა და ჰაემეტობის დროს III პირშიც და II პირშიც, მაგრამ ეს საშუალება ბოლომდე ვერ შემორჩა ენას.

ბ) მომავალი დრო არსებობდა, მაგრამ მისი ძირითადი გამოხატვის საშუალება საზიარო ფორმებით, ე.წ. კავშირებითის მწერივებით ხერხდებოდა (ასევე მიმღეობით) მანამ, სანამ ზმნისწინი საბოლოოდ დაუკავშირდა ზმნას, თანდებული – სახელს, ზმნიზედა ცალკე ჯგუფად გამოიყო. ზმნისწინმა იკისრა სრული ასპექტის გადმოცემა და აქედან თხრობითი კილოს მომავალი დროის მორფოლოგიური გამოხატვა (ამგვარად, კავშირებითის მწერივი გათავისუფლდა თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციისაგან). ამას სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა: პირველ სერიაში გაჩნდა ორი წრე: აწმუნები და მყოფადისა. მყოფადის წრეში მოხვდა ხოლმეობითი (განგრძობითი მოქმედებით) და მყოფადის კავშირებითი. ე.წ. კავშირებითის მწერივს ახლა უკვე შეეძლო სამივე დროის გადმოცემა. ეს ცვლილებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ორივე ერთად არის ზღვარის დამდები ძველსა და ახალ ქართულს შორის.

## 12. კავშირებითის მწერივთა მაწარმოებლები ძველ ქართულში

ეს საკითხი დაწვრილებითაა განხილული ნ. ციხიშვილის ნაშრომში, რომელიც ეხება მეორე სერიის მწერივთა წარმოებას საშუალ ქართულში (იხ. ციხიშვილი 2009).

ძველ ქართულში არის -ა, -ო, -ე და -ი (მხოლოდ I სერიის -ოდ სავრცობიან ზმნებთან). სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ მაწარმოებლთაგან -ე სუფიქსი ყველაზე ძველი და სპეციფიკური მაწარმოებელია (კოტინოვი 1986: 18). ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოთქმული ვარაუდები კავშირებითის მწერივის ნიშნების შესახებ:

-ი კავშირებითის ნიშნად მხოლოდ ძველ ქართულში გვხვდება და ისიც მხოლოდ -ოდ სავრცობიან ზმნათა პირველი კავშირებითის ფორმებში. არნ. ჩიქობავას აზრით, ძველ ქართულში -ოდ სავრცობიან ზმნათა პირველი კავშირებითის ფორმები იგივეა, რაც ნამყო უსრულის ხოლმეობითის ვარიანტი, რომელიც კავშირებითის ფუნქციით იხმარება (ჩიქობავა 1948: 52).

დეეტერსი აღნიშნავს, რომ **-ო** და **-ე** სუფიქსები დამახასიათებელია როგორც კავშირებითი, ისე თხრობითი კილოსათვის: **-ო** გაგხვდება პერმანენტის ფორმებშიც, ხოლო **-ე** აორისტის მაწარმოებელიცაა. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს სუფიქსები თავდაპირველად არ განსხვავდებოდნენ კილოს მიხედვით, რომ ეს მოვლენა მეორეულია ქართულში (Deeters 1930: 150).

6. მარისა და დეეტერსის გამოთქმული მოსაზრებით, **-ო** სუფიქსი მიღებული უნდა იყოს კავშირებითის **-ა** სუფიქსის შერწყმით ფუძისეულ **-გ** თანხმოვანთან: **გა-→ ო** ( 1925: 161; Deeters 1930: 150). ამას ეთანხმება ი. იმნაიშვილიც, რომელიც მიიჩნევს, რომ **გვო** ზმნაში **-ო** მიღებულია ფუძისეული **-გ** და კავშირებითის **-ა** ნიშნის შერწყმის შედეგად (იმნაიშვილები 1996: 189). გ. როგავას განსხვავებული შეხედულება აქვს. მისი აზრით, **-ო** სუფიქსი ქართულში მიღებული უნდა იყოს **-ე** სუფიქსის შერწყმით ფუძისეულ **-ვე** სუფიქსთან: **დავწერ-ო** – **დაგწერ-ვე** – **დაგწერ-ვე-ე** და ა.შ. **-ევ** სუფიქსს კი მკვლევარი უკავშირებს კაუზატივის **-ევ** მაწარმოებელს (როგავა 1945: 651).

მაშასადამე, განხილული მოსაზრებების გათვალისწინებით, კავშირებითის მწერივების უძველეს და სპეციფიკურ მაწარმოებლებად უნდა მივიჩნიოთ **-ა** და **-ე** ნიშნები.

**-ე-ს** სასარგებლოდ ლაპარაკობს არნ. ჩიქობავას ნაშრომი, რომლის მიხედვითაც იმ ფორმებში, სადაც დღევანდელ ქართულში კავშირებითის მაწარმოებლად **-ა** ან **-ო** გვაქვს, ძველ ქართულში ბევრგან **-ე** გვქონდა (ჩიქობავა 1929: 116).

**-ა** სუფიქსი გავრცელებულია კავშირებითის მაწარმოებლად ძველ ქართულში, მისი გამოყენება, როგორც ასკვნის ნ. კოტინოვი, საშუალ ქართულში ფართოვდება ხშირ შემთხვევაში ენიანი წარმოების სარჯზე (კოტინოვი 1986: 29), მაგრამ **-ე** მაწარმოებლის სასარგებლოდ უფრო მრავალ გარემოებას ასახელებს: 1) **-ე** ქართული ენის განვითარების უველა საფეხურზე გვევლინება კავშირებითის მაწარმოებლად; 2) იგი აწარმოებს კავშირებითის უველა ფორმას (პირველს, მეორეს, მესამეს); 3) **-ე** ერთადერთი სუფიქსია იმ ზმნათა კავშირებითისა, რომლებშიც ძველ ქართულში აღნიშნულია სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითობა; 4) **-ე-ს** მხარს უჭერს სხვა ქართველური ენების მონაცემებიც:

ზანურის -ა წარმოადგენს -ეს კანონიერ შესატყვისობას; 5) -ე კავშირებითის მაწარმოებლად გვხვდება ყველა ქართულ დიალექტში მეტ-ნაკლებად.

### 13. კავშირებითის მწერივთა ფუნქციები ძველ ქართულში

ჩვენი მიზანია კავშირებითის მწერივთა ფუნქციები წარმოვაჩინოთ საშუალ ქართულში და თვალი გავადევნოთ მათ საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანი პერიოდის მანძილზე. ამ თემასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი მოსაზრებაა გამოთქმული. რადგანაც საკითხი საფუძვლიანად არის შესწავლილი, ჩვენ შევეცდებით მხოლოდ, მოკლედ გავიხსენოთ მასთან დაკავშირებული შეხედულებები და გამოვთქვათ საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ ცალკეული ფუნქციის შესახებ.

ძველ ქართულში კავშირებითის მწერივები გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით: ა) იგი ერთ-ერთი საშუალებაა მყოფადის გადმოსაცემად, ბ) ერთადერთი საშუალებაა პირველი პირის ბრძანებითი კილოს გამოსახატავად მრავლობით რიცხვში, გ) გადმოსცემს რიგ შემთხვევაში მხოლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირის ბრძანებითებს, დ) ერთ-ერთი საშუალებაა საკუთრივ კავშირებითი კილოს გადმოსაცემად. ე.ი. კავშირებითის მწერივი ასრულებს სამივე კილოს – კავშირებითის, ბრძანებითისა და თხრობითის – ფუნქციებს.

განვიხილოთ თითოეული ფუნქცია ცალ-ცალკე.

#### 1.3.1. კავშირებითის მწერივები გამოხატავს თხრობითი კილოს მომავალ დროს

პირველი და მეორე სერიის კავშირებითები ერთმანეთს მხოლოდ ასპექტის მიხედვით უპირისპირდებიან: პირველი კავშირებითი უსრულ ასპექტს გვიჩვენებს, მეორე – სრულს, დროისა და კილოს მიხედვით მათ შორის განსხვავება არ არის – ყველა გადმოსცემს თხრობითი კილოს მომავალ დროს.

როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციით კავშირებითის მწერივები იხმარება ნებისმიერი აგებულების წინადადებაში: მარტივში, შერწყმულში, როგორც როგორც როგორც თანწყობილ, ისე

როულ ქვეწყობილ წინადაღებაში. როული ქვეწყობილი წინადაღების როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ ნაწილში, მაგალითად:

**ა) კავშირებითის მწკრივები თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობით მარტივ წინადაღებაში:**

არავინ გიტეოს ქრისტეს მხახურ ყოფად (ევსტ., 45,38).

წარუძღანო ეგე ტფილის ქალაქსა არვან გუნასას (ევსტ., 45,44).

ჭირისა ამის წილ ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული, (შუშ., 43,21).

და შენ მოგცეს შრომათა შენთა წილ სახუფებელი ცათავ სიტყვისაებრ მოციქულისა (ხანძთ., 104,13).

ნებისა დმრთისათა კიდრე სიკუდილამდე თუთ გამსახურო თავსა ჩემსა (ხანძთ., 104,48).

და მე უბრძანო მცურნალსა განკურნებად შენი მცირებისა მაგისან წყლულისა (გობრ., 85,3).

**ბ) კავშირებითის მწკრივები მომავალი დროის მნიშვნელობით შერწყმულ წინადაღებაში:**

ვერარამან განმაშოროს სიყუარულსა ქრისტესა, ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ პერობილებამან, სიკუდილმან ანუ ცხორებამან, სიმდიდრეთა ანუ სიგლახაკეთა, ვერარამან შეუძლოს განყენებად ჩემი სიყუარულსა დროისასა (რაჭდ., 245,30).

გუემათა ამათ ჩემთა და თრევათა და შეურაცხებათა- მივემთხვო მე დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა (შუშ., 36,8).

მეცა უწყინოდ გითხრა და გაცნობო შენ (ევსტ., 49,4).

დადადებდენ და გალობდენ პირი ჩუენნი ეხრცო (ხანძთ., 105, 39).

აწ არღარა გერქუას თქუენ თქუენ მოწაფე, არამედ მოციქული გერქუას თქუენ (ევსტ., 52,16).

დაგარღვიო ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვაშენო ეგე (ევსტ., 51,33).

**გ) კავშირებითის მწკრივები თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციით თანწყობილ წინადაღებაში:**

ამით ნათელი მიღებიეს და ვერვინ განმაშოროს მე ქრისტესან კიდრე სულისა ჩემისა აღმოხვდამდე (ევსტ., 52,42).

მისცეს ძმამან ძმავ სიკუდიდ და მამამან შვილი, და აღდგენ მამა-დედანი შვილთა მათთა ზედა და მოჰკლიდენ მათ (კოლ., 73,27).

გამოვედ შენ მაგიერ ქუკანით და წარგიყვანო შენ სხუად ქუკანად და განგამრავლო შენ და აღგაორძინო შენ დიდად ფრიად და გყო შენ მამად ნათესავთა მრავალთა და ერთა ურიცხუთა (ევსტ., 49,7).

ხოლო აწ მოიქც ცოომილებისაგან შენისა და მიიღო ჩემგან კუთილი და უაღრესი პატივი და გყო შენ თანამზრასულად ჩემდა და უდიდებულა ს კოველთა მოყუახთა შენთა (კოსტ. კახ., 77,13).

...და წმიდათ ჯუარი შენი მარადის იყავნ ჩემ ზედა უძლურისა ამის მოხუცებულისა, და მცირედთა დღეთა შემდგომად იხილო მტუერ-ქმნული შენ (ხანდ., 103,45).

განპათხო შენ შუგნიერებად უდაბნოისად და სიხარული ბორცუთა შეიმოხონ და ღულეთა განამრავლონ იფქლი დმრთისა-მსახურებისად (ხანდ., 105, 37).

დ) კავშირებითის მწკრივები მომავალი დროის გაგებით რთული ქვეწყობილი წინადაღების მთავარ ნაწილში:

აწ, უკუკოუ ჯერ არს, დაგემორჩილნეთ (ათონ., 203,8)!

იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენისა სჯულისა, ვითარცა ესე მე (შუშ., 35,12).

და თუ მრავალი ტანჯვად მოაწიო ჩემ ზედა, მე არა გეზიარო საქმეთა შენთა (შუშ., 36,33).

ხოლო გუამისა შენისათვეს ნუ პხრუნავ, ეგრე იყოს, ვითარცა შენ ხოჭე კოფად (ევსტ., 54,16).

ამით ცნან კოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფები ხართ (ხანდ., 148,33).

მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უუამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთუალნა (შუშ. 42,38).

საგანგებოდაა ადსანიშნი, რომ ეწ. კავშირებითის მწკრივებით გადმოცემული თხერობითი კილოს მომავალი დრო და ბრძანებითი კილო ხშირად ძნელი გასარჩევია. ბოლო ორი წინადაღება ამის ნათელი ნიმუშია.

ე) მომავალი დრო ქვეწყობილი წინადაღების დამოკიდებულ ნაწილში:

იგივე თავადი უფალი გებდო არს შენ თანა, ღირსო მამაო, რომელმანცა ლოცვითა შენითა მომანიჭოს სძლევავ ეშმაკთავ (ხანდ., 104,12).

რომელმან არა დაუტეოს მამაო თჯის და დედავ თჯის, დანი და ძმანი, ცოდი და შვილნი, და არა აღიღოს ჯუარი თჯის და შემომიღვეს ძე, იგი არა არს ჩემდა ღირს (კოლ., 72,20).

უკუკურე ვინა არა **იშვებ** მეორედ, ვერ **ჰელენიფების** ხილვად სახუფველი დმრთისად (გობრ., 82,21).

რაუამს **გეუწყოს** სიკუდილი ჩემი, მცწავლ წარიღეთ გუამი ჩემი მცხეთას და დუნ დამარხეთ, სადა ნათელ ვიღე (ევსტ., 54,18).

ვ კავშირებითის მწერივები თხრობითი კილოს მომავალი დროის გაგებით როული ქვეწყობილი წინადადების მთავარ და დამოკიდებულ ნაწილში:

უკუკურე განგიძურნო, უოველი იგი დაუტეო ცოომად, და ვითარცა **მრჯუა** შენ, კუთ ეგრეთ (ნინო, 223,25).

ოდებ ცანი დაიქცებ და წესნი იცუალნენ, მნათობნი დაშრტებ უოველნი და ქუეყანად შეიძუროს, ოხრად იგი საყვრისად ზარ სცემდებ უოველთა დაბადებულთა (გობრ., 83,18).

რომელთა აღმიარონ მე წინაშე კაცთა, პატივ სცეს მამამან ჩემმან (კოსტ. კახ., 78,10).

რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო მეცა იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათავსა, და რომელმან უარ მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ კუთ იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა (ევსტ., 45,24).

და უკუკურე ურჩ მექმნებ, ურჩთა თანა დაისაჯო, ... “რაღცა მიბრძანო, კუთ მამაო პატიოსანო” (შიო და ევაგ., 162,38).

ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაუამს **გდევნიდენ** და გყუდრიდენ და თქუას უოველი სიტყუად ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუეით ჩემთვას (კოსტ. კახ., 76,41).

### 13.2. კავშირებითის მწერივები გამოხატავს პირველი პირის ბრძანებით კილოს მრავლობით რიცხვში

ამ ფუნქციის გადმოსაცემად ქართული ენის განვითარების უკელა ეტაპზე კავშირებითის მწერივებია გამოყენებული, მაგალითად:

და **შეურდეთ** დმერთხა მრავლითა ცრემლითა და **კვევდრებოდით** მას დღითი-დღედ (უდაბნ. მრ., 104,2).

უოველი გლადადებდეთ მისა მიმართ და ვიტყოდით (უდაბნ. მრ., 148,8).

“...აპა, სიძა, გამოვედით, მივეგებვოდით მას (უდაბნ. მრ., 148,20).

**წამოვიდოთ** ამიერითგან ჩუქუცა ძალი სიტყვეა მის და გიშეთ პირველთა ბათ შემდგომი და გთქუათ (უდაბნ. მრ., 179, 18).

**გჭამოთ და განვძლეთ, რამეთუ მა ჩემი მომკუდარ იყო და აღდგა (უდაბნ. მრ., 146,3).**

აწ ჩუქუც თანა არს ჸორციელი კეთილი და ოქუცებ თანა არს ხულიერი კეთილი და ესე შევზავნეთ ურთიერთას (ხანძთ., 108,16).

აწ მოვედით ქრისტეს მორწმუნებო და გდლესასწაულობდეთ ჸსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისა (აბო, 69,14).

პირველი პირის მხოლობით რიცხვს ბრძანებითის მნიშვნელობა სემანტიკურად არ უთავსდება, მას შეიძლება ებრძანოს, როცა იგი სხვებთან ერთად მასაც ეხება, – ასეა მიღებული სპეც. ლიტერატურაში (შანიძე 1976: 62; იმნაიშვილები 1996: 193). ამ მოსაზრების მიუხედავად, საშუალი პერიოდის ქართულ ში შეგვხდა, კავშირებითის მწერივებით გადმოცემული, I პირის ბრძანებითი კილო მხოლობით რიცხვში, იგივე ფორმები ძალიან მომრავლებულია თანამედროვე ქართულ ში, რასაც ქვემოთ ვაჩვენებთ.

### 13.3. ბრძანებითი იშვიათი ფორმები

კ. კუბლაშვილმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა კავშირებითის მწერივებით მეორე და მესამე პირის ბრძანებითების გადმოცემას.

ა) კავშირებითის მწერივებით მეორე პირის ბრძანებითი კილოს გადმოცემის ფაქტები ავტორს დადასტურებული აქვს ძველი ქართული ძეგლების მიხედვით. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ასეთი მოვლენა ახალმა სალიტერატურო ქართულმა არ იცის, იგი ძველი ქართულისთვისაა მხოლოდ ნიშანდობლივი და მეტად საყურადღებო ჩანს ბრძანებითი კილოს ფორმათა ისტორიის გათვალისწინებისათვის (კუბლაშვილი 1952 -1953: 153-155). მოვიყვანთ მაგალითებს დასახელებული ნაშრომიდან:

ვიდრე-იგი მე მივალ, შენ ვერ ძალ-გიც მოხლვად, ხოლო მერმე მომდევდე მე... (ი., 13,136 ლ).

...მაშინ პრეზიდენტი მას იუსტიციური სამსახური, გამოსახური, რამეთუ წერილ არს: უფალსა დამურთსა შენსა თაყუანის პრეზიდენტი და მას მხოლოსა პმსახურებდე... (მ., 4,10 D).

პატივ-უც მამასა შენსა და დედასა შენსა და შეიყვარო მოყვანი შენი... (მ., 19,9).

იქვე მოყვანილია მაგალითები პარალელური ტექსტებიდან, საიდანაც ჩანს, რომ ანალოგიურ ეპიზოდებში II ბრძანებითის ფორმებია გამოყენებული.

ივ. იმნაიშვილი იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კავშირებითის მწერივის ერთ-ერთი ფუნქცია იყო II პირის ბრძანებითი კილოს გამოხატვა: “ამ მიზნით, ჩვეულებრივ, გამოყენებული იყო მეორე ბრძანებითი, მაგრამ რიგ შემთხვევაში წყვეტილისა და მეორე ბრძანებითის მეორე სუბიექტური პირის ფორმები ერთმანეთს ემთხვეოდა, რაც ენას აიძულებდა, ამ საორჭოფო ფორმების სანაცვლოდ სხვა საშუალებები გამოეძებნა. სწორედ ამ მიზნით გამოიყენეს II კავშირებითის მდიდარი შესაძლებლობანი” (იმნაიშვილები 1996: 193).

6. ნათამის აზრით, მეორე და მესამე პირის ბრძანებითის გამოხატვის ორ საშუალებას შორის (ბრძანებითსა და კავშირებითს შორის) თითქოს შინაარსობრივი სხვაობა არსებობს: კავშირებითი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ბრძანება ზოგადი, ნორმატიული ხასიათისაა, ე.ო. გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც საგალდებულოა საერთოდ (მაგალითად, რელიგიური წესებისა და რიტუალების შესრულებისას) და არა კონკრეტულ მომენტში (ნათაძე 1956).

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც: კავშირებითის მწერივის მიერ II პირის ბრძანებითის გადმოცემას არ ეთანხმება გ. ნინუა თავის სადისერტაციო ნაშრომში (ნინუა 1968). ავტორი თვლის, რომ მოცემულ და მსგავს მაგალითებში ბრძანებითის მნიშვნელობა არ ივარაუდება. აქ გადმოცემულია მომავალში უთუოდ შესასრულებელი მოქმედება. მომავალი, – ავტორის თქმით, – ძველ ქართულში გადმოიცემა კავშირებითის მწერივის ფორმით და კილოს მიხედვით არის თხრობითი. ასეთ შემთხვევაში კი იგი მოდალობის ერთ-ერთი ნიუანსით – კატეგორიულობით უახლოვდება ბრძანებითს, (ცნობილია, მაგ., რომ გერმანული ენა მოდალური მნიშვნელობის გადმოსაცემად სხვა საშუალებათა გვერდით იყენებს კავშირებითი კილოს ფორმასაც); ბრძანებითისაგან განსხვავებით, ეს ფორმები მოლაპარაკის თვალსაზრისს კი არ გამოხატავს ზმნით გადმოცემული

მოქმედების მიმართ, არამედ მოსახლეებია, გასაკეთებელია, შესასრულებელია მოლაპარაკის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად. ამგვარი ფორმები არ გულისხმობს ბრძანებითისათვის დამახასიათებელ კავშირს მოლაპარაკესა და მოქმედების შემსრულებელ პირს შორის (მბრძანებელსა და მსმენელს შორის).

ავტორის აზრით, დამოწმებულ მაგალითებში კავშირებითი კილოს ფორმებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც რესულში – + infinitiv-ისა და ახალ ქართულში უნდა + ზმის ფორმას.

მსგავსადვე უნდა გავიგოთ შემდეგი ფორმები:

არა ცილი პფუცო, არამედ მისცე უფალსა ფიცი შენი (მათე, 5,33C).

აწ განუტეო მონავ შენი, უფალო, მსგავსად სიტყჲსა შენისა გშვდობით (ლუკა, 2,29 DE) (მაგალითები დასახ. ნაშრომიდანაა).

მკლევარს შესადარებლად მოყვანილი აქვს გერმანული ბიბლიის პარალელური ტექსტი უნდაობითის ფორმებით, რის შედეგადაც ასკვნის, რომ ზემოთ განხილულ ფორმებს არა აქვთ არც ბრძანებითისა და არც კავშირებითის მნიშვნელობა. კავშირებითის ფორმა ამ შემთხვევაში შეიცავს მომავლის გაგებას, კილოს მიხედვით არის თხრობითი და მოდალობის ერთ-ერთი ნიუანსით – კატეგორიულობით ემსგავსება ბრძანებითს. კავშირებითის ფორმათა ფუნქცია არის მომავალში უთუოდ შესასრულებელი მოქმედების მნიშვნელობის – ვალდებულებისა და ოუცილებლობის (უნდაობის) მოდალობის გადმოცემა. ამ საშუალებით ენა გამოხატავს თხრობითი კილოს ერთ-ერთ მოდალურ ნიუანსს, რაც ბერძნულის გავლენის შედეგია: ბერძნულში ამ გაგებით მომავლის ფორმა იხმარება, მომავლის გადმოცემა კი ძველ ქართულში კავშირებითის მწერივის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს (ნინუა 1968).

მსჯელობა საინტერესოა, მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ მის მოსაზრებას ამგვარი ფორმების კვალიფიკაციის თაობაზე. რას უნდა გამოხატავდეს მეორე კავშირებითი ამგვარ მაგალითებში, თუ არა სწორედ მიმართებას მოლაპარაკესა და ბრძანებას დაქვემდებარებულ პირებს შორის:

უამსა პურის ჭამისასა მოვედ აქა და ჭამე პური და დააწო პური შენი ძმარსა (რუთ. 2,14).

ანდა: მაშინ პრქუა მას იეხუ: წარვედ ჩემვან მართლუკუნ, ეშმაკო, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თავუანის-პცე და მას მხოლოსა პმსახურებდე (მათე, 4,10 DE)(მაგალითები დასახ. ნაშრომიდანაა).

თუკი ამ მაგალითებში: “დააწო,” “თაყუანის-ჰცე” და “პმსახურებდე” ფორმები ბრძანებითის გაგებას არ შეიცავს, რადგან ისინი ვალდებულების, კატეგორიულობისა და აუცილებლობის მოდალობას გადმოსცემენ (უნდაობითს) მომავალ დროში და ამ საშუალებით ენა თხრობითი კილოს ერთ-ერთ მოდალურ ნიუანსს გამოხატავს, მაშინ იმავე მაგალითებში “მოვედ” “ჭამე” და “წარვედ” ფორმებიც უნდა განვიხილოთ არა როგორც ბრძანებითები, არამედ როგორც უნდაობითი ფორმები, რადგან ისინიც აღჭურვილნი არიან აუცილებლობის, კატეგორიულობის გაგებით და აქაც მოქმედება მომავალშია შესასრულებელი, ანუ, როგორც მკვლევარი თავადვე განმარტავს, ბრძანებითი კილო ეყრდნობა ძველ და ახალ ქართულშიც თხრობით კილოს. ის გულისხმობს, რომ მოუბრის სურვილი უნდა იქნეს შესრულებული. ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს სურვილი შეიძლება გამოიხატოს არა მარტო ბრძანების სახით, არამედ თხოვნის, ხვეწნა-მუდარისა და წაქეზების სახითაც, მაგრამ გრამატიკაში ყველას ბრძანებითი პქვია, რადგანაც ფორმობრივი განსხვავება მათ შორის არ არის (ნინუა 1968).

მაშასადამე, რადგანაც ბრძანებითი კილო მოუბრის სურვილის განსხორციელებას გულისხმობს, ეს სურვილი შეიძლება სხვადასხვა სახით იყოს გამოთქმული, მათ შორის კატეგორიულადაც, აუცილებლადაც, საგალ-დებულოდაც და ა.შ. მოუბრის სურვილი კი მომავალშია შესასრულებელი.

ზემოთ განხილული იშვიათი ფორმების შესახებ კი ვიტყვით, რომ ძველ ქართულში გვაქს მეორე კავშირებითის მწკრივით მეორე პირის უკუთქმითი ბრძანებითის გადმოცემის მყარად გატარებული ნორმა, ამიტომ მეორე პირის წარტქმითი ბრძანებითი კილოს გადმოცემაც შესაძლებელი იქნებოდა ამავე მწკრივებით. ძველი ქართული ენის ძეგლებზე დაკვირვებით ეს ფაქტი დადასტურებულია. რაც შეეხება საშუალ ქართულს: კავშირებითის მწკრივებით II პირის ბრძანებითი კილოს გამოხატვა არა თუ შემცირებული, არამედ უზეულოდ მომატებულია. იგივე ფორმები თანამედროვე ქართულისთვისაც არაა უცხო. ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბ) ძველ ქართულში მესამე პირის ბრძანებითს საკუთარი პირის ნიშანი პქონდა. თანამედროვე ქართულში ეს მაწარმოებელი აღარ იხმარება, მათ ადგილს კავშირებითის მწკრივებიდან ნასესხები ფორმები იკავებს. მესამე პირში

ბრძანებითის ფორმების ნაცვლად კავშირებითის ფორმათა გამოყენება ძველ ქართულ შიგე გვხვდება, მაგალითად:

**ნურარამ გგლიან, უტე – მოკუდეს** (შუშ., 40,2).

რომელიცა განვებავ და წესი ენებოს, იგიცა დაუდგას მონასტერსა და მას ზედაცა განკანონოს და შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრეთ განაგოს (იოვ. და ეფთ., 183,43).

წარუძღვანო ეგე თფილის ქალაქესა არვანდ გუშნასპეს, ქართლისა მარზაპანსა, და რამ იგი შემგვანდეს, მან უფოს (ევსტ., 45,44).

და ვითარცა მიცვალებულთა მამათათჲს ხანძთავ განმიწებებია, ეგრატვე იყოს სამარხავი მიცვალებულთა დედათავ აწ შენებულსა მას (ხანძთ., 108,26).

...არსენი კათალიკოზი ნებითა ღმრთისათვა კათალიკოზ არს და ძვრის-შეტყველთა მისთა, რომელთა არა შეინანონ, კდებულ იყვნენ და სრულიად პრცხულებს ამას საწყოროსა და მას საუკუნესა (ხანძთ., 131,3).

ღმერთმან მოგაგოს ნაცვალი მც ზავრობისა შენისავ (ზარზ., 93,23).

წმიდაო მამაო, რაიცა ამათ თბოლთა თანა პქმნა, ღმერთმან მიაგოს სულხა შენსა (იოვ. და ეფთ., 180,12).

და ყოველნივე ნატყუუნავი მათი შენი იყოს (იოვ. და ეფთ., 180,35).

და პრქუა მას: “**იქმნეს ნებისაებრ შენისა, მამაო**” (ილარ., 172,39).

მესამე პირის ბრძანებითი კილოს გამოხატვასთან დაკავშირებით საყურადღებო დასკვნა გააკეთა 6. კოტინოვმა: ქართული ოთხთავის ტექსტების მიხედვით ირკვევა, რომ ადიშის (C) რედაქციაში გამოიყენება ბრძანებითის სპეციფიკური ფორმები, ხოლო მის საპირისპიროდ, ჯრუჭ-პარხლის (DE) რედაქციაში – კავშირებითის ფორმები. ეს წესი, მცირე გამონაცლისის გარდა, თითქმის სისტემატურადაა გატარებული (კოტინოვი 1986: 41), მაგ:

და უკუეთუ იყოს მუნ ძალ მშვიდობისავ განიხუებოს მის ზედა მშვიდობამან თქუენმან, უკუეთუ არა-თქუენდავე მოიქცეს (ლ., DE).

შდრ.: უკუეთუ არა-თქუენდავე მოიქციხ (ლ., 10,16 C).

უკუეთუ კინძე მოკუდეს და არა დაუშთეს შვილი, შეირთოს ცოლი მისი მმამან მისმან და აღუდგინოს მკაფიო ძმასა თვალსა (გ., DE).

შდრ.: მო-თუ-კინძე-კუდეს უშვილო, ეხიძე მას ძმავ მისი ცოლისა მას მისსა ზედა-აღუდგინენ მკაფიო ძმასა თვალსა (გ., 22,24C).

აგტორი ვარაუდობს, რომ ქართულ თთხთავში მესამე პირის ბრძანებითის გამოხატვის ასეთი რედაქციული სხვაობა შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ კავშირებითის მწვრივის გამოყენება ბრძანებითი კილოს გადმოსაცემად ერთ რომელიმე დიალექტს ახასიათებდა, შემდგომ ამ პრინციპმა საერთო გავრცელება პოვა. ეს კი მაუწყებელია სალიტერატურო ენაში დიალექტების პერიოდული ინტენსივობისა (კოტინოვი 1986: 41).

იმის გათვალისწინებით, რომ მესამე პირის ბრძანებითი კილოს მნიშვნელობის გადმოცემა კავშირებითის მწვრივით ადრე დაწყებულა და დამკვიდრებულა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფორმები ცოცხალი მეტყველებისთვის იყო დამახასიათებელი.

#### 1.3.4. უკუთქმითი ბრძანებითი ძველ ქართულში

აკრძალვითს, ანუ უკუთქმით ბრძანებითს საკუთარი მწვრივი არ გააჩნდა და არც ამჟამად გააჩნია. საყურადღებოა, რომ ის წართქმითი ბრძანებითის მწვრივით კი არ სარგებლობს, არამედ სხვა კილოთაგან სესხულობს ფორმებს. ეს კილოებია: თხრობითი და კავშირებითი (შანიძე 1953: 211-212).

საერთოდ, ქართულში ცნობილია სამი სახის უარყოფა: მარტივი (არ ნაწილაკიანი), შესაძლებლობის უარყოფა (ვერ ნაწილაკიანი), და აკრძალვა (ნუ ნაწილაკიანი), ამათგან შესაძლებლობის უარყოფა ბრძანებითს ვერ ეგუება. რაც შეეხება არ და ნუ ნაწილაკებს, უკუთქმით ბრძანებითში თავისუფლად იხმარება როგორც ერთი, ისე მეორე, ოდონდ არ ნაწილაკის დართვისას ზმნა კავშირებითის ფორმით წარმოგვიდგება (არ გააკეთო), ნუ ნაწილაკიანი ბრძანებითი კი იყენებდა აწმყოს ფორმას, თანამედროვე ქართულში მყოფადის ფორმასაც იყენებს (ჭუმბურიძე 1986: 60), მაგალითად:

**ნუ ოდეს დამივიწყებ და ნუცა გარე უკუნაქცევ მეოხებად და ლუაწად განმზადებულსა პირსა შენსა ... (ზარზ., 98,1).**

**ნუ დაიმცირებ დღეთა ცხორებისა შენისათა ქრისტიანებისათვს და ნუ ქურივ სუამ ცოლსა შენსა და ობოლ შკლთა შენთა და ნუ მოსწყდები მოყუახთა შენთა ამას ცხორებასა (ევსტ., 53,28).**

**გევედრები, წმიდანო, ნუ დაამძიმებთ ჩემზედა სათხოველსა (ზარზ., 90,17).**

...არამედ ნუ დამიგოწყებ ჩუქუ, აღგილისა შენისა წმილისა მკვდრთა და ნერგთა ძაღლთა შენისათა (ხანძთ., 106,37).

შემდგომ ორ მაგალითში ნუ ნაწილაკი კავშირებითის ფორმასთანაა დადასტურებული, რაც არ არის დამახასიათებელი ძველი ქართული ტექსტებისთვის, მაგრამ იშვიათად მაინც გვხვდება (ერთგან შეიძლება ეს მოვლენა იმით იქოს გამოწვეული, რომ ნუ ნაწილაკი და ზმნა-შემასმენელი გათიშვლია სხვა სიტყვებით):

გინა თევზეა ხოხოვდეს, გუელი ნუ მისცეს მას (პ., 7,10).

ნუ თევზისა წილ გუელი მაჟსცეს მას (ლ., 11,12).

კავშირებითის მწერივის ფორმები, ჩვეულებრივ, არ ნაწილაკთან გახვდება:

არა მოაკლდეს მთავრობავ შვილთა შენთა და ნათეხავთა მათთა ქუჯანათა ამათ უკუნისაძევ უამთა (ხანძთ., 110,14).

არა ცილი ჰფუცო (პ., 5,33).

არა შვოთი იყოს ერხა შორის (პ., 26,5).

ზ. ჭუმბურიძე თავის ნაშრომში გვაძლევს ნუ და არ ნაწილაკიანი ბრძანებითების გამოყენების შეფარდებას. ირკვევა, რომ ხანმეტ ლექციონარში ნუ ნაწილაკი ხუთჯერ გვხვდება. მათგან სამჯერ აწმყოსთან, ორჯერ – აწმყოს ხოლმეობითთან, კავშირებითთან კი არც ერთხელ. ოთხთავის ხანმეტ ტექსტში, რომელიც ლ. ქაჯაიამ გამოსცა, უკუთქმითი ბრძანებითის ფორმებში ნუ ნაწილაკი ნახმარია აწმყოს ფორმებთან 33-ჯერ, აწმყოს ხოლმეობითთან – 14-ჯერ, კავშირებითთან კი – სულ არა. ოთხთავის უძველეს რეადქციებში, როგორც ი. იმნაიშვილის მიერ შედგენილი სიმფონია-ლექსიკონიდან ჩანს, ნუ უარყოფითი ნაწილაკის 150-მდე შემთხვევა დასტურდება და აქედან მხოლოდ 8-ჯერ გვხვდება იგი კავშირებითთან, დანარჩენ შემთხვევებში კი ზმნა ყველაზე ხშირად აწმყოს მწერივში დგას (ზმნისწინით თუ უზმნისწინოდ) (ჭუმბურიძე 1986: 61).

ამავე ნაშრომში ზ. ჭუმბურიძე გარაუდობს, რომ სწორედ ნუ ნაწილაკიანი ბრძანებითების ზმნისწინიანი აწმყოს ფორმებში მოხდა პირველად მომავალი დროის ახლებური (ზმნისწინიანი) წარმოების ჩამოყალიბება. ამ გარაუდის სასარგებლოდ ვიტყვით შემდეგს: არ ნაწილაკიანი ბრძანებითები კავშირებითის მწერივებით ახერხებდნენ მომავალი დროის შინაარსის შევსებას (ბრძანებითი კილოსთვის აუცილებელია მომავალი დროის გაგება), ნუ ნაწილაკიანმა

ბრძანებითებმა კი, როგორც ჩანს, ამ ნაკლის ამოსავსებად აიძულა ზმნისწინიანი აწმუნოს ფორმები, მომავალი დროის შინაარსი გამოეხატათ.

ვფიქრობთ, ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ე.წ. კავშირებითის მწვრთნებისთვის უმთავრესი სწორედ მომავალი დროის გამოხატვის ფუნქცია იყო.

### 13.5. კავშირებითის მწვრთნებით გადმოცემულია კავშირებითი კილო

კავშირებითის ერთ-ერთი ფუნქციაა, გამოხატოს საკუთრივ კავშირებითი კილო. ეს ფუნქცია სხვადასხვა მოდალურ ნიუნსს მოიცავს: შესაძლოს, ნატერითს სავარაუდოს, სავალდებულოს, საეჭვოს, პირობითს და ა.შ. კავშირებითის მწვრთნებით კავშირებითი კილო გამოიხატება ძირითადად დამოკიდებულ წინადადებაში. კავშირებად გამოიყენება რამთა (>რათა), თუ, რაჟამს, ნუჟაჟა, ვითარ (ვითარ-მე), უკუეთუ, ღათუ, დაღათუ, დაღათუცა, და (რომ კავშირის მნიშვნელობით). ყველაზე ხშირად გამოიყენება რამთა (>რათა) კავშირები, ასეთ შემთხვევაში როული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებული ნაწილი მიზნის გარემოებითია, მაგალითად:

ხოლო ესე მოწმებისა და კეთილად მსახურისა ქუჯანისაგან გამოიყვანა ამის მიზეზისათვეს, რამთა უქმთა უდაბნოთა შინა გამობრწყინვდეს სანთელი ესე დაუგებელი, ბრწყინვალა ზედა სასანთლება მას მაღალსა, ზეთითა მით განუპარველითა, რამთა ტანა მას და ოხრასა საყვირისასა აღეტყინოს და განბრწყინვდეს სულითა ძლიერითა... (ხანძთ., 102,17).

და ამის პირისათვეს წარვიდა ვიდრე აგიდოსამდე, რამთა მიურ პოვოს ნავი (ცხრ. იოვ. და ეფთ., 33,2).

მიუხედავად იმისა, რომ მთავარ წინადადებაში მისათითებელ სიტყვებად გამოიყენებულია მიზეზის გარემოებები – ამის პირისათვეს, ამის მიზეზისათვეს – დამოკიდებული წინადადებები ბოლო ორ მაგალითში მიზნისაა. მიზნის დამოკიდებულია შემდეგი წინადადებებიც:

ვითარ გეგულების, მითხარ მე, რამთა უწყოდი და აღვწერო შრომად შენი (შუბ., 36,5).

ძირით ძვებდით მე, ძმანო ჩემნო,...რამთა ვილოცო მე დმრთისა ჩემისა მიძარო (ევსტ., 53,41).

აღწერე მარტვილობად წმიდისა მოწამისა პაბოხის და აღწერილი ჩვენ  
მოგვიდუანე, რათა უძებებად ლოცვა გვთ შენთვე (აბო, 55,23).

“რათა” კავშირიანი დამოკიდებული წინადაღება კავშირებითი კილოს  
გაგებით შეიძლება დამატებითი იყოს, ასეთ შემთხვევაშიც “რათას”  
მნიშვნელობა არის “რომ”:

თხოვდეს მისგან ყოველნი იგი ეპისკოპოსი და აზნაურნი ერთაბამად, რათა  
ბორჯილი იგი ფერხთავ ბრძანოს საცოდ და ნაკურთხევად ყოველთათვე (შუბ.,  
43,14).

ამას გვევდრები, უფალო ჩუბო, იესუ ქრისტე, რათა გუამი ჩემი დაქმარხოს  
ბცხოვას (ევსტ., 53,22).

ჯერ-არს ჩემდაცა, დღესა ამას, რათა განვიძარცვო შოში ჰორცოა ამათ  
ჩემთავი, ...და შთავაძე... შორის ქალაქსა ამას და ნათელ გიღო სისხლითა ჩემთა  
და...მერმე კუალად შთავაძე წყალთაცა და კუალად განვნათლდე (აბო, 65,39).

კავშირებითი კილოს გაგებაა უპუთუ, თუ კავშირიან პირობით დამოკიდებულ  
წინადაღებებში:

უპუთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებად  
ჩემი მისგან (შუბ., 36,46).

უპუთუ ვისმე პწყუროდის, მოვედინ ჩემდა (ი., 7,37).

უპუთუ თუალი შენი გაცოუნებდებს, აღმოიღე იგი (მრპ., 9,47).

უპუთუ ისმინოს ჩემი უფალმან, ანუ თუ განსაჯნებს სიტყუანი ჩემნი(იობ., 9,15).

თუ ვინმე აღიაროს მაგათგანმან მამული რჩები, განუტევეთ და ჩემდა  
მოაწიეთ და მე განვამდიდრო იგი ბოძითა დიდითა, ხოლო რომელმან მამული  
რჩები არა აღიაროს, იგი საპყრობილება შინა მოკულდინ (ევსტ., 46,25).

უნდა ითქვას, რომ კილოს გაგების მხრივ ეს მაგალითები მერყევია, ამგვარ  
წინადაღებებში შეიძლება თხორობითი კილოც იგულისხმებოდეს მომავალი  
დროის გაგებით (პირობით დამოკიდებულ წინადაღებებში გამოვლენილია  
გარკვეული ურთიერთმიმართებები კავშირსა და ზმნა-შემასმენელს შორის  
კილოს გამოხატვის თვალსაზრისით, რომლის შესახებ ცოტა ქვემოთ  
ვისაუბრებთ).

კავშირებითია კილო დათუ, დაღათუ, დაღაცათუ კავშირებიან დათმობით  
დამოკიდებულ წინადაღებებში, მაგალითად:

გიყო დათუ მართალ, არავე ისმინოს ჩემი (იობ., 9,15).

**კოველნი დათუ დაბრკოლდენ, ხოლო მე არა** (მრკ., 14,29).

**დაღათუ შვილ გზის შეგცოდოს შენ..., მოუტევე მას** (ლ., 6,3).

**დათუ იყოს შენ თანა სიკულილი ჩემი, არასადა უვარ-გეო შენ** (პ., 26,35).

**დაღაცათუ ცეცხლითა და ტანჯეთა აღმასროვლოთ მე, არავ თვარ-ვყო საძებავ წმიდავ** (სას. პ., 3,14).

**ხოლო დაღაცათუ ფიცხელ იყოს, დაღაცათუ კელურ გონებითა ქმარი იგი, საჭირო არს ტკოვავ მისი ცოლისაგან** (ექუსო., 87,32).

კავშირებითი კილო იხმარება **ნუჟაჟე** ნაწილაკიან შესაძლებლობის შინაარსის წინადადებებში, მაგალითად:

**ნუჟაჟე ცნას და მომქლას მე** (შუშ., 37,47).

**ხუცეს მიუძღვანოა საძკაული ეხე მისი? ნუჟაჟე ითხოვდეს** (შუშ., 38,13).

**...”ნუჟაჟე მთავართაგანსა ვისმე კცოლოს”** (შუშ., 41,5).

და მერმე პრქუა, ვითარმედ: “**ვითარ-იგი გჯრებს ჩუქნ, ნუჟაჟე და ვერ გააგონო** (იოვ. და ეფთ., 185,27).

...**შემინა, ნუჟაჟე ამის სახისათვეს ზღვევავ რაომე ხულიერი შეამთხვოს დირსეა მას და თვესაცა ხულსა** (იოვ. და ეფთ., 182,17).

**აწ ნუჟაჟე დაყენებითა ენისა ჩემისავთა ქებასა შენსა დაუყენოს ჩემთვეცა მოღუაწებავ მეოხებისა შენისავ ქრისტეს მიმართ** (აბო, 69,29).

კავშირებითი კილო და თხრობითი კილოს მომავალი დრო ხშირად საზიარო გაგებას იძლევა, ასეთი ვითარებაა შემდეგ წინადადებებშიც:

**რაოთა რაუმს გეუწყოს სიკულილი ჩემი, მხრავლ წარიღეთ გუამი ჩემი მცხოვას და მუხ დამარხეთ, სადა ნათელ ვიღე (ევხ. 54,18), – რაუმს გეუწყოს სიკუდილი ჩემი შეიძლება ორნაირად გავიგოთ: როცა გეუწყოთ ჩემი სიკვდილი და როცა გეუწყებათ ჩემი სიკვდილი.**

და რაო იგი **შეპგანდეს, მან უყოს** (ევხ., 45,45), – **რაც შეეფერებოდეს ან რაც შესაფერისი იქნება.**

გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მწკრივი ანგარიშს გაუწევს დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლს: თუ დამოკიდებულში კავშირებით კილოს ვიგულისხმებთ, მთავარში III პირის ბრძანებითი უნდა ვიგარაუდოთ, ხოლო, თუ დამოკიდებულ წინადადებაში თხრობითი კილოს მომავალ დროს ვიგარაუდებთ, მთავარშიც თხრობითი კილოს მომავალი დრო იქნება გადმოცემული.

## 1.4. კავშირებითი კილოს გამომხატველი ფორმების ადგილი ჰიპოტაქსის გენეზისის საკითხთან დაკავშირებით

როგორც ვხედავთ, კავშირებითი კილოს გამოვლენა ძირითადად რთული ქვეწყობილი წინადაღებების დამოკიდებულ ნაწილშია შესაძლებელი, ამდენად მიგვჩნია, რომ ჰიპოტაქსის საკითხის გენეზისის გარკვევა ერთგვარად დაგვეხმარება კავშირებითი კილოს წარმომავლობის დადგენაში.

ჰიპოტაქსის წარმომავლობის პრობლემა თავისთავად ძალიან რთულია და, რა თქმა უნდა, ამ პრობლემის კვლევა-ძიება სცილდება ჩვენს მიზნებს. ნაშრომში წარმოდგენილია ამ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებების შეჯერება და მცდელობა იმისა, რომ ახსნა მოექცენოს იმ ფაქტს, თუ რატომ ხვდება კავშირებითი კილოს შინაარსის მქონე ფორმები რთული ქვეწყობილი წინადაღების დამოკიდებულ ნაწილში.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჰიპოტაქსის წარმომავლობის საკითხზე არაერთი საინტერესო ნაშრომი არსებობს, რომლებშიც საფუძვლიანადაა განხილული ქართული ენის კავშირები – მიმართებითი და მისამართი სიტყვების ურთიერთობები, მათი მორფოლოგიური თუ სინტაქსური ანალიზი, რომელთა საფუძველზეც წარმოდგენილია მოსაზრებები რთული წინადაღების წარმომავლობაზე (დონდუა 1957; როგავა 1948; ერთელიშვილი 1962; ძიძიგური 1973).

ჰიპოტაქსის საკითხზე მსჯელობისას გ. როგავას განხილული აქვს გასული საუკუნის ცნობილი სლავისტების მიერ გამოთქმული შეხედულებები ჰიპოტაქსის გენეზისის შესახებ და საგანგებოდ აქვს აღნიშნული, რომ დამოკიდებული წინადაღება (კერძოდ რუსულ ენაში) წარმოშობილია კითხვითი წინადაღების საფუძველზე: კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნისართები გადაიქცნენ დამოკიდებული წინადაღებების კავშირებად, მიმართებით ნაცვალსახელებად და მიმართებით ზმნისართებად. ძველი ქართული ტექსტების განხილვის შედეგად მან წამოაყენა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ყოველი სახის დამოკიდებული წინადაღება ქართულში წარმოშობით კითხვითი წინადაღებაა: შემაერთებელ კავშირებად ასეთ წინადაღებებს მხოლოდ კითხვითი წინადაღებებისათვის დამახასიათებელი საშუალებანი აქვს გამოყენებული, კერძოდ, კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნისართები, რომლებიც მიმართებითი

ნაწილაკების დართვის შედეგად გადაიქცნენ დამოკიდებული წინადადების კავშირებად, მიმართებით ნაცვალსახელებად და მიმართებით ზმნისართებად (როგავა 1948: 365).

ავტორმა დაასახელა ექვსი ძირითადი კითხვითი სიტყვა - ნაცვალსახელი და ზმნისართი: გინ, რა, რომელი, სად, ოდეს, თუ, რომელთაგან, მისი თქმით, ნაწარმოებია სხვა კითხვითი სიტყვები: სადაური, როდინდელი, რამდენი, როგორი და სხვ. ეს ექვსი ძირითადი კითხვითი სიტყვა, უმეტესად ნაწილაკდართული, გამოიყენება ქართული ქვეწყობილი წინადადებების კავშირებად (როგავა 1948: 367).

ამ მოსახრების საწინააღმდეგოდ ფ. ერთელიშვილს მიაჩნია, რომ კითხვითი ნაცვალსახელებისთვის კითხვითობის გამოხატვა თავდაპირველად არ ყოფილა ერთადერთი ფუნქცია. კითხვითობის პარალელურად ეს ნაცვალსახელები და ზმნიზედები განუსაზღვრელობით შინაარსსაც გადმოსცემდნენ. ამგვარად, მიმართებითად კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები კი არ არის გამოიყენებული, არამედ ნაცვალსახელები და ზმნიზედები, რომლებიც ერთ შემთხვევაში შეიძლებოდა კითხვითი და მეორე შემთხვევაში – განუსაზღვრელობითი შინაარსის ყოფილიყვნენ. შესაბამისად, დამოკიდებული წინადადების გენეზისის საკითხი საძებნელია მიმართებით ნაცვალსახელებს, ზმნიზედებსა და განუსაზღვრელობითი შინაარსის მქონე ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს შორის კავშირში. ასეთი კავშირი კი, მკვლევარის აზრით, არსებობს: ძველ ქართულში გინ შეიძლება უდრიდეს მნიშვნელობით გინმე-ს, რა – რამე-ს, რომელი – ზოგს ( – რომელიმე-ს), სადა – სადმე-ს, მაგრამ ძველსავე ქართულში მნიშვნელობათა სადიფერენციაციოდ განუსაზღვრელობითი შინაარსის მქონე ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს მეტწილად უკვე -მე ნაწილაკი აქვთ დართული და კითხვითი შინაარსის ნაცვალსახელებისაგან ფორმალურადაც არიან გამიჯნულნი.

განუსაზღვრელობითი და მიმართებითი ნაცვალსახელებისთვის საერთო არის ფუნქცია, რაც სხვა სიტყვის მიმართ განსაზღვრებაში გამოიხატება; განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ მიმართებითი ნაცვალსახელები განუსაზღვრელობითი შინაარსისგან დაცლილი არიან და ყველა ცალკეულ შემთხვევაში იძენენ კონკრეტულ მნიშვნელობას იმ სიტყვისას, რომელსაც ისინი მიემართებიან. გამონაკლისია სადა ზმნიზედა, რომელიც სხვა სიტყვასთან

მიმართების გარეშეც გადმოგვცემს აღგილის მნიშვნელობას. მაშასადამე, ავტორის დასკვნით, ვინ, რა, რომელი, სადა სიტყვები შეიძლებოდა ხმარებულიყო კითხვითი, განუსაზღვრელობითი და მიმართებითი მნიშვნელობით. მიმართებითად ხმარების ფუნქცია მეორეული ჩანს და განუსაზღვრელობით შინაარსს უნდა ემყარებოდეს. აღნიშნულ მნიშვნელობათა ფორმალურად გამიჯვნის საშუალებად ის ფაქტია მისაჩნევი, რომ მოგვიანო ქართულში კითხვითი შინაარსის მქონე ნაცვალსახელების ფუძეები ნაწილაკს არ ირთავენ, განუსაზღვრელობითი შინაარსის მქონენი -მე ნაწილაკს იმატებენ და მიმართებითის შინაარსისანი კი ძველ ქართულში -იგი, -ეგე, -ესე, -რაჲ, -რცა, -ცა ნაწილაკებს, ხოლო ახალ ქართულში - -ც(ა) ნაწილაკს ირთავენ (ერთელიშვილი 1963: 212).

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას დამოკიდებული წინადაღების კითხვითი წინადაღებიდან მომდინარეობის შესახებ და ვფიქრობთ, რომ ფ. ერთელიშვილის ვარაუდი ამავე საკითხთან დაკავშირებით ხელს არ უნდა უშლიდეს მის მართებულობას. თუ მთელ რიგ მაგალითებში ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს განუსაზღვრელობითი მნიშვნელობაც აქვს, რის მიხედვითაც იგი ფუნქციურად უკავშირდება მიმართებით ნაცვალსახელებს, რაც სხვა სიტყვის მიმართ განსაზღვრებაში გამოიხატება (არცა საჭმელი რაჲ მიიღის (შუშ. XI, 2); ხოლო მმანი რომელნი წარვიდეს ტაძარსა წმიდათა მოციქულთასა ლოცვად, და რომელნიმე შინა დავშთით (მთწმ. 336, 14); მაშინ ერთს სად ალაგას შაიყრება სოფლის ქალ-ზალი და კაცები ხატში (ხევსურ. 145, 8)) (მაგალითები დასახ. ნაშრომიდანაა: ერთელიშვილი 1963: 211), უნდა ითქვას, კითხვითი ნაცვალსახელების შინაარსიც განუსაზღვრელია, კითხვაში – რომელი მეგობარი მოვიდა? – რომელი ნაცვალსახელი განუსაზღვრელი შინაარსის მქონეა, განსაზღვრულ სახეს წინადაღება ასე მიიღებს: ... რომელიც გუშინ იქო ჩვენთან. ამდენად, ჩვენ გვგონია, რომ დამოკიდებული წინადაღება ერთგვარი შებრუნებაა კითხვითი წინადაღებისა, განსაზღვრაა მისი რომელიმე სიტყვისა, უფრო მეტი დაზუსტების მცდელობა.

არ არის აუცილებელი, რომ ყველა ტიპის დამოკიდებული წინადაღება ერთნაირად მომდინარეობდეს კითხვითი წინადაღებებიდან ვფიქრობთ, ეს პროცესი უნდა ყოფილიყო მარტივიდან რთულ ქვეწყობილ წინადაღებამდე გადასვლის საწყისი ეტაპი.

კავშირების შესწავლამ შ. ძიძიგური მიიყვანა დასკვნამდე, რომლის მიხედვითაც ქართულ ენაში ქვეწყობის კონსტრუქცია მომდინარეობს თანწყობის კონსტრუქციიდან. მკვლევარის აზრით, ქართული ენის განვითარების იმ უძველეს საფეხურებზე, როდესაც პიპოტაქსური შეხამებანი არ არსებობდა, მიმართებითნაცვალსახელიანი კონსტრუქციის დასაბამ კონსტრუქციად უნდა მივიჩნიოთ პარატაქსული შეწყობა ორი წინადაღებისა, რომელთაგანაც ერთი კითხვით წინადაღებას წარმოადგენდა. კითხვით წინადაღებაში მოცემული იყო კითხვითი ნაცვალსახელი, მისამართი სიტყვა და შემასმენელი, როგორც აუცილებელი ელემენტები (ძიძიგური 1973: 453).

ახლა დაგუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო კითხვას – რატომ ხვდება კავშირებითი კილოს შინაარსის მქონე ფორმები რთული ქვეწყობილი წინადაღების დამოკიდებულ ნაწილში? – ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ვიტყვით, რომ, სავარაუდოდ, კავშირებითი კილო უნდა ჩასახულიყო კითხვით წინადაღებებში. რა გვაძლევს ამ ვარაუდის საფუძველს:

ძველ ქართულში (საშუალსა და ახალშიც) კავშირებითი კილოს შინაარსის ზმა გვხვდება სხვადასხვა სახის წინადაღებაში. ეს წინადაღებები შეიძლება იყოს მარტივიც, შერწყმულიც, რთული თანწყობილიცა და რთული ქვეწყობილიც. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი წინადაღებები ყოველთვის კითხვითი ინტონაციისა, კითხვითი სიტყვით ან მის გარეშე, მაგალითად:

და ჩუენ ამის ყოვლისა შემოქმედი ღმერთი დაუტეოთ და ამას ღმრთისა დაბადებულსა ღმერთად გხადოდეთა? (ევსტ., 52,48).

ამათგან-და შევიშინო, მერმე ღიღთა მთავართა წინაშე კითარ წარვდგვ (ევსტ., 45,22).

ხუცეს, მიუძღვანო სამჯაული ესე მიხი? (შუშ., 38,13).

მე დედაკაცი ვარ უცხომ და ვიდრე გიდე უცხოთა ნათებავთა თანა? (ნინო 220,30).

მოძღვარ, რად გქმნე, რამთა ცხორებად საუკუნო დაგიმეგიდრო? (ლ., 10,25).

სახუმელი, რომელი მომცა მე მამამან, არა შევსუა? (ი., 18,11).

კითარ-მე გაქებდე, ღუაწლის-მძლეო წმიდაო მოწამეო? (აბო, 71,15).

აწ კითარ შეურაცხ გვთ იგი და გერჩდე ბრძანებასა შენსა და რჩულსა თქუებას (კოსტ.-კახ., 77,24).

შენ ხარ მომავალი იგი ანუ სხუასა მოგელოდით? (უდაბნ. მრ., 231,27).

**უკუკეთუ მარილი წბილ იყოს, რადთა დაიმარილოს?** (მრპ., 9,50).

**რადთა გცნა ეხე, რამეთუ მე მოხუცებულ ვარ...** (ლ., 1,18).

ვფიქრობთ, კავშირებითი კილო კითხვითი ინტონაციის მქონე წინადაღებებში ჩაისახა თავდაპირველად, რის გამოც პიპოტაქსური კონსტრუქციის ჩამოყალიბების პროცესში ამ კილოს შინაარსის ფორმები დამოკიდებულ წინადაღებაში მოექცა. თუმცა კავშირებითი კილოს გამოხატვა მარტო დამოკიდებული წინადაღებების უპირატესობად არ დარჩა. საკმაოდ ხშირად გამოიყენება ძველ ქართულში, საშუალ და თანამედროვე ქართულშიც კითხვითი ინტონაციის მქონე წინადაღებებში (კავშირებითი კილოს შემცველი კითხვითი წინადაღებები ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა: რა ვქნა? რა მოვახერხო? გავაკეთო? ავაშენო? ვის მივმართო? სად წავიდე? როგორ მოვიქცე? და ა.შ.).

ამგვარ წინადაღებებში კავშირებითი კილოს სხვადასხვა მოდალური ნიუანსის გამოვლენა კითხვით ინტონაციას ევალება, ხოლო -ა, -ო, -ე, -ი მწკრივის ნიშნებით მომავალი დროის შინაარსია გამოხატული.

გარკვეულია, რომ კილოს ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია გამოიხატება ენის მორფოლოგიურ, სინტაქსურ-ლექსიკურ და სხვადასხვა კონკრეტულ საშუალებათა ერთობლიობით (ოქროპირიძე 1975: 296). კავშირებითი კილო მიმართავს კითხვით ინტონაციას, გარკვეულ სინტაქსურ კონსტრუქციებს, კავშირებსა და ნაწილაკებს, რომლებიც შესაბამისი მოდალური ნიუანსებით არიან აღჭურვილნი (ძვ. ქართულში – ნუუკუ, ვაშათუ, თან. ქართულში – ვინძლო, ეგებ, იქნებ, ნეტავ, დავ, თითქოს, ვაითუ, მგონი, ლამის, ოღონდ და ა.შ.), მაგრამ საშუალებათა ეს ერთობლიობა მაშინ ავლენს თავის ფუნქციურ ძალას, როცა წინადაღებაში მომავალი დრო იგულისხმება (მომავალი დროის უქონლობამ აიძულა ნუ ნაწილაკიანი ბრძანებითის ზმნისწინიანი ფორმები, ეს დრო ეწარმოებინათ).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ყველანაირი აგებულების დამოკიდებული წინადაღება, შესაძლებელია, არ მომდინარეობდეს კითხვითი წინადაღებებისგან: სავარაუდოდ, “რადთა”, “რომ” კავშირიანი მიზნის გარემოებითი დამოკიდებული და დამატებითი დამოკიდებული წინადაღებები უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი მასდარ-ინფინიტივიდან.

მასდარ-ინფინიტივი ძველ ქართულში არაერთხელ არის შესწავლილი. მას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ა. მარტიროსოვმა. ავტორი განიხილავს მის

უკელა ფუნქციას და ბოლოს აკვნის, რომ ძველ ქართულში მასდარს ინფინიტივის რიგი ნიშნები გააჩნდა, მაგამ ვერ განვითარდა: მეათე საუკუნიდან იგი გამოდის ხმარებიდან და აქედან მოყოლებული ქართულში ბატონდება მასდარის სახელადი ფუნქციები (მარტიროსოვი 1955: 58).

ნაშრომში “სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში” ი. იმნაიშვილი განიხილავს საწყისს ინფინიტივის ფუნქციით. ავტორის დასკვნა ასეთია: “ეს კონსტრუქცია იხმარებოდა უცხო ენათა infinitiv-ის გადმოსაცემად”, ძველ ქართულს ხშირად უხდებოდა ევროპული ენის ამ კატეგორიის გამოხატვა, რადგან მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბერძელთან, ბერძნულში კი ინფინიტივის კატეგორია არსებობს (იმნაიშვილი 1957: 182).

მართალია, ავტორი ასაბუთებს, რომ ეს კატეგორია არ არის ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი ენობრივი მოვლენა, მაგრამ ჩვენ უფიქრობთ, რომ მასდარ-ინფინიტივი ქართულში ბუნებრივი და კანონზომიერი ფაქტია, უფრო მეტიც, მიგვაჩნია, რომ მასდარ-ინფინიტივი არის საწყისი ეტაპი გარევული ტიპის დამოკიდებული წინადაღებებისა, კერძოდ, მიზნისა და პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული წინადაღებების ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო მასდარ-ინფინიტივის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, მათი შემდგომი განვითარების გზით უკვე სხვა ტიპის დამოკიდებული წინადაღებების აგებულების მიხედვით.

რა გვაძლევს ამ ვარაუდის საფუძველს? არა აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ რუსულში ან სხვა რომელიმე ევროპულ ენაში ძველი ქართულის ვითარებითში დასმული მასდარის შესატყვისად წარმოდგენილია ინფინიტიური ფორმა, მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას წარმოადგენს იგი ძველ ქართულში. ძველ ქართულში კი ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარ-ინფინიტივი გადმოსცემს დაქვემდებარებულ მოქმედებას, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს ჰქონდა შენარჩუნებული სინტაქსური ფუნქციები: სათანადო ბრუნვებში მართავდა პირდაპირ და ირიბ დამატებებს, რაც ამ კატეგორიის ზმნის პირიან ფორმასთან განხილვისა და მისი წმინდა ქართულ მოვლენად მიჩნევის საფუძვლებს იძლევა, მაგალითად:

*ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი* (შუშ., 38,8).

რაოდენცა შეუძლო უწყებად მხმენელთა ჭეშმარიტად თხრობილი (ხანძო., 99,22).

მეცა გვლე-მოდგინე ვიქმენ უძლიერესსა ჩემსა აღებად (აბო., 56,15).

და თუ მეფემან სიმრავლითა ერთა ურიცხუთამთა ვერ შეუძლეს აღმართებად სამ დღე და დაუტევეს, და წარვიდეს (ზედაზნ., 157,37).

ხოლო მან წარავლინა იგი ველად თვისად ძოვნად (ლ., 16.3).

ამ წინადაღებების შესატყვისი ჰიპოტაქსური ფორმები იქნებოდა ძველსავა ქართულ ში:

ხოლო მე მცირედ ვაიძულე, რათა მიიღოს ჭამადი,

რაოდენცა შეუძლო, რათა გაუწყო მსმენელთა...

თუ მეფემან სიმრავლითა ერთა ურიცხუთამთა ვერ შეუძლეს, რათამცა აღმართეს (სუსტი) სამ დღე და დაუტევეს, და წავიდეს,

ხოლო მან წარავლინა იგი ველად თვისად, რათა ძოვოს და ა.შ.

თანამედროვე ქართულ ში ამ ფორმების სანაცვლოდ რთული ქვეწყობილი წინადაღებები გამოიყენება (მასდარ-ინფინიტივთან დაკავშირებული მოსაზრებები ახალი არაა, ისინი შესწავლილია და მითითებული მეცნიერების მიერ სპეციალურ ლიტერატურაში: მარტიროსოვი 1955: 58; იმნაიშვილი 1957: 182; ჩხერიანიშვილი 1972; კოტინოვი 1986: 62).

სწორედ “რათა”, “რომ” კავშირიანი ქვეწყობილი წინადაღების გამოყენება ინფინიტიური კონსტრუქციის ნაცვლად გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ეს კონსტრუქციები (მასდარ-ინფინიტიური) ჩავთვალოთ მიზნისა და დამატებით დამოკიდებული წინადაღებების საწყის კონსტრუქციად, ხოლო დასახელებული დამოკიდებული წინადაღებები მისი ლოგიკური განვითარების შედეგად.

არსებითად, ასეთივე (მასდარული) წარმომავლობა უნდა ჰქონდეს ე.წ. უნდაობით ფორმებს (ასევე ყველა მოდალურზმნიან კონსტრუქციას), რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა დამატებით დამოკიდებული წინადაღებები. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

## I თავის დასკვნები:

1. კავშირებითი და ბრძანებითი კილოები თავიანთ მოდალურ ნიუანსებს ვერ ავლენენ მომავალი დროის გარეშე, მომავალი დრო კი ახერხებს ნეიტრალურ კილოში (თხრობითში) თავისი ფუნქციის გამოხატვას, რაც იმას ნიშნავს, რომ კავშირებითი და ბრძანებითი კილო ვერ ჩამოყალიბდებოდა, თუ მომავალი დრო არ იქნებოდა გადმოცემული რაღაც ფორმით. ე. ი., თუ დაგუბრუნდებით მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთმიმართების საკითხს, დასკვნა ერთი იქნება: მომავალი დრო წინ უსწრებს კილოს ჩასახვას, უფრო ზუსტად, მომავალი დროის წიაღში ჩამოყალიბდა კავშირებითი კილოცა და ბრძანებითი კილოც.
2. მომავალი დრო წინ უსწრებს კავშირებითი კილოს ჩასახვას, თუმცა კილოს სხვადასხვა ნიუანსი მომავალი დროის გაჩენასთან ერთად, მის წიაღში უნდა მომხდარიყო.
3. ე.წ. კავშირებითის მწერივთა ფუნქციების განხილვისას მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კავშირებითის მწერივი და კავშირებითი კილო: კავშირებითი კილო ე.წ. კავშირებითის მწერივში შემავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მომავალ დროსთან ერთად.
4. -ა, -ო, -ე, -ი ნიშნები კავშირებითის მწერივის მაწარმოებლებია.
5. კავშირებითის მწერივთა ფუნქციათაგან თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვის ფუნქციაა უმთავრესი.
6. კავშირებითი კილო ძველ ქართულში გადმოიცემა არა მარტო რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში, ის გვაქვს ასევე კითხვითი ინტენციის მქონე მარტივი აგებულების წინადადებებში. ასეთი წინადადებები შეიძლება იყოს კითხვითი სიტყვით ან მის გარეშე. კავშირებითი კილო პირველად ამგვარი ტიპის (კითხვით) წინადადებებში უნდა ჩასახულიყო.

## თავი II

### კავშირებითის მწერივთა წარმოება და ფუნქციები საშუალი პერიოდის ქართულში

#### 2.1. -დ და -ოდ სავრცობიან ზმნათა ნიშნები I კავშირებითის მწერივში

საორიენტაციო ძეგლებში დასრულებულია -დ და -ოდ სავრცობიანი ზმნების უნიფიკაციის პროცესი – -ოდ სავრცობიანი პირველი კავშირებითის მწერივი -ე ნიშანს დაირთავს.

ძველ ქართულში საქმე სხვაგვარად იყო: პირველი კავშირებითი ორ ნიშანს უწევნებდა: **ე-ს**, რომელიც -დ სავრცობიანებს დაესმოდა და **-ო-ს** – -ოდ სავრცობიან ზმნებთან.

-ოდ სავრცობიანი ზმნების პირველი სერიის ახლებური წარმოება სპეციალურ ლიტერატურაში თარიღდება X საუკუნით და ეს პროცესი -დ სავრცობიანი ზმნების ზეგავლენის შედეგადაა მიჩნეული (შანიძე 1945: 835).

გამოთქმულია ვარაუდი ამ პროცესის ხელშემწყობი მიზეზების შესახებაც. ზ. სარჯველაძის აზრით, პირველი სერიის ახლებური წარმოების პროცესი მას შემდეგ უნდა მომხდარიყო, რაც -დ სავრცობიან ზმნებს უწევებელსა და პირველ ბრძანებითში გაუჩნდათ ე. წ. ნართაული ი. ნართაული ი, სალიტერატურ მონაცემებით, უწევებელსა და პირველ ბრძანებითში IX საუკუნიდან იჩენს თავს (ცოცხალ მეტყველებაში კი ასეთი ფორმები ერთი-ორი საუკუნით უფრო ადრეა მაინც სავარაუდებელი) (სარჯველაძე 1984: 161).

ამიტომ მოულოდნელი არ არის ის ფაქტი, რომ -ოდ სავრცობიანი ზმნები ჩვენ მიერ განხილულ ძეგლებში კავშირებითის მწერივის ნიშანად **-ე-ს** აჩვენებს.

მაშასადამე, -დ და -ოდ სავრცობიანი ზმნების უნიფიკაციის პროცესი საორიენტაციო მასალის მიხედვით ძირითადად დასრულებულია, განსხვავებული ვითარება მოგვცა მხოლოდ თედო ჟორდანიას “ქრონიკების” მასალამ, სადაც ადრეული პერიოდის სიგელ-გუჯრებში -ოდ სავრცობიან ზმნებთან აქა-იქ კავშირებითის მწერივის მაწარმოებლად **-ი** ნიშანი შეგვხდა (-ოდ-ი).

აქვე თავი იჩინა -ოდ სავრცობიან ზმნათა მრავლობითი რიცხვის როგორც -ოდიან დაბოლოებამ, ასევე ძველი ქართულის -ოდიან მაწარმოებელსა და ახალი ქართულის -ოდენ დაბოლოებას შორის გარდამავალმა საფეხურმა – -ოდინ (შანიძე 1945: 842), მაგალითად:

1103 წ. ძეგლის წერამ წმიდისა და ლთივ შეკრებულისა კრებისადაც :

კუალად ამასცა განვახაზღვრებთ. რათა ამიერიდგან არღარა ეძურთხეოდინ გპრგპნი ჩჩლოთა ქალ ყმათა (ქრონ., 64, 19).

XIII ს. გელათური ტყავის ხელნაწერი, ეპისტოლე მიწელიდი გიორგის მიერ დიდისა მის შეყენებულისა... :

...რათა ცნას ესე თესლმან სხუამან და შვილნი, რომელ იშვებოდიან, აღდგენ, და მიუთხობდენ მამანი მათნი შვილთა თჯეთა (ქრონ., 76,36).

XIII საუკ., იგივე წერილი:

ხოლო უკეთუ ძმასა შენსა არა უხმენდენ და წინა აღუდგებოდიან, ამხილოს (ქრონ., 87,25).

XII საუკ., ხელნაწერი ქუთაისის ტაძარში, სობოროში:

ხოლო ხაჭირო არს თქმად თუ მიხდა თეოდორიტებთანცა რათა უწყოდით (ქრონ., 40, 20).

XIII საუკ., წ'დის ევთომე-მთაწმიდელის წერილი:

და უკეთუ ვინძე ეზიარებოდის, ეზიაროს...; და უკეთუ არა ეზიარებოდის კვრეთვე სამჯრისად ილოცოს... (ქრონ., 84,10).

1250 – 1260 წ., შიომღვიმის სიგელი:

და ვინცა და რამანც გუარმან ჩუენმან დღესით გთხოვთ და ანო გერჩოდის, კრულმცა არს (ქრონ., 152,31).

XII – XIII საუკ., აღაპი №140, ათონის 1074 წლის ხელნაწერისა:

“... ვინც სხეულ იყოს, იგი ეურვოდის” (ქრონ., 154, 35).

-ოდ სავრცობიან ზმებში -ი ნიშანი კავშირებითის მაწარმოებლად, თედო ჟორდანიას ქრონიკების მიხედვით, XII – XIII საუკ.-ის ძეგლებში იჩენს მხოლოდ თავს, ისიც კანტიკუნტად (სულ ათიოდე მაგალითი მოიძებნა). ერთი მაგალითი დადასტურდა XVI საუკუნის სიგელში:

1519 წ., ხელით დაწერილი გელათის სიგელი:

...აწცა ისიგე პირველი საწირავი განუჩინეთ, ასი თეთრი მიერთმებოდის (ვინც?) სამარადისოდ აწირვინებდენ... (ქრონ., 343,9).

ძირითადად -ოდ სავრცობიანი I კავშირებითი მაინც -ე მაწარმოებელს დაირთავს (-ოდე) “ქრონიკებში”, მაგ:

1259წ., რკონის სიგელი:

...და ვითარ (გვინებ)ებია რომე ჩვენი ბეგარა გამოსაღები არასფერისთანა არა ეთხოებოდეს რა (ქრონ., 144,5).

1259 წ., იგივე სიგელი:

თუ მიწა დაუკაცურდებოდეს, რაიხაგანცა ქრომითა გლები ნე დაიტუშების (ქრონ., 137,14).

1532წ. სიგელი სინოდ. კანტ. მცხეთისა №315:

კვიცები გაისყიდვოდეს, მისი ნავაჭრი სახაყდროდ დაიდებოდეს (ქრონ., 378,2).

მოიძებნა წინადადება, რომელშიც ორივე მაწარმოებელი – **-ოდ-ე** და **-ოდ-ი** ერთადაა წარმოდგენილი I კავშირებითის ნიშნად, მაგალითად:

XIII საუკ. წერილი გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფის გიორგი მონაზონისა:

არამედ ჩუმხ, მო჆სენებითა შრომათა და ღუაწლთა მათთათა დღითი-დღე ფრთოვან გიქმნებოდეთ, ბაძალ სათხოებათა მათთა წარგემატებოდით (ქრონ., 77,37).

რაც შეეხება ჩვენ მიერ განხილულ სხვა ძეგლებს, არც ერთ მათგანში I კავშირებითის მწერივის ნიშნად **-ი** მაწარმოებელი არ დადასტურებულა, ყველა **-ე** ნიშანს წარმოადგენს, მაგ:

კარგთა ყმათასა გიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა (ვეფხ., 70,3).

რა მიჯნური კელთა რბოდეს, მარტო უნდა გახაჭრელად (ვეფხ., 167,3).

ჩემად ნახვად მოვიდოდეს, შენ ვითამცა გაშიკობდეს (ვეფხ., 389,3).

უკუგვივლე: “აწ გამოჩნდეს არ მინდოდეს, ვისცა კუნდი!” (ვეფხ., 562,3).

დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს (ვეფხ., 933,ბგდ).

ბოლოსა უამსა საქმე რა გაირყენებოდეს, თავსავე ზედა გამოჩნდების (ვისრ., 145,13).

რა ავი წელიწადი გუალგისა მოვიდოდეს, ზამთარსა შეეტყუბის და დააჩნდების (ვისრ., 145, 13).

უხეთსა უამსა ვით დაგეძინების, რომელ შენისა მოყურისა, რამინის წასვლასა იგონებდე?

ნაკუთი სიმართლისა ისარსა უგუანდა და პირი სისაგხითა – მოუარესა, რომელსა ზედა ვარდი კუაოდეს (ვისრ., 179,8).

ისარი რა არასამართლად მოვიდოდეს, მშეილდისა მოზიდვასა შეეტყუბის, (ვისრ., 145,17) და ა.შ.

## კავშირებითის მწერივთა ფუნქციები საშუალი პერიოდის ქართულში

2.2. კავშირებითის მწერივით გამოხატულია თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობა ნებისმიერი აგებულების წინადადებებში: მარტივში, შერწყმულში, როგორ თანწყობილსა და როგორ ქვეწყობილი წინადადების როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ ნაწილში, მაგ:

ა) კავშირებითის მწერივი თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობით მარტივ წინადადებებში:

ერთი საკირველი საქმე მოგახსენო (ამირ., 4,24).

არა იყოს მის ყმისა დამართებითი ჭაბუკი ქუჯანასა ზედაო (ამირ., 21,24).

დღედ სიკუდილამდის ჩემამდე არა შევიწყალო თავი ჩემი (ამირ., 30,11).

მე გავანათლო შენგან დაბნელებული ქუჯანაო (ამირ., 70,47).

მიწყივ თავისა საქმისაგან ინანდე (ვისრ., 151,30).

დიდითა ჭირითა პპორ ვისი შენ (ვისრ., 151,22).

შენ მაგისთვისა მე არა გცემო (გურ., 230, 342,ბ).

დასაბამითგან მოგითხრა რიცხვი ჩემისაო! (გურ., 170,5,ა).

შევამკო ერთი უფალი, ლვთივ ზეცით ქვეუნად ძორბილი (გურ., 27,2,ბ).

ვერცა ვინ მათქმევინოს (სიბრძ., 78,6).

გამოვხვადო შვილნი ჩემნი (სიბრძ., 102,5).

მეფობამან კერ გიხილოს შენაო! (სიბრძ., 102,13).

მათ პატრონ კაცთა ლოცვა მოგახსენო (სიბრძ., 159,14).

ამა სარგებლით იარღმუნივოს ტახტ ზედა... (მეფ.სალ., 246,5).

წინაშე ლვთისა კერასადა დაფაროთ თქვენ (ესოპ., 285,32).

ბ) შერწყმულ წინადადებებში:

შევიწოო დმერთი და შეგანანო შერთვა ცოლისა ცოლისა ჩემისა(ამირ., 107,42).

კულა წაგიდე და გქმნა კარგი რამე ნაქმარნი და მერმე დაგეხწრები მისსა მისა მეთქი (ამირ., 63,20).

ანუ მოვიკლა თავი და ჭაბუკობისა ჩემისა ძალი ანუ გცნა (ამირ., 63,24).

შეგროთ ქალი დიდებულოთა ჩემთა და გაგიქარგო კოველი შეცოდება (ამირ., 24,39).

ანუ **მოვიძლა** თავი ჩემი, ანუ **გორინა** ჩემი ლომი აბუტარი (ამირ., 22,27).

მერობა სიყვარულად **მოაქციო**, მე მეძებდე და გეღარ მომხუდე (ვისრ., 173,5).

მე გიყო შენი საკუთარი და მე კეძებდე ყოვლისა შენისა საწადლისა ახრულებასა (ვისრ., 169,31).

თქვენ ვითარა **ბრძანოთ** და გამოარჩიოთ (ვისრ., 148,28).

...**გამოგიცხო** მჟადი, გიქმნა შეჭამადი (გურ., 235,384,3).

თავს **იწყევლიდეს**, ამბობდეს დედმამის შეხავინარსა (გურ., 30,21,3).

წავიდე, განჯის მომთხრელთა დაგდგა მუქაფის ნიშნები (გურ., 56,210,დ).

შეშა და ნივთები **მოვამზადო**, ფასი ჩემი **მივხევ** და სიხარულით დიდხ  
გვეხსოან წავიდე (სიბრ., 30,17).

აირველ **ზარობდეს** და ბოლოს **უხაროდეს**, დიდად სიამე შეექმნას (სიბრ., 103,1).

იგი მერანთა ანუ თოხარიკსა ცხენთა **ჯდეს**, გინა ეტლითა **ვიდოდეს** (სიბრ., 56,8).

მომთმინო კაცი ქუყანასა ზედა ყოველთა კაცოაგან უპატიოსნები იქნება და  
მას საიქოს ანგელოზთა თანა ზიარ **იქმნას** (მეფ.სალ., 247,20).

გ) კავშირებითის **მწერივებით** გამოხატულია თხრობითი კილოს მომავალი  
დრო თანწყობილ წინადაღებაში:

კაცობრივი საქმე უუკლა კარგად **მოვავლინო** და გული კულა ლმერთმან  
**მიხევ** (ამირ., 21,15).

გაიკითხე ეხე კაცი და **გიამბოს** ამბავი მზისა ჭაბუკისა და სცნა სიკეთე და  
ჭაბუკობა და **მოგახეხნოს** ანდერძი მიხი (ამირ., 100,24).

ბრძანეთ ჩუქნასა ლარსა და მერმე მუხ **მოგარინოთ** ჩუქნი ამბავით (ამირ., 46,25).

ჩემსა თეთრსა ტაიჭხა შეჯე და წამიბეზდე და **გნახო** ნაქვთიანობა **არმლისა**  
შენისა (ამირ., 10,16).

მე სამოთხისა რტო ვარ შენ **ჯოჯოხეთსა** რად **დაენერგო** (ვისრ., 175,4).

შენგან კიდე დარბაზისა ჩემისა მანათობლად სხუა არავინ **გსძებნო** და  
სულისა ჩემისა წამალი შენგან კიდე არავინ **იყოს** (ვისრ., 169,33).

რქა **აღგიდგინო**, მით მტერთა რქენდი (გურ., 112,3,0).

**გჭამდენ** გველნი და ბაყაყნი, მატლში **კვლოდეო**, ეშმაქნი ცეცხლის  
მათრაწოა **გცემდენ** (გურ., 128,50,ბ).

ღმერთო, მიყავ წყალობა, მე შენი კსოჭვა გალობა (გურ., 142,2,ბ).

მეფესთან **კოჭვა** და მეც მომცეს წყალობა (სიბრძ., 117,2).

არც ძმასა ძმაზე მეტი მაჲხვდეს და არც თიკანი დედას მოხწყდებ  
(სიბრძ., 135,16).

მაშ მე წაგალ, პიძაჩემს მოვიყვან და მან განგვიყოს (სიბრძ., 279,15).

სიწყნარემან ყოველი საქმე დააშვენოს და სიჩქარემა მრავალი საქმე  
დაამარცხოს (მეფ.სალ., 277,10).

ღ) კავშირებითის მწერივით გამოხატულია თხრობითი კილოს მომავალი დრო  
როველი ქვეწყობილი წინადაღების როგორც მთაგარ, ისე დამოკიდებულ  
ნაწილში:

თუ აჯობოსდა, დავმორჩილდე ბრძანებასა თქვენსა (ამირ., 12,36).

ღმერთი შუამდგომლად მოგცე, რომელ დიდად გმხახურო (ამირ., 16,2).

ჩუენ გქმნათ ესე, რომელ გიხუაიშნოთ მეფეთა მეფის წინაშე და გაგიშვას  
გშეიღობით (ამირ., 25,7).

თუ მაჯობო, ჩემსა მოვიყვანო პურად და ნადიმსაცა მუნკე გარდაგაწლეო  
(ამირ., 76,23).

**ნახო** მაშინ, რაცა შენზედა გქმნა (ვისრ., 166,11).

თუ გშორგიდეს და კიდეგნად იყო, არცა მისი ლონე და გაძლება გქონდესო  
(ვისრ., 151,32).

შენ მას მაშინ შეუყუარდე და მისი გული მაშინდა პპო, ოდესცა ფიჭუსა  
ნისა შეოსა ხურმა გამოეხსნას (ვისრ., 156,10).

ოდეს ხჯად დაჯდეს მართალმსაჯული, მან განარჩიოს ყოვლი ხეაჯული  
(გურ., 274,24).

შენ ასე გატაროს, რომ არ გაგამწაროს, რაგინდ ტკბილ იყოს? (გურ., 244,  
456,გდ).

მაგრამ ნათლად კსოჭვა ნათელი, რაც ოდენ მიჩნდეს ბაგითა (გურ., 38,80,ბ).

რომელმან პყოს, იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს (სიბრძ., 82,1).

რა კაცმან თავისი მტერი დაინახოს, გული აუდულდეს და ჭუშა და მცნება  
დაეფანგოს (სიბრძ., 89,11).

ის ბორა ძუზი რომ არის იმან ამ რიგად ქმნას, რომ შეაწუხოს მეცალოვე ხარივითა და ძირს ჩამოიღოს (სიბრძ., 200,17).

უკეთუ დიდთა და მცირეთა თანა შეწევნა შეაურთონ, მათ დაიცვან ცხოვრება თვისი (ესოპ., 285,5).

რაჯამს მოვიდეს აქ მგელი, მოვილათ ჩვენ იგი, შვილო საყვარელო (ესოპ., 287,7).

ე) კავშირებითის მწერივი თხრობითი კილოს მომავალი დროის შეიძლებით შეიძლება შეგვევდეს ქვეწყობილი წინადადების მხოლოდ მთავარ ან დამოკიდებულ ნაწილში.

მხოლოდ მთავარ წინადადებებში:

მოგახსენო უჟელა, რომელი თუალთა ჩემთა უნახავს (ამირ., 20,38).

აწ გამოგცადო, თუ რამი ჭაბუკი ხარო (ამირ., 77,32).

ესე დახტურ ვერავინ შეგუატყოს, თუ არა ძმანია ხამნიველ (ამირ., 87,11).

კინათგან ეხრეთ არს ამბავი მათი ბუნებად უყუარს და მონდომია, მოგახსენო, სიტუაშეწყობით გთქუა და გთარგმნო (ვისრ., 141,14).

ქრთამად მოგართვა ოქრო და ვერცხლი, რომ არ მოგვიდვა სირცხვილის ცეცხლი (გურ., 198,122,აბ).

აწ მე შენ იხე გაგრადო, მშიერმან მგელმან ვით თხაო (გურ., 169,21,ღ).

კაზის მრგველთან ის არ გაქო, ვინც მის ნაცვლად ძემვი დარგო, მაზე ხული არ წარგხნებიდო, რა ვინდ აროცით დავიკარგო (გურ., 50,169,გღ).

მხოლოდ დამოკიდებულ წინადადებებში:

აწ რა წაიკითხო ესე წიგნი, სწრაფით წამოდი წინაშე ჩუქნსა, რომელ გავიხარეთ ნახვითა შენითა (ამირ., 6,5).

რომელთა ლაშქართა წინამდღვარი ესე იყოს, არა ეგების მათ ლაშქართა ძლევა მტრიხავან (ამირ. 23,1).

რომელსაცა რა გაუჭირდეს, ერთმანერთსა უშეულდეთო (ამირ., 29,45).

თუ ჩემსა ნაკრავსა და-ლა-ურჩეს, თუნდა, ლმერთო, შენი ცოლიც მიუცო (ამირ., 74,4).

კაზაფხული მაშინ მოვა, რა ზამთარმან მთა შეერახო (ვისრ., 166,38).

რა ესე წიგნი წაიკითხო, წამოუდ (ვისრ., 184,47).

რა მზე დრუბლისაგან გამოვიდეს, სიცხე ძაშინ უფრო აქუს (ვისრ., 176,30).

კინ ცოლად შეგირთუიდებს, შენი მშობელი მიხვახ მეტარსა რას ითხოვენ (ვისრ., 168,46).

ამით ხვახ, რომე ულვაში და წვერნი მიხნი თან აღმოიფხვრას (სიბრძ., 13,6).

თუ დამებნებოდე, არცა რას ახლა გეუბნები (სიბრძ., 289,13).

როდისცა გაჯაგრდებს კაცი, მართებს რომ ჯავრს ხადავვ დაუჭიროს და ბოლო გაუსინჯოს ხაქმება (მეფ. სალ., 277,26).

როდისცა გაჯაგრება შეიტყო ჩემიო, ხადამდის უბრძანებდე, ერთი წიგნი პელო მამეცო (მეფ. სალ., 277,30).

XVI საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილ სამედიცინო წიგნში “იადიგარდაუდი” ქავშირებითის მწერივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვა ძალიან მცირდება, ძეგლში ძირითადად თხრობითი კილოს მომავალი დროის ახლებური, ზმნისწინიანი წარმოება გვაქს, თუმცა ეს ფუნქცია ამ მწერივებს მაინც შენარჩუნებული აქვს გარკვეული აგებულების რთულ ქვეწყობილ წინადადებებში, როგორებიცაა: დროის დამოკიდებული, პირობითი დამოკიდებული, დამატებითი და ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებები. უნდა ითქვას, რომ ამგვარ წინადადებებში კავშირებითის მწერივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა თითქმის წესად არის გატარებული. მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს:

ა) კავშირებითის მწერივებით გამოხატულია თხრობითი კილოს მომავალი დრო პირობით დამოკიდებულ წინადადებებში:

და თუ კაცმან ეს წამალი ხეას და უდროოს დროს კაცს გული და ხტომაქი აეშალოს დაგულმან რევა დაუწყოს, ... უნაბისა და ან ტარხუნას ფოთოლი ... კევსაგით ადგჭონ და ... ჩააყლაპონ (იად., 89,17).

აწე, თუ კაცს მკლავი გაუხსნას და ხიხხლმა შეაწუხოს და ან ხიხხლი კერ დასწევიტონ, მოიტანე მაპული ... (იად., 93,33).

და თუ ეუბნონ, რაცა ამ ავადმყოფს იამებოდებს, იმას უნდა ეუბნენ (იად., 73,30).

მაგრა თუ ავადმყოფი ამდენად ძალიანად კარგად იყოს, რომე მკლავის გაუხსნელობა გახსძოს და ან მკლავის გაუხსნელობად იქმნებოდებს, კოტოში მოკიდონ და ხელს ხუ გაუხსნიან (იად., 79,16)

თუ ამით არ ეშველოს, მარჯვენა მკლავი გაუხსნას და ზედათი ძარღვიდაღმან კარგად ხიხხლი ადინონ (იად., 297,27).

აგრევე, თუ ენის ტყავი დაუსქდეს და ენა მისთვის სტკოოდეს, ეს იცოდე, ეხევ  
კიდევ სიცხისა და სიმხურვალისაგან იქნების (იად., 297,10).

და თუ ვერც იმა ზამადი ბარადის ტლება და ვერც ამა წამლებმა გულს ვერ  
გარდაყაროს, მოიტანე ია და ვარდი, ... (იად., 353,8)

ბ) კავშირებითის მწკრივებით გადმოცემულია თხრობითი კილოს მომავალი  
დრო დროის დამოკიდებულ წინადადებებში:

როდისაც კაცი საძილოდ დაწვეს, პირველ, ცოტას ხანს მარჯვენას მკარზედ  
უნდა დაწვეს და მერმე მარცხენას მკარზედა გადმობრუნდეს (იად., 65,17).

მზემან რომ კარგად ამოიწვეროს, მაშინ აჭამონ (იად., 73,17).

აწე, რა კაცზედა ესე ნიშნები ნახოთ, იცოდეთ, უსათუოდ ეს სენი მაშარის  
სენი არის (იად., 297,23).

და როდისაც კარგად წვენი გამოიცეს, ეს წამლები პირშიგა იმგუბონ (იად.,  
296,14).

და რა ერთი კვირა გათავდეს, კიდევა ისრე ქნან (იად., 92,8).

სადამდი ყირმიზი სისხლი გამოუვიდოდეს და ან ხუნი გამოელეოდეს და  
გამოუდებოდეს, მანამდის უნდა სისხლი აღინონ და არ შესწვიტონ (იად., 93,2).

ხადამდი ამა წამლებს აიღებდეს, ხამხაოდ დღეს კარგაზ იფარეზოს (იად.,  
87,14).

გ) თხრობითი კილოს მომავალი დრო გადმოცემულია დამატებით  
დამოკიდებულ წინადადებებში:

და რაც საჭმელები აჭამონ, მუაუნითა, ისრიმითა, კოწახურითა, ... ბროწეულის  
უსავილით აჭამონ (იად., 80,21).

რომელიც იყოს, კეგხავით აღუჭონ და იმ ფოთლების წვენი კი ჩააყლაპონ  
(იად., 89,21).

რომელიც იყოს, ძმარშივა მოადულონ და უსათუოდ ჯირკვლებსაც დაუსხამს  
და ტკივილსაც უშეველის (იად., 298,14).

კინც თეთრი შაბი და თავლი მმრითა მოადულოს, ხშირად პირშიგა იმგუბოს,  
დრძილებს გაუმრთელებს და სისხლს დახვეულებს (იად., 292,26).

დ) კავშირებითის მწკრივებით გადმოიცემა თხრობითი კილოს მომავალი  
დრო ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებებშიც:

კისაც კბილი ჭიისაგან შეჭმული ქონდეს და მისთვის სტკოოდეს, მოიტანე  
ჯავაშერი, ... და ჭიის ნაჭამს კბილზედა დაიდგას (იად., 293,8).

კინგ ესე ხელი მოხარულს და პირშიგა იმგუბოს, კბილის ტკივილს უშედოს (იაღ., 293,13).

კინგ კვერცხის ცილა და დედაქაცის რძე ერთგან აურიოს და თვალშიგა ჩაიწუროს, თვალის ტკივილს უშედოს. კინგ ცეცხლს ბევრი უშეროს, თვალის ტკივილს უშედოს და თვალთა სინათლე მისცეს (იაღ., 268,7).

თუ ესე უურის ტკივილი, სიგრილის და ან სიცივისაგან იყოს, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომ კაცს უური ახტბივდეს და უურმან უუილი და გამოტეხა დაუწყოს. ან უურმან წივილი და ბუილი დაუწყოს (იაღ., 268,22).

ე) კავშირებითის მწკრივებით ძალიან იშვიათად გამოიხატება თხრობითი კილოს მომავალი დრო სხვაგვარი აგებულების (არადამოკიდებულ) წინადაღებებში:

ხან თავი და თვალები ერთად გაუსივდეს და პირის-ხახე ყირმიზად გქნების (იაღ., 297,20).

საინტერესო ვითარება ისახება თედო უორდანიას “ქრონიკებში” კავშირებითის მწკრივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოყენების თვალსაზრისით.

“ქრონიკებში” შეკრებილია სხვადასხვა ისტორიული საბუთები, მეფის კარისა თუ მისი სახლეულობის მიმოწერა, უძრავ-მოძრავი ქონების მინიჭება-ბოძების ან ყიდვა-გაყიდვის ხელწერილები, ყმა-გლეხთა განთავისუფლების ან აღზევების ბრძანებები, მათი ადგილ-მამულის გაცვლის, დაგირავების, გარიგების, მზითევის წიგნები, სხვადასხვა აღწერილობები, ოქმები, ასევე ცალკეულ აგტორთა ისტორიული თხზულებანი.

ეს ყველაფერი მოიცავს საშუალი პერიოდის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს, მე-13 საუკუნის დასაწყისიდან მე-18 საუკუნემდე, უფრო ზუსტად 1213 წლიდან 1700 წლამდე, შედგენილია სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა პერიოდში, მათგან ზოგი სპეციალურად და კარგადაა განსწავლული, ზოგიც – ნაკლებად, გარდა ამისა, ისინი (ავტორები) სხვადასხვა დიალექტური ფენის წარმომადგენლები არიან. ამდენად, სიგლ-გუჯრების ლექსიკური და ენობრივი ანალიზი, რა თქმა უნდა, ძალიან ჭრელ და საინტერესო ვითარებას ასახავს.

როგორც “ქრონიკების” მიხედვით გაირკვა, კავშირებითის მწკრივთა წარმოება სხვადასხვა ფუნქციით საკმაოდ მყარ სურათს აჩვენებს. საერთოდ, ისიც უნდა ითქვას, რომ დასახელებული მწკრივები ნაკლებადაა გამოყენებული, განსაკუთრებით ძეგლის იმ მონაკვეთებში, სადაც ისტორიული თხზულებანია

მოცემული (ასეთ ადგილებში ძირითადად აორისტი იხმარება). კავშირებითის მწერივები გამოიყენება ყველაზე ხშირად უძრავ-მოძრავი ქონების წყალობა-ბოძების, ან ყიდვა-გაყიდვის ხელწერილებში, უმეტესად III პირის ბრძანებითის ფუნქციით, მაგრამ, ამავე დროს, გვხვდება ისინი ყველა იმ დანიშნულებით, რა დანიშნულებაც მათ პქონდათ ძველი ქართული სამწერლობო ენის ნორმირებულ სისტემაში, მათ შორის თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციითაც.

მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს:

1103წ. ძეგლის-წერა რუს-ურბნისის კრებისა:

რომელი ესე უკუთუ იქმნასდა სადა ამიერითგან, ჰელო დამსხმელი და ჰელო დასხმელი ერთბამად განიკუთნენ მღდელობისაგან (ქრონ., 62,30).

1229წ. რკონის სიგელი:

კირე ცოცხალ გიყო მე დაგდგა თავი და მოგიჭირეთ ხარჯისა ცოტასა გამოღებისათუის ამა უამთა შიგა (ქრონ., 138,11).

1300წ. მოქვის მხატვრობიანი სახარება:

და კინცა-კინ სწერდეთ, კითა აქა პოოთ, უგრე დაწერდეთ; და თუ ამიხან ჯერ-გიჩნდეს დაწერავ, დ'თისათა ს სიტუათა ნე სცვალებთ (ქრონ., 173,18).

1376წ. ეტრატის მხედრულად ნაწერი გუჯარი შიომღვიმისა №?:

კიდრემდის უდაბნო ესე კვოს ... შენი და შენთა მშობელთ ხალოცავი უკვდავ იყოს ამას უდაბნოსა შა (ქრონ., 189,29).

1441წ. თფილისის სინოდ. კანტ. სიგელი № 107:

კინცა თქუენისა საყდრისა მაკურობელი იქმნას და თბილელი იყოს, იგი ნე დამაკლებს; და კინცა დამაკლოს, თქუენ გაკითხულ ქმენ... (ქრონ., 251, 17).

1505 – 1526წ. მცხეთის სიგელი მხედრული №260:

ხიცოცხლება ჩემხა თუინიერ მცხეთისა სახლი და ქალაქი არა აღვიარო და თქუენ მაკურობელის ჩემის იუვანებს კ'თისაგან კიდე სხუასა კათალიკოზება არა დავემორჩილო, მოძღვრად და მაკურობელები ჩემდა წ'ა დედა-ქალაქი მცხეთა და თქუენ იუვანეთ... (ქრონ., 330,22).

1615წ. წარწერა სვეტიცხოველის “საქადაგე ხატზე”:

...”თუ მართლად საქართველო შეიქმნას, იპრიანოს ლმერთმან და ჩვენ მოგახენოთ ამის საყდრისა და სხვაცა მრავალი კარგი შეგწიროთ”... (ქრონ., 441,16).

1664წ. გუჯარი გედეონ გენათელისა:

თქვენდა უკითხავად და უნებლიად ჩვენ ეპიკოპოზი არ დაგსვათ და არცა ეპიკოპოსობა გავსცეთ და არც არავინ გარდაგაყენოთ და არც არავის საწინამძღვროები მივსცეთ... და ვინ შეაჩუქნოთ..., სადამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ და არ შეარიგოთ, არცა ჩვენ შევირიგოთ... თქვენთან მწყალობელნი, კარგნი და მოპატივენი ვიყუნეთ... არ ვის დაგანებოთ... (ქრონ., 481,37).

დამოწმებულ მაგალითებს სპეციალურად მივუთითეთ თარიღები, რათა თვალსაჩინო გამხდარიყო სხვადასხვა პერიოდის სიგელ-გუჯრების მსგავსება თხრობითი კილოს მომავალი დროის წარმოების თვალსაზრისით. როგორც ვხედავთ, XII, XIII, XIV, XV თუ XVI საუკუნეების სიგელებში დასახელებული ფუნქციით კაგშირებითების მწყრივები გამოიყენება.

შევადაროთ კიდევ ერთხელ და დავაკვირდეთ:

1420 – 1428 წლებში დაწერილი სინოდ. კანტ. სიგელი, №250:

...ამავე წესითა მეფეთა მლოცვანი ვიყუნეთ, და თქვენნი მომჯხენებელნი ვიყუნეთ: არც პატრიარქი მოვიკხენოთ ანტიოქიისა, არც მიხვან გამოვ ზავნილი კაცი შევიწყნაროთ, არც ვარძის დიაკონი ვაკურთხოთ. და ვინც ამა თემსა ანუ სხუაგან შეაჩუქნოთ,... აგრე შევაჩუქნოთ; და ვისცა შენ სწყალობდეთ, ჩვენც მისნი მლოცველნი ვიყუნეთ (ქრონ., 227,10).

1552 – 1582წ. სიგელი სინოდ. კანტ. №246:

... რომელ ანუ საყდრისა ანუ სჯულისა საქმეზედა ვისცა გაუწყრე და გამოენახო, ჩვენცა გაუწყრეთ და გამოვენახოთ და სანამდის შენ არ ნახო და შენდობა არ მისცე, არცა ჩვენ გნახოთ და არც შენდობა მივსცეთ (ქრონ., 395,13).

1519 – 1529წ. სინ. კანტ. სიგელი მცხეთისა №238:

თქვენისა საყდრისა ერთგულნი ვიყუნეთ და ... რაც ოდენ ძალ გუვდვას, არც ჩვენ დაგაკლოთ და ვისაც სულისა საქმეზედ გაუწყრეთ და შეუნდობლად ამყოფოთ, ჩვენგანცა შეუნდობელი იყოს და ვინცა აგურთხოთ, კურთხეულ იყოს, მოწამეცა ვიყუნეთ (ქრონ., 345,36).

ადრეული პერიოდის სიგელ-გუჯრებში შეიმჩნევა გარკვეული სტილი, რომელსაც არ დალატობს მოგვიანო პერიოდის ძეგლებიც. ეს სტილი ითვალისწინებს კაგშირებითების მწყრივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემასაც, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ძეგლში ამავე ფუნქციით ზმინსწინიანი ფორმებიც ხშირია.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნემდე საშუალი პერიოდის საერო მწერლობისთვის არ არის იშვიათი კავშირებითის მწკრივების გამოყენება თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციით. საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ უფრო გვიანი პერიოდის ძეგლებში.

ამ მიზნით შევისწავლეთ “სამართალი ბატონიშვილის დავითისა”, რომელიც ქართული სამართლის ყველაზე გვიანდელი, XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნაზე შედგენილი საკოდიფიკაციო ძეგლია, მასში არეკლილია ქართლ-კახეთის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება რუსეთთან შეერთების დროისთვის, წარმოდგენილია ქართული სამართლის მდგომარეობა და განვითარების მიმართულება.

აღმოჩნდა, რომ ძეგლში უჩვეულოდ ხშირად გადმოიცემა თხრობითი კილოს მომავალი დრო კავშირებითის მწკრივებით. განვიხილოთ მაგალითები:

[9] კოველსა წელიწადსა პერის გამორჩევა ბჭისა, ნებითა მეფისათა, რომლისა მიერცა ისჯებოდებ მსოფლიურნი სამართალნი (სამართ. დავ., 12,25).

[8] და უკეთუ იყიდოს მონაღვაწითა საკუთრისა მამულისა მისისათა და ანუ წელობითა მებატონისა მისისათა, ნახევარი ჩამოერთვას და მიეცეს მებატონება (სამართ. დავ., 12,10).

[7] უკუთუ მოხელეთაგანმან დამალოს აღწერასა შინა გლეხი, საუკუნოდ საპელოსაგან გარდაიყენოს (სამართ. დავ., 11,24).

[4] ესეცა იქმნების, რომელ გარდაუდგას ქალსა თვისსა მამამან მამული ანდერძითა (სამართ. დავ., 10,5).

[5] ვინცა ამანათო დამალოს, მხვავსად ქურდთა დაისაჯოს, მაგრა უკეთუ აქუნდეს რამდე დანახარჯი მას ზედა მოუტანოს სრულიად (სამართ. დავ., 10,10).

[4] ოდესცა მოძუდეს კაცი, რომელსაცა აქუნდეს მამული მოხეიდული მონათესავეთაგან და ანუ სხვათა, და უანდერძოს ცოლსა თჯსსა, ვირე ცოცხალ არს დედაკაცი იგი, ნე მიედების მას და ოდესცა მოძუდეს დედაკაცი იგი... მონათესავეთა ქმრისა მისისათაგვე მიეცეს მამული (სამართ. დავ., 9,15).

[49] უკუთუ კერძარა იპოვოს ტყველ მყოფი იგი, მაშინ დანაშთომი იგი მიეცეს მონათესავესა (სამართ. დავ., 34,8).

მოყვანილი რთული ქვეწყობილი წინადადებების მთავარ ნაწილში ადვილად შეიძლება, რომ III პირის ბრძანებითის ფორმაც ვიგარაუდოთ: ჩამოერთვას და მიეცეს, გარდაიყენოს, დაისაჯოს, მისცენ, მაგრამ სხვა მსგავს ადგილებში

თავად ავტორს გამოყენებული აქვს ზმინისწინიანი მომავლის ფორმები, რის გამოც ამგვარ წინადაღებებში ჩვენც თხრობითი კილოს მომავალ დროს ვგულისხმობთ, მაგალითად:

[128] და უკეთუ საერთოდ, სახლისა სახმარ-ყოფისათვის დახარჯვენ, მაშინ თეთრისა პატრონსა აღუდგენენ საერთოდ (სამართ. დავ., 75.10).

[128] ხოლო უკეთუ არა დაუშატების შვილი, უკანვე წაიღებენ ყოველსაგვარებულება მას (სამართ. დავ., 75.12).

[175] უკეთუ იქმნების ესე განგებ და ზიანი რაოდე მოხდების მხედრობათა შორის მოტანილისა ამბისა გამო, მხგავსად ორგულთა დაიხვების (სამართ. დავ., 95,17).

[190] ვინცა ქურდობა იწყოს, გლეხნი და სალდათნი პირველისა ქმნისათვის განვლიან სამასს კაცს ქუმარ წარმოაში და პატრონსა მიუზღვენ თავისსა...და მეოთხისათვის სალდათნი რვაგ ზის განიტარებიან წარმოაში და გლეხთა მოჯუშების მარჯუნენ (სამართ. დავ., 106,2).

თხრობითი კილოს მომავალი დროის ახლებური ფორმები ზემოთ წარმოდგენილი კავშირებითის მწვრივების იდენტურ კონსტრუქციაში იმყოფებიან. ეს მაგალითები ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ზემოთ განხილული წინადაღებების მთავარ ნაწილში III პირის ბრძანებითის ნაცვლად თხრობითი კილოს მომავალი დრო უნდა ვივარაუდოთ, მაგრამ დამატებით მაინც მივმართავთ დავითისეული “სამართლის” რუსულ ვარიანტს, რომელიც მასვე დაუწერია.

“სამართალი ბატონიშვილის დავითისა” ავტორს შეუდგენია პირველად 1800 წელს, გადაუმუშავებია და შეუვსია 1811 – 1813 წლებში, იმავე დროს იგი წერდა თავის “ობოზრენიეს” («

»),

რომელიც, დავით ფურცელაძის გამოკვლევის მიხედვით, დაწერილია ქართული “სამართლის” საფუძველზე. “სამართალი” და «

» “სამართლის წიგნის”

ქართულ და რუსულ ვარიანტებადაა მიჩნეული, მათ შორის ტექსტობრივი და შინაარსობრივი დამთხვევებია, რაც გრამატიკული ფორმების შედარების საშუალებას გვაძლევს (ფურცელაძე 1964: 0222).

“სამართალიცა” და “ობოზრენიეც” შეიცავს როგორც იმ ნორმებს, რომლებიც ქართლ-კახეთში XVIII საუკუნის დამლევისთვის მოქმედებდა, ისე მანამდელი დროის სამართლებლივ მემკვიდრეობას გადახალისებული სახით; დავით

ბატონიშვილს გამოუყენებია ქართული და უცხოური, სახელდობრ რუსული სამართლებრივი მასალა (ფურცელაძე 1964: 0223), ამიტომ ენობრივი თვალსაზრისით საინტერესოა ამ ორი ტექსტის პარალელური შედარება: ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ქართული ვარიანტის კავშირებითის მწვრთნებელი რუსულში რა ფორმები ენაცვლება, მაგალითად:

«სამართალი ბატონიშვილის

»

დავითისა»

[172]ბ. კაცის მძულელთათვს  
უცნობელობასა შინა ჩხუბსა  
ზედა

ოდესცა შეხუდეს, რომელ  
ჩხუბსა შინა მოკუდეს კაცი და  
მკუდელნი იგი არა საცნაურ  
იქმნენ, მაშინ, უკეთუ იყოს იჭ-  
ვი რომელსამე განუკუთვნელსა  
ზედა, იგი გამოიცადოს ტანჯვი-  
თა, ხოლო უკეთუ არა იყოს იჭ-  
ვი არავის ზედა, მაშინ ყოველნი  
იგი მეჩხუბარნი დაიპატიჟნენ და  
მიუცეს სამარხი მკუდარსა მას  
მათგან; და იგინი ეკლესიურითა  
კანონითა განიგანხნენ”.

ანდა:

ოდეს მოწოდებულ იყუნენ მოწ-  
მენი, მაშინ ჯერ-არს მათგან რწმუ-  
ნებად მსაჯულთა ფიციო და ანუ  
მებრითა სახითა, რათა არცა მტე-  
რობით, არცა შურით, არცა მიღვო-  
მიოთ და არცა სხვთა რაოთამე განზ-  
რახვიოთ და ანუ თნებით უმოწმონ.  
და უკეთუ ცნობილ იქმნეს, რომელ

505. Если учинится смертоубийство в общей драке, тогда подазреваемый **подвергается** изтязанию, а про- чие участвовавшие в драке свободны. Но когда виновного открыто не будет, тогда все, без изъятия, **несут** церков- ное покаяние.

558. тот, кто призван будет во свидетельство, дает присягу в том, что покажет самую истину без вся- кого пристрастия и личности.

564. Но когда от личности, ненависти и злобы будет свидетельство- вать ложно, **наказывается** наравне

მოწმემან იმოწმოს ზემოგვენებული- с преступником.

სამებრ სახისა, მაშინ დაისაჯოს, ვი-  
თარცა ცრუ...

მოცემულ პარალელურ ტექსტებში კარგად ჩანს, რომ ქართულის კავშირებითის მწკრივებს რუსულ ვარიანტში თხრობითი კილოს მომავალი ან ახლანდელი დრო შეესატყვისება (გამუქებული სიტყვებით ზოგად აწმეოს მივუთითებთ).

ეს ფაქტი არ ნიშნავს იმას, თითქოს დავით ბატონიშვილის სამართალში ახალი წარმოების – ზმინსწინიანი – მომავალი დროის ფორმები არ იყოს წარმოდგენილი. პირიქით, არის მუხლები, სადაც მხოლოდ მყოფადის მწკრივით იწარმოება მომავალი დრო, მაგრამ, შეფარდება, თხრობითი კილოს მომავალი დროის წარმოების თვალსაზრისით, კავშირებითის მწკრივებსა და თხრობითი კილოს მყოფადს შორის უჩვეულოდ დიდია. მაგალითად, მუხლებში თავისი განმარტებებით – [150] ტ. “სამსახურიდამ გაშვებისათვის”, [175] დ. “ტყუილის ბრძანების გატანისათვის”, [190] ა. “ქურდისათვის”, [216] იგ. “შეუკითხავად მებატონებითა გლეხისა ყიდვისათვის”, [226] ბ. “ძმათა უასაკოთა მამულთათვის”, [74] [229] ბ. “წყლულებისათვის”, [238] ბ. “ჭრილობისათვის” – თითქმის მთლიანად თხრობითი კილოს მყოფადის მწკრივითაა გამოხატული მომავალი დრო, მაგრამ შემდეგ ავტორი იხევ უბრუნდება ჩვეულ, ტრადიციულ სტილს, თითქოს ანგარიშს უწევს ფორმას და ბოლომდე იცავს მას.

როგორც ვხედავთ, კავშირებითის მწკრივებით თხრობითი კილოს მომავალი დრო უჩვეულოდ ხშირადაა გამოყენებული დავით ბატონიშვილის “სამართალში”, რაც შეიძლება ანტონ კათალიკოსის გავლენას უკავშირდებოდეს, (იხევვ როგორც ზმებში “ჰს” კომპლექსის გამოვლენა პრეფიქსად, მაგალითად: ჰსწამოს, ჰსწადოდეს, ჰსცნას, დაჰსჭრას და ა.შ., ხოლო სუფიქსად ორმაგი “სთ” დაბოლოების გამოვლენა: ჰყვანდესთ, ჩამოერთვასთ, გარდეწყვიტოსთ, გამოერიცხოსთ, გამოერთვასთ, დაუშთესთ, მიეცესთ და ა.შ.). მაგრამ ამ მოსაზრების დასაზუსტებლად საჭიროდ ჩაითვალა კავშირებითების მწკრივთა ფუნქციებზე დაკვირვება გაგრძელებულიყო ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით და დამატებულიყო მონაცემები მოგზაურობის ჟანრიდან: მხედველობაში გვაქვს სულხან-საბა ორბელიანის “მოგზაურობა ევროპაში” და გიორგი ავალიშვილის “მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე”.

იორქევა, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი კავშირებითების მწერივთა გამოყენების თვალსაზრისით დავით ბატონიშვილის საკანონმდებლო ძეგლის ანალოგიურ სურათს იძლევა. თუმცა კავშირებითის მწერივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა მომავლის ახლებურ წარმოებასთან შედარებით აქ მცირდება, მაგრამ მაინც ძალიან ხშირია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დავით ბატონიშვილის სამართლის ძეგლი გაცილებით ვრცელია, 225 გვერდს მოიცავს, ხოლო ვახტანგ VI-ის “სამართალი” სულ – 76 გვერდს. მაგალითად:

229. კინც კინძე გაგზავნოს საღმე და იქ მოკვდეს, მოჯამავირე იყოს თუ სხვა, თუ იქ იავადმყოფებს და დღით მოკვდების, მის სულ ზე უნდა გაისარჯოს (ვახტ., 108,12).

220. ქ თუ კელმწიფებს ლაშქრიდამ კაცი წაუიდეს და მტერს მიუვიდეს, და იმავ კელმწიფებს დარჩეს, თავად კელმწიფის მოწყალებაზე კიდია (ვახტ., 106,3).

164. აწე თუ სხვას თემს ვაჭარი საგაჭროდ წაგიდეს და იქ თავის ქვეყნის კაცებს ამ ქვეყნის მამული ნახყიდი თუ უხყიდი მოჟყიდოს და იქ ლოთობასა და აგეაცობაზე გარდააგონს, ან სხვას თემს გარდიკარგონს, ის გახყიდვა ყაბული არ არის (ვახტ., 90,30).

რაც შეეხება მოგზაურობის ჟანრის თხზულებებს: კავშირებითის მწერივების გამოყენება თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციით დასახელებულ ნაწარმოებებში ძალიან იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება.

მაგალითები სულხან-საბას “მოგზაურობიდან”:

ნავმა იქ თუ მიაწიოს, მეობრე კელარა ხდევს (მოგზ., 15,7).

რაც სანახავები გნახო აღიწერება (მოგზ., 30,15).

ას წელს სულ იაროს კაცმა მის საქვირველობას ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს (მოგზ., 30,17).

თუ აქა წამოვიდეს შემატეობინეთ (მოგზ., 83,1).

მაგალითები გ. ავალიშვილის “გზაგრობიდან”:

“ბევ ზაღა, განვხევეთ ძეალი ესე პირობითა ამით, რომელ უკეთუ მომიგოთ გვ, მაშინ დაჭმოთ აქა საუკუნოდ ჩუმნიანა, ხოლო ოდესაც დარჩეს ძლევად გვარებება ზედა თქვენნა, მაუწყეთ მისთვეს, რაოცა ნაცულად წინადაღებისა ჩემისა გთხდესთ წინაშე კრებულისა ამის” (მგზ. 145,1).

ხოლო ოდესას ცოლმან შენმან არ დაგროვოს ნებავ, მაშინ მოიქმენე  
სიტუაციი მაცტოვრისა ჩუმნისა იქნო ხრისტესი (მგ. 163,14).

თვის კონცენტრაციულ მოქმედებას სარწმუნოებას ზედა ხრისტია-  
ნეთისა, უკუკუ მივაწვდე მათითურთ ცოცხალი საქართულოსა შინა (მგ. 163,  
21).

კავშირებითის მწერივები თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვის  
თვალსაზრისით ასეთ სურათს წარმოადგენს: “ვისრამიანში” დადასტურებულია  
221-ჯერ, “ამირან-დარეჯანიანში” – 305-ჯერ, “ვეფხისტყაოსანში” – 486-ჯერ;

“დავითიანში” თხრობითი კილოს მომავალი დრო კავშირებითის მწერივებით  
გადმოცემულია 219-ჯერ, სულხან საბას იგავ-არაკებში – 157-ჯერ;

“ძეფეთა სალარო” თხრობითი კილოს მომავალი დროის ფორმებს  
კავშირებითის მწერივებით 141 მაგალითში გამოავლენს, ესოპეს იგავ-არაკებში  
კი 20-ჯერ არის დადასტურებული.

ბატონიშვილი დავითის “სამართლის წიგნში”: კავშირებითის მწერივებით  
თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემის 1683-მდე შემთხვევა  
დადასტურდა (ზუსტი ციფრის დასახელება ძალიან ძნელია, ვინაიდან ძეგლი  
გამართულია მთლიანად კავშირებითების მწერივებით, რომელთაგან მრავალ  
მაგალითში შეიძლება სადაც იყოს – თხრობითი კილოს მომავალი დრო  
იგულისხმება, III პირის მრავლობითი, თუ უნდაობითი ფორმები), “ვახტანგ VI-ის  
სამართალში” კი 704 მაგალითი გამოვლინდა.

მოგზაურობის ჟანრის ძეგლებში: სულხან-საბა ორბელიანის “მოგზაურობა  
ევროპაში” კავშირებითის მწერივებით თხრობითი კილოს მომავალ დროს სულ  
თერთმეტ მაგალითში გამოავლენს, ხოლო გ. ავალიშვილის “მგზავრობაში”  
კავშირებითის მწერივებით გადმოცემული თხრობითი კილოს მომავალი დრო  
მხოლოდ 25 ზმნაშია წარმოდგენილი.

პარალელურად ხშირია მომავალი დროის ახლებური წარმოების შემთხვევები  
სხვადასხვა ტიპის წინადაღებაში, მაგალითად:

განისულებურ და მურმე მოგახსენებო (ამირ., 7,17).

ხდულათა მეფისა ახულისა გამოყვანებად წადი და მუხ მოგხუდებიან ჭაბუკი  
არა ერთხი და ორნი (ამირ., 7,38).

თქვა: აღარ წამოგალო, თქვენ ამისა მინდორსა დაქმართეთ და თუთ  
მოგხუდების, რასაცა ეძებთ. მე აქ თხუთმეტ დღე მოგელი და თუ თქვენ არ  
მოხუალთ, მე წაგალო (ამირ., 8,2).

არს ძელი გზა ეხე, მაგრა გაგუადვილებს პატრონი ჩუენი (ამირ., 10,22).

უქორწილობა მოუშლის კერას. დღეს დაგხწერ მათ ჯვარსა, მოგარჩენ მათ  
ჯავრსა (გურ., 214,236,ბგდ).

ახლა ყველას აღვასრულებ, ... ვიქ თქვენსა და მოგაგონებთ რჩევას ჩემსა  
აწინდევლსა! (გურ., 267,ბგდ).

აწ პირში ენას გამოგავლებ და ყოვლის სულიერის ენას ისწავლი, ამას  
შემოგზავნა (სიბრ., 275, 15).

ხვალ წაგალ, სახელარს წაგიყვან და მოვიტანო (სიბრ., 269, 3).

სშირად ერთსა და იმავე წინადადებაში კავშირებითის მწერივით გამოხატული  
თხრობითი კილოს მომავალი დროის გვერდით გვხვდება მომავლის ახლებური  
ფორმა, მაგალითად:

ვერ წაუვა ნაკრავსა შენსა და მოჟკლაო (ამირ., 42,10).

წაგალ და როსცა სამხახური იყოს, წინაშე ვდგევვარ (ამირ., 29,43).

თუ ბრძანებ, მოვიყვანო წინაშე თქვენსა და მან მოგარენ სენოს ყოველივე (ამირ.,  
36,7).

ნაქმართა მისთა მოთულა ყოლა არ ეგების ამით, რომელ გაგრძელდების და  
საწყინო გახდების, ცოტა რამე მოგახსენო (ამირ. 7,24).

ეს დღე მოგაგონდების და კუნესა დაიწყო და ჩემსა წინა შენებურად პირსა  
მიწასა დახდებდე და ეგრე მეხუეწებოდე (ვისრ., 166,7).

არ მათი ოდენ აორდებოდენ სახლი და ხაცხოვრებელი, მაგრა მრავალი  
დიაცი სხეულიცა დაქურივდების (ვისრ., 148,42).

თუ მისად უნებლად მის გუერდით სჯდე, გულსა ჩაითხარ, რომელ მისგან  
სიხარულსა კერა პნახავ, მიწყივ თავისა საქმისაგან ინანდე (ვისრ., 151,30).

ძველი და ახალი მომავლის გამოყენებისას რთული ქვეწყობილი წინადადების  
ფარგლებში გარკვეული კანონზომიერება შეიმჩნევა, კერძოდ: კავშირებითის  
მწერივი თხრობითი კილოს მიმავალი დროის მნიშვნელობით თითქმის

ყოველთვის დამოკიდებულ შია, ხოლო ზმნისწინიანი მომავალი – მთავარ ნაწილ ში, მაგალითად:

თუ ქმნას ღმერთან და აჯობოს ღარუჯანის-ძემან, ჩაგიცუაზ ძოწეულსა და დავჯდები თქრო-ქსოვილსა საჯდომხა (თუ აჯობებს...დავჯდები) (ამირ., 108,9).

თუ ცნას ჭაბუკობა ჩემი და ხიკეთე, შევეწყალები და სისხლთა ჩემთა ეძებსთ (თუ გაიგებს...შევეწყალები) (ამირ., 100,28).

ამ მათგან რომელიცა სჯობდებს, ასულსა მისსა ცოლად შერთავს იგი ხა ხართა მეფე და სამეფოსა მისცემსო (რომელიც უკეთესი იქნება...მას შერთავს) (ამირ., 86,12).

სანამდის კვეთი ჭაბუკი არა გჰპოვო, ... მანამდის ამა ასულსა ჩემსა არავის მიგხედებ ცოლადო (სანამ არ ვიპოვი ... არ მივსცემ) (ამირ., 86,2).

ვიდრემდის სცნობდებ რემისა წასხმასა, ჩუენ, ხადაც გუინდა, მივალთო (სანამ გაიგებენ ... მივალთ) (ამირ., 83,3).

რა იგი წეალი გაიაროთ, ქუეკანა მოგხუდების კარგი (რომ გაივლით, ... შეგვხვდებათ) (ამირ., 70,12).

ოდებ იგი კარგი ნაქმარი მოგახსენოთ, გაგიკუირდების და ხიქადულად შემინახავ (როცა მოგახსენებ ... გაგიკვირდება) (ამირ., 60,22).

შენ ყოველთა კედლუცთა გააწილებ, ყოველთა დაღრუჯილსა გაამხიარულებ, რა შეგძაზმო (ვისრ., 154,43).

თუ სტავრასა ზედა სჯდე და თუ მიწასა, სირუგუნითა უშელა სწორად მოგეწონების (ვისრ., 176,42).

რასა ვინ იტყუის, ვინც ესე ჩუენი წიგნი წაიკითხოს და ამიხგან ჩუენი საქმე ცნას? (ვისრ., 173,33).

სამოხელსა რა დახევდენ, დაიზრახებს, ვაზა რა შეოხა მოჰკუეთდენ, ატირდების (ვისრ., 178,1).

თუ მოვერიო, მოვკლავო (ამირ., 59,7).

ცოტა მოშორებით ბოლო წინადაღება სხვაგარი გარიანტებითაა წარმოდგენილი:

თუ მომერევის საბურ რაბავის-ძუ, მომკლავს (ამირ., 59,12),

ან: თუ მოვერიო, არა მოვკლაო (ამირ., 59,15).

“დავითიანში” და სულხან-საბას იგავებში დაცულია მომავალი დროის გამოხატვის იგივე წესი რთული ქვეწყობილი წინადაღების ფარგლებში:

კაცს რომე სენი შეჰყარო, ბრჭვალი პერა გულსა, მუცელსა, განა იმ სენით  
გერ მოჰკლავ, რაღად უმზადებ მუხ ცელსა? (გურ., 167,8,გდ).

დაგით სწორედ მოგითხობს, თუ შენ შეიგვანდეთ (გურ., 79, 373,ზიკ).

თუ რომად დადგას, იქნების თრივ პატარა გორები (გურ., 61,280,გ).

რა სამთავ ცემა შაექმნასთ, ჩვენზე მათ შექმნან ონარი, გარს მოგვეჭიროს  
მუხრუჭი, არსით ჩნდეს მოსაფონარი, გიქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით  
მოსაფონარი! (გურ., 57,215,ბგდ).

დედამ რა შვას ძე, პირველთა ჭირთ აღარ მოიტანებსა (გურ., 31,31,ა).

თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობოთ! (სიბრძ., 53,2).

ამ გვარის კაცის ხიტება კერას იქმს, თუცა ბეჭმან არ უყოს კაცებ (სიბრძ.,  
62,5).

უსეთსა საქმესა გიქმ, ჩემთვისა და მისთვის სწორად დაგვარგო (სიბრძ., 17,14).

უპეთუ მიტანას ღმერთმან ამა ავადმყოფობისაგან, ამ ნასყიდს ყმას გააზა-  
ტებო (მეფ.სალ., 274,18).

რომელიც საქმე სიჩქარით დაიწყოს კაცმან, რომე კიდევ იმ ხანად გაკეთდებ,  
ის საქმე საბოლოოდ არ გვარგება (მეფ.სალ., 277,11).

სანამდის ჭკუიანსა და ბრძენსა კაცება არა პითხო, მანამდი ნურას აიღებ  
ტელთა (მეფ.სალ., 256,11).

კაცს რომ დასცხეს მზის შუქისაგან, წაგა და კედელს ამოეფარება, რომე  
მოიგრილოს (მეფ.სალ., 255,35).

არაოდებს იქმნების ბოროტი კაცი მარგებელ, ვიდრემდის არ განიხშავლოს  
ტანჯვითა და მაშინ იქმნების მარგებელ კაცთა (ესოპ., 287,29).

უპეთუ იყიდო ესეცა, მოგცემ მაგას ნიჭად (ესოპ., 286, 27).

უპეთუ იძიოთ, ჰპოვებთ კოველსაგვ (ესოპ., 285, 40).

პირუგუ შემთხვევა მხოლოდ რამდენიმე წინადადებაში დადასტურდა( დამო-  
კიდებულში – ზმისწინიანი მომავალი, მთავარში – მომავალი დრო  
კავშირებითის მწერივით):

თუ დამიმადლებთ, მე გაგცე გზა მაგისი (ამირ., 5,17).

მე წამალი მოგცე ეგეთი, რომელ ვერტა მოისუით და უცილოდ გახუალთ  
ადგილადო (ამირ., 70,10).

იგიცა გაიაროთ, აღარა არს წინათ გზა საჭირო ამისგან კიდე, რომელ ამი-  
რისა ქუჯანასა შეხვალო (ამირ., 70,19).

უთხრებ: თუ ჩარად არ ივლით, ვერ გახდეთ მზისა ცეკვითა! (გურ., 54,197,დ).

თუ გიანი, ისევ გმხახურო ქრისტიანისა სჯულითა (გურ., 90,446,გ).

ძლიდარი რასაც დახარჯავს, ათასი სხვა დარჩეს (სიბრძ., 63,8).

გული მითქამს: გჯამ, მოვავდე (სიბრძ., 188,19).

...რომე ყმა ბატონისაგან ისწავლის საქციელსა, მაშინდა ქუჯანა დასწნარდეს  
და გარიგდეს (მეფ.სალ., 250,21).

ჩვეულებრივია ზმისწინიანი მომავლის გამოყენება ნუ ნაწილაკიან ბრძანებით  
პილოში, მაგალითად:

შენ მარტო ნუ ეცდები სისხლთა ჩემთა ძებნასა (ამირ., 99,18).

უკმორიდენითო, ნუდარაგინ რას ჰკადრებთო (ამირ., 74,11).

შეიწყალუ ჭაბუკობა შენი და ნუ წახულ მის მარცისათუის (ამირ., 85,9).

ნუ დამიუღნ, რამინ, ვრძნეულობისა ბადესა (ვისრ., 169,38).

ნუდარ დასჯდები, წამხაცა ნუდარ მოისუენებ (ვისრ., 184,47).

ჩემსა ძუელისა სიყუარულსა ზღუასა ნუ ჩააგდებ და ნუ გამწირავ; რამინ, ნუ  
გაახარებ ჩემთა მტერთა, ნუ იქმ მაგასა...ნუ გასწყუებ სიყუარულსა (ვისრ., 166,5).

იგინი ნუ იკადრებებ მაზობელთა თანა წიგნისა წერასა (სამართ. დავ., 220.5).

და ნურცა წაეხარჩლებიან ყმათა თვისთა (სამართ. დავ., 220.27).

უარყოფით ნუ ნაწილაკიან ბრძანებითებში თხრობითი კილოს ფორმების,  
ხოლო არ ნაწილაკიანში – კავშირებითის მწერივის გამოყენების წესი ძველი  
ქართულიდან მოდის და ამავე წესს ეყრდნობა საშუალი პერიოდის ქართულიც,  
მაგრამ გვაქვს შემთხვევები, რომლებშიც ნუ ნაწილაკთან ბრძანებითის  
გამოსახატავად კავშირებითის მწერივია გამოყენებული, მაგალითად:

ლმერთმან ნუ ყოს სიკუდილიო (ამირ., 90,44).

ლმერთმან ნუ რომელსა დიაცსა უჩუენოს მაგათი პირი (ვისრ., 149,9).

ლმერთმან ჩემთა ბედითა სხუა კაცი ნუ დაბადოს და ეტლსა ზედა დედასა  
სხუა შვილი ნუ აშობინოს; ნუცადა ვინ ეხრე უწყალოდ თავ – უწევარ ყოსთ  
(ვისრ., 177,28).

ლმერთმან შენი ჭირი მე ნურა მომასმიოს (ვისრ., 173,25).

ქუჯანასა ზედა ნუგის მისცეს ლმერთმან უგეთი ქმარი (ვისრ., 163,19).

უნდა აღინიშნოს, რომ “ვისრამიანში” კავშირებითის მწერივთან ხშირად ნუ ნაწილაკი გვხვდება ბრძანებითის გამოსახატავად და არა არ ნაწილაკი (არ ნაწილაკთან კავშირებითის მწერივი ბრძანებითის ფუნქციით სულ ერთხელ შეგვხდა: **არცაოდეს მოუწერო, არცა კაცი გაუგზავნო** და არცა შენსა გულსა მისი სიუკარული იყოს).

“დავითიანში” კავშირებითის მწერივის გამოყენების ორი შემთხვევა დადასტურდა ნუ ნაწილაკთან, მაგ.:

მუგიო, ლმერთმან ნუ მოგცეს წუხილი, ჭმუნვა, ვიშობა. ნუ მოგიშალოს ნაღიმი მუდამ – დღეთ სულ მეჯლიშობა (გურ., 151,1,აბ).

დავით ბატონიშვილი სამართლის წიგნში კავშირებითის მწერივი ერთ მაგალითში დადასტურდა ნუ ნაწილაკთან:

იგინი ნუ იქმონენ ნურავისსა სამართალსა (სამართ. დავ., 220.1).

ნუ ნაწილაკიანი ბრძანებითი კილო კავშირებითის მწერივით გადმოცემულია თედო ქორდანიას “ქრონიკებშიც”:

ეს ნურაოდეს მოგვაკლდეს ჩუენ მეფეთ-მეფეესა ბაგრატსა და თანამეცხდომეესა ჩუენსა დედოფალთა-დედოფალს ელენეს ... (ქრონ., 340,16).

მომავალი დროს ახლებური წარმოება (ზმინისწინიანი მომავალი) განხილული ძეგლებიდან “ვისრამიანში” დადასტურდა 399-ჯერ, “ამირან-დარეჯანიანში” – 388-ჯერ.

“ვეფხისტყაოსანში” ზმინისწინიანი მომავლის 772 მაგალითია, “დავითიანში” – 861.

სულხან საბას იგავ-არაკებში ახალი მომავლის წარმოების 575 შემთხვევა დადასტურდა, “ მეფეთა სალაროში” – 373, ხოლო ესოპეს იგავ-არაკებში – 38.

დავით ბატონიშვილის “სამართლის წიგნში” თხრობითი კილოს მომავალი დრო თანამედროვე წარმოებით სულ 736 ზმია-შემასმენელთან დადასტურდა, ვახტანგVI-ის “სამართალში” – 482 მაგალითში.

მოგზაურობის ჟანრის თხზულებებში – “მოგზაურობა ევროპაში” და “მგზავრობავ” – მომავალი დროს გამოხატვა, ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, მთლიანად დაკისრებული აქვს თხრობითი კილოს მწერივებს.

არ ნაწილაკიანი კაგშირებითის მწერივი ბრძანებითის ფუნქციით:

ეგეც არ მოთხარო, რომლითაც ხედავ (გურ., 248, 484, გ).

დაუფასუბელს არ დადგა ფასი (გურ., 269, 1, გ).

გზაზე მცველი არ გამყარო, ოდეს მანდით დამიბარო (გურ., 263, 16, გდ).

ოდონდ ფხიზლად კლიდეს, ქმარს არ სხვაზე ცვლილეს, არ იყოს ანჩხლი (გურ., 236, 388, გდ).

შენ სოჭაო არსადა ჩვენი საქმენი (გურ., 198, 127, დე).

და მათ არა იკადრონ გამოცვლაი წამლისა ანდა შურვებად მხედართა ავანტ-კოფთათვეს; და არა იყუნებ მცონარ, რომელსაცა უამსა მოუწოდონ; და არ დაიშურონ წამალი ავანტკოფთა; ... და არარასა იკადრონ გამორთმევად ჯარის-კაცთა (სამართ. დავ., 192.33).

ეშმაკური არა იყოს რაო, ან ტყეულათ არ ირჯებოდეს (მოგზ., 11, 9).

წყლით ნუ წამოიყვანოთ, პაერმა არ აწყინოს (მოგზ., 16, 30).

რაც გლეხის გასაყოლად დარჩების რამე, გლეხზე არ დაადგან (ვახტ., 79, 1).

რომელ მეფეთაგან მოცემულ არს, არა შეეცვალოს ნათესავეს შენსა უკუნისამდე (ქრონ., 3, 12).

ძილსა შინა თუ ვისმე ოცნებით დაბრუოლება შეემთხვოს, მის დღისა უამსა არა ეზიაროს, არცა საკურთხეველად შევიდეს (ქრონ., 84, 36).

ჩვენი ბეგარა გამოსაღები არასფერისთანა არა ეთხოებოდეს რა (ქრონ., 144, 5).

განხილული მაგალითებიდან კარგად ჩანს გარდამავალი პერიოდის სალიტერატურო ენაში ძველი და ახალი ფორმების ურთიერთჲიდილი და ძვ. ენობრივი ნორმების რღვევა, რაც გამოწვეული ჩანს ძველი სალიტერატურო სკოლების (ცენტრების) მოშლით, შესაბამისად, ამ სკოლების სალიტ. ენაზე კონტროლის შეწყვეტით.

## **2.3. კავშირებითის მწერივით გადმოცემულია საკუთრივ კავშირებითი კილო**

**2.3.1. კავშირებითი კილოს ადგილი ძირითადად ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილშია. ეს წინადადებები ძირითადად ადგილის, დროის, ქვემდებარული, დამატებითი, მიზნის დამოკიდებულია, ასევე პირობით-შედეგობითი, დათმობითი შინაარსისაა...**

ქვეწყობის კონსტრუქციაში, ანუ დაქვემდებარების წინადადებაში მონაწილეობას იღებს მაქვემდებარებებული კავშირები. ისინი ხელს უწყობენ ამა თუ იმ ტიპის დაქვემდებარებული წინადადებების გამოვლენას, რომელთაც, თავის მხრივ, მთავარ წინადადებაში შეიძლება პქონდეთ მისათითებელი სიტყვა, ანუ კორელატი. კორელატი (ნაცვალსახელი, ზმნიზედა) ეხამება დამოკიდებული წინადადების სისტემაში მოქცეულ კავშირს და მასთან გარკვეულ მიმართებაში იმყოფება, იგი კავშირის მისამართი სიტყვაა. კორელაციის სისტემა მტკიცედ ჩამოყალიბებულია ქართულ სალიტერატურო ენაში ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდე.

ეს საკითხები (რთული წინადადებების დაქვემდებარება, კავშირები და კორელაცია) ამომწურავადაა შესწავლილი ფ. ერთელიშვილისა და შ. ძიძიგურის ნაშრომებში: “რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში” და “კავშირები ქართულ ენაში”. ავტორები მსჯელობენ არა მარტო ძველი ქართული ენის მონაცემებზე დაყრდნობით, არამედ საშუალი პერიოდისა და თანამედროვე ქართულის, ასევე დიალექტური მასალის მიხედვით. ამიტომ ჩვენ კავშირებსა და მისათითებელ სიტყვებს (კორელატებს) შევეხებით მხოლოდ იმ აუცილებლობის გამო, რომ რაიმე, თუნდაც სულ მცირე განსხვავება ვიპოვოთ რთული ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში კავშირებითის მწერივით კავშირებითი კილოს გამოვლენისას და იმავე მწერივით მომავალი დროის გადმოცემისას. რა თქმა უნდა, თუკი ასეთი განსხვავება მოიძებნება. შევეცდებით ასევე, რომ გამოვავლინოთ სიტყვათშეხამების სისტემა, რომელიც არსებობს რთული და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენელს შორის კავშირებითის მწერივებით კავშირებითი კილოსა და იმავე მწერივებით მომავალი დროის გამოხატვისას.

განვიხილოთ მაგალითები:

**პაგშირებითი კილო ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადაღებებში:**

სამ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მიმართებითი ნაცვალსახელი მონაწილეობს, ესენია: ქვემდებარული დამოკიდებული წინადაღება, დამატებითი დამოკიდებული წინადაღება და განსაზღვრებითი დამკიდებული წინადაღება. შესაბამისად გამოყოფილია სუბიექტური, ობიექტური და განსაზღვრებითი კავშირები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ქვემდებარული, დამატებითი და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადაღებების კონსტრუქციაში (განხილული გვაქვს და ვმსჯელობთ მხოლოდ იმ ჰიპოტაქსური კონსტრუქციების მიხედვით, რომელთა დამოკიდებულ ნაწილშიც კავშირებითი კილო იგულისხმება), მაგალითად, ქვემდებარული დამოკიდებული წინადაღებების მაკავშირებელ საშუალებებად განხილულ ძეგლებში დადასტურდა:

<b>რა</b>	<b>იგი</b>
<b>რაც</b>	<b>ისი</b>
<b>რომ</b>	<b>იგია – რომე</b>
<b>გინც(ა)</b>	
<b>რომელ</b>	
<b>თუ (=რომ)</b>	
<b>რათა (=რომ)</b>	
<b>რა დააჯეროს</b> დამერთმან ჭაბუკობასა შენსა, <b>იგი ქმენითო</b> (ამირ., 16,41).	
<b>რა დამერთმან</b> გამოარჩიოს, <b>იგი იქმნასო</b> (ამირ., 104,35).	
<b>კამს თუ ისი უხსორო გიყუარდეს</b> და ერთმანერთისაგან გაიკარნეთო? (თუ = რომ) (ვისრ., 157,10).	

და ჸამს ესე ჩუქუგან, **რომელ შევანანოთ** (ამირ., 23,13).

**სჯობს თუ კოველსა** კაცსა მიჯნური ებრალებოდეს (ვისრ., 154,8).

**სჯობს, რომ წაბრძანდეთ** ჩაფრადა (გურ., 56,207,ბ).

**ჯერ არს კაცისა, რათა ცხოვრებდეს** ჯერისაებრ და არა გარდამეტებულსა ხიძლიდრება ხდომად იყლოდდეს (ესოპ., 282,6).

**პაგშირებითი კილო დამატებით დამოკიდებულ წინადაღებებში:**

რთული წინადაღების კომპლექსში დამატებითი დამოკიდებული წინადაღება დამატების მოვალეობას ასრულებს, ამგვარ კონსტრუქციაში მონაწილეობენ

დამატებითი კავშირები (გაერთიანებული გვაქს ყველა ტიპის დამატება: პირდაპირი, ირიბი, უბრალო), ესენია:

<b>რაც(ა)</b>	<b>მას</b>	<b>რაც – მით(ა)</b>
<b>რასაც</b>	<b>მაგას</b>	<b>გინც – იმას</b>
<b>ვინც</b>	<b>ამასაც</b>	<b>ამით – რომე</b>
<b>რომელიც</b>	<b>(ა)მით</b>	<b>ამით – რომელ</b>
<b>თუ</b>	<b>ამას</b>	<b>იმაზე – რომ</b>
<b>რათა(=რომ)</b>	<b>ამაზე</b>	<b>იმის – რომ</b>
<b>რომელ</b>	<b>მაგაზე</b>	<b>მისთვის – რადცა</b>
<b>ვითარმედ</b>	<b>ამისი</b>	
<b>რამეთუ</b>		

### მით რამეთუ

**თუ სანოლით არ მომნახოთ, შეიტყობო!** (სიბრ., 306,12).

**მაგას როგორ ვერა იქმნა, უკაცოდ დაფქვას და მოიტანოს?** (სიბრ., 290,5).

და უკელი ამას ცდილა, მე უკეთესი ავაშენოთ, მე უფროსი ხარჯი გქნაო (მოგზ., 68,20).

ხოლო ორბი ეტყობდა მას, **რათა დაუტეოს** მან ამაო განხრახვა მიხი (ესოპ., 282,35).

**ეგედრებოდა კუდ ერთი ორბსა, რათა ასწაოს მას ფრენა** (ესოპ., 282,35).  
**ესრულუმ მოხვა, რათა უკმოქცევული პალეხტინით მოვიდე ამისდა სადგომად სახლსა ამას შინა ამისსა** (მგზ., 82,29).

ბოლო წინადადებებში **რათა რომ კავშირის მნიშვნელობითაა გამოყენებული** და **დამოკიდებული წინადადება დამატებითია და არა მიზნისა.**

**რომელიც ჩნდეს უფრო ძვირად, მას ებლაუჭეო** (გურ., 129,59,ბ).

**შენი ლეონ აწვე გაიპაროს, იგი უჯობს, თვარა მაგის სიცრუგესა სცნობო და არ უჯობს** (სიბრ., 116,11).

**ამისი გუგმინოდა, გაი თუ მოკუდესო** (ამირ., 28,43)

**დედათა ფათერაცი ამით არის, რომელ ეგრე შუენგარე და კეკლუცი გიშოვოთ** (ვისრ., 146,14).

**დადგა გული, რომელ არსაით არ იაგარქცეოს და არ დადგას თავი მიხი** სახთაულსა, **რომელი არა ხამდეს** (ვისრ., 157,35).

**ამისი** მთხოველი გარ ღმერთისაგან, რომელ გაძლება მომცეს და შენიშვნი არ მოგვუდე (ვისრ., 185,2).

მე რომ ვერ მივხვდე უცები, მაგაზე რად შემწრფებიან (გურ., 29,13).

... მაუწყეთ მისთვე, რამცა ნაცულად წინადადებისა ჩემისა გთხდეთ (მგზ., 145,22).

გ. ავალიშვილის “მგზავრობაში” დამატებითი დამოკიდებული წინადადებების კავშირებად დასტურდება ასევე “ვითარმედ” “რომელ” “რამეთუ” “მით რამეთუ”, მაგალითად:

არამედ მეცნიერთა მისდა მრეჭებს, რომელ სომხისა ამის თანა უკეთუ მაქუს რამეთუ საქმეს, გამოვუცხადო (მგზ., 148,16).

ამისთვეს გაძლევთ დროსა, რომელ კუალად თრგზის შემდგომთა დღეთა შინა განვანათლო ჩუცე ... (მგზ., 98,12).

ვხედავ მიმავლობასა თქუცხნას იერუსალიმად და ამად კრაცხ კალად ჩემად, მით რამეთუ მოგაპსენო და თქუცხ (მგზ., 183,10).

... და ამად გთხოვთ, მით რამეთუ ცხადად მაუწყოთ მისთვეს (მგზ., 126,36).

... რომლისათვეს მწერს უკუც თავადი ალექსანდრე ნიკოლაუზიში გალიციი, მით რამეთუ გაუწყო მას ნებამ ჩემი საგანსა ამას ზედა (მგზ., 81,31).

“ვითარმედ” კავშირთან ავტორი კავშირებითის კილოს გამოსახატავად თითქოს უფრო მეტად III კავშირებითის მწერივს ანიჭებს უპირატესობას:

მის მიერ ვიციო რდენ, ვითარმედ პაუზი ესე ყოფილიყოს დამკრძალველად მუშიისა (მგზ., 180,24).

პსემებენ, ვითარმედ თვთ დროთა ამათ შინა ებრძანებინოს პტოლომეუ ფილადელფიისა აღშენებად ყოვლად დიდებულისა ფარუსისა (მგზ., 111,32).

ამისთვეს სწამებენ აქაურნი ზოგად, ვითარმედ წმიდათა ამათ მოწამეთა ბმიუსთ ქადთა ზედა (მგზ., 21,37).

ვითარმედ კავშირის გამოყენება III სერიის კავშირებითის მწერივთან ბოლომდე თანმიმდევრულად არაა გატარებული, თუმცა უმეტეს შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება.

როცა დამატებით დამოკიდებულ წინადადებებში კავშირებითის მწერივებით კავშირებითი კილოა გამოვლენილი, მაშინ მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი ძირითადად დასტურდება აწმყოში, მყოფადში, უწყვეტელსა და

წყვეტილში. კილოს მიხედვით მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი შეიძლება იყოს თხრობითი და ბრძანებითი.

**კაგშირებითი კილო განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში:**

განსაზღვრებითი კაგშირები მონაწილეობენ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქციაში. ამგვარი წინადადება მისამართი სიტყვის გაშლილ განსაზღვრებას წარმოადგენს, საკავშირებელი სიტყვები მასთან მიმართებაში იმყოფება.

მიმართებითი ნაცვალსახელი ეთანხმება მთავარ წინადადებაში მოქცეულ მისამართ სიტყვას რიცხვში და იმართვის ბრუნვაში, მაგალითად, განსაზღვრებით კაგშირებად გვხვდება:

**რომელ**

**ასეთი**

**ესეთი – რომელ**

**მით რამეთუ**

**ეგეთი – რომელ**

**ასეთი – რომელ**

**ასეთს – რომელ**

**ეგზომსა – რომელ**

**იმდენი – რამდენი**

**რაგვარიცა – იმისივ**

მონახე ქალი ასეთი, ჭეშმარიტებით სწამდებს მას ღმერთი (გურ., 231,353,ბ).

**ასეთი საჭმელი მომიტანეო, რომელ ხმელთა მის უტკბესი არა იყოს და არცა ხღვათა შინა იპოვებოდებო (სიბრძ., 35,14).**

კაცმან წამალი ასეთს ალაგს უნდა ხუას, რომელის ალაგი ზეგანი ალაგი იყოს (იად., 88,3).

ზეთი გამოვალს მათ ხეთაგან ესეთი, რომელ სხეულსა შეასუან, გამროველდების (ამირ., 58,4).

ეგზომსა კეპლუცსა პნახავ, რომელ კედარ შეიგებ, თუ რომელი გამოირჩიო (ვისრ., 166,45).

ღმერთმან იმდენი დღეგრძელობა და ცხოვნება მოგცეთ, რამდენი ასი ათასი ტყვე, ან იმ კუნძულში და ან ნავებში ჰყვანდებო (მოგზ., 129,24).

რაგვარიცა სენი სჭირდებ, იმისივ შესაფერი შეხაფერი და იმისივ მუნახიდი საჭმელები აჭამონ (იად., 87,19).

მთავარი წინადაღების ზმნა-შემასმენელი გვხვდება აწმუოში, მყოფადში, უწყვეტელში, წყვეტილში. კილოს მოხედვით შეიძლება იყოს თხრობითი და ბრძანებითი.

**კაგშირებითი კილო მიზნის დამოკიდებულ წინადაღებაში:**

მიზნის დამოკიდებული წინადაღების კონსტრუქციაში მიზნითი კაგშირები მონაწილეობენ, ესენია:

რომ	ამად	მით – რამეთუ
რომელ		ამაზე – რომ
რომელ (=რათა)		ამისთუის – რომელ
თუ (=რომ)		ამისთვის – რომე
თუცა (=რომ)		

#### რათა

ზედ ფანჯარა იყო, რომ მუხლი ვერავინ დაადგას (მოგზ., 22,24).

თუ შეები, კაცურად და კარგად შეებიო, რომელ არა გეფათერაკოსო (ამირ., 89,14).

ზე უკუდებ, რომელ შევეძაზმო (ამირ., 63,33).

მოვიდეს, რომელ ცხენები მიითუალოს (ამირ., 105,38).

ასული შენი შემრთე, რომელ ნაყოფი თესლისაებრ იქმნასო (რომელ=რათა) (ვისრ., 142,14).

სხეული ხარ და მკურნალი ძებნე, რომელ გარგოს რაო (ვისრ., 174, 26).

გახცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა, რათა კვედრონ ღმერთსა ძისა ბოძებისა მისისათვის (სიბრძ., 6,10).

ჯამასარ შექმნა ტილისმანი ამისთუის, რომელ სხუამან კაცმან გარეგანმან აქათ ქალი ვერავინ გაიყვანოს (ამირ., 49,49).

გახახხელი ჯულაბი და წამლები გაზაფხულ ზედ ააღებინონ, ამისთვის რომე კაცსა მწვედ არ მისჭირდეს (იად., 86,17).

ამად სძრახვენ ვინც აქს ჩადის, კულა აღარ ჩაიდინოს; სხვა გაფრთხილდეს, მისებრ ცრემლი თვალთა არვინ ჩაიდინოს (გურ., 51,173,აბ).

ჩემმა მეფემ ამაზე გამომგ ზავნაო, რომ გაისარჯო, ნახო (მოგზ., 3,22).

ამ წინადაღებაში, უჭვგარეშეა, რომ ამაზე კორელატი გულისხმობს ამისთვის ზმნიზედას.

გვიანი პერიოდის ძეგლებისთვის მიზნის დამატებით დამოკიდებულ წინადაღებაში უკვე “რათა” კავშირი სჭარბობს:

ესეცა მოხდების ოდენობა, მით რამეთუ ეხევითარი იგი გვთხოვს ჩვენ  
კრებულსა მიცემად მისდა ნებისა, რათა ... იწყოს ახლად გამოცდა თავისა  
ოჯხისა ... (მგზ., 168,1).

ესენი არიან ნებით თვისით მოხვდება ჯამსა ამას ჩვენდამო სურვილითა მით,  
რათა ღირს ჰყონ თავის თვისი წოდებასა დერვიშობისასა (მგზ., 167,1).

“მით რამეთუ” კავშირი გ. ავალიშვილთან დადასტურდა მიზნის დამოკიდებულ წინადაღებაშიც, მაგალითად:

მინარათა ზედა აზანისა ხაყოფელად ანუ მოწოდებისათვეს ერთასა ლოცუად  
არიან დადგინდებულ 2460-ნი კაცნი, თუითქმის ხახდველმოკლებულნი, მით  
რამეთუ ეერ ჟდლონ ხილვად ძღვდრთა ბანებისა (მგზ., 173,23).

... იჭურვებოდის მჯნედ მოთმინებითა, მხედუბლად მისი განმწარებასა შინა,  
მით რამეთუ გამოჩენითა მწუხარებისა თესისათა არ განუმრჩობლოს  
სალმობარ უბედურსა მამა-მეუღლესა (მგზ., 33,13).

მიზნის დამოკიდებული წინადაღების ქვეწყობილ კონსტუქციაში მთავარი  
წინადაღების ზმნა-შემასმენელი დგას აწმყოს მწკრივში, უწყვეტელში,  
წყვეტილში, I რეზულტატივში. მთავარი წინადაღება კილოს მიხედვით ხშირად  
არის ბრძანებითი, გვხვდება თხრობითშიც.

კავშირებითი კილო დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადაღებებში:

დროულობის კავშირები მონაწილეობენ დროის გარემოებითი დამოკიდებული  
წინადაღების კონსტრუქციაში, ესენია:

რა მაშინ – რომე

როს

როცა

ოდეს

გინემდის // გინემ

გირე // გირემ

გიდრე

გიდრემდე

სადამდი

ძმაო, ასრულე შენ მიშუელე, რა დამუჭიროს (ამირ., 10,33).

აბა, ლომთ ჩემო, ოდეს მიმჭირდეს, ასრე შენ მიშუელეთ (ამირ., 22,32).

იწყეს მის ზედა ურთიერთას პრძოლა ესევითარი, გიდრემდე არღარა ეძლოთ ვერხთა ზედა დგომა (ესოპ., 283,29).

და სადამდი კარგად გამოწმდებოდეს და ან გულის-ყრას ეშველებოდეს, მუდაძ ამრიგად ქნან (იად., 92,9).

ამ ერთს აღაგს ეს არ იქნების მაშინ, რომე პელმწივე ერთს მეპირისპირეს მტერზე .... მიბრძანდებოდეს (ვახტ., 89,17).

დროის დამოკიდებულ წინადადებებს მხოლოდ კავშირებითი კილოს გამოხატვა უჭირს, უფრო ზუსტად, იმავე წინადადებებში თავისუფლად შეიძლება თხრობითი კილოს მომავალი დროც იგულისხმებოდეს.

კავშირებითი კილო ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში:

ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მაქვემდებარებელ საშუალებებად დასტურდება შემდეგი კავშირები:

სადა სადაცა – მუნცა

სადაც(ა) სადაც – იმ

სადამდის(ი) რარიგსაცა – იქ

სადამდისი ეგებოდეს, წაგუიძელვით (ამირ., 91,34).

წინამდუარი სადამდის ეგებოდეს, მოგცე და რა აღარა ეგებოდეს, მიღმა გიჩუენო (ამირ., 91,21).

ორივე სამეფო შენი არს და სადაცა გიჯობდეს, მუნცა იყავ (ამირ., 74,20).

რარიგსაცა აღაგსა იამებოდეს, იქ უნდა იჯდეს (იად., 73,28).

სადაც სტკიოდეს, იმ აღაგს წაუსვან (იად., 298,12).

კავშირებითი კილო ვით. გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში:

ვითარებითი დამოკიდებული წინადადების კავშირებად არის:

რომელ ისე გეგოთი – რომელ

თუ სთქუა ესე თუ სთქუა – ასრე

ვით(ა) ასე ვით(ა) – ეგრე(თ)

რომ ასრე აგეთი – რომ

მით რამეთუ ეგრე ეგოდენი – რომ

რაოდენცა ესეთი ამ რიგად – რომ

რამდენჯერ	ესრეთ	ასე – რომ ისე – რომ ასრე – ვითა(რ) ესრეთ – რათა(=რომ) ასრე – რომელ რარიგადაც – ისრე
-----------	-------	--

მე კვეთი ქმარი არ მინდა, რომელ ეგრე ვგონებდე, თუ მისი დამართებითი ჯაცი არხო (ამირ., 12,34).

შაპინშას თანა ესრე შეხმებილ ვარ, რომელ ნუთუ მუხტლობით მომაქლევინოს (ვისრ., 166,20).

ერთნაირად განატაროს, ასე არვის დანაბერებს (გურ., 105,560,8).

იმიერ ისე გაიყვანე, რომ ერთმა მეორის ცოლი ვერ იხელთოს (სიბრძ., 132,13).

ძნელია, მცველმან ის ასე დაცოს, რომ მტაცებელმან არ წარიტაცოს (გურ., 232, 362,8).

ბროწეული შეა გახეთქილი რომ იყოს, სულ კველა ისე იყო (მოგზ., 43,26).

ესრე მხიარულად იყო მოაბად, ვითარ მშიურმან ლომმან კანჯრისა ჯოგი დაინახოს, ანუ ვითარ გლახამან კაცმან საჭურჭლე პოოს და სიხარულსა მართალ იყოს (ვისრ., 152,36).

რამინ ასრე გამხიარულდა, ვითა ნახევარ-მცუდარმან კაცმან რა სიცოცხლე დაისკუნას, მუტისა სიხარულისაგან ცრუმლნი გადმოსცუივდეს (ვისრ., 157,42).

ვითა სჯობდეს, ჭაბუქსა უუელასა არაბეთსა შიგან, ეგრე გაასწავლე შვილი ჩემი (ამირ., 21,13).

რამდენჯერ ნაღველი მოგერიოს, კაცი არ გაიკითხო ვით იქმნების, ანუ მერმე რას იტყვის (სიბრძ., 80,5).

დაგიწყებ ჭამასა და ესრეთ განვიღები, რათა ხვალისა დღესა არღარა მინდოდეს საჭმელი (რათა=რომ) (ესოპ., 289,6).

.... და უკეთე ესრეთ, ჯერ-გიჩნს, რაოდენცა ძალ-გედუას ძალიად სლუა (მგზ., 153,43).

რარიგადაც გულ შიგან იამებოდეს, ისრე უნდა ქნას (იად., 73,27).

“მით რამეთუ” გ. ავალიშვილის “მგზავრობაში” დასტურდება ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადაღებაშიც, როცა ის კავშირებით კილოს აწარმოებს, მაგალითად:

იტყვას და სწამებებს უოველნი კერძოდ ამის ხრისტიანები, ძუბლთა მემატიანეთა მიერ რწმუნებულნი, ესრეთ, მით რამეთუ სუბტე ამას ზედა მოკუტოთოსთ თავი წმიდისა მის ქალწულისა გკატერინასთვე (მგზ., 108,24).

კავშირებითი კილო პირობით დამოკიდებულ წინადადებაში:

პირობით დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენებულია კავშირები:

თუ

თუ რომ

თუცა

თუ (მნიშვნელობით რომ)

უპოუ

დადათუ

თუ გინდებს სახლსა შინა წასკლა, დიდითა პატივითა და დიდებითა გაგებ ზავნო (ამირ., 6,33).

თუ ჩემთვის კარგი არ სწადდებს, არ დამაღვებდა კარავსა (თუ=რომ) (გურ., 85,482,გ).

თუ თქვენა ქართლსა არ გთხოვდი, თუ ეს არ მაჯნდებს რიდადო (თუ=რომ) (გურ., 66,281,ბ).

თუ თავი მას არ დაურჩო, სხვას ღმერთი შეუნდობდაო (თუ=რომ) (გურ., 66,284,ბ).

დადათუ არ იყოს მოკლებულ ხედუათა უღრმებესა ამას სიბერება შინა თბება, აწევ მემკლებულ იქმნებოდა მიხლუად ... (მგზ., 151,20).

“უკეთუ” “თუ” კავშირიან პირობით დამოკიდებულ წინადადებებში შეიმჩნევა გარკვეული კანონზომიერება: თუ პირობაში იგულისხმება “რომ” კავშირი, დამოკიდებულ წინადადებაში კილო კავშირებითია, მაგრამ, თუ “უკეთუ” კავშირს “თუ”-ს შინაარსი აქვს, დამოკიდებულ წინადადებაში (ასევე მთავარ წინადადებაშიც) თხრობითი კილოს მომავალი დრო არის სავარაუდებელი, მაგალითად:

უკეთუ მოგიგოთ მე, მაშინ დაჭმოთ აქა საუკუნოდ ჩუბნოანა (თუ მომიგებო, მაშინ დარჩებით) (მგზ., 145,20).

“თავადო! უკეთუ შეხაძლო თქუცხდა იყოს, ნუ დაპშოებით მიუხლველი იერუსალიმსა” (თუ შესაძლებელი იქნება თქვენთვის) (მგზ., 71,28).

მაგრამ შემდეგ წინადადებებში “უკეთუ”, “თუ” კავშირების მნიშვნელობაა “რომ” და კილოც კავშირებითია, მაგალითად:

უკეთუ იყოს მცირეცა საფიქრებელი სენისა მიხოჯს, უთუოდ მეცა ეხრეთუც გაეუფრთხილდებოდი თავსა თჯსსა და სახლეულობასა ჩემსა (მგზ., 54,6).

თუ კაცს ბალდამი სჭარბობდეს, და ან გულსა და ხტომაქზედა ბალდამიანად და გრილად იყოს, ორი ლრამი თეთრი დარიშინი უნსულის შარბათშიგა გამოზილობ (იაღ., 83,7).

და თუ ამისგან უფრო ძალიანი უნდოდეს, მოიტანე ნახუვარზედა დანაყილი ცხენის წაბლი (იაღ., 83,17).

**კავშირებითი კილო დათმობით დამოკიდებულ წინადადებაში:**

დათმობითი დამოკიდებული წინადადება რთული წინადადების კომპლექსში შემავალ ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს, ასეთი ტერმინი ამ ტიპის წინადადებებისათვის გაბატონებულია როგორც მეცნიერულ, ისე სასკოლო გრამატიკებში, სტრუქტურულად დათმობითი წინადადება ჩვეულებრივ მიჩნეულია დამოკიდებულ წინადადებად და იგი იმავე რიგში დგას, როგორიცაა ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება, პირობითი დამოკიდებული წინადადება, განსაზღვრებითი, დროის გარემოებითი წინადადება და ა. შ. ამდენად, ის მოქცეულია პიპოტაქსის კონსტრუქციაში და გამიჯნულია პარატაქსის კონსტრუქციისგან.

დათმობითი წინადადების კონსტრუქციაში მაპირისპირებელი კავშირები ეფარდება დათმობით კავშირს: **მაგრამ, არამედ, გარნა, ხოლო.**

უნდა ითქვას, რომ ტრადიციულ ტერმინს – “დათმობითი დამოკიდებული წინადადება” არ ეთანხმება ჟ. ძიძიგური, მას მიაჩნია, რომ ამგვარ წინადადებებში – “თუმცა ავად გარ, მაგრამ მაინც მივდიგარ სანადიროდ” – დათმობითი შინაარსი კი არა, არამედ გამორიცხვაა: “მთავარი წინადადება სრულდება იმისდა მიუხედავად, თუ რა არის გამოთქმული დამოკიდებული წინადადებით, სხვანაირად, მთავარი წინადადება გამორიცხავს პირობას, რომელიც მოცემულია მასთან დაკავშირებულ წინადადებაში,” ნათქვამის

გათვალისწინებით, მკვლევარს მიაჩნია, რომ ამ ტიპის დამოკიდებული წინადაღებებისთვის უმჯობესი ტერმინი იქნებოდა “გამორიცხვითი”.

ჩვენ ამგვარი წინადაღებებისთვის ისევ ტრადიციულ სახელწოდებას გამოვიყენებთ. მაშასადამე, დათმობითი კავშირებია:

რომ თუცა(=რომც) – ეგრეცა(=მაინც)

თუ (=რომ) რაგინდ – ისევ

გინდ დაღათუ – მაშინცა

გინა

რა გინდ – რაგინდ

რაგინდ რომ

რაოდენცა

გინაÁცა

გითარიცა

გინადცა

მაგრამ დაბალიც რომ დაჯდებ, თუ პაპას და, ან ძმისწელი, ან დისწელი ჰყავს, დიდი კაცი შეირთავს (მოგზ., 61,27).

კაცთა კულტურება თუ მახვილიცა კრძალი იყოს, კაცი მიჯნური ფარად ღუიძლესა მიუკყრობს (თუ=რომ(ც)) (ვისრ., 151,47).

რეალი და ტყეია თუ ათაჯერცა დახურა, ოქროს-ცერად არცა ეგრე იქმნების (თუ=რომ(ც)) (ვისრ., 178,41).

თუცა წელიწადსა საგალსა იყოს, ეგრეცა ნახვა მინდა (ამირ., 67,10).

რაგინდ რომ მცველი იკრთობდებს ძილსა, მაინც ვერ შეხდლება(გურ., 233,363,აბ).

კაცს მართებს დაბლაც დახედვა, რაგინდ მაღლამდის ართსა (გურ., 65, 278,ა).

რაგინდ ბევრი გაწყინო, ისევ ერთგული ბუნება აქვს და არ დამთმობსო (სიბბ., 256,12).

არა აღმოიფხვების უკეთურთაგან ბოროტი, რაოდენცა ფრიად სძლვნიდა გათ (ესოპ., 283,14).

რაოდენცა რამე ფრიად საშინელ იყოს, მრავალ გზის ხილვითა მიახლება მისი გააღვილდების (ესოპ., 284,6).

აქვთ დამოკიდებულ ნიშანი ესე მორჩილებათანი განგრძობათა შინა 12-თა წელთასა, გინადცა იყოს იგო... (საიდანაც უნდა იყოს) (მგზ., 167,4).

უადრეჯებ თოხისა თთურება არავითარებე ძალ-მისს შედგომად ვთხის, გაშინება დაღათუ 300-ისა წილ მაქუნდებლა დღეს ათასი ოქროს (მგზ., 163,6).

გითარიცხა სახითა იყოს იგი, არ ღირს იქმნების შერიცხეულ ჩუქუ შორის (აქ „უნდა” იგულისხმება, “როგორიც უნდა იყოს იგი”) (მგზ., 167,30).

**2.3.2. კავშირებითის მწერივი კავშირებითი კილოს გაგებით სხვადასხვა მოდალურ ნაწილაკებსა და სიტყვებთან: შეიძლება, შესაძლოა, ნუთუ, იქნებ, უგებ, ლამის, ვაითუ, ნეტავ, თითქოს...**

როგორც უკვე აღნიშნულია, კავშირებითის მწერივისათვის თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვა ყველაზე ბუნებრივი, თავისუფალი პროცესია, შესაბამისი მაგალითებიც წარმოდგენილია. ეს, ასე ვთქვათ, თანდაყოლილი უნარია კავშირებითის მწერივებისათვის. კავშირებითი კილოს გადმოცემისას კი სხვადასხვა საშუალებაა გამოყენებული: ლექსიკურ-ინტონაციური თუ სინტაქსური. სინტაქსურია კავშირებითი კილოს გამოხატვა ქვეწყობილი წინადაღების დამოკიდებულ ნაწილში, ხოლო ლექსიკურ-ინტონაციურ საშუალებებში იგულისხმება კავშირებითის მწერივებით კავშირებითი კილოს მნიშვნელობის გადმოცემა სხვადასხვა ნაწილაკისა და სიტყვის დახმარებით, როგორებიცაა: ნუთუ, იქნებ, უგებ, ლამის, ვაითუ, თითქოს, უნდა..., კავშირებითი კილოს გამოხატვა შესაძლებელია ასევე კითხვითი ინტონაციის მქონე წინადაღებებში, მაგალითად:

მე ნუ დამიმალავ, ნუთუ რამე ვიცოდეთ (ამირ., 68,42).

**ნუთუ საჩემო იყოს და მაგაკვლევინო** (ამირ., 72,23).

თუ შებმა ვთქუა, ნუთუ ეგრე თქუას: წახაგებელი გახდიდებიათ (ამირ., 76,1).

**ნუ თუ გასწილდე და ვერა შეგეძლოს ნაკრავისა ჩემისა დაღვომა** (ამირ., 79,46).

**ნუთუ ვინ ღმერთი შეგურისხოს და კაცნი მოიბირნეს და უბადოდ მოჰკუდე** (ამირ., 98,1).

**ნუთუ რა მიჯნურობისა ჭაშნივი ნახოს, არ უწყალოდ ამპარტავან მექმნას** (ვისრ., 153,32).

**ნუთუ გული მისი უსამართლოისა ქმნისაგან განსწმიდოთ** (ვისრ., 155,45).

რათგან ბედნიერი სული მეცემის, ნუ თუ ღერომან სრულად არ მიმცეს უბედურებასა და კნახო ვიხისა პირიცაო (ვისრ., 179,30).

ამისი ხელსახოცი ეგება მიშოვნო საღმეო (მოგზ., 79,27.)

აგერ ვირი კაჭკაჭმან ლამის შეჭამოს (ხიბრ., 293,15).

ეგების შენოვის და ჩემთვის სამოსელი გიყიდოთ (ხიბრ., 82,11).

ეგების როგორმე დაგიყოლით ცოლი ჩემი სახესა ქუმა შე კონტანტინოპოლის ცხოვრებისასა (მგზ., 162,27).

ნეტავი ნახოთ და ... მაშინ შეიტყობოთ (მოგზ., 144,6).

ერთი, ამად რომ ეგების მართალი იყოს და ბევრის კაცის შოვნა ვერ შეიძლოს (ვახტ., 112,33).

ამისი ხელსახოცი ეგება მიშოვნო საღმეო (მოგზ., 79,27).

“დავითიანში” “ებები” (“ებების”) ფორმის ნაცვლად გეხვდება “აგები” (“აგების”):

თქვებ გოდლის აგება, მით კეწვდეთო აგება (გურ., 259,565,8).

კმარა, კმარა, ნულარა სცოდავ, სულს აგების მიხვდებ შვება (გურ., 148,1).

თქვა, შეშინდებო, ეს გოგო აგებ (გურ., 194,98,8).

კეთქვი თუ, აგების უფალმან აქ მის სნაუნა საკანკალოსა (გურ., 89,441,8).

ნუბები, რომ ჩეებ ერთნი შევიქნაო, აგებ გვედირსოს ძილები (გურ., 60,240,8).

გ. ავალიშვილის “მგზავრობაში” “შესაძლოა”, “შეიძლება” მნიშვნელობით დასტურდება “იყოფინ” ფორმა, მაგალითად:

და ერთი მათგანი იყოფინ დაუთხოვთხოთ მათ ვითართამე უწევხოთა ქცევათა გამო (მგზ., 183,25).

თქვენულთა ამათ გამო გვონებდი მე, ვითარმედ ენაგელი ესე იყოფინ იყოს ვითარმე მოხუმარ შორის მცნობთა და კეთილმეობებითა თჯეთა (მგზ., 141,14).

... ვითარმედ არ კერძენო ხშირად სუსტოა სქესთა, რომლისაგანცა იყოფინ იწარმოს ნაყოფმან კეთილმან (მგზ., 96,19).

მოყვანილი მაგალითები, ისევ რთული ქვეწყობილია წარმომავლობით, კავშირებითი კილო მის დამოკიდებულ ნაწილშია გაფორმებული.

პატშირებითი კილო თითქოს ნაწილაკთან:

თანამედროვე ქართულში II კავშირებითის მწერივების გამოყენება კავშირებითი კილოს ფუნქციით ჩვეულებრივია თითქოს ნაწილაკთან.

**თითქოს** ნაწილაკის შესახებ მითითებულია სპეც. ლიტერატურაში, რომ იგი წარმოშობილი უნდა იყოს ჩართულის ტიპის ზმნური გამონათქვამიდან თითქოს (<— თუ ითქვას = თუ შეიძლება ითქვას). ასენილია ამ ნაწილაკთან კავშირებითის გამოყენების მიზეზიც. ავტორის თქმით, ჩართული, როგორც მოსაუბრის ემოციების, მისი განწყობილების გამომხატველი განზოგადებული გამოთქმა, გარკვეული მოდალური შინაარსის შემცველია (ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ გამოთქმებში კავშირებითის ასეთი ფართო გამოყენება) (პაპიძე, 1981, 165).

**თითქოს** ნაწილაკი სპარსული “to gop’ti”-ს (თუ თქვა, თუ ითქვას) კალკი უნდა იყოს (დ. მელიქიშვილი). ეს კარგად ჩანს “ვისრამიანის” ქართული თარგმანიდან, სადაც დადასტურდა “თუ თქუას” (თითქოს) ფორმასთან კავშირებითის მწკრივის გამოყენების მაგალითები:

ნათელი დღე იყო, მხიანი, პამო და მაშინვე, **თუ სთქა**, შეღამდა, ასრულა დაბრედრო ქუეყანა (ვისრ., 145,24).

პე სანატრელო, საყუარელო ყოვლისა კაცისაო, **თუ სთქა**, ერთი ვაშლი ორად გაყოფილნი ხართ (ვისრ., 156,38).

ვისის საუბრისაგან სურნელობისა კუამლი, ვითა პაკრსა ზედა ღრუბელი, დადგომილ იყო, **თუ სთქა**, აბარსა და ალვას აკუმულებე (ვისრ., 158,31).

ეგ ზომსა სუმიდიან და იხარებდინ, რომელ **თუ სთქა**, ქუეყანისა მდინარე ქუელა ღუინისა იყო (ვისრ., 167,37).

ამას უკულასა ზედა წყალ – ჯავარი, **თუ სთქა**, იმასა აქეს ყოვლისა სოფლისაო (ვისრ., 143,18).

კმა იყო, **თუ სთქა**, ეშმათა კმა არისო (ვისრ., 149,17).

### 2.3.3. კავშირებითი კილო კითხვითი ინტონაციის შემცველ წინადაღებებში:

რასაღა გაგრძელებდე, წავედით (ამირ., 95,19).

მე თქუებრივ პატრონი სადა გვპოვო? (ამირ., 86,46).

რასაღა მოვსოულიდე, გამოჩნდა მჴეცი ერთი (ამირ., 10,6).

ქუეყანასა გულის-ნება და სიხარული გითდა გნებნო (ვისრ., 183,40).

მისგანვე დაღალული გული გითაღა უჩუენო, რომლითა სირცეულითა  
მიგჰმართო, რა საუბარი მოვიგონო, რა მიზეზი მოვიღო მისისა გაყრისა, ანუ  
სულდგმული გით ვეცრუ? (ვისრ., 177,16).

აწ მე რაღა ვქმნა, რაღა შენდობა გითხოვთ ჩემთა ხულთა წამდებლისაგან  
(ვისრ., 177,15).

გის გადარო, ჩემთვის ძვრარო (გურ., 73,334,ბ).

რაც თქვენში მგლებმან დაჭამოს, ჩვენ გითარ გიზღოთ დორუბი? (გურ.,  
65,273,ღ).

შევფიცე, გით-და გიტვირთო ეს საქმე ფიცთა გმობისა (გურ., 59,229,ბ).

მაგრამ რაღა ვქნათ, თუ ლხინსა სწრაფ ჭირად შევიცვლიდეს! (გურ.,  
56,211,ღ).

მისგან წამდარი საქმენი სხვა მოგახსენო რაღანი? (გურ., 53,187,ა).

რა ვქმნა, ეს სოველი მოკლეა (სიბრძ., 287,14).

ამის ნაკვეთარი რით გადავიხადო? (სიბრძ., 248,19).

მათი სამსახური გითა სცნას, რას მიიჭირვებენ მისთვის (სიბრძ., 55,19).

ამის მეტი რა გითხრა (მოგზ., 42,36).

სხვა წვრილმანი რაღათ გიწერო (მოგზ., 35,1).

გითარ აღსწეროს გონებამან გამოუცდელმან მას შინა (მგზ., 104,6).

გითარ დაგერწმუნო მე, რომელ თქუცხ ხართ უკუც მოხვლულ აქა (მგზ., 133,37).

დ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ ამგვარი წინადადებები “უნდა” მოდალურ  
ნაწილაკს გულისხმობს. მართლაც, ზემოთ წარმოდგენილ წინადადებებში  
კავშირებითის მწერივის ზმა-შემასმენელთან “უნდა” თავისუფლად თავსდება,  
მაგრამ, ვფიქრობ, რომ ასეთ შემთხვევაში ინტონაცია შეიცვლება, მაგალითად,  
დავაკვირდეთ “მოვიტანო?” და “უნდა მოვიტანო?” ფორმებს, მათ შორის  
ინტონაციური სხვაობაა: მეორე გაცილებით უფრო პატეგორიულია და  
მომავალში უსათუოდ შესასრულებელ მოქმედებას გულისხმობს, ხოლო  
პირველი ფორმა მეტად ზოგადია, სათუოა, სავარაუდოა, საქვროა. ასეთივე  
ინტონაციური სხვაობაა შემდეგ მაგალითებში: რა გავაკეთო? – რა უნდა  
გავაკეთო? როგორ მოვიქცე? – როგორ უნდა მოვიქცე? და ა.შ.

### **2.3.4. კავშირებითია კილო “უნდას” შემცველ წინადაღებებში:**

ზემოთ ვახსენეთ, რომ უნდაობითი მოდალობის შემცველი წინადაღებები არსებითად მასდარ-ინფინიტივის კონსტრუქციის საფუძველზე უნდა იყოს აგებული, ისევე როგორც ნებისმიერი მოდალურზმნიანი ქვეყნის წინადაღება. ვგულისხმობთ ძველი ქართულის ამგვარ ფორმებს:

რომელსა ჰქებავს კუალსა ჩემსა შედგომად, უკარ-ყავნ თავი თჯნი (პ., 16,24).

და უნებს რაღმე სიტყუად შეხდა (პ., 12,47).

ხოლო იგი განრისხნა და არა უნდა შინა შესვლად (ლ., 15,28).

(მასდარ-ინფინიტიური კონსტრუქციების ნიმუშები საშუალი პერიოდის ქართულის ძეგლებშიც მოიპოვება. დასტურდება ისინი “ეისრამიანში” “ამირან-დარეჯანიანში”, “ვეფხისტყაოსანში”, “დავითიანში”, განსაკუთრებით და უჩვეულოდ ხშირად – დავით ბატონიშვილის “სამართალში”, რაც არ შეიძლება, ბუნებრივ მოვლენად ჩაითვალოს და ანტონ I-ის გავლენას არ უკავშირდებოდეს. მაგრამ ამჯერად, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, ამ საკითხებები არ ვამახვილებთ ყურადღებას (მით უმეტეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი საფუძვლიანად არის შესწავლილი და გამოკვლეული არაერთი ენაომეცნიერის მიერ).

“უნდა” ზმნა ძველ ქართულში უდლებადი ფორმაა, რომელმაც სუბიექტური პირი დაკარგა. პირის დაკარგვის მიზეზის შესახებ ნ. კოტინოვი წერს: “ქვეწყობილ წინადაღებაში კავშირის ჩავარდნის შემდგომ იგი კიდევ უფრო დაუხალოვდა დამოკიდებული წინადაღების კავშირებითი კილოს ზმნას, ამ ზმნასთან ხშირი ხმარებისა და მასთან განსაკუთრებული შინაარსობრივი სიახლოვის გამო იგი კავშირებითი კილოს ზმნის უბრალო დანამატად იქცა და პირის გამოხატვაც მას დააკისრა”(კოტინოვი 1986: 89).

ავტორს ნაჩვენები აქვს უნდაობითი ფორმების განვითარების საფეხურები:

I საფეხური: მას უნდა, რომ გააკეთოს; შენ გინდა, რომ გააკეთო; მე მინდა, რომ გაგაკეთო.

II საფეხური: მან უნდა, რომ გააკეთოს; შენ უნდა, რომ გააკეთო; მე უნდა, რომ გავაკეთო.

III საფეხური: მან უნდა გააკეთოს, შენ უნდა გააკეთო, მე უნდა გავაკეთო.

იქვე მოცემული აქვს ამ საფეხურების განვითარების დამადასტურებელი მაგალითები (კოტინოვი 1986: 89).

ჩვენ მიერ განხილულ ძეგლებში უნდაობითი მოდალობის მქონე ფორმებს დასრულებული სახე აქვს, მაგალითად:

მაგ რიგი ხატი უნდა იმ წისქვილში ესვენოს და ღამით გაუქრობლად სანული ენთოს (გურ., 284,13).

კაცმან უნდა ხიწმინდით თავი შეინახოს, არავერი ბოროტი გულით განიძრახოს, თვით ერიდოს საძრახავს, სხვასა არა სძრახოს (გურ., 130,თი).

ცოდვისა აღხარება უნდა გამანდოთ და მონანული წავიდეთო (სიბრ., 45,33).

ვეზირი პატრონისა და ქვეყნის სამჯობინაროსა მდომი უნდა იყოს (სიბრ., 89,1).

ეს თეთრი უნდა აღიდოს ამან და მე მომიტანოს (სამართ. დავ., 225.7).

თეთრი ამას მოაპარეთ, ან – ეს თეთრი მანდ უნდა მიბარდეს (სამართ.დავ., 225.8).

ხოლო შეხავლისა და გასავალისა დავთარი პირველ დაღბაშია და ამ მეორებ, თრივეს უნდა ერთად ჰქონდეთ (სამართ. დავ., 191,19).

დავით ბატონიშვილის “სამართალში” “უნდა” სიტყვა კავშირებითის მწერივთან იშვიათად დასტურდება, გაცილებით ხშირად იგულისხმება, მაგალითად:

კვალად (უნდა) ეცადნენ სენატსა შინა მყოფთა, ...მეწრავლად გარდახწყვიტობ კოვლისავე განხილვითა და უურის მიგდებითა (სამართ. დავ., 198.1).

და მხგავხისავე სახითა კოველთა სარქარდართა (უნდა) ჰყვანდეთ თვითო ეშიკადაში თუ ხი საჯუთარი (სამართ. დავ., 193.23).

ხარჯი ანუ ხამოქალაქი მოხაკრეფი რაოდე (უნდა) მოიკრიფებოდეს მათგან თვითერ კოვლის თუალდებისა და (უნდა) მიიტანებოდეს მათგან შეხაბამის აღვილესა (სამართ. დავ., 181.19).

შევადაროთ ასეთი ფორმები მისსავე რუსულ პარალელურ ტექსტს:

“სამართალი ბატონიშვილის დავითისა” «Приписка в крепость чужестранцев»

[“ე. ბატონიშვილისათუ”]

ხოლო ვინცა ვის ეყმოს პაქმანითა  
და პაქმანი ჯერეთ არა სრულ-ეყოს,  
უპეტუ იყოს მიხებან მსახურებისა ტვი-  
რთვად, მაშინ, რაოდენიც უწერის პაგ-  
მანი, აღუსრულოს მსახურმან მან.

278. А естьи иностранец или же  
кто-нибудь из своих соотечественни-  
ков обяжется служить по условию,  
то непременно **должен выжить** по  
уговору все урочные годы».

უფრო დასრულებული და ჩამოყალიბებული სახე აქვს უნდაობით ფორმებს გახტანგ VI-ის “სამართალში”, მაგალითად:

თუ კერ იფიცა, რასაც ედაგების, უნდა მისცეს (ვახტ., 86,34).

თუ დაწამებული კაცი გამტკუპნდეს, მკვდარს ხიხხლო უნდა მიეცეს (ვახტ., 61,10).

თუ დაჭერილი არის ვინმე, იმის აშვებას უნდა გაურიგოს (ვახტ., 93,10).

მაგალითები მოგზაურობის ჟანრის თხზულებებიდან:

უნდა დიდი ეპლებია ააშენოს და შეაძლოს (მოგზ., 65,4).

მასუკან კოვლის დღეს ასე უნდა იქნახო (მოგზ., 83,23).

სამეფო სასახლე უნდა იყოსო (ვახტ., 106,7).

## 2.4. კავშირებითის მწერივი ბრძანებითი კილოს გადმოსაცემად

2.4.1. კავშირებითის მწერივი გამოიყენება I პირის მრავლობითი რიცხვის ბრძანებითი კილოსათვის, მაგალითად:

გუალე, იგივე გზა უკუგიაროთ (ამირ., 72,4).

აწ დღისით მივიდეთ და სადა უფროსნი ლაშქარნი იყვნენ, მუნ შევებნეთ (ამირ., 105,11).

აწ გამოვარჩიოთ აღგილი და დავდგეთ, ჩუენ წავიდეთ. მცირედნი კაცი გიბეზღნეთ და მოვიყვანეთ სიმარჯუება (ამირ., 104,34).

აწ დავხსოვთ, ამა წელიწადსა ერთსა ვიყვნეთ კიდის-კიდე და მერმე დღეთა ჩემთა უშიშად ერთად ვიყვნეთ (ვისრ., 166,25).

მერმე რაცა ჸამბ, მიხი თათბირი გქმნათ და ჩუენი საქმე ვიურვოთ (ვისრ., 185,26).

მოვიტიროთ ჩვენ სამკვიდრო თავში ჸელის შემოკრებით (გურ., 52,181,8).

წავიდეთ და დაუმტკრიოთ კარნი მაგრა დანაჯარნი! (გურ., 64,268,8).

ცოტას ხანს საქმეს დაუგდოთ უერი ... გხცნათ ერთმანეთი (გურ., 187,54,8).

მოვედ და ვისამართლოთ! (სიბრძ., 54,13).

დათვს ბელები უყოლება, იგინი გამოვასხათ! (სიბრძ., 136,20).

მოვედ, ხაყუარელო ჩემო, ჩემთანა და ზოგად ვისეროთ (ესოპ., 289,3).

**2.4.2 კაგშირებითის მწერივი გამოხატავს მესამე პირის ბრძანებითს  
(მხოლოდითსა და მრავლობით რიცხვში), მაგალითები:**

დაუსრულებელ ყველა ღმერთმან მეფობა ოქუენი (ამირ., 110,20).

შეიძნენ და გარდიწყვიტონო (ამირ., 107,43).

წინამდღვარი მომცენ და ვაზირობა აღარ გინა (ამირ., 91,29).

რაცა ხჯობს, ღმერთმან იგი გაქმნევინონო (ვისრ., 186,2).

მარავი ... ღმერთმან შენ გიძედნიეროს (ვისრ., 161,25).

მას ღმერთმან ჩემად ნაცულად სხეული ვინმე მისცეს და ჩემი სახელი და სიყვარული დაავიწყონო (ვისრ., 157,25).

ეს კონა წნევლი იყოს შენია (გურ., 187,52,ბ).

როგორც უჯობდებო, ისე ქნან, მითამ არც ერთი მყოლია (გურ., 100,523,ღ).

ამ ნება შენი ჩემზედა აღსრულდეს აღსასრულით (გურ., 90,446,ა).

ღმერთმან თქვენს მტერსა შევაროს, რაც მე ამიტყდა ჭირია (გურ., 93,468,ბ).

ხათუნმან თავი დაიმდაბლოს და დათვენოს (სიბრძ., 298,1).

შენი ქონება ღმერთმან მოგახმაროს! (სიბრძ., 101,10).

ეს მიხი იყოს და მან ჭამოს (სიბრძ., 104,9).

ღმერთმან მოგცესთ კეთილი გზა, მშენდოით (მგზ., 178,22).

მიუხედავად იმისა, რომ დავით ბატონიშვილის სამართლის ძეგლში კაგშირებითების მწერივებით ძირითადად მომავალი დრო იგულისხმება (როგორ ქვეწყობილი წინადაღებების დამოკიდებულ ნაწილში), ვფიქრობთ, რომ ხშირ შემთხვევაში III პირის ბრძანებითი კილოც არის საგარაუდებელი, მაგალითად:

და ოდეს ხცნას, მხერაფლვე პატიმარ-ჟყოს მოურავმან და მიუმცნოს შეხაბამის აღვილება (სამართ. დავ., 207.21).

...ხცნას რა ნამდვილ, პატიმარ-ჟყოს; ანდა... პატიმრობითა წარგ ზაგნოს შეხაბამის აღვილება (სამართ. დავ., 207.23).

ხოლო სხვათა ზედან, გარდა ამათთა, გერ იგადროს განვაჭრებავ! (სამართ. დავ., 203.1).

#### **2.4.3. ბრძანებითის იშვიათი ფორმები**

ბრძანებითის იშვიათ ფორმებში გაულისხმობთ კავშირებითის მწერივებით II პირის ბრძანებითი კილოს გადმოცემას მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში და I პირის ბრძანებითის გამოხატვას მხოლობით რიცხვში.

ა) II პირის ბრძანებითის ფორმების გადმოცემა კავშირებითის მწერივებით უცხო არ არის განხილული ძეგლებისთვის, უფრო მეტიც, გაცილებით უფრო პროდუქტიულია, ვიდრე ძველ ქართულ ძეგლებში.

ბრძანებითი კილოს განსაზღვრისას ჩვენ ამოვდივართ დებულებიდან, რომ მოუბრის სურვილი უნდა იყოს შესრულებული. ეს სურვილი შეიძლება გადმოიცეს არა მარტო ბრძანების სახით, არამედ თხოვნის, წაქშების, ხვეწნა-მუდარის, დალოცვის, წყევლა-კრულვის (ნინუა 1968), ასევე მუქარის, გაფრთხილების, უბრალოდ მიმართვის, მოწოდების, ტრაბახის, დარიგების და ა.შ. სახითაც, ასე რომ, ჩვენ მიერ წარმოდგენილ მაგალითებში ბრძანებითი კილო სხვადასხვა ნიუანსებს გამოხატავს, მაგალითად

**საკუთრივ ბრძანების ნიუანსით:**<sup>1</sup>

**მოხუიდოდეთ ჩუენსა კუალსაო** (ამირ., 23,9).

**თქუენ ლაშერთა ებრძოდეთ, ვირემდის ვეშისაგან მოვიცლიდეთ** (ამირ., 95,42).

**მაშინ მოიქცა მის კაცისა კერძო და უბრძანა: იტყოდეთ** (ამირ., 4,17).

**მუქარა-გაფრთხილების ნიუანსით:**

**რა ემა იყო, პატრონისა ადგილსა ექრძალვოდე** (ვისრ., 165,6).

**ესე მტკიცედ იცოდე, რომელ ანუ სიკუდილი შენი მოხულ არს და ანუ ჩემიო** (ამირ. 58,39).

**იცოდე, რომელ უომრობა არა ეგების ჩუენგან** (ამირ., 102,24).

**დახტურად მოგკლავთ, იცოდეთ** (ამირ., 16,3).

**მიმართვა-მოწოდების ნიუანსით:**

**რემისა მათისა ესე იცოდე, რომელ ესეთი ცხენები გამოვა, ვითა გინახავს** (ამირ., 82,31).

— — — — —  
1 შენიშვ. საშუალი პერიოდის ტექსტებში ამგვარი ფორმების ფუნქცია უფრო ფართო იყო, თანამედროვე მთის კილოებში კი მათი მნიშვნელობა დაგიწროებულია: მხოლოდ თხოვნითი ბრძანებითის ფუნქციით გამოიყენება.

პირველად ესე **იცოდე**, რომელ წაგალ დახტურად (ამირ., 16,42).

**იცოდე**, კიხო, რომელ ღმერთმან შემიწყალა, რა შენ დაგეჟებული (ვისრ., 171,3).

პირველ სერიაში ამ ტიპის მაგალითი სულ ცხრაა “ამირანდარეჯანიანში”, ამათგან ექვსი “ცოდნა” ზმნით არის ნაწარმოები. ამ ფორმებში რომ ნამდვილად კავშირებითის მაწარმოებელია -ე (და არა ძველი I ბრძანებითისა), იმითაც დასტურდება, რომ, როგორც უკვე ვთქვით, “ოდ” და “დ” სავრცობიანი ზმნების უნიფიკაციის პროცესი დასრულებულია – ორივე სავრცობი I სერიაში კავშირებითის მწერივის ნიშნად ეს გვიჩვენებს, ხოლო უწევებლის მაწარმოებლად – ის.

ცნობილია ასევე, რომ II პირის ბრძანებითის წარმოება კავშირებითის მწერივით უცხო არ არის ძველი ქართულისთვის (კუბლაშვილი, იმნაიშვილი). გარდა ამისა, “ცოდნა” ზმნა ერთადერთია, რომელიც თანამედროვე ქართულში II პირის ბრძანებითს კავშირებითის მწერივით აწარმოებს (“**იცოდე**, არ გაბედო”). ”ვისრამიანში” ორჯერ დადასტურდა “ცოდნა” ზმნა მეორე პირის ბრძანებითის ფუნქციით კავშირებითის მწერივში.

ამავე ძეგლებში დასტურდება “ცოდნა” ზმნა I ბრძანებითის ფუნქციით (სამი მაგალითია “ამირანდარეჯანიანში”, ორი – “ვისრამიანში”, ერთიც “იქმს” ზმნისა – “ამირანდარეჯანიანში”) -ი სუფიქსით.

ესე **იცოდით**, რომელ ვირემდის ჩუენ არა დავიტოცნეთ, თქუენ მანამდის არა გევნოს (ამირ., 47,8).

მე უდონიოდ წაგალ, **იცოდითო** (ამირ., 95,17).

ხვალე უდონიოდ წაგალ **იცოდი** (ამირ., 27,28).

და თუ გაჯობო, ამასევე შენ იქმოდით (ამირ., 76,24).

შაპრო, **იცოდი**, რომელ საუკუნო არის სამკუდრო კაცისა და მას საუკუნება განციცხავის იქმნების (ვისრ., 152,13).

მაგრა რასაცა ეძებს, ეხეცა **იცოდი**, კერა პპოებს (ვისრ., 157,23).

მეორე სერიაში კავშირებითის მწერივით II პირის ბრძანებითი ერთადერთი ზმნით (ნახვა) არის წარმოდგენილი “ამირანდარეჯანიანში,” მაგალითად:

მიმართვა-ტრაბახის ნიუანსით:

აწ ნახოთ, პირნო იამანისანო, ჭაბუკობა ჩემიო (ამირ., 24,27).

დადეგ, შენ ჯერ ცოტა ემა ხარ და ნახო შენისა მონისა და გამზღვდებლისა მთიო (ამირ., 21,39).

აწ ნახოთ კოფა ხანთა მეფის ბუმბურაზისათ (ამირ., 25,25).

აწ ნახო ბუმბურაზი შენიო (ამირ., 39,16).

ნუ შეიჭირვებ, ჩემსა მზესა, აწ ნახო ჭაბუკობა ჩუქიო (ამირ., 103,3).

გუიბრძანა შორს უკუდომა და ნახო ჭაბუკობა ამირანისა და ხეველავ-ლენიო (ამირ., 103,10).

აწ ნახო მონაქნევი მონისა შენისა ომად მაღისძისათ (ამირ., 72,22).

ასეთი შემთხვევა სულ ათია. ამ მაგალითებში შეიძლება მომავალი დროც გვევარაუდებინა, რომ არა II ბრძანებითის ორი ფორმა:

ჭენთა მეფის ახულო, მოიქც და ნახე საქმრო შენიო (ამირ., 73,15).

აწ ჩემგან ნახე სიფიცხე შენ ზედა, თუ რა მოვაწიო (ამირ., 42,42).

ერთგან მართლაც შეიძლება მომავალი დრო იყოს სავარაუდებელი, რადგან “ნახო” ფორმასთან სინტაქსურ კავშირში მყოფი ზმნაც მომავალ დროს გამოხატავს:

თუ მათ შენ დაგაჯერონ, მაშინ კულა ნახო ჭაბუკობისა შენისა ძალა (ნახავ) (ამირ., 25,4).

II პირის ბრძანებითი კილო II კავშირებითის მწერივით დადასტურდა “იადიგარ-დაუდიშიც”, მაგალითად

რჩევა-დარიგების ნიუანსით:

თუ ესე არ იცოდეთ, ისევ სხეული რომლისა ხილთისაგან არის ავად, მაჯა უნახოთ და მით შეატევობთ (იად., 53,30).

ამ შემთხვევის გარდა მხოლოდ “იცოდე” ფორმითაა წარმოდგენილი II პირის ბრძანებითი კილო, მაგალითად

დარიგება-გაფრთხილების ნიუანსით:

იცოდეთ, ამა სხეულს მწერდ სიცხე და სიმხურვალე აქვს (იად., 54,9).

თუარა და ეს იცოდეთ (იად., 73,21).

ძეგლში “იცოდე” – “იცოდი” ფორმები ხშირად მონაცემდება II ბრძანებითის გადმოსაცემად:

თუ მტეხარს ტეხა თოხს დღემდისი გაუგრძელდეს და აღარ მიეცეს, იცოდი, მარტვილი მკვდარი არის (იად., 77,12).

განსაკუთრებით საინტერესოა “დავითიანი” იმ თვალსაზრისით, რომ ხშირად დასტურდება კავშირებითის მწერივებით II პირის ბრძანებითი მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფორმების უმეტესობა

პირველი კავშირებითის მწერივით არის გადმოცემული, მაგალითად, მხოლობით რიცხვში I კავშირებითით გამოხატული ბრძანებითი

**რჩევა-დარიგების ნიუანსით:**

იქმოდე გულის თქმისასა გემოვნებისა თმენასა, ... გულით უფრთხოდე, უურითა სასაფრთხოს ხიტყვის ხმენასა (გურ., 34,53,აგ).

უურით ისმენდე, გულთ მოდგინებით! (გურ., 249,493,ბ).

**წყევლის ნიუანსით:**

...უოვლე პირუტყვო-მჸეცთაგან წყეულ იყავ! ხვიდოდე მკერდითა მუცელზედ თრუებითა, მიწასა ხჭამდე! (გურ., 242, 434,გდ).

მის ვაჟთა თუ ქალთა უმზერდე კბენად! (გურ., 242,436,გდ).

შენ ქმარსა მონებდე, უსმენ-უგონებდე, რახაც გეტყოდეს! (გურ., 242, 438,ბგდ).

ნებარ, ეს როგორ შენ მცადრე, ხვიდოდე, ვით ურთყინაო! (გურ., 171,13).

**თხოვნის ნიუანსით:**

მე შენთვის ნებსით მოძევდარსა მამიგონებდეთ. მაგ ჩემს წერილსა წიგნებსა მშიერსა მწყერვალე ასმევდე, შიშველს შემოსდეთ, უძლურსა, სხეულს ნახევდეთ. საპყრობილები მჭმენვართა ნუგეშსა სცემდეთ, პატიმარს, ტყვესა, უცხოსა შეიწყნარებდეთ (გურ., 128,44,ბ; 45,აბ; 46,აბ; 47,აბ).

**დარიგების ნიუანსით მრავლობით რიცხვში:**

გაფრთხილდით, ანარცეს არ ჩავარდეთ, ბრძნად გარდავლებდეთ გზას თვალსა (გურ., 174,30,ღ).

საინტერესოა, რომ ამგვარი ფორმების უმრავლესობა I სერიაშია, მაგრამ დადასტურდა კავშირებითის მწერივით II პირის ბრძანებითის ფორმები II სერიაშიც, მაგალითად

**წყევლის ნიუანსით:**

რამეთუ შენ ხარ მიწა და წყალ-ცეცხლ-ქარ, მიწადცა იქცე! (გურ., 242,441,გდ).

**რჩევა-დარიგების ნიუანსით:**

თეიმურაზ მიუგ ზაგნო, თქვენი ძმააა, მიხი სიძე (გურ., 59, 235,ბ).

**თხოვნის ნიუანსით:**

რაც მე მოგითხარო, შენ მით განმახარო, მახუმრ-მამასხარო, მაცინ-მახარ-ხარო, დავითის მტერთ ხარო ძირით აღმოსთხარო (გურ., 116,გდევ).

დავით გურამიშვილი სრულიად ახალგაზრდა მოსწყდა სამშობლოსა და მშობლიურ გარემოს და თან წაიღო, ერთი მხრივ, ძველი ქართული

მწიგნობრული ცოდნა, ხოლო მეორე მხრივ – იმდროინდელი ცოცხალი ენობრივი ჩვევები, ამიტომ მისი პოეტური ენა გაჯერებულია იმ ცოცხალი კილოს სურნელით, რომელიც მან სიჭაბუკისას წაიღო თან და სამუდამოდ მასთან დარჩა, ვინაიდან სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. ეს ძირითადად არის არაგვის ხეობის ქართლური, ანუ ცოცხალი ქართული ენის ის მდგომარეობა, რაც მე-17-18 საუკუნეებისათვის საქართველოს ცენტრალურ რეგიონებში იჩენდა თავს (გიგინეიშვილი 2009: 353-355).

II პირის ბრძანებითი კილოს გამოხატვაც კავშირებითის მწკრივებით სწორედ იმ პერიოდის ხალხური ენისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

“დავითიანში” I კავშირებითის მწკრივი II პირის ბრძანებითის ფუნქციით დადასტურდა 48 ზმნა-შემასმენელთან, ხოლო II კავშირებითი ამავე ფუნქციით – ხუთ ზმნა-შემასმენელთან.

კავშირებითის მწკრივებით გამოხატული II პირის ბრძანებითის ფორმები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში დასტურდება სულხან-საბასა და ესოპეს იგავ-არაკებშიც, მაგალითად

#### **გაფრთხილების ნიუანსით:**

ღმერთი თქვენს ნებას არ მოზამს, **იცოდეთ!** (სიბრძ., 169,2).

#### **რჩევა-დარიგების ნიუანსით:**

მომიცია აღგილი სამეფო ჩემი და დღეის წაღმა **უფლებდე კოველსა ზედა,** (სიბრძ., 142,9).

კეთილი მაზლი ხარ, ეგრე **ჰყოფდეთ!** (სიბრძ., 113,9).

იმას სცდილობდე, რომელიც მისი გულითადია, იგი გაიერთო, თვარა დღე დაგიმოკლდება (სიბრძ., 119,6).

კისიც ხიტყვა იამება, შენც **უქო,** თვარა თუ უძაგო, არ ეძაგება და შენ გახცრუვდე (სიბრძ., 119,4).

შენ ესე უწყოდე ... (ესოპ., 281,34).

#### **თხოვნის ნიუანსით:**

...სიტყბოსა წყლითა მისი ალი დაშრიტე, და მერმე **მუტყოდე!** (სიბრძ., 54,15).

ხევას ანდერძს არა გუტყვი, ოდონდ ეს ათავო (სიბრძ., 298,19).

სულხან-საბას “სიბრძნე-სიცრუისაში” I კავშირებითის მწკრივით გამოხატული II პირის ბრძანებითის რვა შემთხვევა გვაქვს, ხოლო II კავშირებითის მწკრივით – ორი.

ესოპეს იგავებში I სერიის კავშირებითის მწერივით გამოხატული II პირის ბრძანებითის სულ ერთი მაგალითია.

კავშირებითის მწერივებით II პირის ბრძანებითის გამოხატვის ნიმუშები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში დადასტურებულია დავით ბატონიშვილის “სამართლის ძეგლშიც”. ეს ფორმები ძირითადად უკვე “უწყის” ზმებშია მოცემული (მნიშვნელობით იცის), მაგალითად

#### გაფრთხილების ნიუანსით:

ხოლო უწყოდებ ესე ყოველთა, რომელ ზოთვისაგან ქმარსა არარაღებ კედლების (სამართ. დავ., 41.20).

ხოლო უწყოდებ მსაჯულთა: ... (სამართ. დავ., 127.13).

არამედ ესეცა უწყოდებ, რომელ დიდისა საქმისთვის იქმნების ფიცხელი ტანჯვად (სამართ. დავ., 146.32).

ვახტანგისეულ სამართლის წიგნშიც მოიძებნა II პირის ბრძანებითი კილოს მაგალითი კავშირებითის მწერივით, მაგალითად

#### რჩევა-დარიგების ნიუანსით:

რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ, მით სჯიდეთ და სამართალსა მართალსა იქმოდეთ (ვახტ., 46.21).

ეს იცოდეთ, დამარხვით გუნებაში გქონდეთ (ვახტ., 47.20).

ეს ფორმები დადასტურდა სულხან-საბას “მოგზაურობაშიც”, მაგალითად

#### მიმართვა-მოწოდების ნიუანსით:

რაც გეპრიანებოდებ, ერთხა მოსამხახურებ მიბოძებდე და მიბრძანებდეთ (მოგზ., 58.31).

ორი მაგალითია გ. ავალიშვილის “მგზავრობაშიც”:

და უკეთუ სხვებრუთულ გნებავთ იგი, მაშინ, დამტკვებელმან სხუათა აქრძოთა, მაჩუქროთ მე საგანი განსუბნებისა აღმოსავლეთისადმი (მგზ., 51.14).

უწყოდებ! ვითარმედ ვერა დაიმკვიდრებს ძერა თანა აზნაურისა (მგზ., 85.43).

ხშირია II პირის ბრძანებითი კილო მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში თედო ჟორდანიას “ქრონიკებშიც”, მაგალითად

#### თხოვნით-ბრძანების ნიუანსით:

1259წ. რკონის სიგელი:

და დაგდევით ყოველთა წელიწადთა თვითო ლიტრა სანთელი და ოროლი ლიტრა ზეთი და ესე ამხახუროთ და არაოდებ არა მოშალოს (ქრონ., 143.14).

1312წ. ცაიშის საყდრის ოლარზე ამოკერილი წარწერა:

და რაოდენნიცა ებისკოპოზნი იჯმარებდეთ, ლოცვასა მომიჯსენებდეთ (ქრონ., 175,29).

1399წ. მცხეთის გუჯარი №56:

... კ' ზო ელიოზ... გვილოცვიდეთ... ქე აშენითი ქარტი ნიშნად მოგუაშ სენებია (ქრონ., 204,6).

1414წ. მცხეთის გუჯარი №44:

... სეკდემბერსა რვასა... ჩუენთჟს კარგაღებულსა აღაპსა გარდაიშადიდეთ და ერთი აღაპი მეორესა კვირიაკესა წ'თა ორმეოცთასა ხაზინადარის გიორგისთვის გარდაიშადებოდეს (ქრონ., 221,10).

1419წ. სინოდ. კანტ. სიგელი ნუსხა № :ა:

... ქ' ზო ელიოზ!... აღაპსა გარდაიშადიდეთ... ქე: რზ: (ქრონ., 224,37).

1504წ. მცხეთის ნუსხა № :რი:

რაც იმ მამულისთვეს შეკუტილი აღაპი იყოს და ეწეროს, თქუცხ პატრონმან კ' ზან არაოდეს დააკლოთ და ყოვლითურთ უნაკლულოსა აღაპსა გარდაიშადიდეთ და ის ზუარი, სახახლე და გლეხნი სახახოდ დაიჭიროთ... არ გახცეთ... (ქრონ., 320,10).

1513წ. მეფეთ-მეფე გიორგის გუჯარი დავით-გარეჯას:

წის დავითის უდაბნოსა მიიღებდით და ჩუენთჟს აღაპსა იქმოდეთ (ქრონ., 332,22).

1543წ. ძლისპირი იკორთისა №6:

ხეუა არახთანა სათხოვარიი არა გეთხოვებოდეს რა, ხატის სამსახურის მეტი წელიწადშიგან ამას მიუართმევდეთ (ქრონ., 386,9).

1552წ. ორი სიგელი მცხეთისა №10:

რაც რამ ფერი უუბლა თქუცხი უოფილა და თქ' აიღებდეთ (ქრონ., 393,35).

1602წ. “ბრძანება ალექსანდრე კახო მეფისა:

რაც სამსახური გიბრძანოთ, გაარიგებდეთ (ქრონ., 433,13).

1689წ. სიგელი იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის მიერ მიცემული:

ნურავის რას შეხცოდებო ჩვენის გულისთვის; გებრალებოდეთ (ქრონ., 510,5).

თედო ჟორდანიას “ქრონიკებში” კავშირებითის მწყრივებით გამოხატული II პირის ბრძანებითი კილოს თვრამეტი მაგალითი დაიძებნა, ისინი დასტურდება უკელა საუკუნეში შექმნილ სიგელებში, დაწყებული XIII საუკუნიდან, XVII

საუკუნის მეორე ნახევრით დამთავრებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაგალითების უმრავლესობაც I კავშირებითის მწერივით არის გადმოცემული. II კავშირებითის მწერივით სულ ორი მაგალითი დადასტურდა (ჩვენ მხედველობაში გაქვს II კავშირებითის მწერივით გადმოცემული II პირის ბრძანებითი კილო არ ნაწილაკის გარეშე, თორემ არ ნაწილაკიანი II პირის ბრძანებითი კილოს გამოხატვა II კავშირებითის მწერივით ჩვეულებრივი და ბუნებრივი მოვლენაა ყველა პერიოდის ქართულისათვის).

ბ) პირველი პირის მხოლობით რიცხვს ბრძანებითის მნიშვნელობა სემანტიკურად არ უთავსდება, მას შეიძლება ებრძანოს, როცა იგი სხვებთან ერთად მასაც ეხება, – ასეა მიღებული სპეც. ლიტერატურაში (შანიძე 1978,62). მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის ძეგლებში დასტურდება კავშირებითის მწერივის ფორმები მხოლობითი რიცხვის I პირში, რომლებიც ინტონაციურად მხოლოდ ბრძანებითების რიგს შეიძლება მიეკუთვნოს, მაგალითად:

*სრულად მოგხწყდე სამოთხესა, ქვესკელს გიყო დასანთქმარი* (ვეფხ., 137,8).

*კოქვი, თუ: “მოგხვდე, ბედი ჩემი ამის მუჩხა არას დირხა!”* (ვეფხ., 363,დ).

*თუ დავარჩინო, დმერთი ვგმო! მიხად აატიქად მზად ეხ-ა* (ვეფხ., 580,დ).

*დაგშალო, წვერთა ფუ მიყავ, ხელიღა ვრბოდე მე ველად!* (ვეფხ., 1110,დ).

*მივიდე, ადგილი იგი მოგთხარო, რომელსა კაცი იგი ხშირად ნახავს, და გნახო* (სიბრძ., 97,19).

მერძე მან დაგრიშმან თქვა: *წავიდე ამ ჩემს ამხანაგს ტყუკილი გაუმართდო,* (სიბრძ., 265,9).

ერთი მაგალითია თედო უორდანიას “ქრონიკებში”:

1654 წ. მცხეთის ნუსხა № :რმგ:

*ჯერ გიყო ღოთის შემცოდე და მერძე როსტომ მეფისა... თუ მე ის გოგო ან გაკვიდო და ან რამ გაწყინო და ან გავხცე (ქრონ., 468,15).*

მსგავსი ფორმები მთის კილოებშია – ხალხურ პოეზიასა და პროზაში, მაგალითად:

*წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისა* (ლ. ვეფხ. და მოყმ.)  
(ჭუმბურიძე, გაბეჩავა 1999: 156)

თანამედროვე ქართულში ძალიან მომრავლებულია მხოლობითი რიცხვის პირველი პირის ბრძანებითის ფორმები კავშირებითის მწკრივებით ე. წ. დანამუშების, დაფიცების, დაგინების ჟარგონულ მეტყველებაში, მაგალითად:

*უსინდისო გიყო, თუ რაიმე მახსოვდებ.*

*მე გიყო უკანასკნელი, თუ მოგატყუო.*

ბრძანებითის ინტონაცია დაჰკრავს ასეთ ფორმებსაც:

**წავიდე ერთი, მივხედო:** იმ ბავშვმა არაფერი გააფუჭოს და ა. შ.

## 2.5. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ასახვა კავშირებითის მწკრივებში.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობა II სერიაში ყოველთვის აღინიშნებოდა -ენ/ნ სუფიქსით, ცნობილია ასევე, რომ, II კავშირებითში ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი -ენ სუფიქსის შემდეგ კავშირებითის მწკრივში -ე სუფიქსი აღდგებოდა. -ენ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანი თავს იჩენდა ი-და ე- პრეფიქსიანი პასივის კონვერსიულ ფორმებშიც, როცა მათი სუბიექტი მრავლობით რიცხვში აღმოჩნდებოდა, ცნობილი მიზეზების გამო. ეს წესი ძველ ქართულში გატარებულია მტკიცედ და დარღვევების შემთხვევები თითქმის არაა. რა ვითარებაა ამ მხრივ საშუალი პერიოდის ძეგლებში? განვიხილოთ ისინი:

პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა “ამირანდარეჯანიანსა” და ”ვისრამიანში” აისახება -ენ/ნ ნიშნით. ასეთ შემთხვევაში კავშირებითის მწკრივის ნიშნად, ისევე როგორც ძველ ქართულში, გვაქვს -ე (მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ფუნქციას გამოხატავს ეს მწკრივი), მაგალითად:

ბრძანებითი კილოს ფუნქციით:

*მცირედი კაცნი გიბეზდნეთ და მოვიყვანნეთ ხიმარჯუება* (ამირ., 104,34).

*აწერ დმერთმან თუალნი აგიხილნებს* (ვისრ., 171,32).

**ადიდნებს** ღმერთმან მოყუარენი თქვენნი და არცხუინოს ორგულთა თქვენთა (ამირ., 7,9).

ღმერთსა გაფიცებ, რომელ ესე წიგნი სრულად წაიკითხო, ჩემნი ჭირნი სცნება და რაცა მომიშვებია, გაიგონო (ვისრ., 172,17).

კავშირებითი კილოს ფუნქციით:

ძე მიბრძანე, დაგხოცნე-მეთქი (ამირ., 10,5).

ხისწავე გუნდა, ნუთუ დამოცნებ (ამირ., 16,46).

თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციით:

თუ არ დამორჩილდე ბრძანებასა ჩემსა, მოგუეკუთოს თავი და შეჯამნებ ჰორცნი შენი ძალლთა (ამირ., 24,41).

და თუ დააჯერე იგინი, მაშინდა ხარ ხიდე ჩემი (ამირ., 11,33).

ომნი, ღმერთო, კარგნი გიხუენენე (ამირ., 28,10).

კირე სულნი მედგნებს, გულ იყოს ჩემი გული (ვისრ., 170,10).

რა გიხუენე მოფიცარნი და მოწამენი, მაშინ დაიჯერებ ჩემსა მოშვენებულნა (ვისრ., 180,37).

ამავე ძეგლებში დასტურდება -ენ-ნ ნიშანი პრეფიქსიანი ზმნების კონვერსიულ ფორმებშიც, მაგალითად

ბრძანებითი კილოს ფუნქციით:

ადგილი დაეხახელა, ვითა: მუხ შევიყარნებო (ამირ., 100,40).

გამოდი ხვალე, მე და შენ შევიბნებო (ამირ., 102,7).

აწ შევიყარნებო და წინა მივეგებნებო (ამირ., 23,9).

დავეხნებო ღამით და რა ღმერთმან გამოგუირჩიოს, იხი იქმნასო (ამირ., 30,34).

ჭამონ პური და შეიხუნებს ტაბლა შინა (ამირ., 104,38).

თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციით:

სადა უფროსნი ღამი მივნენ, მუხ შევიბნებო (ამირ., 105,11).

რა იხარი და ჩემი ჰორმალი ერთგან შეიყარნებს, ჩუენი მტერი ცოცხალი კერ დარჩების (ვისრ., 181,8).

რა დია სანატრელად მიჩნ იგი ქამი, ოდეხია ერთგან გიყვნებო და კიხარებდეთ (ვისრ., 175,15).

ესეთი რა ღონე ძებნე, რომელ ერთგან შეიყარნებო (ვისრ., 185,25).

პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ასახვის წესი —ენ სუფიქსით “ამირანდარეჯანიანში” “ვისრამიანსა” და “ვეფხისტყაოსანში” თითქმის

მთლიანად შენარჩუნებულია. ამ წესის დარღვევის მხოლოდ ორიოდე შემთხვევაა, მაგალითად:

შევიწიო ღმერთი ჩემი და ვაზღვევინო სისხლი ძუმბჯრაზთა შენთაო (ამირ., 62,29).

შევიწიო ღმერთი და არა შერჩენ სისხლი პატრონსა ჩემისანი (ამირ., 30,19).

დადასტურდა რამდენიმე პირუკუ შემთხვევა: პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანი გვაქვს, მაგრამ არაა საჭირო:

ღმერთმან ათას წელს აცოცხლნებ მეფობა თქვენი (ამირ., 54,8).

ადიდნებ ღმერთმან სეფედავლე იგი დარისაანის-ძე (ამირ., 64,36).

დაუსრულებელ ყველებ ღმერთმან დიდება მეფობისა თქვენისა (ამირ., 80,28).

თქვით ყუელამა და ვისიცა სიტყუათ სჯობდებ, იგი დაგამტკიცნეთ (ამირ., 104,32).

რა შენ მე არ მმორჩილებდე, ჩემ გუერდით არ გაიხარნე, სხუასა ვის პმორჩილობ? (ვისრ., 173,7).

სულხან-საბა თობელიანისა და ესოპეს იგავებში, “დავითიანში”, ასევე ჩვენ მიერ შესწავლილ ყველა ჟანრის თხზულებაში ენ/ნ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანი კავშირებითის მწკრივებთან აღარ დასტურდება, მაგრამ ამავე ძეგლებში პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ნიშნის გამოვლენის რამდენიმე (თითო-ოროლა) შემთხვევა -ები სტრუქტურის თ- და ე- პრეფიქსიან ზმნებში (კონვერსიულ პასივში), როცა მათი სუბიექტი მრავლობით რიცხვშია (რაოდენობის მხრივ განსხვავებას აჩვენებს მხოლოდ სამართლის ძეგლები),

მაგალითები “დავითიანიდან”:

ჯერ ჩვენ დაფარვითა, მალეთ გაპარვითა ამას კეცადნეთ (გურ., 209,204,ე).

ვინ იცის, ჩვენზედ მოვიდნენ, თქვენ მოგვეშველნეთ საფრადა (გურ., 56,207,ღ).

მისწერა ვახტანგს: “შენ მამა, – ჩვენ კიყვნეთ შენი შვილები” (გურ., 60,240,ა).

განისწავლენით,...რომ არ ჩახცივდეთ, დაიწვნეთ მწარეთ! (გურ., 275, 33,ღ).

სულხან-საბას იგავებში თრი მაგალითი დადასტურდა -ები სტრუქტურის გ- პრეფიქსიან ზმნებში, მაგ:

ვისცა კწვივნეთ, მახცა თქვენთვის ახრე აქმნევინოს-მეთქი (სიბრ., 193,11).

კაცი გაგგ ზავნოთ, პოვნას კეცადნეთ (სიბრ., 20,17).

“მეფეთა სალაროში” ერთი მაგალითია:

Այլուրիցը մօետցօե ածլցցի չամացորեա լու՛յարտա, Ռոմի Ռուզյի քաջչորտե,  
ԹռյԱմարեց քա գաշտացոն პորոնձ (մյուշ. Տալ., 275,20).

Նյուլեան-Տան ռոմելուանուս Ծյէլէթո “մոցնա՛յրոնձա լըրուա՛նո” პորֆապորո  
ռօնյէլիս մրացլունուոնձուս նունանս կավարեցնուոյնձուս մի՛շրուցնու ալար  
գամուացլենս, մեռլուն յրտո Շյմուեցա լաւասէ՛յրոնձա յ- პրեցոյէնուանո լեյնուուս  
յոնցըրսուու ուորմանո:

Բժիջա աւաս յերմանա: Իյմո վուրցա մուեմոնոնձա քա իյմբան յթօարեցնո (մոցն.,  
80,31).

-յն/-ն პորֆապորո ռօնյէլիս նունանո ո- քա յ- պրեցոյէնուանո նմենիս  
յոնցըրսուու ուորմեցնու գամուացլոնձա ջ. ազալունցուուս “մոցնա՛յրոնձա լըրուա՛նո”:

Ռոմելուատչեցա յերմանյեցի, զուտարմյու ոյշնեցնու դանակնուն ժյշլուս  
ևաենացլյեցնուուս ևաելուս (մօն., 116,16).

Ռոմելուու գայույտյենուատ թյուրարուատն, Ռատա ոյշնեցնու նյուեցնու քա  
ևաժմրտու (մօն., 158,40).

յերմանյեցի, Ռատա արացու նյուեցնու մաս քա ար դաշրջացուու ծյուզի (մօն., 135,7).

Ռամյու գնաեա նյու շյուտյու լացեցնուու միշրո, ար մոցնեցնու տացնո ունենո  
ոյցաց (մօն., 14,35).

-յն/-ն նունանո դասէ՛յրոնձա տյացու յուրդանուաս “յրոնուցնու” քա արա մարդո  
յոնցըրսուու ուորմեցնու, մացալուուաց:

1103 Վ. մյացլունիշըրա րուս-յուրծնուուս յրենիսա:

մատ վյալունիացու քա վյալունիացնու լապշնեցնու ուշտույլուս ևարուսես լուս (յրոն.,  
63,6).

1125 Վ. դաշու ալմանյեցնուուս անդյրմո:

...Ռատա Ռոմելու մոնակյերնու մաժյալուս իյմուսանո չանմութիւրյենուան, մոմելյարման  
իյմման շյուբ ըյմուտա մատուտա ալուցնեցն իյմուս (յրոն., 52,3).

Ժյալո յրուստացտա:

անց այառերու ժյշիցանա մատու քա անց նյուեցնու մեսեցը քա մոծյացը իյշնեցա  
(յրոն., 14,1).

1103 Վ. մյացլունիշըրա րուս-յուրծնուուս յրենիսա:

...დაპპარა ღმერთმან დახაბამსა ხატებად და მხგავხებათ ორი ხელი კაცი,...რათა მის მიერ გიო ხაზგადორისა ხაკურგელისა მიერ ...შეაერთნებ ყოველნი ხაცნაურნი და გრძნობადნი დაბადებულნი (ქრონ., 60,24).

XII საუკ. მეფესა დავითს მონაზონი არსენი:

...ამ ძღუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ხაზირუველთად ხიმრავლისამან. რათა შენ მიართუნე ესენი ღმერთსა (ქრონ., 69,28).

1218 – 1227 წ. ნაწყვეტი არსენი კათალიკოზის სიგლისა:

(ყოველი ესე ხიმრავლე და ხახენი მტკიცე მყოველნი) ... აკურთხებ ღმერთმან და წმიდამან დედაქალაქმან (ქრონ., 96,7).

1259 წ. რკონის სიგელი:

მათ პეითხებ ღმერთმან ჩემნი ბრალნი აქა და მას ხაუკუნება (ქრონ., 136,16).

პირდაპირი ობიექტის – ენ/ნ ნიშანი სიგელ-გუჯრების ენაში აისახება ე- და ო-პრეფიქსიანი ზმნების ფორმებშიც, როცა მათი სუბიექტი მრავლობით რიცხვშია, მაგალითად:

ძეგლი ერისთავთა:

ხახელი ეხე ვერ დაფარავხ გვარ-ნათეხაობასა მათსა, და შემდგომად ძცირედისა ეუფლებ ყოველსა ქუჩენასა ჩუტნება (ქრონ., 2,15).

1103 წ. ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა:

და უკუტუ იქმნას ხადა, ოთხი იგი კურთხეულნი და ორნი მაკურთხევებლი მათნი ხუცეხნი – ექუსნივე განიკანონებ (ქრონ., 66,23).

1259 წ. რკონის სიგელი:

თუ მათ არ გამოყარნებ კარნი და წირვისა და ლოცვისაგან არ დაეყენებ, დამშლელი ამისი არ დაკრულონ (ქრონ., 136,21).

1233 წ. იოანე შავთელის კპნკლოსი...:

...ზარი მეფობისად წარმდებ და დიდებად დაშრებ, შენობანი უქმნ იქმნებ, ... (ქრონ., 106,26).

XIV საუკუნიდან მოყოლებული პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი ნიშანი უმეტესად დასტურდება მხოლოდ -ები სტრუქტურის კონვერსიულ ფორმებში, მაგალითად:

1392 წ. სიგელი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ:

... მათა ყველათა შვილნი და მომავალნი მტერის მტერნი გიგანეთ და მოყვარე გურებლთა (ქრონ., 195,1).

1420 – 1428 წ. სინოდ. კანტ. სიგელი:

ვინც შემდგომად ჩემსა სხუანი მაწყუერელნი იყვნენ და საყდრის-შვილნი,...  
ამავე წესითა მეფეთა მღვრავნი გიყვნეთ და ოქუენი მომჲ სენებელინ გიყვნეთ  
(ქრონ., 227,8).

1453 წ. მცხეთის სიგელი №296:

სადამდის ოქუენსა საყდარსა არა დაემორჩილნენ და რაზედაც უწყრებით  
ოქუენსა საყდრისა წესითა იგი ესრულე არა დაგეურვოს (ქრონ., 268,6).

1548 წ. მცხეთის ნუსხა № :სლდ:

თუ ვინძე გარეჯელმან კაცმან შეგუცოდოს და გამოვენახნეთ, მისი ნახევარი  
ჯურუმიცა ოქუან მოგაჲ სენოთ (ქრონ., 388,30).

1597 წ. სიგელი ნინო-წმიდისა №:

რაცა საუდაბნოვ აღაპნი იყვნენ, ისი ისრულე მოუშლელი და უეუცვლელი  
იყოს (ქრონ., 430,15).

1645 წ. სომხურიდან გადმოთარგმნილი სიგელი:

და დამტკიცდა მათ შორის სიტყვა ესე, რათა განვიდნენ ორნი და მარტონი  
და მოემზადნენ ოვით თავისით (ქრონ., 458,35).

– ქპ'ს :ტმც: ნუსხა № :რიც:

არც ტყავის საქმეში გაგერიგნეთ, არც გავასყიდვინოთ ჩუმნს აზნაურ შვილსა  
და მსახურს (ქრონ., 477,27).

მოგვიანო პერიოდის ძეგლებშიც დადასტურდა -ენ/ნ ნიშანი სახელობითში  
დასმული ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნად, მაგრამ ასეთი  
მაგალითი ცოტაა და უფრო წინა პერიოდის ენობრივი ნორმების მიბაძვას  
წააგავს, მაგალითად:

1472 წ. მაღალაძეთა სიგელი:

დამამტკიცებელნი ღოზ აკურთხნენ და წმიდამან დადა-ქალაქმან (ქრონ., 291,4).

1484 წ. აღაპი სამების “ სულთა მატიანასა”:

დამამტკიცებელნი ღზ აკურთხნენ აზ (ქრონ., 303,10).

1500 – 1516 წ. მცხეთის სიგელი № 415.

აღამაღლოს პატივი მისი და ბედნიერ ყოს და დაანთქნეს მტერნი მისნი  
(ქრონ., 317,31).

1500 წ. ქაიხოსროს წარწერა თელავის ტყავის წიგნში:

ვინცა შენდობა პრანოთ, ოქუენცა შეგინდვნენ ღზ. (ქრონ., 316,22).

1523 წ. სიგელი ბარათაშვილთა გაყრაზე:

**მოასხნენ** მათისა სასახლისა მცნობელნი კაცნი და შეადარონ ერთმანერთსა და გაყონ (ქრონ., 351,10).

1581 წ. დავით – გარეჯის სიგელი №1:

**დამამტკიცებელნი ამისნი ღწ' აკურთხნეს** (ქრონ., 420,11).

პირდაპირი ობიექტის ასახვის დარღვევის შემთხვევებმა თავი იჩინა თედო ჟორდანიას “ქრონიკების” მასალაშიც. ძირითადად -ნ სუფიქსი წარმოდგენილია იქ, სადაც საჭირო არ არის, მაგალითად:

1103 წ. ძეგლისწერა რუს-ურბნისის კრებისა:

არამედ უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს მშობელთა მათ დიად დაუწინდნენ იგი ურთიერთას (ქრონ., 64,20).

“დაუწინდნენ” ზმნასთან “იგი” მრავლობითში უნდა იდგეს, ასევ იგულისხმება: აქ ლაპარაკია მცირეწლოვან შვილებზე.

1259 წ. რკონის სიგელი:

ამის გამთავებელი აკურთხნეს დმერთმან (-ენ ნიშანი საჭირო არაა) (ქრონ., 143,21).

1562 წ. – :სნ:

“ოქრომჭედელსა მამნეს შეუნდგნეს დმერთმან” (პირდაპირი ობიექტი არ ჩანს, ალბათ, იგულისხმება “ცოდვანი”) (ქრონ., 403,13).

1562 წ. სიგელი “ივერიის” ათონურ მონასტრისა №125:

ლოცვითა და ტრაპეზიერან მომა სენიებელნი გიყნოთ მღრღდელ-დიაკონი და ძმანი (უნდა იყოს ვიყვნეთ) (ქრონ., 404,14).

1566 წ. ურბნისის ტაძრის ტყავის სიგელი:

თუ ღოთმან შეამღვიმდლობითა თქუებითა წყალობით მოგეხდნეს (უნდა იყოს მოგეხდოს) (ქრონ., 407,28).

-ენ/-ნ პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ნიშანი ი- და ე- პრეფიქსიან ზმნათა კონვერსიულ ფორმებში ყოველთვის აისახება ვახტანგ VI-ის “სამართლის წიგნში”:

7. ოა რომ დაპირისპირდნენ, გაუშვან და შეუტონ, მემათრაბენი არ უნდა მიეშველნენ (ვახტ., 50,24).

98. უკეთუ ძმანი ანუ მამა-შვილნი, ანუ ბიძა-ძენი, ანუ ბიძა-შვილნი, ვინა სხვა ნათებავნი, – ... კელარ მოთავსედენ და გაიყარნენ, ... (ვახტ., 76,3).

98. როდესაც ხახლის ჯალაბნი აიშალნებ და დამდურდნებ, ... თითქმის ბატონთანაც მიაწიონ, ... მანამდინ არ გაიყარნებ (“დამდურდნენ” ზმნაში ნენ არ უნდა იყოს, ამაზე ქვემოთ) (ვახტ., 76,6).

98. გაუყრელობას ეცადნებ და, თუ არ იქნას და არ დაიშალონ, ახრ გაპყარონ (ვახტ., 76,18).

182. თუ კინ იცის ნაქიშბარი და ნამდურევი კაცნი შეიძგერნებ და მოკვდეს რომელიმე, ... (ვახტ., 95,5).

დადასტურდა რამდენიმე დარღვევა -ენ/-ნ ნიშნის გამოყენებისას:

98. როდესაც მაგაზე გამოჩენილი შეიქნან, რომე აიშალნებო და კელარ მოთავსდებიანო, ბატონმა კაცი უჩინოს (უნდა იყოს შეიქნენ) (ვახტ., 76,12).

100. და რამდენიც თცი კომლი ეყოლების, უკელაზე ასრე იქმონებ (“იქმონენ” გაურკვეველი ფომაა, უნდა იყოს იქმნენ) (ვახტ., 76,32).

დავით ბატონიშვილის “სამართლის წიგნშიც” პირდაპირი ობიექტის სიმრავლის -ენ სუფიქსი ყოველთვის აისახება -ები სტრუქტურის ი- და ე- პრეფიქსიან ზმნებში. მოვიყვანო რამდენიმე ნიმუშს:

[76] ვ. მოხელენი პატივსა მოაკლდებ და ჯურუმითაცა დაისაჯნებ, და კაკლებიურითა კანონითა განიკანონებებ (სამართ. დავ., 48,13).

[81] ბ. მაშინ გამოირჩივნებ სარწმუნონი კაცნი და წარიგზავნებ მისდა და მათ მიერ გამოიკითხოს საქმე იგი (მეორე ხაზგასმულ ფორმაში ფუძისეული -ნ-ს გავლენით არის დაკარგული პირდაპირი ობიექტის ამსახველი ნიშანი) (სამართ. დავით., 52,7).

[228] ა. ხოლო ხალდათნიცა წამრთმევნი ნივთთა რაღმეთანი განიჯონენებ (სამართ. დავით., 128,15).

ასეთი მაგალითი დავით ბატონიშვილის სამართლის ძეგლში უამრავია, უკეთ რომ ვთქვათ, პირდაპირი ობიექტის -ენ ნიშნის გამოყენების თვალსაზრისით ძეგლი გამონაკლისს არ უშევებს. ამ ფორმების ასეთი მომრავლება XVIII – XIX საუკუნეების თზულებაში, ალბათ, არქაიზაციისპერ მიღრეკილების მანიშნებელია (შეიძლება ანტონ კათალიკოსის გავლენის შედეგიცაა). -ენ/-ნ მაწარმოებლის დანიშნულება ამ პერიოდში ვფიქრობთ, გაურკვეველი უნდა ყოფილიყო, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა -ნენ დაბოლოების გავრცელება ჯერ სტატიკური ზმნების II სერიის კავშირებითის მწკრივში, როცა მათი სუბიექტი მრავლობით რიცხვში აღმოჩნდებოდა, პარალელურად I სერიის -დ და -ოდ სავრცობიან

კავშირებითის ფორმებში, ხოლო მათი გავლენით წყვეტილისა და უწყვეტლის მწკრივებში. ჩვენც ვფიქრობთ და უამრავი მაგალითითაც ვადასტურებთ, რომ დღევანდელი -ნენ დაბოლოება მიღებულია -ენ პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ნიშნის ფუნქციის მოშლის შედეგად კავშირებითის მწკრივებში (ა. შანიძე).

თანამედროვე ქართულის მრავლობითი რიცხვის III პირის -ნენ დაბოლოების გენეზისი თვალსაჩინოდაა გამოკვეთილი დავით ბატონიშვილის “სამართალში”: ვგულისხმობთ პარალელური ფორმების მომრავლებას პირველი და მეორე კავშირებითების მესამე პირის დაბოლოებად მრავლობით რიცხვში, როგორებიცაა: ცალკე მიართმევდენ (198,11), განაწესებდენ (198,16), სჭურვბდენ (198,17), გამოარჩევდენ (201,27), იზრდებოდენ (166,13), მიეწერებოდენ (194,1), მიიღებოდენ (37,20), უწყოდენ (41,19), განიპატიუებოდენ (82,19), უფრთხოდენ (103,19) და ა.შ., მაგრამ იქვე: გაატანდნენ (198,19), განუცხადებდნენ (203,15), განარჩევდნენ (214,20), ზრუნვიდნენ (166,13), გამოარჩევდნენ (31,30), უქადაგებდნენ (162,19), იწოდებოდნენ (219,11), მეცადინეობდნენ (156,26), გამოირჩევოდნენ (174,15), შეიყრებოდნენ (166,12).

II სერიაში: განვარდნენ (211,34), დაშთნენ (218,29), იქმონენ (220,1), ჩამოვიდნენ (212,12), მივიდნენ (221,2), მაგრამ: შთაცვივდენ (171,5), მოკრბენ (104,28) და ა.შ.

ძველი და საშუალი პერიოდის ქართულის ენობრივი ნორმების შესაბამისად II სერიაში -ენ დაბოლოებაა სწორი, ხოლო -ნენ დარღვევად (არასწორად) უნდა მივიჩნოთ, თუ კონვერსიული ზმნების ი- და ე- პრეფიქსიან ზმნებში სუბიექტის მრავლობითობა არ აისახება -ენ/-ნ ნიშნით, მაგალითად:

[91] იბ. კინცა იწყოს მძარცველობად სახითა ავაზაკებრითა, იგინი თბილი კოვლისა შეწყალებისა ძელსა დამოკიდნენ (სამართ. დავ., 56.11).

[142] დ. და უძებებს მაშინ, ოდებეცა წარიგ ზავნონ სამსახურზელ ჯამსა საჭიროებისასა და ურჩ-ექმნენ მეუფროსეთა თვისთა (სამართ. დავ., 82.12).

-----

1 შენიშ. კიდევ ერთხელ ვაზუსტებთ, რომ ტერმინებს “სწორი” და “არასწორი” ვიყენებთ ძველი ქართული ენის ნორმების გათვალისწინებით, თორემ ამ პერიოდის ძეგლებში -ნენ დაბოლოება, რა თქმა უნდა, გარდამავალი ვითარების ამსახველია ამგვარ ზმნებში, ხოლო თანამედროვე ქართულისთვის ერთადერთი შისაღები ფორმაა.

[80] ა. და უკეთუ იყუნებს საფარსა შინა და არა იპოვბოდებს მუნ მხაჯულნი, მაშინ ჯერ-არს ... (სამართ. დავ., 51,3).

[223] ბ. ... მაშინ თრნივე მხილებულ იქმნებს მხაჯულთაგან უწესობა ქცევისათვის (სამართ. დავ., 125,7).

[149] მოურავთა, უკეთუ თვით მოაგდონ რამე ხარკი, ანუ ნაცვალთა, ... დაისაჯნებს კითარცვა ქურდნი და სამსახურიდან განვარდნებს საუკუნოდ (სამართ. დავ., 211,32).

ბოლო წინადადებაში დაისაჯნებს ფორმა მართებულია ძველი ქართულის ენობრივი ნორმების მიხედვით, ხოლო განვარდნებს – არა, რადგან არ ჩანს -ენ/-ნ ნიშნის გამოვლენის მიზეზი ამ ზმნაში. ეს ფაქტი მხოლოდ და მხოლოდ პირველი ზმნა-შემასმენლის გავლენის შედეგი უნდა იყოს, ანალოგიის გზით გაჩენილი.

ასევე დარღვევად უნდა მივიჩნიოთ -ნენ დაბოლოება მეორე სერიის იმ ზმნებში, რომელთა სუბიექტიც მრავლობით რიცხვში დგას, მაგრამ არ არის პრეფიქსიანი კონვერსიული პასივი, მაგალითად:

ოდესცა სამართალსა შინა შეხრულნი დაზაგდნებს თვინიერ მოხამართლეთა ბრძანებისა, მაშინ დამტკიცებულ იქმნებს ზაგ-ყოფა იგი მხაჯულთაგანცა (სამართ. დავ., 36,20).

[154] იბ. ყოველნი დასჯერდნებს, მაღალთაგანიცა და მდაბალთაგანიცა (სამართ. დავ., 87,14).

რომელიც მეციხოვნე ანუ მხედართაგანი პაემანსა ზედა თვისსა არა მოვიდნებს, გლეხნი და სალდათნი გინიჯონენებს, ხოლო კეთილშობილნი ერთს თვეს დაიპატიმრნებს (სამართ. დავ., 33,10).

“არა მოვიდნენ” ფორმაში -ნენ სუფიქსი “განიჯონენებს” და “დაიპატიმრნენ” კონვერსიული ზმნების ანალოგიით უნდა იყოს მიღებული.

[188] ბ. ფიცი ესრეთ იქმნებოდებს, რომელ მოკრბებს მუნ ყოველნი მხედრობანი და დასდგნებს სტროით და მიიტანონცა ზარბაზანი ... (სამართ. დავ., 104,28).

ერთ წინადადებაშია წარმოდგენილი ძველი ქართულისთვის მისაღები “მოკრბებს” და გარდამავალი საფეხურის ამსახველი “დასდგნენ” ფორმები.

I სერიის კავშირებითის მწერივისთვის III პირის მრავლობითი რიცხვის დაბოლოებაა -ოდენ და -დენ ძველი ქართული ენობრივი ნორმების მიხედვით:

[57] ა. დამნაშავენი მიიღებოდენ და ეშუამდგომელებოდენმცა პატივისათვის გაკლენისა მოწევენი გაკლენისანი (სამართ.დავ. 37,20).

[143] ა. გაკლენიური სჯული ყოველივე მებრ განჩინებისა სჯულის კანონისა აღხრულდებოდეს და გარდამავალნი მეფისაგან და მღვდელთ-მთავართაგან განიპატიჟებოდენ მებრ მდგმობისა საქმისა (სამართ. დავ. 82,17).

[149] 31. გარნა წყალობისა წიგნი ყოველნი დაიმტკიცებოდენ სენატოაგანცა (სამართ. დავ. 212,12).

[136] 25. და ხარჯისათვის, რაოცა მოუნდეს ქალაქსა, წარუდგენდენ იგინი სენათსა დაწერილთა მათთა, მიიღებდენ და მისცემდენ ანგარიშსა სენათთა (სამართ. დავ. 103,30).

[155] 33. უხტაბაშს გამოირჩევდენ ყოველსა წელს, და უკეთუ სწადდეს, ძველნივე იყენებ (სამართ. დავ. 214,17).

[155] 33. ყოველნი გელოსანნი ასწავლიდენ ძეთა თვეთა და მონათესავეთა თვეთა ჰელოვნებასა თესა (სამართ. დავ. 215,13).

კონვერსიული (შეიყრებოდნენ, წარიდგინებოდნენ) ზმნების გავლენის შედეგია -ნენ დაბოლოება შემდეგ მაგალითებში:

[131] 23. სენათნი გაატანდნენ ურმებთა გუამთა მათ, რომელნიცა გამოარჩიონ სენათთა (სამართ. დავ. 198,19).

[8δ] სენათსა და დიკანებირიასა შვენის, რათა ორნივე შეიყრებოდნენ ერთად და ზრუნვიდნენ რიგისა მიცემასა და მუშაობასა გაკლენიათა მათ (სამართ. დავ. 166,12).

[131] 23. სენათთა წარდგენითა წარიდგინებოდნენ ყოველნი მოხელენი და თხოვით მათითა მიეცემდეს მათ ჯამაგირი (სამართ. დავ., 197,4).

დონიანი და ოდიანი კავშირებითის მწკრივებში -ნენ დაბოლოება გამოვლინდა თორმეტ მაგალითში, II სერიის კავშირებითის მწკრივში კი -ნენ მაწარმოებელი დადასტურდა თვრამეტ ზმნაში. -ები სტრუქტურის მქონე კონვერსიული ზმნების ანალოგით მიღებული ყველა ეს ფორმა ძველი ქართული ძეგლებისთვის დარღვევად უნდა ჩაითვალოს, თუმცა თანამედროვე ქართულში სწორედ -ნენ დაბოლოებას მიენიჭა უპირატესობა.

## 2.6. პოლისემიური ფორმები კავშირებითის მწერივებში.

კავშირებითის მწერივების შესწავლისას ერთი სირთულე იჩენს თავს: რთული ქვეწყობილი წინადაღების დამოკიდებულ ნაწილში ძალიან ხშირ შემთხვევაში შეიძლება კავშირებითი კილოც ივარაუდებოდეს და თხრობითი კილოს მომავალი დროც, ორივე ფორმა ადგილად გაიაზრება. ამგვარი ფორმები უფროდაუფრო მატულობს მოგვიანო ხანის ძეგლებში და მათი არსებობა ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ კავშირებითი კილო მომავალი დროის წიაღში ჩაისახა, შეივსო რა სხვადასხვა მოდალური ნიუანსებით. ასეთი მაგალითი ძალიან ბევრია, რაც ართულებს ამ ძეგლებში კავშირებითის მწერივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოყენების ზუსტი ხტატისტიკის დადგენას, მაგალითად:

ვირე სული ეღვნენ, ვირე მთათა ზედა ქარნი ქროდეს და ზღუათა შიგან წყალი და თუვზი იპოებოდეს, ბნელსა ლამესა სიშავე პქონდეს, ცათა შიგან მარსკულაცი იპოებოდეს და კაცსა სული ტანსა შიგან უყუარდეს, – ვისის სიყუარულსა არა ინანდეს რამინ, არცა მისი ფიცი გატეხოს, არცა მისისა პირისაგან კიდე სხუა პირი მოეწონოს, არცავის სხუა მისგან კიდე უნდეს და არცავის სიყუარულისა თუალითა შექხდოს და არცა ვისის უნებელი ქმნას (ვისრ., 159,37).

ვისიცა შემფიცა აგრევე მტკიცედ, რომელ სიცოცხლესა მისსა შიგან რამინს არ ეცრუოს და არცა მისსა სიყუარულსა არ მოაკლდეს (შეიძლება: არ ეცრუოს ან არ ეცრუება) (ვისრ., 159,43).

ვირემ ახალსა ტორცს შეისხემდე რაც თავზედ გეხების, უნდა ისხემდე (სანამ შეისხამდე ან შეისხამ) (გურ., 274,23,გდ).

ეგრეთ კვონებ, არცა შენ გინდოს (ვფიქრობ, არც შენ დაგინდოს ან არც შენ დაგინდობს) (გურ., 270,4,ბ).

მოგვიანო პერიოდის ძეგლებში ვითარება უფრო რთულდება: ქვეწყობილი წინადაღების დამოკიდებულ ნაწილში დრო შეიძლება ახლანდელი ან მომავალი იყოს, ხოლო კილო თხრობით, კავშირებით და ბრძანებითს შორის მერყეობდეს, მაგალითად:

არა ამისთვის მოგახეხნებ, ლეონს შენგან ბოძება აკლდეს და დიდი წყალობა არა სჭირდეს (...რომ ლეონს შენგან ბოძება აკლდეს და წყალობა არა სჭირდეს – კილო კავშირებითია, დრო ახლანდელი; ...რომ ლეონს შენგან ბოძება აკლია

და წყალობა არა სჭირს – კილო თხრობითია, დრო – ახლანდელი) (სიბრძ., 145,17).

გშვიდობა ამას პრქუიან, რომე კაცი მშვიდი იყოს და გამწყო და მწყალობელი (შეიძლება: კაცი რომ მშვიდია – კილო თხრობითი, დრო – ახლანდელი; კაცი რომ მშვიდი იქნება – კილო თხრობითია, დრო მომავალი) (მეფ. სალ., 262,36).

რაც-ოდენ ჰელიდამ გამოგივიდეს სიკეთის ძალი მიეციო (შეიძლება: რაც გამოგივიდეს – კილო კავშირებითია, დრო – მომავალი; რაც გამოგივა – კილო თხრობითია, დრო – მომავალი) (მეფ. სალ., 263,34).

სადაც შენის სიუხვის ამბავი ითქუას, ეს ჩემი ამბავიც თქვიო (სადაც ითქვას – კილო კავშირებითი, დრო მომავალი; სადაც ითქმება – კილო თხრობითია, დრო – მომავალი) (მეფ. სალ., 270,5).

თუ იმას არ დამაწყნაროს, მასუკან მეორე წიგნი მაჩვენე, თუ აღარც იმით იქნას, მეხამე წიგნი მაჩვენე (თუ არ დამაწყნაროს – დრო მომავალია, კილო–კავშირებითი; თუ არ დამაწყნარებს – კილო თხრობითია, დრო – მომავალი) (მეფ. სალ., 277,31).

მე ვირებ გამოვცოხნიდე, ეს მოლიგ შენოქამს (მე სანამ გამოვცოხნიდე – კილო კავშირებითია, დრო მომავალი; მე სანამ გამოვცოხნი – კილო თხრობითია, დრო – მომავალი) (სიბრძ., 34,4).

პოლისემიური ფორმები თხრობითი კილოს მომავალ დროსა და კავშირებით კილოს შორის ხშირია დროის დამოკიდებულ და პირობით დამოკიდებულ წინადადებებში.

თუ ეს ნიშანი პქონდება, ჩემი ვირია (თუ ეს ნიშანი პქონდება – კილო კავშირებითია, დრო მომავალი; თუ ეს ნიშანი აქვს ან ექნება – კილო თხრობითია, დრო – ახლანდელი ან მომავალი) (სიბრძ., 292,1).

სადაც სახლის წინ ჭანდარი იღებეს და ჭანდრის წინ აუზი იყოს, მუხ მონახე (სადაც ჭანდარი იდგეს და აუზი იყოს – კილო კავშირებითია, დრო მომავალი; სადაც ჭადარი დგას ან იდგება – კილო თხრობითია, დრო – მომავალი ან ახლანდელი) (სიბრძ., 316,17).

გილოსოფოსთაც ასრე უთქვამს რომე: რომელსაცა ჰელმწიფეს უნდოდეს სიკუდილამდის მიხის ჰელმწიფობის გათავება, სიმაგრეს უნდა ძალი მიხიდეს და ამითვე გაუთავდების წადილი (რომელსაც უნდოდეს – დრო ახლანდელია, კილო

– კავშირებითი; რომელსაც უნდა – დრო ახლანდელია, კილო თხრობითი) (მეფ. სალ., 253,39).

კირებ ჩემი სიტყვა არ **მოისმინო**, სხვათა ენით არ მომაკვდინო და გვრე ვიქმო (სანამ არ მომისმინო – კილო კავშირებითია, დრო – მომავალი; სანამ არ მომისმენ – კილო თხრობითია, დრო – მომავალი) (სიბრძ., 41,8).

როდესაც **შემატყო** მაკრატელთა ხმარებასა შიგან პარვა, ხე მომაგონეო (როცა შემატყო პარვა – კილო კავშირებითია, დრო მომავალი; როდესაც შემატყობ პარვას – კილო თხრობითია, დრო მომავალი) (სიბრძ., 42,7).

და მეორედ რომელიც **მოვიდეს**, მას მიეც თავი მიხი (რომელიც მოვიდეს – კილო კავშირებითია, დრო მომავალი; რომელიც მოვა – კილო თხრობითია, დრო – მომავალი) (სიბრძ., 38,6).

**წავიდე** და მას ბუმბურაზე კეყმო (წავიდე და ვეჭმო –ინგონაციურად I პირის ბრძანებითად შეიძლება გავიგოთ, შეიცავს უნდას გაგებასაც; წავალ და ვეჭმობი – თხრობითი კილოა მომავალი დროით).

**წავიდე** და კნახო მიხი უნჯი, რის უფალია (წავიდე და ვნახო – I პირის ბრძანებითი, შეიცავს უნდას გაგებასაც; წავალ და ვნახავ – კილო თხრობითია, დრო – მომავალი).

ნუთუ ტიკი მოაქნდეს კისმე? (იქნებ მოჰკონდეს ან მოაქვს) (სიბრძ., 17,2).

შენდობა ის არის, დამნაშავეს არ გადაახდევინოს და დანაშაული შეუნდოს (რომ არ გადაახდევინოს ან არ გადაახდევინებს) (მეფ. სალ., 260,15).

თუცა სამართალი არ იყოს, მძლავრი უძლეურთ ამოაგდებენ (სამართალი რომ არ იყოს; თუ სამართალი არ იქნება) (მეფ. სალ., 255,14).

ასეთი მაგალითი საკმაოდ ბევრია და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შედარებით გვიანი პერიოდის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. პოლისემიური ფორმების არსებობა ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში კავშირებით კილოსა და თხრობითი კილოს მომავალს შორის გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ კაგშირებითი კილო მომავალი დროის წილში ჩასახული, მომავალი დროის შინაარსი კი მექანიკურად გულისხმობს სხვადასხვა მოდალურ ნიუანსებს: სათუოს, საეჭვოს, სავარაუდოს, ... გარდა ამისა, ზმინისწინიანი მომავალი ფორმების გააქტიურებასა და ასპექტის ახალი სისტემის ჩამოყალიბებას შედეგად მოჰყვა ის, რომ I სერიის კავშირებითის მწერივთა უზმნისწინო ფორმებმა ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში

(კავშირებითი კილოს ფუნქციით) შეიძინეს ახლანდელი დროის მნიშვნელობა. ეს ფაქტი კარგად ჩანს ზემოთ წარმოდგენილ პოლისემიურ ფორმებში.

მაგრამ მოგვიანო პერიოდის ძეგლებში პოლისემიური ფორმების მატებას, განსაკუთრებით კი კავშირებითის მწკრივებით თხრობითი კილოს ახლანდელი დროის ფუნქციის გამოღენას სხვა გამომწვევი მიზეზებიც უნდა ჰქონდეს: პირველი არის კავშირებითის მწკრივების უმთავრესი ფუნქციის, თხრობითი კილოს მომავალი დროის, მოშლის ტენდენცია, რასაც დასახელებულ მწკრივებში ფუნქციათა აღრევა მოჰყვა, მეორე მიზეზი კი მდგომარეობს პიპოტაქსური კონსტრუქციების რთული სისტემის თავისებურებაში, რომელიც დღემდე საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული და აგრძელებს განვითარებას.

დასახელებული პერიოდის ძეგლებში ფუნქციათა ერთგვარ “მოწესრიგებას” ხშირად სინტაქსი ცდილობს, ყველაზე კარგად ეს ტენდენცია “ქრონიკებში” ჩანს. მოვიყვანო შესაბამის მაგალითებს:

1236 – 1248 წ. სინოდ. კანტორის სიგელი №39.

აწ კინცა რაისაცა სახითა შეუცვალოს, პრისხაგსმცა ღ'თი დაუსაბამოი (ქრონ., 126,20).

მაგალითის მიხედვით, თუ დამოკიდებულ წინადაღებაში კავშირებით კილოს ვივარაუდებთ, უკეთესი იქნება, მთავარი წინადაღების -მცა ნაწილაკიან ფორმაში ბრძანებითი კილო ვიგულისხმოთ, მაგრამ, თუ დამოკიდებულში თხრობითი კილოს მომავალ დროს ვივარაუდებთ, დამოკიდებულშიც თხრობითი კილოს მომავალი დრო უნდა იყოს (-მცა აწილაკიან ფორმებს ორივე ფუნქციის გამოვლენის უნარი აქვს, ამაზე III თავში ვისაუბრებთ).

ამგვარადვე, სინტაქსის დახმარებით, უნდა გავარკვიოთ დრო და კილო შემდეგ მაგალითებში:

1259 წ. რკონის სიგელი:

კინცა და რამანცა გუარმან კაცმან ანუ გუარისა ჩემისამან, ანუ სხუამან კინ, დიდმან ანუ მცირემან რაისაცა ქამისა მოღებითა შეცვალოს ანუ მძღავრობით, ანუ მოხუჭით, ანუ ქრთამისათუის, კინა დამცრობისათუის კინ ესე ჩემგან გაგებული შეცვალოს და აქციოს, შემცაიცვლების სჯულისაგან ქრისტეგანთასა, რისხაგსმცა მამაი, ძე და ხული წმიდაი, კრულმცა არს სიტყუით ღ'თისაითაი ... (ქრონ., 138,24).

1259 წ. რკონის სიგელი:

და ვინ დაამტკიცოს, და აკურთხოს. და ვინც ესე ჩემგან გაჩენილი რაი მოაკლოს წინამდლუარმან, ანუ მოძღუარმან, მეტრაპეზემან ანუ კრებულმან, კრულმცა არს ხიტეფითა და თისათა და ამათცა ყოველთა მწვალებელთა თანა დაისჯების (ბოლო ზმნა-შემასმენელი გვაჩვენებს, რომ დამოკიდებულ წინადაღებებშიც თხრობითი კილოს მომავალი დრო უნდა ვივარაუდოთ კავშირებითის მწვრივით) (ქრონ., 140,10).

1289 წ. – სიგელი წ’ის მეფის დიმიტრი თავდადებულისა:

და ვინცა დამაკლოს წამებისათუის ღმერთხა მისცეს პასუხი განკითხვისა დროსა ჩემისახა (ვინც დამაკლებს – ღმერთს მისცემს პასუხს, ან: ვინც დამაკლოს – ღმერთს მისცეს პასუხი: მთავარში – თხრობითი კილოს მომავალი დრო; დამოკიდებულშიც – თხრობითი კილოს მომავალი დრო; მთავარში – ბრძანებითი კილო; დამოკიდებულში – კავშირებითი კილო) (ქრონ., 167,26).

როგორც დავინახეთ, კავშირებითის მწვრივის ფორმებში (თხრობითი კილოს მომავალი დროის წარმოების ერთ-ერთ ძირითად საშუალებაში) შესაძლებელია ზოგჯერ თხრობითი კილოს ახლანდელი დრო ვიგულისხმოთ. “ვისრამიანში” დადასტურდა ამ მოვლენის საპირისპირო შემთხვევა: აწმყოს მწვრივი გამოიყენება მომავალი დროის გაგებით, მაგალითად:

ანუ დაიდგამ კაცობასა და იაგუნდისებრ საგრძელო ხარ? (ვისრ., 159,12).

თუ ვირომან მოძელას, ანუ დამბეჭდოს, მიამების: მოვითმენ და ჯერ გარ (ვისრ., 160,46).

გარნა აწ თუ შენ ჩემი ცოლი ხარ, შემოგვიცავ, რომელ შენგან კიდე აბეზარი გარ ყოვლისა ხიყვარულისაგან და არცარა ვისისა სახელსა კატენებო (ვისრ., 169,35).

და თუ სპილენძი ათასჯერ ცეცხლსა შინა გამოადნო, რძისფერობა არცა ეგრე აქუს (ვისრ., 178,42).

აწ ამას გითხავ: ჩემთვიდა მტერთა ჩემთა გაახარება და ვარდისაებრ ცოტასა ხანისა მოყვარობასა შინა ხარა (ვისრ., 159,11).

აქათგან აოტრდების შაპროს, ყარანის და ვიროს სახლი, აქათგან აღარ ხათობს მათსა ქუკყანასა მზე და მოუარე (ვისრ., 148,4).

კირემდინ მათ ოქუენგან ავი არ წაგიდების და არ გარდააძლევთ, ჩუენ  
მათგან აუგსა და მოყივნებასა შიგან გართ (ვიხრ., 148,4).

თუ ქალ-შვილი მომეცეს, შენ შეგროო და შენი ცოლი არი! (ვიხრ., 142,19).

გაიქც და ნულარავის აძლევ სისხლთა (ვიხრ., 165,27).

და რა მომკლან, მაშინ არცაღა შენი გარ, არცაღა ჩემი (ვიხრ., 166,22).

ამას წიგნსა თუ კლდესაცა ზედა წაიკითხავ, კლდისაგან კუნესა, ვითა  
ჩანგისაგან ტან, გებმის (ვიხრ., 183,14).

ასეთი გაგებაა ძირითადად სტატიკურ – “ყოფნა”, “ქონება” – ზმნებში (თუმცა  
არა მარტო: ნათობს, აძლევ), მათ მტკიცებითი ნიუანსის შინაარსი დაჰკრავთ.

ამავე პერიოდის ძეგლებში შესაძლებელია კავშირებითის მწერივებით  
ახლანდელი დროის გადმოცემა, ვგულისხმობთ თხრობითი კილოს ახლანდელ  
დროს.

## 2.7. კავშირებითის მწერივით გადმოცემულია თხრობითი კილოს ახლანდელი დრო (განუსაზღვრელი დრო, კილო – ზოგადი, ჩვეულებითი)

საშუალი პერიოდის მასალაში არის მაგალითები, რომლებშიც კავშირებითის  
მწერივებით თხრობითი კილოს ახლანდელი დროა დადასტურებული. უნდა  
ითქვას, რომ ქვემოთ წარმოდგენილ ფორმებში უფრო ზოგადი, ჩვეულებითი  
მოქმედების შინაარსია გადმოცემული, მაგალითად:

გინც რომ ძრახვას თაკიღობდეს, ნურახა იქს საძრახავსა (გურ., 51,174,ა).

შენ რომ შვილი არა გუვანდეს, პა ძმა შენი და ძმისწული! (გურ., 59,233,ღ).

თუ სხეულებას უფრთხოდე, ჭამე, სვი, შესარგონია (გურ., 79,374,გ).

მერძე შენ გ ზაზე მიმიძეღვ, სად გინდეს, წამიყონეთ! (გურ., 89,444,ღ).

როგორც ეწერთ წინასწარ თქმული, წარდვნით ქვეყანა იყოს დანთქმული  
(გურ., 248,483,ა).

იყოს რაც ქვეყნად ქვეწარმაგალნი,...პირუბებებ-მხეც-მფრინველ და ქვემდრო-  
მელნი,...შეკრიბე თქსლადა (გურ., 253,524,ა).

მამავ, მახწავლე, რაც შენ იცოდე (გურ., 247,477).

ნუ გინდა ბოზი, ანჩხლი და ლოთი, თუ არ გინდოდეს შენს სახლში შვეოთი (გურ., 233,368,აბ).

ვეჭობ კამეჩი მაგისთვის გერქას (გურ., 254,531,ა).

აღმისუბუქე მე ტვირთისა ამის ჩემისაგან და წარიღვ რამე, უკეთუ გინდეს ცხორება ჩემი (ესოპ., 184,38).

უკეთუ ხართ თქუმან ჯერეთცა დამაშვრალ ზღანსა მიერ და პგონებ, მით რამეთუ იჯდეთ ისევ გემსა შინა და მიმოეჯუმათებოდეთ ღელვისაგან მიხისა, მაშინ მოაუკანინეთ ქალი (მგზ., 50,47).

მოყვანილ მაგალითებში ზოგან შესაძლებელია კავშირებითი კილოც იგულისხმებოდეს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამ ფორმებში თხრობითი კილოს ახლანდელი დროის გაგება უფრო გამართლებულია.

კავშირებითის მწერივებით ახლანდელი დროის გამოხატვის მრავალი ნიმუშია XVI საუკუნის ძეგლში “იადიგარ-დაუდი”:

ეს გახახხელი წამლები და აბები გვერჩივნოს, ხუხუტი და აღვილი იყოს (იად., 88,23).

თუ კაცს თავი სიგრილისაგან სტკოოდებს, ამისი ნიშანი და აღმანათი ეს არის (იად., 209,1).

თუ კაცს თირკმელი სტკოოდებს, მაღლა ძახილსა, ბევრს სარჯელს, ძნელს და ძალიანს ხაქმებს, ამას ყველას ერიდოს (იად., 343,22).

და თუ უკანა კარი მწვედ ეწოდებს და გამოსტებდებს, ეს იცოდე (იად., 431,24).

ხაითაც თირკმელი სტკოოდებს, იმავე მხრისაკენ მკლავის ხაშუალი ძარღვი გაუხეხას (იად., 343,12).

და თუ უკრის ტკივილი ბუხრისგან იყოს, მოიტანე ცოტაოდები რქოო ძჭედლის ძორაქი ... (იად., 270,20).

თუ კაცს უკრიდაღმან სისხლი და ან ბაჟალი სდიოდებს უი, იცოდეთ, თავშიგა სურავანდის სენი ასძრია (იად., 271,3).

უნდა ითქვას, რომ კავშირებითის მწერივებში განუსაზღვრელი, ზოგადი, წვეულებითი მოქმედების გააზრება უმეტესად პირობით დამოკიდებულ წინადაღებებშია შესაძლებელი.

მოვიყვანთ დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნიდან მაგალითებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ასევე განუსაზღვრელი დროის, ზოგად, ჩვეულებით მოქმედებას უნდა გამოხატავდეს:

და უკეთუ არა პყვებს შვილი და არცა ცოდნი და არცა აქუნძებს ვალი, მაშინ დანაშთომი მიხი დახდებან აღვილსა ერთსა და მონახონ დაკარგული იგი (სამართ. დავ., 34,5).

ნუკინ სამღდელოთაგანი იკადრებს შეწევნად და მიღებად ესრულობა კაცთა გალებიასათა შინა, რომელიცა იუუნებ კაცის-ძულებს (სამართ. დავ., 37,13).

რომელსაცა იმედი პქონძებს, გინა წიგნი მეფისა ანუ მთავრისა, ნურავინ იკადრებს ძრცვად (სამართ. დავ., 115,23).

ხოლო ეხეცა შეხუდების, რომელ ძე პყუანძებს დაკარგული (სამართ. დავ., 118,13).

კისაც აქუნძებს ხახლი ქალაქსა, ანუ ბალი ანუ... კითარებისამებრ მიხევე ხარჯი ქალაქსა შინა (სამართ. დავ., 203,3).

ასეთი მაგალითი დავით ბატონიშვილის სამართალში საკმაოდ ბევრია. იმის დასადასტურებლად, რომ დავით ბატონიშვილი კავშირებითის მწკრივებით ახლანდელ დროსაც გამოხატავს, მივმართავთ ისევ მისხავე რუსულ “მიმოხილვას”.

“სამართალი” შევადაროთ «обозрение»ს რუსულ ვარიანტს:

”სამართალი ბატონიშვილის  
დავითისა”

უკუთუ უძლებებისა გამო ვერ ძალ-  
იდგას მოწამემან მოსვლა მსაჯულთა  
წინაშე, მაშინ გამოირჩივნენ სარწმუ-  
ნი კაცი და წარიგზავნენ მისდა და  
მათ მიერ გამოეკითხოს საქმე იგი.”

«Обозрение Грузии по части прав  
и законоведения»

559. свидетели допрашиваются в  
суде. А на случай, если кто-нибудь  
из них за болезнию не может яви-  
ться перед судом, отбирается от не-  
го показание в доме чрез мдиван-  
бега, но всегда после предварите-  
льной присяги.

ანდა:

[165] იგ. სულადისათვის  
სულადსა განიყოფდებ მებრ პირისა,

В Грузии... от всего урожая бере-  
тся по одной равной части на каж-

რაოდენიცა არს სახლსა შინა, ხოლო  
ლვინოსა – მებრ მკლავისა. ხოლო საზ-  
რდონიცა პირუტყუთანი საშუალ განი-  
ეოფების”

дое к общему семейству принадле-  
жащее лицо. Пропорция вина **раз-  
деляется** таким же образом, но то-  
лько части полагаются начиная с дес-  
тилетнего возраста...

ეველაზე ხშირად კავშირებითის მწკრივებში თხრობითი კილოს ზოგადი,  
ჩვეულებითი (ახლანდელი) დროის მნიშვნელობას სამართლის ძეგლები  
გამოავლენს.

## 2.8. III კავშირებითის წარმოება საორიენტაციო ძეგლების მიხედვით

ჩვენ არ გამოვყავით ერთმანეთისაგან I და II სერიის კავშირებითის მწკრივები  
ფუნქციების განხილვისას, რადგან ისინი ამ მხრივ არსებითად განსხვავებას არ  
აჩვენებენ, მაგრამ III კავშირებითის ფორმები ცალკე განხილვას მოითხოვს,  
რადგან, ძველ ქართულ ეს მწკრივი იშვიათია, ხოლო საშუალი პერიოდის  
ქართულის ძეგლებში ხშირად გვხვდება, მაგალითად:

მე თუ, მზეო, თქვენთვის ფიცი გამეტეთხ, ღმერთმან აწვე რისხვა მიხი  
ზეცით ჩემთვის გააძეხო (ვეფხ., 538,აბ).

...მოვახეხო, რაცა მეცნახ, მეტი საქმე არა მიცო (ვეფხ.. 669,აბ).

გეჭვ, მრავალი დამეხოცოს მონა, მიხგან საყვარლები (ვეფხ., 1489,ბ).

დაპერდორუ: “სადა მე მევლოხ, ვლენით იგივე ველანი (ვეფხ., 433,ბ).

რომე მას ჩემგან ესწავლნენ სამამაცონი ზნენია (ვეფხ., 63,დ).

მაგათ სამთა ნაქმარი ერთგან რაც კეთნახ, მითხარო (ამირ., 7,6).

თუ მეტყველოს სიკელუცე, იცოდი, უკელასი ვიტყუით (ამირ., 44,34).

თუ მევლოხ, ამას გზახა გაჩნდებისთ (ამირ., 45,23).

გვეთი ხილი სადაცა გენახოხ, არა თურგ მონა ვარ შენიო (ამირ., 71,16).

რა დაბადებულ იყვნეთ, ეგ ზომი არა აგვოხთ (ამირ., 81,45).

მე წაგიყვან ხანადიროსა ეგეთსა, რომელ მისებრი არა გენახოს (ამირ., 84,9).

რაცა ჩუქნსა გუარსა კაცსა სხუისათუის არა ემსახუროს, ის თქუებ  
გუმბახურეთ (ამირ., 97,32).

იმათ კაცთა ჩემი სიკუდილი არა შეუძლია, თუარა მე გამოგიცადნე, თუ ვითა  
შეეძლოს (ამირ., 98,5).

არა თუ იმათი დაკოცა არა შეგუძლოს (ამირ., 102,33).

თუაღმი დამიგეთო, თუ პატრონისა თქუებისა ჯენა შემძლოს, თუით ნახოთ  
(ამირ., 15,19).

...მოვახეხნო, რაცა მეცნას, მეტი საქმე არა მიცო (ვეფხ., 669,ბ).

კუტრი იგი დააფიცონ, შეძლვომად გამოძიებისა არარავ დაემალოს მას  
ნაქონები თვესი (სამართ. დავ., 177,29).

უკეთუ დაედგას კექილთა რაოდე დანახარჯი, ... უზღვიოს (სამართ. დავ., 176,19).

იყნენ მოწამენი ორნი, გინა სამნი, და შესაწყნარნი, ...რომელთაცა ეხილვთხო  
თვაღითა (სამართ. დავ., 146,13).

-ოდ სავრცობიანი წარმოება:

რაოდენიცა მოდავება მის კაცისა წარგ ზავნაზედ წარეგოს და ანუ დაგ-  
ვიანებისა გამო ხარჯი მოხვდოდეს, ...აღუდგინოს მოდავემან მისმან (სამართ.  
დავ., 78,25).

ამოა, კარგსა მოყენება რა ომი გაჟმარჯვებოდეს, ამხანაგთათვის ეჯობნოს,  
გინცა მას თანა-ჟელებოდეს, მიულოციდენ, აქებდენ, მათ აგრე მყოფთა  
სწაბოდენ, მათ მიულოციდენ, აქებდენ, მათ აგრე მყოფთა სწაბოდენ, შეეხო-  
დენ დაკოდილობა, ცოტაი რამე პენებოდეს (ვეფხ., 1061,აბგდ).

რაცადა გეცნას ამბავი, ანუ რა მისი გემენოდეს (ვეფხ., 1221,ბ).

გაგუიგონია, მეფეო, რომელ ეგე კაცნი მოგწყინებოდეს (ამირ., 39,41).

მრავალჯერ მიჰვიდომოდეს ლაშქარნი და მასვე დაეკოცნეს (ამირ., 27,6).

კიცი, მეფეო, რომელ ეგე კაცნი მოგწყინებოდეს და დამახოცინენ და ეგე კაცი  
უფრო მოგწყინებოდის და მართალ ხარ-უსარგებლონი კაცნი იყენეს (ამირ., 12,41).

აღარა მინდა საწუთო, თუ ყოვლისაცა დედოფლობა მომხუდებოდესო (ამირ.,  
108,22).

მეშველზმნიანი წარმოება:

რომელ ოდენ არა დამვიწყებოდეს და არ დაცდომილ გიყო სიბერისაგან,  
წიგნითა გავაგონო მეფობასა თქუებნა (ამირ., 6,20).

პირიმცა იყო თუთ კინძე **მოსულიფოს**, სამეფო შენი აეწყუიტოს და ქალაქის წაეხუნებ და ბოროტსა შინა იყოს სამეფო შენი და ჩემად არ გიბრძანებია (ამირ., 27,23).

რაცა თქვენთვის არ **გარგიფოს** საჭურჭლება დახადებლად (ვეფხ., 814,5).

ერთი ესეთი რამ გიძლუნა, რომელ კაცისა თუალისაგან არა **ნახულიფოს** (ამირ., 34,14).

...ესთენი გიძლუნათ, რომელ კაცისა თუალისაგან არღარა **ნახულიფოს** მისგან უფროსი (ამირ., 47,4).

უფრო გვიანი პერიოდების ძეგლებისათვის III კავშირებითების გამოყენება უკავ ჩვეულიებრივი მოვლენაა. ავალიშვილის “მგზავრობაში” დასტურდება III კავშირებითების მწერივებში “სთ” ორმაგი დაბოლოება, როცა სუბიექტი მრავლობით რიცხვშია, ეს ფორმები მიღებული ჩანს ანალოგიით,

მაგალითად:

ამისთან ხმამებელი აქაურნი ზოგად, კითარმედ წმიდათა ამათ მოწამეთა  
**ბმიფოსთ** ქედთა ზედა (მგზ., 21,37).

და შემდგომად უსახტიქებთა ტანჯუათა ... **მოებასთ** ქუავ ესე წმიდათათვე  
ქედთა ზედა და **ჰშთაენთქასთ** იგინი სიღრმესა შინა რიონ მდინარეებსასა (მგზ., 21,39).

დღეს მესმა, კითარმედ კანცელარიასა შინა მოხეოვის ბალიკოზისასა **ეთქვასთ**  
გაუშეგბლობად თქუენი კაირისადმი (მგზ., 63,31).

იტყვან კუალად, კითარმედ **შეექმნასთ** იგი პატივად იმპერატორისა სუვერისა (მგზ., 109,24).

“მოებასთ”, “შეექმნასთ”, “ეთქვასთ”, ჰშთაენთქასთ” მცდარ ფორმებში  
ორმაგადაა გამოხატული Sz -ა და -ს ნიშნით (+მრ. ნიშანი), ისინი ავტორის  
გაუცნობიერებელი მიბაძვის მაგალითებია, ისეთი ფორმების ანალოგიითაა  
მიღებული, როგორებიცაა: “ “აქუსთ”, “ბმიყოსთ”.

III კავშირებითის მწერივი საშუალი პერიოდის ქართულში გვხვდება შხოლოდ  
რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში, კავშირებითი კილოს  
გაგებით. III კავშირებითის მწერივში დრო წარსულია (წარსულში მომხდარი  
მოქმედების შედეგია მომავალში).

## II თავის დასკვნები:

საშუალი პერიოდის ქართული კავშირებითის ფუნქციების თვალსაზრისით არსებით განსხვავებას არ გვიჩვენებს ძველი ქართულისაგან.

კავშირებითის მწერივები გამოხატავენ ა) თხრობითი კილოს მომავალ დროს, ბ) ბრძანებით კილოს გ) კავშირებითი კილოს შინაარსს.

დ) კავშირებითის მწერივები გამოიყენება ასევე თხრობითი კილოს ზოგადი, ჩვეულებითი მოქმედების (ზოგადი აწმუოს) გადმოსაცემად.

ე) კავშირებითების მწერივებში შეიმჩნევა პოლისემანტიზმი, რის გამოც ჭირს დადგენა იმისა, კონსტრუქციებში დროის ფუნქციად წინ წამოწეული, თუ კილოსი.

განვიხილოთ უფრო ვრცლად:

ა) თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვა კვლავ ბუნებრივია და ხშირი ჩვენ მიერ განხილულ ძეგლებში, ამასთან, უნდა ითქვას, რომ ასპექტის სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით მომავალი დროის ახლებურ წარმოებაზე გადასვლის ტენდენცია იზრდება უკვე XII საუკუნიდან. მაგალითად, “ვეფხისტყაოსანში” თხრობითი კილოს მომავალი დრო კავშირებითის მწერივებით თუ დადასტურდა 486-ჯერ, ახლებური წარმოების –ზმნისწინიანი მომავალი გვაქს 772 მაგალითში (შეფარდება თითქმის 2:1-ზე).

შემდეგი პერიოდი ძეგლებში – “ვისრამიანი” “ამირანდარეჯანიანი”, “დავითიანი”, სულხან-საბას იგავები, “ მეფეთა სალარო”, ესოპეს იგავები და “იადიგარ-დაუდი” – თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა კავშირებითის მწერივებით აქტიურად იკლებს, სამაგიეროდ, კიდევ უფრო იზრდება მომავალი დროის გამოხატვა ახლებური - ზმნისწინიანი ფორმებით (შეფარდება იზრდება: 2:1, 3:1, 4:1).

ეს ტენდენცია მოულოდნელად იცვლება XVIII ს.-ის დასასრულისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილ დაგიო ბატონიშვილის სამართლის წიგნში, სადაც კავშირებითის მწერივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვის 1683-მდე შემთხვევა დადასტურდა, ხოლო ზმნისწინიანი მომავლის ფორმების მხოლოდ 736 მაგალითი მოიძებნა (ჩვენ მოვიყვანეთ შესაბამისი მაგალითები ისევ მისეული სამართლიდან, რომ ზოგიერთი საეჭვო აღგილი, რომლებიც შეიძლებოდა ბრძანებით კილოდ მიგვეჩნია, დავით ბატონიშვილს

თავად სხვა, მხედარი კონსტრუქციის ადგილებში ზმნისწინიანი მომავალი დროით აქვს წარმოდგენილი).

შედარება გავაკეთეთ ასევე სამართლის წიგნის დავითისავე რუსულ «Обозрение»-სთან და მივუთითეთ, რომ ქართული “სამართლის” კავშირებითის მწკრივებით გამოხატულ ფორმებში მსგავსი შინაარსის რუსული შემოკლებული ვარიანტი კოდექსებისა ზმნა-შემასმენებლს უმეტესად თხრობითი კილოს მომავალი დროით წარმოაჩენს.

კავშირებითის მწკრივებით მომავალი დროის გამოხატვის ასეთი უცნაური მატება სამართლიანი იქნებოდა, რომ ანტონ კათალიკოსისა და მისი სალიტერატურო სკოლის გავლენისათვის “დაგვებრალებინა”, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ფაქტი მარტო ამ კუთხით არ უნდა განვიხილოთ.

ამიტომ აუცილებლად ჩავთვალეთ, გადაგვეხდა გახტანგისეული “სამართლისთვისაც” და დაგვემატებინა ჩვენი ნაშრომისათვის კიდევ მოგზაურობის ჟანრის ძეგლები: გ. ავალიშვილის მგზავრობა “თბილისიდან იერუსალიმამდე” და სულხან-საბა ორბელიანის“ მოგზაურობა ევროპაში”, რათა დაგვირვებოდით, რა ვითარებაა მომავალი დროის გადმოცემის თვალსაზრისით ამ თხზულებებში.

რა იყო მოტივი იმისა, რომ ეს ძეგლები გამოგვეუნებინა ამ უცნაური მოვლენის გამომწვევი მიზეზის დასაზუსტებლად (ვგულისხმობთ დავით ბატონიშვილის სამართალში კავშირებითის მწკრივებით მომავალი დროის გამოხატვის მატებას).

მოტივი შემდეგში მდგომარეობს: გვინდოდა, თავისი დროის ორი დიდი ავტორიტეტის – სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ I-ის სკოლის გავლენის მქონე ავტორები და მათი ნაშრომები შეგვედარებინა ერთმანეთისათვის.

სულხან-საბა ორბელიანი შოთას შემდეგ ქართველი ხალხის სასიქადულო შვილთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატია, ქართული ენის ლექსიკონის შემდგენელი, დიდი დიალოგიატი და სახელმწიფო მართვის აქტიური მონაწილე.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სულხან-საბა ორბელიანი გახტანგ VI-ის ერთგული და ახლობელი პირი იყო, რომელიც აქტიურ მონაწილეობას დებულობდა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში, ის მონაწილე იქნებოდა აგრეთვე გახტანგის საკოდიფიკაციო

მოღვაწეობისაც, რადგანაც ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ხასიათის ღონისძიება იყო (ვარაუდობენ, რომ სულხანი ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენისას საგარეჯოს მონასტერშია საგულვებელი და იგი ერთ-ერთი “საღმრთოაგანი” იყო, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ წიგნის შედგენაში (სურგულაძე 1959: 183)).

ამდენად, ვახტანგისეული “სამართლის წიგნის” განხილვა და შედარება დავითისეულ “სამართალთან” საინტერესო მასალას მოგვცემდა კავშირებითის მწკრივების ფუნქციების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ანგონ I (1720 – 1788), ისევე როგორც სულხან-საბა ორბელიანი, მსხვილი ფიგურაა მე-18 საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში, მისი ავტორიტეტი გამყარებული იყო იმ ფაქტითაც, რომ იგი გახლდათ ვაჟი ვახტანგ VI-ის უმცროსი ძმის, იქვე მეფისა და ნაზარალი-ხანის (ერეკლე I-ის) ასულ დედოფალ ელენესი.

ანგონმა შექმნა ახალი საეკლესიო ლიტერატურა, მან დანერგა საქართველოში ე.წ. “სამი სტილის” თეორია, რომლის გავლენა XIX საუკუნის ნახევრამდე იგრძნობოდა ქართულ მწერლობაში და რის გამოც ქართული მწერლობის ენის ბუნებრივ განვითარებასა და თანდათან დაახლოებას საერთო სახალხო ენასთან (რაც ასე თვალსაჩინოა სულხან-საბა ორბელიანის ნაშრომებში), სამწუხაროდ, გარკვეული დროის მანძილზე ხელი შეეშალა.

ანგონს ბევრი მომხრე პყავდა არა მარტო თავის სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც. მას პბაძავდნენ მე-19 საუკუნის I ნახევრის მწერლები.

ცნობილია, რომ გიორგი ავალიშვილი ანგონ I-ის სკოლის მწერალია, დამცველია (თუმცა არა თანმიმდევრული (მეტრეველი 1967: 054)) მისი ორთოგრაფიულ-ენობრივი და სტილისტური ნორმებისა (შანიძე 1964: 78).

ამიტომ ჩავთვალეთ, რომ კავშირებითის მწკრივების ფუნქციების შესწავლა გ. ავალიშვილის “მგზავრობის” ენობრივი მასალის გათვალისწინებით, საინტერესო დასკვნის საშუალებას მოგვცემდა.

გაირკვა, რომ ვახტანგ VI-ის “სამართალი”, რომელიც, სავარაუდოდ, სულხან-საბა ორბელიანის აქტიური ჩარევითა და ასევე სხვათა მონაწილეობით შედგა (წიგნის შესავალში ვახტანგი წერს, რომ სამართლის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს: კათალიკოსმა დომენტიმ, მთავარეპისკოპოსმა გრიგოლიმ და “სხვათა მიტროპოლიტ-ეპისკოპოზ-წინამდვართა და სამღრთო-კაცთათა”, მუხრანის

ბატონმა ერეკლემ, არაგვის ერისთავმა გიორგიმ, ქსნის ერისთავმა დავითმა, ლუარსაბ ორბელიძე-სარდალმა, ამილახორ ავთანდილმა, მდივანბეგ ერასტიმ და ”სხვათა ყოველთა დარბაზის ერთა ჩვენთა, კითხვითა და ჭკუთა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცოათა გავაჩინეთ და დაგწერეთ”), თხრობითი კილოს მომავალი დროის საწარმოებლად უმეტესად ისევ I და II კავშირებითების მწერივებს იყენებს (წიგნი 76-გვერდიანია და ამგარი ფორმა 706 ზმნა-შემასმენელში დადასტურდა, ახლებური მომავლის წარმოების კი 482 შემთხვევა).

მაგრამ ანტონ კათალიკოსის დიდი დამფასებელი, მისი სკოლის წარმომადგენელი, გ. ავალიშვილი, თხრობითი კილოს მომავალი დროის საწარმოებლად თხრობითი კილოს ზმნისწინიან ფორმებს იყენებს და არა ”კავშირებითების მწერივებს”, მიუხედავად იმისა, რომ ”მგზავრობა” დაწერილია უმეტესად ანტონ I-ის სკოლის რთული და ხელოვნური, ღვლარჭნილი ენით, რის გამოც ცალკეული პერიოდების შინაარსის გაგებაც კი საკმაოდ რთულია.

ასეთივე ვითარებაა მომავალი დროის წარმოების თვალსაზრისით სულხან-საბას ”მგზაურობაშიც”, რაც იმის ვარაუდის უფლებას გვაძლევს, რომ კავშირებითების მწერივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის წარმოება ჟანრის თავისებურებაა და სამართლის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. ეს ტრადიცია კი უნდა მომდინარეობდეს სიგელ-გუჯრების ენობრივი ნორმებიდან.

სიგელ-გუჯრებში ერთიანდება მეფის კარისა თუ მისი სახლეულობის მიმოწერა, უძრავ-მოძრავი ქონების წყალობა-ბოძებისა ან ყიდვა-გაყიდვის ხელწერილები, ყმა-გლეხთა განთავისუფლების ან აღზევების ბრძანებები, გლეხთა აღგილ-მამულის გაცვლის, დაგირავების გაზიარების ან სხვა რაიმე პირობაზე გარიგებისა და მზითვის წიგნები, სხვადასხვა აღწერილობები, ოქმები, გადასახადებისა და შემოსავალ-გასავლის დავთრები. თავისი შინაარსით ზოგი სიგელი ერთგვარ სამართლებრივ კოდექსს გვაგონებს, მაგალითად, შევუდაროთ ერთმანეთს სიგელ-გუჯრების გარკვეული აღგილები სამართლის ძეგლებს:

1459 წ. სამთავნელთა სარგო და საკანონონი:

უკუთუ აცი მოკლას ვინმე, მეგლელმა ხუთი ჸარი მიართოს და მუშადრის პატრონმა ერთი. უკუთუ ვინმე ცოლი გაუშეას ხუთი ძროხა დაუურგოს. – უკუთუ ვინმე კუდიანობა ანუ მკითხაობა ქნას, ცხვირით გახეიბრდებ, და თუ შეინანოს, თრი ძროხა დაუურგოს. უკუთუ კუდიანობა ზედ დადაღონ ვინმე, დამდაღავმა

ოთხი ძროხა მიართოს და დადაღილმა ერთი. – უკეთუ ისიძგოს ვინმე, ოთხი ძროხა მიართოს და ბუშიც საყდრისა არს. უკეთუ უზიარებელი მოკლას ხუცესმან, ერთი ძროხა დაუურვოს და თუ ხუცესმან ვერ შეიტყოს, მკუდრის პატრონმა ერთი ძროხა მიართოს და ა.შ. გრძელდება მოკლი გვერდი (ქრონ., 275,38).

1460 წ. 12 ივნისი:

თუ ვინმე გადადოს და თქუებისა გუარისა კაცი მოკლას, დიდითა შემოხუებით ას-სამოცი ათასი კილმანაური დაგიურვოს; – თუ ვინმე კადროს ანუ ზედა დაესხას, ანუ ცოლი მოგიტყუოს თქუებისა გუარისა კაცეა, ორმოც-და-ხეთი ათასი კილმანაური დაგიურვოს დიდითა შემოხუებითა; ... თუ ვინმე ციცხლი სასახლესა შემოგაყაროს, რაცა ხული ჯალაბი სახლსა შინა იყოს, მიხი სისხლი სამართლითა გაიძრჭოს ... და ა.შ. (ქრონ., 278,36).

1428 – 1430 წ. თოფურიძეთა სიგელი:

ვინცა: სახლად: დაგესხას: დაგწვას: ალაფი: წაიღოს: ნახვარი: სისხლი: დაგეურვოს: ვინც: ცოლი: გაგიუპატიოს: ნახვარი: სისხლი: დაგეურვოს: ვინცა: გვარისა: ქალი: დაგიგდოს: ანუ: სახლის: შვილი: მოგიკლას: ნახვარი: სისხლი: დაგეურვოს: და ა.შ. (ქრონ., 234,4).

1519 წ. ა.ბ. – გელათის სიგელი ეტრატზე:

ვინც უსამართლოდ ძალად შინა ჩამოგიხდეს, ანუ ვინმე მოგიხდეს, ანუ ჯოგი გაგიგდოს ანუ მართალსა გრძელობა გითხრას, ანუ ვინმე წინა დაგიდგეს, ანუ ვინმე ქალი დაგიგდოს, ანუ უომარი ყმარწვლი გიგინოს, ... და ა.შ. (ქრონ., 344,23).

ასეთი მაგალითები თედო უორდანიას “ ქრონიკებში” უამრავია. ახლა ვნახოთ სამართლის ძეგლები:

51. თუ სასახლესა და ცოლ-შვილში კაცი მიუკვდეს კაცსა და დაესხას, რაც მოკლას და ან დაჭრას, ოროლი სისხლი მიხევს და ა.შ. (ვახტ., 65,17).

247. ქ. ვინც სხვის კაცისაგან მოჭრილი დამზადებული რაც რაფერი ხე წაიღოს, პატრონს თუ არ დაუმალოს, როგორიც ყოფილიყოს, ან ფასით შეაჯეროს და ან ისევ იმისთანა მოუჭრას (ვახტ., 114,12).

[192] გ. ვინცა მძლავროს ქმრიანსა ანუ უქმროსა ძალით და ესე ცხად იქმნას მძლავრებულისა მიხევან ანუ პატრონისაგან, გამოერთვას მას სისხლი მრთელი ... (სამართ. დავ., 109,2).

[195] ვ. შეკორის გინდე იქირაოს პირუტყვი და მეტად აზაგროს და მით დააშაოს ანუ მოუკლელობით დააშაოს, გინა მოკლას, მაშინ ნაცვლად მისა აღუდგინოს პატრონსა მისსა (სამართ. დავ., 110,22).

ვფიქრობთ, ზოგიერთ სიგელ-გუჯარსა და სამართლებრივი ძეგლების ენობრივ სტილს შორის მსგავსება უეჭველია. ამგვარ სიგელებს სამართლის წიგნებისგან განასხვავებს ის, რომ იგი გაცემულია ერთი რომელიმე პიროვნებისა და მისი ოჯახის ან ეკლესიის მიმართ; გარდა ამისა, თუ სამართლის ძეგლების მიხედვით ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დამნაშავეს სისხლის სამართლით გათვალისწინებული სასჯელის გარკვეული მუხლი შეეფარდება, სიგელ-გუჯრებში მას (დამნაშავეს) სასტიკი წყველა და დვოიური სამსჯავრო ელის.

შეიძლება ითქვას, რომ სამართლის ძეგლები იწერება ადრეული საკანონმდებლო ძეგლების (სიგელ-გუჯრების) ენობრივი ნორმების მიბაძვით. გვიანი პერიოდის სიგელები ხელოვნურად ემსგავსება ადრეულ ეპოქაში გაცემულ სიგელებს, ხოლო სამართლის ძეგლები ბაძავს მათ: თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოსაცემად კავშირებითის მწერივების გამოყენება სამართლის ძეგლების საერთო სტილური მახასიათებელია.

ამგვარად, სამართლის ძეგლები თხრობითი კილოს მომავალი დროს უმეტესად კავშირებითის მწერივებით აწარმოებს და ეს ფაქტი მხოლოდ ანტო I-ის გავლენად არ უნდა ჩაითვალოს.

მომავალი დროის ახლებურ, ზმნისწინიან წარმოებას უკვე დიდ უპირატესობას ანიჭებს მოგზაურობის ქანრის თხზულებები.

ბ) კავშირებითის მწერივები გამოხატავს საკუთრივ კავშირებით კილოს რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში, კითხვითი ინტონაციის მქონე ნებისმიერი აგებულების წინადადებებში, უნდაობითი მოდალობის შემცველ წინადადებებში და ისეთ სიტყვებსა თუ ნაწილაკებთან, რომლებიც შესაძლო, სათუო, საეჭვო, საგარაუდო ნიუანსებს გამოხატავს.

გ) ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლამ გამოიწვია კილებ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: რთული ქვეწყობილი წინადადებების დამოკიდებულ ნაწილში კავშირებითი კილო დასტურდება უკვე ახლანდებულ დროში (I სერიის უზმნისწინო ფორმებში), მომავალში და წარსულში (III სერიაში).

დ) კავშირებითი კილო წარსულ დროში გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ III სერიაში – III კავშირებითის მწერივში (უფრო ზუსტად, აქ წარსულში მომხდარი

მოქმედების შედეგია მომავალში), აუცილებლად ქვეწყობილი წინადაღების დამოკიდებულ ნაწილში. უნდა ითქვას, რომ III კავშირებითის მრავალი შემთხვევა დადასტურდა განხილულ მასალაში.

ე) საორიენტაციო ძეგლებში დადასტურდა კავშირებითის მწკრივებით I, II და III პირის ბრძანებითების მაგალითები. მათგან ყველაზე საინტერესოა I პირის ბრძანებითი კილოს ფორმები მხოლობით რიცხვში და II პირის ბრძანებითების უწვეულო მატება მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში (ე.წ. თხოვნითი ბრძანებითი).

II პირის ბრძანებითი კილო დასტურდება ჩვენ მიერ განხილულ ყველა ძეგლში, განსაკუთრებით ხშირია დავით გურამიშვილის “დავითიანში”. უნდა ითქვას, რომ უმეტესობა ამ ფორმებისა I კავშირებითის მწკრივითაა გადმოცემული.

გ) გარდამავალი პერიოდის ძეგლებში შეიმჩნევა კავშირებითებით თხრობითი კილოს ზოგადი აწმყოს გამოხატვის უნარი რთული ქვეწყობილი წინადაღებების დამოკიდებულ ნაწილში. რაც უფრო გვიანი პერიოდისაა ძეგლი, მით მეტია ამგვარი ფორმები. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება კავშირებითის მწკრივები თხრობითი კილოს ზოგადი აწმყოს მნიშვნელობით ვახტანგ VI-ისა და დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნებში, ასევე სულხან-საბას და გ. ავალიშვილის მოგზაურობის ჟანრის თხზულებებში.

ზ) ამავე პერიოდის ძეგლების მიხედვით დასტურდება კავშირებითის მწკრივთა პოლისემანტიზმი, რაც თავისთავად ართულებს ამ ძეგლებში ამა თუ იმ ფუნქციისთვის უპირატესობის მინიჭებას.

კავშირებითის მწკრივებში ფუნქციათა აღრევა განსაკუთრებით გვიანი პერიოდის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი და გამოწვეული უნდა იყოს ამ მწკრივების უმთავრესი ფუნქციის – თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვის თანდათანობითი დაკარგვით, ასევე იმით, რომ ამ პერიოდში სხვადასხვა სახის პიპოტაქსური კონსტრუქციის ჩამოყალიბება თანდათან ხდება, კავშირთა სისტემაც ჩამოყალიბების პროცესშია.

პოლისემანტიზმის დაძლევასა და “მოწესრიგებას” კავშირებითის მწკრივებში ხშირად სინტაქსი ცდილობს.

პოლისემიური ფორმები კავშირებითების მწკრივებში განსაკუთრებით მრავლად შეინიშნება პირობით დამოკიდებულ წინადადებებში, დროის დამოკიდებულ ში, ქვემდებარულ და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებში.

პირობით დამოკიდებული წინადადებების შესახებ ზოგადად უნდა ითქვას:

1. კავშირებითის მწკრივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვა ყველაზე დიდხანს ამგვარ წინადადებებშია შენარჩუნებული.

2. პოლისემიური ფორმები უმეტესად ამ ტიპის წინადადებებშია გამოვლენილი.

3. პირობითდამოკიდებულიან როგორ ქვეწყობილ წინადადებებში მომავალი დრო აორისტითაა გადმოცემული, ანუ აორისტის ფორმებს შეთავსებული აქვთ კავშირებითის მწკრივების ფუნქცია, მაგალითად:

და ოუ ვერ იფიცა, რახაც კდავვების, უნდა მიხვეხ (ვახტ., 86,34).

და ოუ იხრევ მამის მამულზე და საქონელზე მოვიდა ჭირიც ინდომა მათი და ლხინიცა, ეთხოების (ვახტ., 84,30).

ოუ ოცდაათი წელიწადი იქ დაყოს და იხე მოვიდა და სხვას კაცს ეყმო, გეღარას შეუა; ოუ ნაკლები დაყო და იხრე მოვიდა, ვერავინ შეეცილება (ვახტ., 99,13).

ოუ უშვილოდ მოკვდა, სხვა ძმები და ბიძაშვილები ვერას მოედავებიან (ვახტ., 80,28).

და ოუ არ დაიჯერა და ან მოკლა რამე ან დააშაგა რამე ... პახუხი უნდა გახვეხ (ვახტ., 97,34).

და ოუ არ დასთმო და აღარც მხლებელი ინდომა, გააგდო ან გაახეიბრა, ერთის მხახურის სისხლი მიხვეხ, და ოუ ინდომა, იხრევ ერთის გლეხის სისხლი მიხვე (ვახტ., 72,14).

ოუ უფროხი ძმა უშვილოდ ამოვარდა, საუფროხო მიხი შედეგისა არის, და ოუ შვილი დარჩა, შვილისა არის (ვახტ., 79,20).

ოუ ომი მოჰადა, იმ ლაშქრობაში უიარაღობით მკვდარი შეიქნების (ვახტ., 88,8).

მაგრამე, ოუ გაუშვა, რაც მზითვი მოჰყოლია, ... თან უნდა გაატანოს (ვახტ., 69,12).

ასეთი ფორმები ძალიან ხშირია ვახტანგის “სამართალში”.

ზ) საშუალი პერიოდის ჩვენ მიერ განხილულ ძეგლებში **-ენ-ი** პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი ნიშანი II კავშირებითის მწკრივში ყოველთვის იჩენს თავს **R-ებ-ი** სტრუქტურის კონვერსიულ ფორმებში, მოყოლებული XII საუკუნის მეორე ნახევრიდან დამთავრებული XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე, ზოგ ძეგლში უფრო ხშირად გამოავლენს თავს, ზოგში – ნაკლებად.

ჩვენც მიგვაჩნია, რომ **-ნენ** დაბოლოების ჩანაცვლება I და II სერიის შესაბამის მწკრივებში **-ენ-ის** ადგილას სწორედ **R-ებ-ი** სტრუქტურის მქონე კონვერსიული ზმნების გავლენის შედეგია (ა.შანიძე).

კავშირებითის მწკრივების კონვერსიული ფორმებიდან ერთდროულად უნდა გავრცელებულიყო **-ნენ** დაბოლოება III პირის მრავლობითის ნიშნად სხვა მწკრივებში: I კავშირებითში, წყვეტილსა და უწყვეტლები.

### თავი III

#### -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციების ფუნქციები ძველსა და საშუალი პერიოდის ქართულში

3.1. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციებით სხვადასხვა ფუნქციების გამოვლენისათვის აუცილებელი ფაქტორები ძველ ქართულში

თავისი ფუნქციით კავშირებითის მწკრივებს უტოლდება -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციები, ამდენად, კავშირებითის მწკრივების განხილვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ეს კონსტრუქციები და მათთან დაკავშირებული საკითხები: სხვადასხვა ენათმეცნიერის გამოთქმული მოსაზრებები, პრობლემები და საკუთარი შეხედულებები.

-მცა ნაწილაკს ძველ ქართულში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ამიტომ იგი შეუმჩნეველი არ დარჩენილა ძველი ქართველი გრამატიკოსებისათვის. ინტერესი ამ ნაწილაკის მიმართ არ განელებულა თანამედროვე ენათმეცნიერების მხრიდანაც. ამიტომ, სანამ დავიწყებთ ამ ნაწილაკის ფუნქციების შესწავლას საშუალი პერიოდის ქართულში, მოკლედ მიმოვისილავთ მოსაზრებებს, რომლებიც გამოთქმულია ამ ნაწილაკიანი კონსტრუქციებით სხვადასხვა ფუნქციების გამოვლენის შესახებ, შემდეგ მივუთითებთ გარკვეულ სისტემაზე, რომელიც ხელს უწყობს -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებს ამა თუ იმ ფუნქციის წარმოჩენაში.

-მცა ნაწილაკის ფუნქციის გაანალიზებისას ა. შანიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს ნაწილაკი თხრობითი კილოს ფორმებს ნატგრით/კავშირებით შინაარსს სძენს: “როგორი მცა სუფიქსი ძველს ქართულში მნიშვნელობას უძლიერებს იმ სიტყვას, რომელსაც ის დაერთვის ხოლმე. დართვით კი შეიძლება დაერთოს სახელსაც, სახელის ნაცვალსაც, ზმნასაც, ზმნიზედასაც, კავშირსაც. მაგრამ რა გინდ სიტყვის ნაწილსაც უნდა დაერთოს, სულ ერთია, იმავე წინადაღებაში ნატგრით კილოს ვერ იხმართ, არამედ ყოველთვის მოთხრობითი უნდა იყოს” (შანიძე 1918: 79).

აღნიშნა ასევე, რომ ამ ნაწილაკს ზმნასთან აქვს კავშირი, ზმნა პირიანი ფორმით არის წარმოდგენილი. ეს ნაწილაკი გვხვდება ან აწმყოში, ან სრულ

ნამყოში. არ არის გამორიცხული -მცა ნაწილაკის ხმარება სხვა ფორმებთანაც: უწყვეტელთან და II თურმეობითთან (იქვე, დას. ნაშრ.).

სპეც. ლიტერატურაში მითითებულია, რომ -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებს იგივე ფუნქციები აქვს, რაც კავშირებითის მწკრივებს, ესენია: 1) თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა; 2) გამოყენებულია მეორე და მესამე პირის ბრძანებითების გადმოსაცემად; 3) გამოხატავს კავშირებით კილოს; 4) გამოიყენება პირობით დამოკიდებულიან ქვეწყობილ წინადაღებაში, სადაც დამოკიდებულში აღნიშნავს პირობას, ხოლო მთავარში – შედეგს.

-მცა ნაწილაკიან ფორმებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ამ ფორმებით სხვადასხვა ფუნქციის გამოვლენისას ანგარიშგასაწევია შემდეგი ფაქტორები: ა) საერთო სინტაქსური კონსტრუქცია, რომელშიც -მცა ნაწილაკია წარმოდგენილი; ბ) მასთან დაკავშირებული ზმნის მწკრივი და გ) მეტყველების რა ნაწილზეა ეს ნაწილაკი დართული:

1) -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციას თხრობითი კილოს მყოფადის გადმოცემა შეუძლია ყველა სახის წინადაღებაში: მარტივშიც, შერწყმულშიც, რთულ თანწყობილსა და რთული ქვეწყობილი წინადაღების როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ ნაწილში. ასეთ შემთხვევაში მასთან დაკავშირებული ზმნა-შემასმენელი ყველაზე ხშირად დგას წყვეტილსა და უწყვეტელში, აწმყოში და ასევე აწმყოს ხოლმეობითში. თავად -მცა ნაწილაკი შეიძლება ერთვოდეს ზმნასაც, ზედსართავსაც, კავშირსაც, ნაცვალსახელსაც...

და რომელიმცა რჩელი უწმიდე იყო, იგიმცა შევიყუარე (ევხტ., 48,17).

გარნა ნუ დაგიჯერებიეს, თუმცა მე მისა ცოლად-და გიყავ (შუშ., 36,41).

შენ-და თავი თავი არა შეიწყალე და განხდებ ღმრთისაგან, შენ მემცა შემიწყალეა? (შუშ., 38,46).

უბრალომცა გარ, რაო გიყო თქუენ (შუშ., 39,43).

რომლისა თანაცა იპოოს მონათა შენგანისა ბარძიმი იგი, მოკუდინ და ჩუქრმცა გართ უფლისა შენისა მონა (დაბ., 44,9).

ნუ პგონებთ, გითარმცა მე ძვრის მეტყუელ რაიმე გყავ თქუენთჲ (ი., 5,45).

არა მომიგიეს მე საქმÀ, რომდოთამცა უბრალო გიპოვე წინაშე საყდართა შენთა ქრისტე (ხანძო., 105,29).

ჯმნულმცა გარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არდარა მიხილოთ ცოცხალი გამოხარული ციხით (შუშ., 39,19).

ნუ იყოფინ, თუმცა ჩემ-ძლით რაო შემთხვევოდა ძმასა ამას (ზარზმ., 171,1).

2) -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია ბრძანებითების ფუნქციით დგას წინადადების თავში, როგორც ეს დამახასიათებელია საერთოდ ბრძანებითებისათვის. ასეთ შემთხვევაში ზმა-შემასმენელი ძირითადად აწყობია ან აწყოს ხოლმეობითში. ასეთ კონსტრუქციებში -მცა ნაწილაკი არასდროს ერთვის კავშირს:

**ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა** (შუშ., 34,18).

**ხსენებულვემცა კეთილსა შინა არიან დედანი იგი, რომელი ტირილდ მოვიდეს ხამრესა მას და კურთხეულ იყვნედ** (უდაბნ. მრ., 248,5).

**გოხმცა ხარ წინაშე მაცხოვრისა ყოველთამასა ჩვენ ყოველთათმა** (აბო, 71,20).

**ნუმცა შერთულ ხარ მათ თანა** (ნინო, 226,9).

**საუკუნომცა არს საში სენებელი და კურთხევად მათი** (იოვ. და ეფთ., 188,6).

**იგინიმცა წყეულ არიან და შეჩუენებულ** (იოვ. და ეფთ., 189,17).

**კრულმცა არს და წყეულ და შეჩუენებულ და განკუთილ წესისაგან ქრისტეანეთამასა და მათ თანამცა შერაცხილ არს, რომელი-იგი შინაგანმცემელ კქმნებ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა და ა-მცა-მოცილ არს იგი ნაწილისაგან ქრისტეანეთამასა!** (იოვ. და ეფთ., 189,13).

3) -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციებით კავშირებითი კილოს გამოხატვა და II რეზულტატივის ფარდი ფორმების გადმოცემა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ მთავარი წინადადების შემასმენელი მხოლოდ სუბიექტს კი არ მართავს ბრუნვაში, არამედ მისი სინტაქსური ზემოქმედების ძალა იმავდროულად დამოკიდებული წინადადების შემასმენელზედაც კრცელდება, ე.ი. მნიშვნელოვანი ფაქტორია კანონზომიერი სიტყვათშეხამება ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში მთლიანად (ერთელიშვილი 1963: 162-172).

როცა -მცა ნაწილაკიან წინადადებებში იგულისხმება კავშირებითი კილო ან II რეზულტატივი, ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში სიტყვათშეხამების ასეთი თანმიმდევრობა შეიმჩნევა: თუ მთავარი წინადადების შემასმენელი აწყოს რომელიმე მწკრივის ზმაა, -მცა ნაწილაკდართული დამოკიდებული წინადადების შემასმენელს კავშირებითი კილოს შინაარსი აქვს.

თუ მთავარ წინადაღებაში შემასმენელი აორისტით ან წარსულის რომელიმე მწერივითაა გადმოცემული, -მცა ნაწილაკიან დამოკიდებულში ძირითადად II რეზულტატივი იგულისხმება (დამოკიდებული წინადაღების შემასმენელი ორივე შემთხვევაში ძირითადად აორისტშია) (ერთელიშვილი 1963: 107).

მნიშვნელოვანია, რომ კავშირებითი კილოსა და II რეზულტატივის გამოხატვისას -მცა ნაწილაკი მხოლოდ და მხოლოდ შესაბამის კავშირს ერთვის, მაგალითები:

ა) -მცა ნაწილაკიანი ფორმები კავშირებითი კილოს გაგებით:

ევედრებინ ერველთავე ლოცვის ერვად მისთან, რაღოთამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნდრებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტესა (შუმ., 35,1).

ხოლო მაგას კერ კჟოვ, კითარმცა მოსისხლეობად იქმნა (შუმ., 37,5).

აწუმეს მეფესა მას, რაღოთამცა განუტევა ცოლი იგი მის (უდაბნ. მრ., 301,4).

კერ შემძლებელ გართ ჩუენ, რაღოთამცა გარდავისტადეთ იგი (უდაბნ. მრ., 272,11).

ჩუენ ქრისტეგანენი გართ და არა ჯერ-არს კითარმცა კჟამეთ და კსუთ ნაგები კერპთად (კოლ., 72,43).

ინებეთ ჩემთვის ლოცვისა ერვად უფლისა მიმართ, არა ხოლო თუ რაღოთამცა მისტენა მე ტელოთავან უხჯულოსათა, არამედ რაღოთ მომცეს მე ძალი ქრისტეგმან (კოსტ. კახ., 77,1).

ხოლო ამ წესთა მათვანი სულიერთად მცირედი რაიმე გამაყრის, კითარმცა ზღაპრაგან წევთი ერთი ვინმე წევალი აღმოჩეო (ხანძთ., 112,28).

ხოლო თქვენ რაღისაღა ზედამდგომლობთ და დამესხმით, კითარმცა მეცა თქვენ გემხევავნენ? (კოსტ. კახ., 78,1).

ამავ იოვანე კვედრებინ და არა უნდა, რაღოთამცა ამხილა მას (იოვ. და ეფთ. 182,14).

არა მიყვარს მე რჩები ესე მამული ჩემი და მინებს კინმცა მამცნო რჩები პურიათამცა და ქრისტეგანეთამცა (ევსტ., 48,16).

ბოლო მაგალითში -მცა ნაწილაკი კავშირზე არ მოხვდა იმის გამო, რომ წინადაღება უკავშირო როული ქვეწყობილია.

ბ) მცა ნაწილაკიანი ფორმები II რეზულტატივის გაგებით:

და ნეტარმან მან გულხმოდგინედ მოასეგნა, რაღოთამცა ბრძანებ და იხილნებ მისნი იგი შენებულნი მონასტერნი (ეხილათ) (ხანძთ., 120,6).

ხოლო მსახურთა მათ წარიყვანებს ჩეტარი ეპეტათი ხაპყრობილებ, რადთამცა აღასრულებს პრძანებული იგი (აღესრულებინათ) (ევსტ., 53,40).

და კინამოთგან ბერძენთა ესევითარი უამი პოვეს, ჰელ-კეს ლონისმიებითა, რადთამცა ქართველნი მონასტრისაგან აღმოფხურნებს (იოვ. და ეფთ., 186,41).

ამისთვის ჰორცნი შეისხნა, რადთამცა ისრაელი მო-კითარ-აქცია ლმრთისა ცხოველისა (ევსტ., 50,18).

არავინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობად და ოქივილი ჩემოს, რომელმანცა შეაჯერა უდმრთოსა მას ხაწუთროსა მეუღლესა(შეჭ., 42,31).

უძრობებს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი (ბ., 26,24).

და ეძებდეს, კითარმცა წარწყმიდებს იგი (მრკ., 11,18).

ყოველთვის არ ხერხდება ზღვარის გავლება II რეზულტატივსა და კავშირებით კილოს შორის ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში, მაგალითად:

და ენება, რადთამცა პირველი იგი ბჭობად და ლმრთისამიერი ჩუენ ზედა წყალობად ცუდმცა კვეს და ამაო (იოვ. და ეფთ., 188,31).

და პხედვიდა იგი, გრძელი წდასა ბერძენებს (კიმ., I, 23,25).

ძალიან იშვიათია, როცა -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია გამოხატავს კავშირებით კილოს ან II რეზულტატივის ფუნქციას და ეს ნაწილაკი კავშირის გარდა რაიმე სხვა სიტყვას დაერთოს დამატებით. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, თუ დამოკიდებული წინადადება ვრცელია (შერწყმულია ან თანწყობილი):

ეპეტებინ ყოველთავე ლოცვის ყოფად მისთვე, რაითამცა ცვალა იგი დმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტეს;

და ენება, რადთამცა პირველი იგი ბჭობად და ლმრთისამიერი ჩუენ ზედა წყალობად ცუდმცა კვეს და ამაო;

და ზენობ გულსა ეტყოდა: “რადთამცა მამული და დუდული მონაგები დასა თანა დაუტევა ნებისაებრ მისისა და თამამცა იქმნა მონაზონ უცხოებასა შინა.

4) -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია გამოიყენება პირობითდამოკიდებულიან ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც დამოკიდებულში აღნიშნავს პირობას, ხოლო მთავარში – შედეგს. ასეთი კონსტრუქციის მთავარი ნაწილი ძირითადად აორისტშია წარმოდგენილი დღევანდელი უწყვეტლის ხოლმეობითის გაგებით,

ხოლო დამოკიდებულში ივარაუდება II რეზულტატივი (ისევ აორისტით გადმოცემული).

პირობითდამოკიდებულიან ქვეწყობილ წინადადებაში -მცა ნაწილაკი აუცილებლად დგას როგორც მთავარ წინადადებაში, ისე დამოკიდებულში. დამოკიდებულში -მცა ნაწილაკი აუცილებლად ერთვის შესაბამის კავშირს. მთავარში არს. სახელსაც, ნაცვალსახელსაც, ზმნასაც, ნაწილაკსაც... მაგალითები:

**უძეთუმცა** არა იყო დაუცხრომელი ბრძოლად წმიდათად, **არამცა მოისიენებ** ბრძოლად იგი სიკუდილდ მარადღე (= რომ არ ყოფილიყო – არ მოიხსენებდნენ) (ხანძთ., 106,19).

**ესე-ლა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ** (=ეს რომ მცოდნოდა – არ შემოგიშვებდი) (შუშ., 40,8).

**უძეთუმცა** არა დაგუყოვნა, **აწმცა მოქცეულ გართ სამ გზის** (=რომ არ დაგვეყოვნებინა – მოქცეული ვიქნებოდით) (დაბ., 43,10).

**უძეთუმცა** სიტყუვად რაო ჭეშმარიტ ყოფილ იყო თქუმულთა შინა შენთა, **არამცა** რაო ბოროტი შემოხუცელ იყო შენდა (=რომ ყოფილიყო – არ შეგემოხვეოდა) (იობ., 4,12).

**უწყოდა თუმცა** მამასახლისმან, რომელსა უამსა მაარავი მოვიდოდა, **არამცა უფლო დათხრად სახლისა თჯხისა** (გ. 24,43).

**ესე თუმცა იყო წინაწარმეტყუეული, უწყოდამცა, რაბამი დედაკაცი შეეხების ძალი** (=რომ ყოფილიყო – ეცოდინებოდა) (ლ., 7,39).

**უფალო, აქა თუმცა იყავ, ძმავ იგი ჩემი არამცა მოკუდა** (=რომ ყოფილიყავი – არ მოკვდებოდა) (ი., 11,21).

**თუმცა მითხარ მე, წარმო-მცა-ეგზაგნე შენ სიხარულითა** (დაბ., 31,27).

**არა თუმცა დმერთი მამისა ჩემისა აბრაჟამისა იყო ჩემ თანა და შიში ისაკისი, აწ ცარიელმცა გამომავლინე** (დაბ., 31,42).

**თუმცა არა შეამოკლნა დღენი იგი, კერმცა განერა ყოველი ჰორციელი** (=რომ არ შეემოკლებინა – ასცდებოდა) (მრკ., 13,20).

**თუმცა არა იყო ღმრთისა მიერ, კერმცა შემძლებელ იყო ყოფად რახსმე** (=რომ არ ყოფილიყო – ვერ შეძლებდა) (ი., 9,33).

**არამცა გაქუნდა ჰელმწიფებად ჩემ ზედა არცა ერთ, არა თუმცა მოცემულ იყო შენდა ზეგარდმო** (ი., 19,11).

**დაღათუმცა** არა ვისა თხოიდ გიყავ, გითარმცა თავს-ვიღევ კაცისავ ამის  
უცხოისავ (მრვლო., 163,16).

ამგვარად, **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციები თავისი ფუნქციით  
კავშირებითის მწკრივებს უტოლდება. ორი პარალელური ფორმის –  
კავშირებითისა და **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციების – არსებობის თაობაზე  
სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული: არნ.  
ჩიქობავა თვლის, რომ კავშირებითი კილოს ფორმათა ჩამოყალიბებამდე  
ქართული ამ ფორმით გამოხატული კატეგორიის გადმოსაცემად **-მცა**  
ნაწილაკიან თხრობითი კილოს ფორმებს იყენებდა, კავშირებითის  
ფორმათა ჩამოყალიბების შემდეგ **-მცა**-ს თავისი ფუნქცია დიდხანს არ  
დაუკარგავს და კავშირებითის პარალელურად იხმარებოდა. ამის მიხედვით, –  
დასძენს ავტორი, – კავშირებითის მწკრივის ფორმები და **-მცა** ნაწილაკიანი  
კონსტრუქციები სხვადასხვა ისტორიული ფენაა ქართულში: პირველი  
(კავშირებითი მწკრივები) უფრო გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე მეორე (ჩიქობავა  
1952: 275).

**-მცა** ნაწილაკს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა პ. გაჩეჩილაძემ. იგი სომხური  
და ბერძნული პარალელების ქართულთან შედარებითი ანალიზის შედეგად  
ასკვნის, რომ **-მცა** ნაწილაკი წმინდა ქართული ენობრივი მოვლენაა, რომ იგი  
არ არის შედეგი ბერძნულ-სომხური გავლენისა, რადგანაც ქართულის ამ  
ფორმების შესატყვისად უცხო ენებში სხვადასხვა ენობრივი საშუალებებია  
გამოყენებული. ავტორმა შეისწავლა **-მცა** აფიქსის ხმარების წესი ორიგინალურ  
და ნათარგმნ ძეგლებში და მიიღო ბუნებრივი დასკვნა: “ორიგინალურ  
თხზულებებში მეტი თუ არა, ნაკლები სიხშირით არაა **-მცა** გამოყენებული,  
ამიტომ იგი ქართული მოვლენაა. გარდა ამისა, **-მცა** ნაწილაკიანი  
კონსტრუქციები ქართული ენის დიალექტებში (აღმოსავლურსა და  
დასავლურშიც) დღემდე მოიპოვება” (გაჩეჩილძე 1960: 241).

**-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციების შესწავლისას ნ. კოტინოვი ეყრდნობა  
ქართული ოთხთავის DE და C რედაქციების ჩვენებებს და ასკვნის: ოთხთავის  
DE რედაქციაში, იქ, სადაც **-მცა** ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმებია  
გამოყენებული, C რედაქციაში კავშირებითი კილოს ზმნა შეესატყვისება. ასეთი  
ურთიერთმონაცვლეობა ოთხთავის რედაქციებში ბოლომდე თანმიმდევრულად  
არაა გატარებული, მაგრამ შემთხვევათა უმრავლესობა აღნიშნულ

მონაცელეობას ადასტურებს. ავტორის ვარაუდით, -მცა ნაწილაკის გამოყენება თავდაპირველად ერთ რომელიმე დიალექტს ახასიათებდა და შემდგომ გავრცელდა მთელ ქართულში (კოტინოვი 1986: 54).

3. თოფურია წერს, რომ -მცა-ს ფარდი ფორმა დღემდე დაცულია სვანურ ენაში -უ(-უ), ოფ-უფ, ოდ-ის სახით. ამგვარად, მისი აზრითაც -მცა ნაწილაკი დიალექტური წარმომავლობისაა (თოფურია 1931: 183).

გამოთქმულია მოსაზრება -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების წესის შერყევის სხვადასხვა გარემოებებზეც, ესენია: ა) თხრობითი კილოს მყოფადის ფორმების ჩამოყალიბება, რის შედეგადაც II კავშირებითს საშუალება მიეცა თხრობითი კილოს გამოხატვაზე აელო ხელი და მხოლოდ კავშირებითობის შინაარსი გადმოეცა, ხოლო -მცა ნაწილაკიანი ფორმებით კავშირებითის გამოხატვის საჭიროება შემცირდა, ბ) II რეზულტატივის ფორმების გახშირება, გ) ისეთი კავშირების მომრავლება, როგორებიცაა: ოუმცა, ვითამ, განაღაც, ნუცა, ოდესცა, თუმცა, ვითამცა, განაღაცა/განაღამცა, ნუმცა, ოდესმცა და ა. შ. (ამ ნაწილაკებში -მცა კომპლექსს -მცა ნაწილაკის ფუნქცია აღარ ჰქონდა) (გაჩეჩილაძე 1960: 248-250).

ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ეს კონსტრუქციები უძველესია და რომელიდაც დიალექტიდანაა შემოჭრილი სალიტ. ქართულში (გაჩეჩილაძე 1960: 241), მაგრამ ამავე დროს გვგონია, რომ უძველესი შეიძლება იყოს -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციით გამოხატული მხოლოდ ერთი ფუნქცია – გამოხატოს მომავალი დრო. სხვა დანარჩენი ფუნქციებით ამ კონსტრუქციების გამოყენება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაზე ადრეული არ უნდა იყოს. საიდან ჩანს ეს:

როგორც ზემოთ მივუთითეთ, -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია კავშირებითი კილოს გაგებას იძლევა ამ ნაწილაკის შესაბამის კავშირზე დართვით ჰიპოტაქსურ წინადადებაში. ასევე იქცევა პირობითდამოკიდებულიან და II რეზულტატივის ფარდ წინადადებებზი, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ -მცა ნაწილაკი უკვე გვიან მორგებულია იმ მზამზარეულ სინტაქსურ კონსტრუქციაზე, რომელსაც ჰიპოტაქსურს ვუწოდებთ, როგორც ჩანს, კავშირებითის ფორმების ანალოგით (ისევე როგორც კავშირებითის მწკრივები, -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციებიც კილოს გამოხატვისას საერთო სინტაქსურ მდგომარეობას ითვალისწინებენ).

მაშასადამე, უპირველესი უნდა იყოს -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების მიერ მომავალი დროის გამოხატვის ფუნქცია. მიგვაჩნია, რომ -მცა ნაწილაკი ვერ ითავსებს კავშირებითის მწკრივს იმის გამო, რომ ამ მწკრივის უმთავრესი ფუნქციაც სწორედ მომავალი დროის გამოხატვაში მდგომარეობდა.

დავაპირდეთ ზემოთ მოყვანილ მაგალითებს: რა აკლია მათ? – შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქცია ამა თუ იმ კილოს გადმოცემისათვის აქვთ, – აკლიათ მხოლოდ და მხოლოდ მომავალი დროის გაგება, რომელიც საჭიროა როგორც ბრძანებითი, ისე კავშირებითი კილოებისათვის (არაფერს ვამბობთ პირობითი მოდალობებისა და II რეზულტატივის გამოხატვაზე: ისინი შედარებით გვიანი მოვლენაა, როცა ჰიპოტაქსური კონსტრუქცია უკვე მყარადაა ჩამოყალიბებული ძველ ქართულ ში. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების შენარჩუნებაც ძველ ქართულ ში, ვფიქრობთ, იმიტომ გაგრძელდა, რომ მათ შესანიშნავად მოახერხეს II რეზულტატივისა და პირობითი მოდალობების გამოხატვა).

ბუნებრივად დაისმება შეკითხვა: რატომ ვერ ითავსებს -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია მომავალ დროს, რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ვფიქრობთ, იმ კილოში, საიდანაც ეს კონსტრუქცია გავრცელდა სალიტერატურო ქართულ ში, მყოფადი მხოლოდ ლექსიკური საშუალებით იყო გამოხატული. ა. შანიძის განმარტებით, “-მცა ნაწილაკი რთული შედგენილობისაა – წარმოდგება -მ და ცა ნაწილაკებისაგან. მისი პირველი ნაწილი (-მ) ნაშთი უნდა იყოს რაღაც სიტყვისა” (შანიძე 1918: 79). მიგვაჩნია, რომ -მ ნაშთია ისეთი სიტყვისა, რომელიც შინაარსით მომავალი დროის გამომხატველია (როგორებიცაა მერმე, შემდგომ ან რაღაც სხვა), -ცა კი მნიშვნელობას უნდა უძლიერებდეს იმ სიტყვას, რომელსაც კონსტრუქციაში ამა თუ იმ ფუნქციების გამოვლენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (მაგ. კავშირს). ჩვენი ვარაუდით, კონსტრუქციას დაახლოებით ასეთი სახე უნდა ჰქონოდა: ზრახვა-ყვეს (=რაითა-მერმე-ცა), რაითამცა იქსე ზაპუგით შეიძყრეს.

დ. მელიქშვილის მოსაზრებით, ამ ნაწილაკის პირველი ნაწილი -მ უნდა მომდინარეობდეს -მე განუსაზღვრელობითი ნაწილაკისაგან (თუმცა =თუ+მე+ცა), -ცა კი კორელაციის მაწარმოებელია. განუსაზღვრელობითი -მე ნაწილაკი სათუო-სავარაუდო-განუსაზღვრელი მოქმედების (> მომავალი დროის) შინაარსს სძენს ფორმას: მომავალი დროც განუსაზღვრელია.

ამდენად, ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდი -მცა ნაწილაკის უმთავრეს დანიშნულებაზე – გამოხატოს მომავალი დროის მნიშვნელობა – ვფიქრობთ, უფრო საფუძვლიანი ხდება.

ამავე მოსაზრების გასამყარებლად ვიტყვით ასევე, რომ ძველი და საშუალი პერიოდის ქართულის განხილულ ძეგლებში არსად არ შეგვხვედრია -მცა ნაწილაკი მომავალი შინაარსის მნიშვნელობის მქონე სიტყვასთან.

შეგვხვდა “მერმე” სიტყვასთან მხოლოდ -ცა ნაწილაკი და არა -მცა, მაგალითად:

“**მერმეცა იპოს კინძე, რომელმან ესე შეიძეოს**” (შუშ., 38,24).

წერილი წ’ის გიორგი-მთაწმიდელის ბიოგრაფის გიორგი მონაზონისა:

და **მერმეცა აღივსენ** პირი ჩუმნი გალობითა, რათა ქაბარ დ’თისა ჩუმნისა იხილოხ მრავალთავ (ქრონ., 76,32).

როგორც ჩანს, -მცა ნაწილაკის განუსაზღვრელობითი, ანუ მომავალი დროის შინაარსი დროთა ვითარებაში დაიკარგა.

### 3.2. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციის სემანტიკის განვითარებისათვის ქართულ სარაინდო პოეზიასა და პროზაში.

-მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა საშუალი პერიოდის ქართული სარაინდო პროზა, ამიტომ ამ კონსტრუქციებზე მსჯელობას სწორედ ამ ჟანრის ნაწარმოებების მონაცემების მიხედვით დავიწყებთ.

საშუალი პერიოდის სარაინდო პროზასა და პოეზიაში -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციები უჩვეულოდ ხშირად იხმარება (მხედველობაში გვაქვს „ვეფხისტყაოსანი”, „ამირანდარეჯანიანი” და „ვისრამიანი”). ამასთან ისინი ზუსტად იმეორებენ იმ ფუნქციებს, რომლებსაც კავშირებითის მწკრივები გამოხატავენ. უფრო მეტიც, რამდენადაც იზრდება კავშირებითის მწკრივების გამოყენება სხვადასხვა ფორმებთან, იმდენად -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების გამოყენების არეალი ფართოვდება.

განსაკუთრებით ხშირია -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები „ვეფხისტყაოსანში.” გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ძველი თუ საშუალი პერიოდის სხვა ძეგლებში. ვფიქრობთ, ამ ფორმებს რუსთაველი პოეტური მიზანდასახულებით მიმართავდა, ეს მისი პოეტური სტილის მახასიათებელია. სწორედ რუსთაველის გავლენას უნდა უკავშირდებოდეს -მცა ნაწილაკიანი ფორმების მომრავლება სარაინდო-სამიჯნურო პროზაში — „ამირანდარეჯანიანსა” და „ვისრამიანში”.

ამ დასკვნის მიღების საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ თავად ძველ ქართულში -მცა ნაწილაკიანი ფორმები მიჩნეულია ისტორიულად უფრო ადრინდელ მოვლენად კავშირებითის მწერივებთან შედარებით და, თუმცა -მცა ნაწილაკი კავშირებითის პარალელურად იხმარებოდა, მაგრამ შეფარდება, გამოყენების თვალსაზრისით, მათ შორის საქმაოდ დიდია, მაგალითად: პ. გაჩეჩილაძის გამოკვლევით, ბიბლიის წიგნებში („დაბადებისავ,” გამოსლვათავ”, მსაჯულთავ”, “რუთისი”, “იობისი”, “ესავასი”) -მცა ნაწილაკიანი ფორმები 70-ს ვერ აღწევს (მაშინ, როცა კავშირებითის ფორმები 2000-ზე მეტია, შეფარდებაა 30:1), “ლევიტელთას” წიგნში -მცა ნაწილაკიანი ფორმა არ გვხვდება. ასევე შედარებით იშვიათია -მცა “გამოსლვათასა” და “ესავას” წიგნებში (შეფარდებაა: 79:1 და 125:1), ანალოგიურ სურათს იძლევა “მამათა სწავლანი”, “საქმე მოციქულთა” და “კათოლიკე ეპისტოლენი”.

ქართული ოთხთავის რედაქციებიდან ადიშის ოთხთავში იგი 191-ჯერად ნახმარი, ჯრუჭ-პარხლისაში — მხოლოდ 127-ჯერ.

ორიგინალური ძეგლებიდან გიორგი მერჩულის თხზულებაში “ცხორებად გრიგოლ ხანძთელისავ” -მცა 30-ჯერ გვხვდება (შეფარდებაა 30:1), გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში -მცა ნაწილაკიანი ფორმები 52-ჯერ გვხვდება (კავშირებითის — 203-ჯერ, შეფარდებაა 4:1), ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ორიგინალურ ძეგლებში (გაჩეჩილაძე 1960: 247).

-მცა შუა საუკუნეების ძეგლებში დასტურდება შემდეგი ფუნქციებით:

1. -მცა ნაწილაკი თხორობითი კილოს რომელიმე მწერივის ზმნასთან კავშირში გვაძლევს თხორობითი კილოს მომავალი დროის გაგებას;
2. -მცა ნაწილაკიანი თხორობითი კილოს ზმნა კავშირებითი კილოს ფუნქციით იხმარება;
3. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციებს აქვთ უნდაობით მოდალობა (რაც თავისთავად კავშირებითის შინაარსს გულისხმობს);
4. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები

კითხვითი ინტონაციის მქონე წინადაღებებში ზმნას კავშირებითი კილოს გაგებას აძლევს; 5. -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებში კავშირებითი კილოს გაგებაა ნუთუ, ნეტარ (იქნებ, ეგებ, ნეტავ) სიტყვებთან; 6. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები გამოიყენება I, II, და III პირის ბრძანებითების საწარმოებლად მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში; 7. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები შემასმენელს ანიჭებს ხოლმეობითის გაგებას; 8. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები II რეზულტატივის შინაარსისაა.

მაგალითად:

3.2.1.-მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციები თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობით

ვის მივანდო ხახლი ჩემი, შენვან კიდე ვინმც მეფერა (ვინ შემუფერება)? (ვეფხ., 791,გ).

აგხა კაცხა ურჩევნია აგხამცა რას ადრე სცნობდა (რაც ადრე გაიგებს ცედს)! (ვეფხ., 762,დ).

სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა (თუ ავისრულებ სურვილს, არ მენადვლება)! (ვეფხ., 802,დ).

შენვან ჩემი სიყვარული ვითმცა არა დამჯვერა (როგორ არ დავიჯერებ) (ვეფხ., 791,ა).

რაცა ხაქმა უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა (ვის შეარჩენს ღმერთი) (ვეფხ., 783,დ).

კვლა მოახევნა: “რამცა ხცან სიტყვითა ეხოდებითა” (რას გაიგებ) (ვეფხ., 761,ბ).

მართალ ხართ, თუმცა რისხვანი ჩემთვის იანაზდენითა (თუ გამირისხდებით) (ვეფხ., 761,დ).

აახუხად ვწერდი: მთვარეო, შენმცა მზე ვით მოგერია (როგორ მოგერევა)? (ვეფხ., 387,ბ).

ვინმცა გასძლნა ჭირნი ჩემნი, ანუ ვინმცა შეუცადა (ვინ გაუძლებს ან ვინ შეეცდება)? (ვეფხ., 28,გ).

თვარა ვისმც ექმნა გვარლითა შეკრვა თავისა მრთელისა (ვინ შეიკრავს თავს)! (ვეფხ., 262,დ).

მტერი არავინ ვიჩანს და რამცა ვინ გადადრა (ვინ რას გადადრებს) (ამირ., 97,46).

გამოსცა პასუხი ხვალისად, კითა: **მზამცა ხარ** (მზად იქნები)? (ამირ., 13,30).

კარგიძეა ჭაბუკი კიყავ (კარგი ჭაბუკი ვიქნები) (ამირ., 60,34).

**ნუმც** კისგან მესმის ამბავი მის დევისაო (ნურავისგან გავიგებ) (ამირ., 109,8).

**ნუმცა** კინ გძებს დიაცისაგან მოწყალეობასა, **ნუმცა** კინ სთესავს მღაშეა კელსა ზედა ვარდსა (ნურავინ დათესავს მღაშე ველზე ვარდს...) (ვისრ., 165,12).

რათგან რამინ კისის გული არ შეინახა და მას კერ შეგვა, **მუნმცა** რა გაგახარა (შენ როგორ გაგახარებს)? (ვისრ., 178,3).

მაგრა აწ თუმცა ღმერთმან შენისა პირისა ნახვა **მომცა** და მერმე მოვკედე, აღარა მგამა (თუმცას მნიშვნელობა უმეტეს შემთხვევაში არის რომ, მაგრამ, უკათესი იქნება, ეს წინადადება ასე რომ გადმოგვედო: თუ დმერთი შენს ნახვას მაღირსებს და ისე მოვკედები, აღარ მენაღვლება) (ვისრ., 185,7).

თუთ მისისავე გულისაგან კიდე მიწომა **კეთნდა** (ვის ექნება)?! (ვისრ., 185,42).

-**მცა** ნაწილაკი თხრობითი კილოს მომავალი დროის გაგებით “ვეფხისტყაოსანში” შეგვევდა 80-ჯერ, აქედან 64-ჯერ – წყვეტილის მწკრივთან, 9-ჯერ – უწყვეტელთან, 3-ჯერ – II რეზულტატივთან, 4-ჯერ – აწმყოსთან (ოთხივე შემთხვევა ნუ უარყოფითნაწილაკიანია). “ამირანდარეჯანიანში” -**მცა** მომავალი დროის გაგებით დასტურდება 4-ჯერ: 2-ჯერ – წყვეტილთან, 2-ჯერ – აწმყოსთან. “ვისრამიანში” – 6-ჯერ: 3-ჯერ – წყვეტილთან, 2-ჯერ – უწყვეტელთან, ერთხელ – აწმყოსთან.

მნიშვნელოვანია, რომ 1. -**მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციები თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციით გვხვდება ნებისმიერი აგებულების წინადადებაში: მარტივშიც, შერწყმულშიც, რთულშიც, რთული ქვეწყობილი წინადადების როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ ნაწილში;

2. თავად -**მცა** ნაწილაკი შეიძლება დაერთოს ნებისმიერ სიტყვას: სახელსაც, ზმნასაც, ნაწილაკსაც, კავშირსაც...

**3.2.2. -მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმები კაგშირებითი კილოს გაგებით:**

არ ეგების ამას იქით, **თუმცა** თავი არ გამონე (რომ არ დაგემონო) (ვეფხ., 258,3).

თავსა მოვიკლავ, მე **თუმცა** შენგან არ გეჭვდი წყენასა (რომ არ ველოდე წყენას) (ვეფხ., 844,ბ).

რაცალა არის არ არის, **თუმცა** არ ედგნეს ბუდენი (რომ არ პქონდეს ბუდე) (ვეფ. 222,ბ).

უოლა ჭირი არ ეგების, **თუმცა** ლხინმან არ დახძლია (რომ ლხინმა არ დასძლიოს) (ვეფხ., 644,ღ).

კინ ღირსა, **თუმცა** წყალობით ცა მიწყივ მობრუნდებოდა (რომ მუდამ ბრუნავდეს) (ვეფხ., 1361,ღ).

ესე არის აჯა ჩუენი შენსა წინაშე, **რომელმცა** გნახეთ ჭაბუკობა შენიო (რომ გნახოთ) (ამირ., 66,36).

მე მინდა ესე, **რომელმცა** კინდე შემება ომი გამისწორა (რომ ვინმე შემებას და ომი გამისწოროს) (ამირ., 79,36).

კინათგან ესეთი კაცი გნახეთ, დღეისითგან წალმა გითამცა შენი გართო (თითქოს შენი ვიყოთ დღეიდან) (ამირ., 87,7).

თქუენ გითამცა ჩემნი ძმანი ხართ ( ვითომც ჩემი ძმები იყოთ) (ამირ., 87,10).

ლამის მეფე, **რომელმცა** მზეჭაბუკი და იმარინდო შეიბნესო (რომ შეიბნენ), (ამირ., 89,12).

აწ გითამცა ძმანი ხართ ჩემნი და არა ყმანი, ეგრე დაგიჭირნეთ (ვითომ ჩემი ძმები იყოთ) (ამირ., 97,35).

ჩუენგან ესე არა ეგების, **რომელმცა** არა უშუალეთ (რომ არ ვუშველოთ) (ამირ., 105,4).

რა თავისა სახლსა შიგან მტერი გიჯდებ, გითამცა სოფელსა შიგან გუელი გიზის ( ვითომ გველი გიჯდეს) (ვისრ., 151,23).

ნეტარძი ჩემთუის, **თუმცა** ერთხელ კულა გნახე (გნახო) მისი პირი, ანუმცა ღონე იყო (იყოს), მეტებოთბა მისი ამას გზასა მე მომხუდებოდა (შემხვდებოდეს) (ვისრ., 153,25).

თუმცა ათი ათასი სული მედგა, კულა მისთუისგე მინდა (ათი ათასი სული რომ მედგას) (ვისრ., 160,39).

ნუთუმცა დაიღია ჭირისა დღე და მოგუებრა სიხარულისა და ლხინისა ჯამი (იქნებ დასრულდეს ჭირი და მოგვესწოროს სიხარულისა და ლხინის დრო)? – ამ წინადაღებაში –მცა-ს ძალა ორ ზმნაზე ვრცელდება, ასეთი შემთხვევა ძველმა ქართულმა არ იცის, საშუალი პერიოდის ქართულში კი არაერთხელ შგვხვდა.

-მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ზმნა კავშირებითი კილოს გაგებით “ვეფხისტყაოსანში” გვხვდება 14-ჯერ: წყვეტილთან – 9-ჯერ, უწყვეტელთან – 2-ჯერ, აწმყოსთან – 3-ჯერ. “ამირანდარეჯანიანში” – 21-ჯერ: წყვეტილთან – 11-ჯერ, აწმყოსთან – 8-ჯერ, მყოფადთან – 2-ჯერ. “ვისრამიანში” – 20-ჯერ: წყვეტილთან – 11-ჯერ, უწყვეტელთან – 4-ჯერ, აწმყოსთან – 4-ჯერ.

მნიშვნელოვანია, რომ 1. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები კავშირებითი კილოს ფუნქციით გვხვდება როგორი ქვეწყობილი წინადაღების დამოკიდებულ ნაწილში; 2. როდესაც -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია დამოკიდებულ წინადაღებაში იძლევა კავშირებითი კილოს გაგებას, -მცა დაერთვის მხოლოდ და მხოლოდ კავშირს (უკავშირო ქვეწყობილ წინადაღებაში დამოკიდებული წინადაღების პირველსავე სიტყვას დაერთვის), მაგალითად:

იაგუნდი კერძი ხჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა (მინა რომ ათასჯერ მინობდეს, იაგუნდი მაინცა სჯობს) (ვეფხ., 304,ბ).

ლმერთმან ქმნას და გავიმარჯვდეს, მორჭმულიმცა ჩემ კერძ ირე! (ლმერთმან ქმნას, რომ გამარჯვებული ჩემკენ წამოხვიდე) (ვეფხ., 420,ბ).

თქვა: ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ, ვისმცა ჰყავხა (ნაძლევსა ვარ, რომ ვინმეს ჰყავდეს) (ვეფხ., 322,ბ).

### 3.2.3.პოლისემიური ფორმები -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებში

ხშირად თხრობითი კილოს მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს გამიჯვნა ერთმანეთისაგან ჭირს -მცა ნაწილაკიან ფორმებში: კონსტრუქციები პოლისემიურია. ამ მოვლენის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ორივე ფორმისათვის – თხრობითი კილოს მომავალი დროისა და კავშირებითი კილოსათვის – ამოსავალი სწორედ მომავალი დროა, რომლის წიაღშიც უნდა ჩასახულიყო კავშირებითი კილო, მაგალითად:

უშენოდ რამცა ეიო გაგიხარეო (როგორ გაგიხარებ ან როგორ გაგიხარო)? (ვეფხ., 1650,ბ).

რადმცა გაგწირე, თუ ვითა გაყრახა მოვითმინები (რად გაგწირავ ან რად გაგწირო)? (ვეფხ., 1580,დ).

მონებისა უკეთესი რამც გიშოვე, რამც გიქონე (რას ვიშოვი, რას ვიქონიებ ან რა ვიშოვო, რა ვიქონიო)? (ვეფხ., 1646,დ).

ასეთი მაგალითებისათვის ამა თუ იმ მნიშვნელობის მიკუთვნება სუბიექტურია, მთლიანად მკითხველის აღქმა - გემოვნებაზეა დამოკიდებული.

**3.2.4. კავშირებითია კილო “უნდაობითი” მოდალობის შემცველ -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებშიც, მაგალითად:**

მაგისად ნაცვლად **რამც ვიყავ დირსი ქებისა თქვენისა** (რა უნდა ვიყო) (ვეფხ., 303,ბ).

მოილოდინე, მოვიდეს, **რაზომცა დაგეყოვნების** (რაც უნდა დიდხანს ელოდო) (ვეფხ., 264,ბ).

მან განანათლოს მჯგრებელთა გული, **რაზომცა ბნელია** (რაც უნდა ბნელი იყოს) (ვეფხ., 481,ბ).

მიგვევ, მიამბობს კველასა, **რაზომცა ცეცხლი მწვავ ალთა** (რაც უნდა მწვავდეს) (ვეფხ., 1101,ბ).

ესე ლაწვნი მზისად ხმამან, **კაცთაგანმცა ვით იკოცნებ** (კაცმა როგორ უნდა აკოცოს)! (ვეფხ., 1170,ბ).

უმამან უთხრა: ვერ წაგიტან, **რაზომსამცა ცრემლსა პლვრიდი** (რამდენი ცრემლიც უნდა დვარო) (ვეფხ., 790,დ).

**რაზომცა სწყრები, შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა** (რაც უნდა სწყრებოდე) (ვეფხ., 802,ა).

**რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეპრეცა ბნელია** (რაც უნდა ნათობდეს) (ვეფხ., 1303,ბ).

**რაზომცა დიდი ლაშქარი არის, ომსა ვერსით წაუგალთ** (რაც უნდა დიდი ლაშქარი იყოს) (ამირ., 105,10).

**რაზომცა მიგალ ჩემი კუალი მრუდად ჩანს** (რაც უნდა ვაკეთო, როგორც არ უნდა ვიარო) (ვისრ., 163,19).

**რაზომცა შენ დამამძიმე, მე არცა რა კადრებისა ლონგ ეგე მაჭუსო** (რაც უნდა დამამძიმო) (ვისრ., 180,27).

ეს **რაზომცა ნისლი მომხუჯვია, დარისა კარგისა და მთუარისა ნათლისაგან იმედსა არ გარდავსწუუდ** (რაც უნდა ნისლი მეხვიოს) (ვისრ., 166,29).

**რაზომცა კუკლუცი და ჰელმწივე ქმრები უვის, მაღვით ეპრეცა მიჯნურობებ** (რაც უნდა ლამაზი და დიდებული ქმრები ჰყავდეთ) (ვისრ., 156,22).

**რაზომცა** შენგან მტკრობა **ვცან**, კიდევანობისა ბორკილთა დამჭვდე და გულსა ცეცხლი ჩამიგზნე, თუალთა სისხლი მაღინე, სისხლისა ტბასა ჩამაგდე და ჯეონსა შიგან ჩამარჩევ – მე გული არცა გვრე მეტყუის შენსა წყვვასა (რაც უნდა მტრობა ვცნო, ... დამბეჭდო, ... ჩამიგზნო, ... მადინო, ... ჩამაგდო და ... ჩამარჩო ... – მცას ძალა ვრცელდება ექვს ზმნაზე-შემასმენელზე) (ვისრ., 173,22).

კილოს მიხედვით “უნდაობითი” ფორმები შუალედურ კითარებას გვიჩვენებს ბრძანებით და კავშირებით კილოებს შორის. ამ მხრივ გარკვეული ზღვარის გავლება შეიძლება: როცა უნდაობითი ფორმა იგულისხმება ქვეწყობილი წინადაღების დამოკიდებულ ნაწილში ან კითხვითი შინაარსის მქონე წინადაღებებში, მაშინ კილო შესაძლო, სათუო, საგარაუდო ნიუანსების მიხედვით კავშირებითია (ამას ადასტურებს ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები). როცა უნდაობითი ფორმა მთავარ წინადაღებაში იგულისხმება, მაშინ იგი პატეგორიულობით ბრძანებით კილოს ემსგავსება, მაგალითად:

**მქონელი საქმისა ძნელისა კაციმცა იყო ცნობილი** (კაცი უნდა იყოს) (ვეფხ., 943,ბ).

**კაციმცა** მაშინ თქვენ გახლაგხ, რა ომმან ქმნას გაჭირობა (კაცი მაშინ უნდა გახლდებ) (ვეფხ., 1410,ღ).

მათთა მჭკრებელთა გულნიმცა ესხნებ წრთობილნი (წრთობილი გულები უნდა ჰქონდეთ) (ვეფხ., 1576,ღ).

აგთანდილის მაქებელთა ათასიმცა ენა ენდა (ათასი ენა უნდა ენობდება)! (ვეფხ., 1057,ა).

სახლ-საყოფი არა პმართებე, **ცამცა** გაიდარბაზესა (ცა უნდა გაიდარბაზონ) (ვეფხ., 690,ღ).

ქალი ჟყვა ერთსა მონასა, **ვცანმცა**, თუ მოღმა ვინ არე (უნდა გამეგო) (ვეფხ., 574,ბ).

**კაცი იყო საქმისამცა** შესავერი, შესატყვისი (კაცი უნდა იყოს საქმის შესაფერისი) (ვეფხ., 781,ბ).

“უნდას” შემცველ წინადაღებებში -**მცა** ნაწილაკი “ვეფხისტყაოსანში” დადასტურდა 27-ჯერ: 11-ჯერ – წყვეტილში, 2-ჯერ – უწყვეტელში, 14-ჯერ – აწყოში (რაზომცა კავშირთან – რაც უნდა, რაგინდ მნიშვნელობით – ყოველთვის აწყოშია); „ამირანდარეჯანიანში” – ერთხელ წყვეტილის მწერივთან; „ვისრამიანში” – 5-ჯერ (ერთ წინადაღებაში -**მცა** ნაწილაკის ძალა

ექვს ზმნაზე ვრცელდება, ასე რომ, სულ ათი ზმნა განიცდის სინტაქსურ ზემოქმედებას: 7-ჯერ -მცა წყვეტილის ფორმას უპავშირდება, 2-ჯერ – აწმყოს, ერთხელ – I რეზულტატივს.

**3.2.5. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები კითხვითი შინაარსის მქონე წინადაღებებში ზმნა-შემასმენელს კაგშირებითი კილოს გაგებას ანიჭებს, მაგალითად:**

შენოვის მოგაკვეთ, ამისებრი მემცა საქმე რა გილონე (რა ვიღონო)! (ვეფხ., 258,ღ).

შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელი კაცნი გითმცა შეგაჯერებ (როგორ დაგაჯერო)! (ვეფხ., 799,ღ).

ლომო, ქებანი შენნიმცა ჩვენ ვითა გადიადენით (როგორ ვადიდოთ)! (ვეფხ., 1129,ბ).

რათაცა ვით გვპოვებ, მას ვიქმ, გულმან სხვამცა რა ისმინა ( სხვა რა მოისმინოს)! (ვეფხ., 1100,ღ).

სულთა მოგცებ გულისათვის, სხვა მეტიმცა რა გაქონე (მეტი რა მოგცე)? (ვეფხ., 252,ღ).

ნუთუ ყოს ლძერთმან გაძლება, მემცა ვით მივეც ენას გაძლება) (ვეფხ., 308,ბ).

სხვად ამბავი აქაური მეტი რამცა მოგიწერე (მეტი რა მოგწერო) (ვეფხ., 1296,ა)

სხვამცა რა გძადრეთ (სხვა რა გძადროთ)? (ვეფხ., 516,ღ).

რამცა გქმებ ნაცვლად, თვით რომე მისი ჩემთხედა კალია (რა გავაპეთო სანაცვლოდ)! (ვეფხ., 590,ბ).

აწ რად რადმცა ესრე უთმინოდ გიყავ? რად რადმცა ესრე დაღრუჯილი და მიჭირვებული გიყავ (რატომ ვიყო ასე შეჭირვებული და მოწყენილი)?(ვისრ., 182,19).

კითხვითი ინტონაციის შემცველი **-მცა** ნაწილაკიანი ფორმები კაგშირებითი კილოს გაგებით „ვეფხისტყაოსანში” 29-ჯერ შეგვევდა: წყვეტილთან – 28-ჯერ, უწყვეტელთან – ერთხელ; „ამირანდარეჯანიანში”ასეთი ფორმები არა გვაქვს; „ვისრამიანში” ორი მაგალითია, ორივე წყვეტილის მწერივთან.

მნიშვნელოვანია, რომ -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები კითხვითი ინტონაციის შემცველ წინადაღებებში კავშირებითი კილოს გაგებას იძლევა ყველანაირი აგებულების წინადაღებაში (და არა მხოლოდ დამოკიდებულ ში).

3.2.6. -მცა ნაწილაკიან სინტაქსურ კონსტრუქციებში ნატვრითი კილოს გაგებაა ნუთუ, ნეტარ სიტყვის, შემცველ წინადაღებებში, მაგალითად:

კვლა ნუთუმცა შემოვიძე ღმერთმან სრულად არ დაძვარვა (იქნებ დაგბრუნდე) (ვეფხ., 168,დ).

კოქი: “ნუთუმცა უკუმრიდა (იქნებ გამერიდოს) (ვეფხ., 276,დ).

კვლა ნუთუმცა სრულად დამწვა ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა (იქნებ სულ დამწვას) (ვეფხ., 310,დ).

აწ ნუთუმცა სიშორისა ღმერთმან პერი გამითენა, /პირი თქვენი მხიარული მხიარულსა კვლა მიჩვენა (იქნებ გამითენოს... მიჩვენოს)! (ვეფხ., 150,გ,დ).

ცხადად ნახვასა არ ღირს ვარ, ნეტარმცა სიზმრად გნახეო (ნეტავ სიზმრად გნახო)! (ვეფხ., 731,დ).

იტყვის: ნეტარ, მიჯნურობა არ დამაჩნდებ, და-მცა-ვფარე (ნეტავ დავფარო)! (ვეფხ., 734,ბ).

შეგძლივები ადრინდელსა მტერსა და ნუთუმცა შენცა შეგეწყალე (იქნებ შენც შეგეწყალო) (ვისრ., 174,32).

ნუთუმცა ჩემიცა ვარდი გამოჩნდა (იქნებ ჩემი ვარდი გამოჩნდებ) (ვისრ., 184,25).

ნუთუმცა მაგარი გული მისი ჩემთუების მო-რე-ლბა და ჩემისა მიჯნურობისა ცეცხლსა ზედა მო-რე-ტფა (იქნებ მისი გული მოლბეს და...მოტფეს) (ვისრ., 153,30).

“ვისრამიანში” დასტურდება ნატვრითი ინტონაციის შემცველი -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები ნეტავ სიტყვის გარეშე, მაგალითად:

აპა იქმნებოდამცა და იგიცა ჩემებრ გამიჯნურდებოდა (ნეტავ მოხდებოდეს და ისიც ჩემებრ გამიჯნურდებოდეს) (ვისრ., 153,31).

აპა იქმნებოდამცა და მწე ვინ შემექმნებოდა მადლისა მძებნელი, და წერილად ჩემი საქმე ვისსა გააგონა და სალამი ჩემი მას მოახსენა (ნეტავ მოხდებოდეს... მწე შემექმნებოდეს... გააგონებდეს მოახსენებდეს) (ვისრ., 153,27).

აპა **იქმნებოდამცა** და **ერთხელ** ჩემი **კუნესა** **ესმა** და **წამხა** **შემომკრნა** **თუალნი** **შემომხედნამცა** (ნეტავ მოხდებოდეს ... მოესმებოდეს ... შემომკრავდეს ... შემომხედავდეს) (ვისრ., 153.26).

აპა **იქმნებოდამცა** და **სიზმრად** **გეჩუენე** და **კალთა** ჩემი, ჩემისა **სისხლისაგან** **შეღებული**, **ნახა** (ნეტავ მოხდებოდეს სიზმრად ვეტუენო,... ჩემი სისხლით შეღებილი კალთა ნახოს) (ვისრ., 153.29).

ზემოთ **წარმოდგენილ** ოთხივე **წინადადებაში** **ნეტავ** **სიტყვა** **იგულისხმება**, **თავად -მცა** **ნაწილაკი** **ერთვის** **მხოლოდ** **პირველ** **ზმნა-შემასმენელს**, **მაგრამ** **მისი** **ზემოქმედების** **შეღებად** **მომდევნო** **ზმნებშიც** **ნატვრითი** **კილოს** **გაგებაა** (**-მცა-ს** **ძალა** 13 **ზმნა-შემასმენელზეა** **გავრცელებული**).

**ნუთუ,** **ნეტავ** **სიტყვებთან** **-მცა** **ნაწილაკი** **კავშირებითი** **კილოს** **გაგებით** **“ვეფხისტყოსანში”** **დადასტურდა** **7-ჯერ**, **ყველა** **წყვეტილის** **მწკრივთან;** **“ამირანდარეჯანიანში”** **არა** **გვაქვს;** **“ვისრამიანში”** **არის** **6-ჯერ**, **ექვეთივე** **წყვეტილის** **მწკრივთან.**

მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ **წინადადებებში -მცა** **ნაწილაკი** **ერთვის** **თავად** **ნუთუ** **სიტყვას**, **რითაც** **ხაზი** **ესმება** **ამ** **სიტყვის** **მნიშვნელობას** **კილოს** **გაგებისათვის.**

**3.2.7. მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები** **გამოიყენება I, II და III პირის** **ბრძანებითების** **საწარმოებლად** **მხოლობითსა** **და** **მრავლობით** **რიცხვში**, **მაგალითად:**

I პირის ბრძანებითი მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში:

შენ თუ უშმაგო მგონიხარ, **გარმცა** ურია მე ლევი (მე ვიყო ურია ლევი)! (ვეფხ., 826,გ).

თუ დაგივიწყო, უთუოდ მემცა გარ განაკიდია (მე ვიყო განმარტოებული)! (ვეფხ., 442,დ).

მას დარაზმულოთ მიგჰმართეთ, **ახლოსმცა** გნახეთ ბარეთ (ბარემ ახლოს ვნახოთო)! (ვეფხ., 1235,ბ).

**არამცა** მოგალეს დალატად **არამცა** გიგაგლახენით (არ ვივაგლახოთ)! (ვეფხ., 430,ღ).

უმენოსა ნუმცა გნახავთ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა (ნუ გვენახოს)! (ვეფხ., 658,ა).

თუ კერა გნახე ცოცხალმან, ყოფამცა მქონდა ქამისად (სიცოცხლე დროის შესაფერისი მქონდეს)! (ვეფხ., 809,დ).

თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი (სიკვდილი მქონდეს ტკბილი) (ვეფხ., 1314,დ).

**ასრულცა მინახავს** აქა მოსრულისა კაცისა თავით (ასე მენახოს) (ამირ., 96,26).

**აგრუმცა** დღემოკლე გარ და დმრთისაგან აბეზარ-ქმნილი, ოდესცა შენი ფიცი გავგეხო (დღემოკლე ვიყო) (ვისრ., 176,20).

I პირის ბრძანებითის ფუნქციით **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციები “ვეფხისტყაოსანში” გვხვდება 7-ჯერ: 2-ჯერ – წყვეტილთან, 2-ჯერ – აწმყოსთან, ერთხელ – უწყვეტელთან, ერთხელ – მყოფადთან; „ამირანდარეჯანიანში” დასტურდება ერთხელ I რეზულტატივთან; „ვისრამიანშიც” – ერთხელ აწმყოს მწკრივთან.

## II პირის ბრძანებითი (სურვილის, დალოცვის, წყევლის ფორმები)

**ხარმცა** ბრძანად მქმნელი ხაქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი (იყავ ხაქმის ბრძანად წარმმართველი) (ვეფხ., 49,დ).

**შესთვალა:** მეფე უკადრი ხარმცა მორჭმით და დიდობით (იყავ გამარჯვებით)! (ვეფხ., 685,ა).

აწ დადეგ, იქი ნუ მოხვალ, იქმმცა უჩემოდ ხალგასა (უჩემოდ დარჩი მარტო), (ვეფხ., 1520,ბ).

**აგრუმცა მიგი,** რაზომსა მე ცრემლსა დავიდინები (ისე მყავდე, ისე მეყოლე)! (ვეფხ., 1580,დ).

თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსოა მხედისა (დვთის ძალის მგმობელი იყო)! (ვეფხ., 1150,დ).

არ მოგბრუნდე, თქვენმცა პსუფეფთ, მტერი თქვენი დაძაბუნდეს (თქვენ სუფევდეთ, გამარჯვებით იყავით)! (ვეფხ., 817,დ).

ასე რა პნახოთ ბრძანება, აქამცა მოიარებით (აქეთ წამოდით) (ვეფხ., 394,ბ).

ძმაო ძურთხეულმცა ხარ, რომელ იმა დიაცისაგან გუიხებო (ძურთხეულ იყავი) (ამირ., 94,36).

და **თქუნებცა** ნებასა ზედა სუვერ უკუნისამდე ამინ (სუფევდეთ) (ამირ.20,19).

**წყეულმცა ხარ** (იყავ) (ამირ., 42,7).

**ასრემცა ლურჯი** და თავ-ჩამოგდებული ხარ, თუ ჩემი ფიცი გახტებო (იყავი) (ვისრ., 159,47).

ლძერთმან ბევრ წელ-გყოს, ღმრთისაგან და **ბედისაგანმცა** მხიარულნი ხართ (იყავით) (ვისრ., 147,35).

ერთგან -მცა ნაწილაკი არა გვაქს, მაგრამ, როგორც ჩანს, იგულისხმება:

ასრე ლურჯი და თავ-ჩამოგდებული ხარ და დღემოკლე, თუ ჩემი ფიცი გახტებო და მეცრულცა (უნდა იყოს ასრემცა ან ხარმცა) (ვისრ., 176,19).

-მცა ნაწილაკიანი II პირის ბრძანებითის 7 მაგალითია “ვეფხისტყაოსანში”: ამათგან ეჭხი — აწმყოს მწყრივის ზმნასთან, ერთი — I რეზულტატივთან; “ამირანდარეჯანიანში” -მცა ნაწილაკიანი II ბრძანებითი 4-ჯერ გვხვდება, ოთხივე აწმყოს მწყრივთან; “ვისრამიანში” სამი მაგალითი მოიძებნა, სამივე აწმყოს მწყრივის ზმნასთან.

### III პირის ბრძანებითი (სურვილის დალოცვის ნიუანსით)

ერთგულთათვის კარგი ნუ გ შერს, **ორგულიმცა შენი კვდების** (შენი ორგული მოკვდება)! (ვეფხ., 788,ბ).

კი გვი, მოვკვდე, არა მგამა, ჩემი **მზემცა თქვენ მოგხვდების** (ჩემი დღეები თქვენ დაგემატო)! (ვეფხ., 757,ღ).

ვა, **კრულია დღემცა** იგი, მე მივუცი ამირბარსა (კრული იყოს)! (ვეფხ., 323,ბ).

ვთქვი: “**კრულია ზენაარი ყოვლისამცა** მამაცისა”(კრული იყოს) (ვეფხ., 1225,ღ).

თუ ხორციელი არისცა, **თვალნიმცა მრისხვენ** ღმრთისანი (ღმერთმა შემრისხოს)! (ვეფხ., 1164,ღ)

**კურთხეულმცა არს** მარჯუენა სეფედავლე დარისპანის-ძისათ (კურთხეული იყოს) (ამირ., 69,45).

**კურთხეულმცა არს** იგი, რომელსა შეუქმნისარ (კურთხეული იყოს)(ამირ., 85,4).

**დაუსრულებელმცა არს** დიდება მეფობისა თქუენისა უკუნისამდე (დაუსრულებელი იყოს) (ამირ., 44,15).

**წყეულიმც არს** მარჯუენა ჩემი და ჭაბუკობა ჩემით (წყეული იყოს) (ამირ., 108,28).

რაა ესეთი ბედი ჩემი?! **და-მცა-იკარგვის,** რომელ ზოგჯერ ტახტება ზედა დამსუამს და ზოგჯერ ნაცართა (დაიკარგოს) (ვისრ., 167,19).

**მიწყითმცა** მათხა ქუკუნახა პურ-ძირობა და **სეტყუაა** (მუდამ სეტყვა იყოს) (ვისრ., 147,36).

**სუიანმცა არს** ესე ქორწილი (იღბლიანი იყოს) (ვისრ., 147,4).

**უფითელმცა არის,** ვის გამოუგზავნიხართ (... იყოს ვისაც გამოუგზავნიხარ) (ვისრ., 146,47).

**კურთხეულმცაა** უკუნისამდე გუარი შენი (კურთხეული იყოს) (ვისრ., 159,24).

III პირის -მცა ნაწილაკიანი ბრძანებითი (ბრძანებითს ვუწოდებთ, თორემ ამ ფორმებში სურვილისა და დალოცვის ნიუანსებია გამოხატული) “ვეფხისტყაოსანში” დადასტურდა 20-ჯერ: 14-ჯერ – აწმყოს მწკრივთან, 2-ჯერ–უწყვეტელთან, 2-ჯერ – მყოფადის მწკრივთან, ერთხელ – წყვეტილთან, ერთხელ – II რეზულტატივთან; “ამირანდარეჯანიანში” -მცა ნაწილაკიანი III ბრძანებითის 15 მაგალითია, ყველა აწმყოს მწკრივთან; “ვისრამიანში” 5 მაგალითშია, ხუთივე შემთხვევაში -მცა ნაწილაკი აწმყოს მწკრივის ზმნას უკავშირდება.

მნიშვნელოვანია, რომ 1. -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციები ბრძანებითი კილის გაგებით გვხვდება ყველა სახის წინადადებაში, გარდა დამოკიდებული წინადადებისა; 2. -მცა ნაწილაკთან დაკავშირებული ზმნა-შემასმენელი ძირითადად აწმყოშია; 3. -მცა ნაწილაკი კავშირის გარდა ყველა სიტყვას შეიძლება დაერთოს.

**3.2.8. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია შემასმენელს მომავალი დროის პირობითი კილოს შინაარსს ანიჭებს, მაგალითად:**

მზე დაბრუნდა, არ ვიცოდი, მზეხა რამცა დააბრუნებს (მზეს თუ რამე დააბრუნებდა, არ ვიცოდი) (ვეფხ., 753,ა).

გამიკეირდა, სხვად გითამცა გემენ გულისა მწვევლი სითხე (სხვანაირად როგორ შევათხელებდი მწველ ალს) (ვეფხ., 365,გ).

რაცა გვეთქვა, შევინანეთ, სხვამცა რაღა შევიწამეთ (სხვას რაღას ვიტყოდით)! (ვეფხ., 1169,ბ).

მზე კემაპხა დაებნელა, ზედა რათმცა გაგვითენდა (როგორდა გაგვითენ-დებოდა)! (ვეფხ., 1167,ღ).

მე, გლახ, რა კარ? მიწა ცუდი, თავით ჩემით რამცა გქმენი (რას ვიზამდი)? (ვეფ. 1060,ბ).

წავე, მონა წავიტანე, რამცა გუთხარ ამისთანა (რას ვეტყოდი)! (ვეფხ., 398,ღ).

რა მოვიდა მოციქული, კვლამცა რადღა გამოგზავნებ (რაღად გამოგზავნილნენ)! (ვეფხ., 450,ა).

ოდესმცა ნახე, ამას იტყოდი (როცა ნახავდი) (ამირ., 77,20).

არამცა იპოებოდა იამანთა სამეფოსა შიგან ცხენი, რომელმცა მას რგებოდა (რომელიც მას მოერგებოდა) (ამირ., 21,25).

მიხვან არს უუელაი, თუარა გითამცა იკადრებ იამანთა თურქეთსა მოსლვა (როგორ იკადრებდნენ იამანელები თურქეთში მოსლვას)? (ამირ., 23,17).

რაითამცა ჰგუანდა მოწიფებულსა ყმასა ვისის ბერი ძინა (რით დაემსგავსებოდა)? (ვისრ., 162,26).

“ვეფხისტყაოსანში” ასეთი ფორმა 33 გვაქვს: 24 – წყვეტილის მწკრივის ზმნასთან, 4 – უწყვეტლის მწკრივთან, ერთი – აწმყოსთან; “ამირანდარეჯანიანში” -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები პირობითი მომავალი დროის გაგებით 5-ჯერ გვხვდება: 4-ჯერ – წყვეტილის მწკრივთან, ერთხელ – უწყვეტელთან; “ვისრამიანში” ერთი მაგალითია უწყვეტლის მწკრივთან.

**3.2.9. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები ნამყო წინარე წარსულის (რეზულტატივის) გაგებას იძლევა, მაგალითად:**

ქუეყანა უცხოდ აუჩნდათ, არა უწყოდებ, სადამცა წავიდებ (არ იცოდნენ, სად წასულიყვნენ) (ამირ., 3,12).

ესრეთსა ქმარსა ვეძებდი შენთუის, რომელმცა არავინ იყო დამართებითი მისი (რომ არავინ ყოფილიყო მისი დამმარცხებელი) (ამირ., 12,30).

არავინ იცოდა, რამცა ვინ უთხრა (ვის რა ეთქვა) (ამირ., 4,14).

გავფიცხდით ესრე, რომელ გითამცა ახლა დაუწყო ომი (თითქოს ახლა დაგვეწყო ომი) (ამირ., 43,8).

II რეზულტატივის გაგებით -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძირითადად პირობით-შედეგობით წინადადებებში დასტურდება, მაგრამ არა მხოლოდ.

ძველ ქართულში პირობით-შედეგობით წინადადებებში -მცა ნაწილაკი აუცილებლად ერთვოდა როგორც მთავარ წინადადებას (ანიჭებდა I

ხოლმეობითის მნიშვნელობას), ისე – დამოკიდებულს (II რეზულტატივის გაგებით). ამასთან დამოკიდებულში -მცა აუცილებლად კავშირზე იყო დართული. “ვეფხისტყაოსანში” ასეთი დაქვემდებარება მხოლოდ ორ წინადადებაშია შენარჩუნებული, “ვისრამიანში” – ერთში, მაგალითად:

*კოქი: არ იცის აშიუბა, თუმც იცოდა, წყნარად ზისმცა* (რომ სცოდნოდა, წყნარად იჯდებოდა)! (ვეფხ., 378,დ).

კვლა უბრძანა: *თუმცა მისგან არა იყავ მოგზავნილი, თავმან ჩემმან, თავსა მოგძვეთ, არად უნდა ამას ცილი* (მისგან რომ არ ყოფილიყავი მოგზავნილი, თავს მოგპვეთდი – მთავარ ნაწილში მცა გამოტოვებულია) (ვეფხ., 765,აბ).

*თუმცა რამინის ნახვისა მიზეზი არ იყო, აწმცა შენ ჩემი სახელი გარდასრულთა თანა გესმის* (რამინის ნახვის მიზეზი რომ არ ყოფილიყო, ჩემს სახელს მიცვალებულებში გაიგებდი) (ვისრ., 161,26).

დანარჩენ შემთხვევებში -მცა ნაწილაკდართულ დამოკიდებულში II რეზულტატივი იგულისხმება, ხოლო მთავარში ძირითადად უკვე ჩამოყალიბებული I ხოლმეობის მწკრივია, მაგალითად:

*მოხთქამს: თუმცა მზე გვეახლა, ჩვენ ზამთარი ვერ დაგვზერიდა* (მზე რომ ჩვენთან ყოფილიყო) (ვეფხ., 1029,დ).

*თუმცა კაცი იყავ, საუკუნოსა საგზალსამცა იურგოდი სიბერესა, არა კრძასა ცოლსა* (კაცი რომ ყოფილიყავ, საუკუნო საგზალზე იზრუნებდი) (ვისრ., 147,15).

მე *თუმცა რაცა მინდოდა საჭურჭლე დასაღებელი, ჩემსაცა მქონდა ურიცხვი* (მე რომ მდომოდა, ... მქონდა) (ვეფხ., 1065,აბ).

გებრძანამცა სახლით თქუენით, ცრემლინი არმცა მაშინ მდინდეს (რომ გებრძანათ ... არც მაშინ დამედინებოდა ცრემლები, – დამოკიდებულში -მცა II რეზულტატივს ერთვის, სამაგიეროდ, წყვეტილთან კავშირით I ხოლმეობითის გაგებას იძლევა) (ვეფხ., 1533,გ).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ “ამირანდარეჯანიანში” პირობით დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობილ წინადადებებში -მცა ნაწილაკის ნაცვლად გვხვდება -ცა, თუმცა ეს ნაწილაკი ვერ ახდენს წინადადებაზე სინტაქსურ ზეგავლენას: მასთან დაკავშირებული შემასმენლის მწკრივი II რეზულტატივით არის გადმოცემული დამოკიდებულში, ხოლო მთავარში I ხოლმეობითის მწკრივი გვაქვს ნაწილაკის გარეშე. ეს მოვლენა შემთხვევითი არა გვგონია, ამიტომ ამის შესახებ საუბარს უფრო ვრცლად ქვემოთ დავუბრუნდებით.

მნიშვნელოვანია, რომ 1. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები II თურმეობითის ფარდად დასტურდება რთული ქვეწყობილი წინადაღების დამოკიდებულ ნაწილში; 2. -მცა ნაწილაკთან დაკავშირებული ზმნა-შემასმენელი ძირითადად აორისტშია .

### 3.2.10. -მცა ნაწილაკს ფუნქცია არ აქვს წინადაღებაში

ამავე ძეგლებში გვხვდება ისეთი კონტექსტები, როცა -მცა ნაწილაკი დართული აქვს რომელიმე სიტყვას, მაგრამ ზმნა-შემასმენლის მწერივსა და, შესაბამისად, კილოსაც მნიშვნელობა არ ეცვლება. შედარებით მცირება ასეთი შემთხვევები “ვეფხისტყაოსანში”, განსხვავებით “ამირანდარეჯანიანისა” და “ვისრამიანისაგან”, მაგალითად:

ა) -მცა გვხვდება კავშირებითის მწერივის ზმნებთან და გამოხატავს კავშირებით კილოს დამოკიდებულ წინადაღებაში:

მუნამდის გავხძლო სულთა დგმა, გული რაზომცა მტკიოდებს (გავძლებ, როგორც არ უნდა მტკიოდეს გული) (ვეფხ., 1097,გ).

ხადაცა მივა, მივჭყები, რაზომც მოჰვლოდებს ზღუდენი (რაც უნდა ზღუდეები პქონდეს შემორტყმული) (ვეფხ., 223,გ).

სჯობს საყვარელსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნდებს (სატრფოს მოყვარული სჯობს, გაუგულჩილდეს) (ვეფხ., 843,დ).

ცოტად უგრეცა დაუვხებე, ცეცხლი რაზომცა სდებოდებს (რაგინდ ცეცხლი ეკიდოს) (ვეფხ., 933,გ).

ჩემად ნახვად მოვიდოდებს, შენ გითამცა გაშიკობდებს (ვითომც შენ გეარ-შიყებოდეს) (ვეფხ., 389,გ).

ამას მით იქმენ, რომელმცა ჩუენი ლაშქარი დალიოს და მათი არა დაიღვეს (ალბათ უნდა ოყოს დაილიოს) (ამირ., 101,39).

აწ მრთელსა აღარა გაგიშუებთო, რომელმცა წახუიდე შინა, წამოუძღვე და რემა ჩუენი წამოასხმევინო (რომ წახვიდე ... და ... წამოასხმევინო რემა) (ამირ., 82,29).

გამოვიცადო თავი ჩემიო, ნუთუმცა კარგი გიყო და უხახელოდ არ მოვკუდეთ (ნუთუმცას მნიშვნელობაა იქნებ) (ამირ., 79,40)

მნებავს, რათამცა მოელი შევიპყრათო (რომ ცოცხალი შევიპყროთ) (ამირ., 3,1).

აწ მოვიდებ სახლეა ჩემეა დედა მზისა ჭაბუკისა და ლილებულნი მისნი...ამისთვის, რომელმც გხდებნენ სისხლი მისნი (რომ სისხლი ვსძებნოთ მისი) (ამირ., 100,29).

საღება ჭაბუკობისასა ვეძებ, რომელმც კი შევება (რომ ვინმეს შევება) (ამირ., 63,33).

**რაზომცა** ძელი და საჭირო საქმე იყოს, რა ღმერთი და ბედი შესწევს კაცება, უკულა მოუადგილდების (რაც უნდა ძნელი საქმე იყოს...) (ვისრ., 186,8).

მწარე ხე მწარესავვ ნაყოფს გამოიღებს, **რაზომცა** ჩუენ შაქრითა გრწყუდეთ (რაც უნდა შაქრით ვრწყავდეთ) (ვისრ., 78,40).

დარიბი **რაზომცა** გახელმწიფდეს, ეპრეცა დაიღრჯხს, რა მუცნიერი ვერავინ ნახოს (რაც უნდა გახელმწიფდეს) (ვისრ., 178,6).

რა მგამა **რაზომცა** რა ავი მოვისმინო (რაც უნდა ცუდი მოვისმინო) (ვისრ., 165,22).

**რაზომცა** დიდად სძებნო, ვერ პპოვებ თუ ადგილსა მისსა არ მიხუიდე (რაც უნდა ეძებო) (ვისრ., 151,10).

ბ) **-მცა** ნაწილაკი კავშირებითის მწკრივთან იძლევა მომავალი დროის გაგებას (კავშირებითის მწკრივის ერთ-ერთი ფუნქცია მომავალი დროის გამოხატვა, ასე რომ, ამ შემთხვევაშიც **-მცას** ფუნქცია არა აქვს), მაგალითად:

სახლი რომელ უბედური იყოს, **რაზომცა** ადრე აოხრდეს, ესე სჯობს (რაც ადრე აოხრდება) (ვისრ., 165,23).

გ) **-მცა** ნაწილაკი კავშირებითის მწკრივთან გამოხატავს კავშირებით კილოს ნატვრით მოდალობაში (ეს ფუნქციაც კავშირებითის მწკრივისათვის დამახასიათებელია, ე.ო. თანდათან **-მცა-ს** მნიშვნელობის ნეიტრალიზაცია ხდება), მაგალითად:

აგრე, ღმერთო, ქმენ, **ნეტამცა** მიწყით საღმრთოსა და სახაულოსა საქმესა იქმოდეთ (ვისრ., 186,1).

**-მცა** ნაწილაკიანი კავშირებითის მწკრივი სხვადასხვა ფუნქციით “ვეფხისტყაოსანში” 6-ჯერ დადასტურდა; “ამირანდარეჯანიანში” – 9-ჯერ; “ვისრამიანში” – 17-ჯერ.

დ) **-მცა** უკავშირდება ზმის ახლებური მომავლის ფორმას და ამდენად მისი ერთ-ერთი ფუნქცია – აწარმოოს მომავალი დრო – დაკარგულია (ასეთ შემთხვევაშიც **-მცას** დართვა, რა თქმა უნდა, ფორმალურია):

ნურცა დიდისა და ნურცა მცირედისაგან ნუმცა იხსენების ამბრი არაბთანა ამბავი იხდოსა ჭაბუისა (ამირ., 27,7).

კაცისაგან მუნ წახვლა არა უგების და ნუმცა ვინ გიქადებს მოყვანებასა მათსა (ამირ., 36,12).

მტერიმცა ჩემი ეგრე შემოვა, ვითა ეს შემო-ღა-ვიდებ (ამირ., 102,13).

ნუმცა დაესრულების სუფევა მეცობისა თქუენისა-უკუნისამდე, ამინ (ამირ., 103,38).

ამის მეტსა ნუმცა ვნახავ კვლალა წიგნსა შენმიერსა! (ვეფხ., 407,ღ).

მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნუმცა მოგაკლდების (ვეფხ., 788,ა).

შე-მცა-ებრალები შენსა დამბადებელსა, მით რომელ დოდად ძნელად არის შენი საქმე (ვისრ., 153,42).

-მცა მომავლის ახლებურ ფორმებთან “ვეფხისტყაოსანში” ორჯერ დადასტურდა; “ამირანდარეჯანიანში” – ოთხჯერ; “ვისრამიანში” – ერთხელ.

ე) -მცა ნაწილაკი უკავშირდება II რეზულტატიგს და არ ცვლის მწვრივის გაგებას. ეს ფაქტიც ამ ნაწილაკის სინტაქსური ძალის მოშლაზე მიუთითებს, მაგალითად:

მხგავსი თქუენი რამცა მეძღვნა, შვენიერო სახახველო (ვეფხ., 1450,გ).

ნეტამც კოლა არ შემოგმცნებოდი (ვეფხ., 1579,ა).

თუმცა ისი არ მოგეძლა ... შემასმუნდა ჯავრიანი (ვეფხ., 1218,ბ).

ექებდა ამირ-მუმლი კაცსა უგეთსა, რომელმცა ესწავლა საცოლე შვილთა მისთათუს და ვერა პოვა (ამირ., 35,6).

ეგ ზომ გაეხარნეს, ვითამცა ყოველი ქუეყანა მისცემოდა (ამირ., 13,21).

არ ვიცოდით, თუ სითმცა წასულვიყვენით (ამირ., 36,48).

შეუტევა გულმწყრალად, რომელმცა მოეკლა (ამირ., 42,9).

ეგ ზომ დიდი არა იყო, ვითა პირველი, რომელმცა ჩაენთქა (ამირ., 57,42).

თუმცა გული ჩემი არ მისთუს დამედვა, აქამდინცა თავი არ მიცოცხლებია (ვისრ., 161,28).

ძილის პირ იქმნა და არავე დაეძინა, ვითამცა საგებელი მისი ქუეშე ეკალი და ბირკი ყოფილიყო (ვისრ., 181,46).

ეხეთი კაცი ვერა ვნახა, რომელსამცა ჩემი საქმე ექო (ვისრ., 170,22).

ნეტამცა სამსალა შემესუა და დუინო არა (ვისრ., 163,25).

*კისია გითამცა ყოველთა ჸელმწიფეთაგან უფროხი სწოდოდა გუერცა, და  
მას, გითამცა მზე და მთუარე (ვისრ., 160,5).*

“ამირანდარეჯანიანსა” და “ვისრმიანში” -მცა ნაწილაკიანი II რეზულტატივის  
ფორმები ხშირია განსახვავებით “ვეფხისტყაოსნისაგან”: “ვეფხისტყაოსანში” -მცა  
II რეზულტატივის მწკრივთან სულ 4-ჯერ დადასტურდა; “ამირანდარეჯანიანში”  
– 21-ჯერ; “ვისრამიანში” – 12-ჯერ.

ვ) -მცა ნაწილაკი დართული აქვს რაიმე სიტყვას, მაგრამ ზმნა-შემასმენლის  
მწკრივსა და შესაბამისად, კილოსაც მნიშვნელობა არ ეცვლება, ამგვარ  
წინადადებებში ამ ნაწილაკის სინტაქსური ზემოქმედების კვალიც აღარ ჩანს,  
მაგალითად:

*მძვრუებნი მისნი გააკვირენა, რასამცა კინ იაზრებდა (ვინ რას იაზრებდა)?!* (ვეფხ., 1191,ღ).

*ჭირნი, მისგან უნახავნი, დია, გისმცა გარდუხდიან* (ვის გადახდენია)?! (ვეფხ., 754,ღ).

ოდენ ტკბილად შემომხედნის, გითამცა რა შინაურსა (როგორც შინაურს  
შემომხედავდა ხოლმე) (ვეფხ., 401,ბ).

*შენ გითამცა გწადიან, ივიცა ქმენო (როგორც გინდა)* (ამირ., 86,14).

გამოვიდა და *ვთქუითმცა თუ* (გამოვიდა და ვთქვით) (ამირ., 29,8).

*რაჟამცა დასწყდის ლაშქარი მის მეფისა, შეიქცის აბუტარ* (როცა გაწყდე-  
ბოდა ხოლმე ლაშქარი) (ამირ., 30,14).

*რაზომცა ჯაბანი გარ, შებმასა, დაკოდასა და ჩამოგდებასა აღარა დირს გარო*  
(რადგან სუსტი ვარ)? (ამირ., 79,44).

ზ) განადამცა, თუმცა კავშირებში თავს იჩენს -მცა კომპლექსი, რომელიც -მცა  
ნაწილაკის ფუნქციის მქონე არაა, მაგალითად:

*რა ტარიელ დაინახა, განადამცა დაეღრიჯა* (დიაღაც დაღონდა) (ვეფხ., 877,ა).

*განადამცა გავნადირდი, თავი ახრე გავიხადე* (დიაღაც გავნადირდი) (ვეფხ.,  
283,ღ).

*ხმდა განადამცა საქმეელად რაცა თქვენ გულსა გლობია* (საჭირო იყო  
დიაღაც, გასაკეთებელი იყო) (ვეფხ., 39,ბ).

*გულისა წადილმან ცხობისა ძალი განადამცა მიუღო* (სურვილმა გონება  
წაართვა) (ვისრ., 179,16).

ოდებუა მიმრმანთ, განაღამცა სირბილით მოვიდოდე (სირბილით მოვალ) (ვისრ., 164,44).

და ამა ზეთა თანა განაღამცა მძებნელი იყო უცხოთა ამბავთა და შაირთა (დიალაც მძებნელი იყო უცხო ამბების) (ვისრ., 141,1).

მოაბად განაღამცა შეატყუა (მოაბადმა დიალაც შეამჩნია) (ვისრ., 162,28).

თუმცა გამწირავი და უხახო ხარ, რა ჩემი ჭირნი ნახნე, გეწყინების და დაგიმძიმდების (თუმცა გამწირავი ხარ, ჩემს ჭირს რომ ნახავ, გეწყინება) (ვისრ., 174,25).

განაღამცა მოკლა იგი რაზიმან დევი (მართლაც მოკლა რაზიმან დევი) (ამირ., 69,44).

ჩუებ განაღამცა შეუტკეთ და მისელასავე ჩამოვყარენით (დიალაც შევუტიეთ), (ამირ., 80,5).

რაცა მითხრა, განაღამცა კენაო (დიალაც გავაკეთებ) (ამირ., 69,29).

“განაღამცას” მნიშვნელობაა კონტექსტში დიალაც, მართლაც.

სულ “ვეფხისტყაოსანში” -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების 261 მაგალითია დადასტურებული, რომელთაგან მხოლოდ 31 შემთხვევაშია -მცა არადანიშნულებისამებრ გამოყენებული;

“ამირანდარეჯანიანში” -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები შეგვხვდა 118-ჯერ, მათგან 55 მაგალითში -მცა ნაწილაკის სინტაქსური ძალა შენარჩუნებულია, 63 შემთხვევაში -მცა ნაწილაკს ფუნქცია არა აქვს;

“ვისრამიანში” -მცა ნაწილაკი გვევლინება 89 მაგალითში: 51 შემთხვევაში ფუნქცია სინტაქსური ძალის ზემოქმედებისა ამ ნაწილაკს გააჩნია, 38-ჯერ კი იგი ფუნქციის გარეშე იხმარება;

როგორც დავინახეთ, -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების გამოყენების შემთხვევები “ვეფხისტყაოსანში”, “ამირანდარეჯანიანსა” და “ვისრამიანში” მეტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ნაკლები სისშირით არ დასტურდება ძველ ქართულ ტექსტებთან შედარებით. თვალსაჩინოა ისიც, რომ “ვეფხისტყაოსანში” ამ ნაწილაკის გამოყენება სხვადასხვა ფუნქციით მატულობს იმდენად, რამდენადაც იზრდება კავშირებითის მწკრივთა ფუნქციები საშუალი პერიოდის ქართულ ში. მხედველობაში გვაქვს ა)ჩამოყალიბებული უნდაობითის ფორმები; ბ)კითხვითი ინტონაციის მქონე წინადაღებები კავშირებითი კილოს გაგებით (ძველ ქართულ ში გვხვდება კავშირებითის მწკრივები კავშირებითი კილოს

გაგებით კითხვით წინადადებებში, მაგრამ არ დადასტურებულა -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები მსგავს წინადადებებში ამავე ფუნქციით); გავშირებითი კილოს გამოვლენა ნუთუ, ნეტაჭ, უგებ, ვაითუ, ლამის ... სიტყვებთან და -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები მხოლობითი რიცხვის I პირის ბრძანებითის ფუნქციით. ეს ფაქტი იმის მანიშნებელია, რომ შოთა რუსთაველისთვის კარგადაა ცნობილი -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციებისა და კავშირებითის მწკრივთა ფუნქციების ფარდი მნიშვნელობების შესახებ და, ასე ვთქვათ, პოეზიის გასამშვენიერებლად, საკუთარი, განსაკუთრებული სტილის შესაქმნელად უხვად და ამასთან, სწორად იყენებს მათ. სწორედ რუსთაველის გაგლენით უნდა აიხსნას “ვისრამიანსა” და “ამირანდარეჯანიანში” -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების მომრავლება, ოუმცა, როგორც დავინახეთ, -მცა ნაწილაკის ფორმალური გამოყენების შემთხვევები ამ ძეგლებში გაცილებით მეტია. შეიძლება ითქვას, რომ -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების ხმარება ერთგვარი “მოდაა” საშუალი პერიოდის სარაინდო-სამიჯნურო პროზაში.

### 3.3.-ცა ნაწილაკი -მცას ფუნქციით

“ამირანდარეჯანიანსა” და “ვისრამიანში” ერთი საინტერესო მოვლენა იჩენს თავს: -ცა ნაწილაკი -მცას ფუნქციით გვევლინება. იმის გამო, რომ ორივე ტექსტი საკმაოდ ხარვეზულია, ეს ფაქტიც შეიძლებოდა გადამწერის შეცდომად ჩაგვეთვალა, მაგრამ, ვფიქრობთ, ამის საშუალებას არ მოგვცემს კონკრეტული შემთხვევების სიხშირე. მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს და მერე შევეცდებით, ახსნა მოვუძებნოთ მათ:

ა) -ცა ნაწილაკი ერთგის დამოკიდებული წინადადების კავშირს და ოხრობითი კილოს ზმნა-შემასმენელს კავშირებითი კილოს გაგებას ანიჭებს, მაგალითად:

არა ვარგია ჩემთუის და მისთუის, **თუცა** არა იყვნებ **ცხენი** მრავლად (რომ არ იყვნენ ცხენები მრავლად) (ამირ., 27,3).

გელარა ვიქმ ამას, **თუცა** უქმროდ დაგარჩინე ასული ჩემი (რომ უქმროდ დავტოვო ჩემი ასული) (ამირ., 52,26).

არა ეგების, **თუცა** პირველ უკეთესს სახლსა შემოგვიყვანებდებ (რომ პირველზე უკეთესს სახლში შემოგვიყვანდნენ) (ამირ., 54,31).

ესე არა ეგეგბის, თუცა არა გნახა მეფობამან ჩემმან (რომ არ გნახო) (ამირ., 6,25).

თუცა დია მალი არის, კოლე არ შევჯდებიო (მალიან სწრაფიც რომ იყოს) (ამირ., 10,17).

აწ თუცა ათასიცა გყავს, ვირე არ შევებმით, თუცა შენ შემრთვიდე, მე არცა გვრე შევირთავ (ათასიც რომ გყავდეს, შენ რომ შემრთო მე არ შევირთავ) (ამირ., 11,35).

თუ უკუნისამდიცა შეაგუებ და მხახურებ, იგივე ზაპრიანი გულია (უკუნისამდეც რომ ემსახურო) (ვისრ., 178,39).

მოყვანილ მაგალითებში თუ-ს მნიშვნელიბაა რომ, -ცა ნაწილაკის დართვით კი დამოკიდებულ წინადადებაში კავშირებითი კილოს გაგებას ვიღებთ, ზმნის პირიანი ფორმა წყვეტილშია ძირითადად, ანუ -ცა ნაწილაკი ზუსტად ისვევ იქცევა, როგორც -მცა. ასეთი შვიდი მაგალითია “ამირანდარეჯანიანში”.

ბ) “ვისრამიანში” მოიძებნა წინადადებები, რომლებშიც -ცა ნაწილაკი ერთვის თხრობითი კილოს ზმნას და კონსტრუქცია მომავალ დროში გადაჰყავს, მაგალითად:

ნეტარძი ვინცა არ ახლავს მათ (ნეტავ ვინც მათთან არ იქნება)!ვისრ., 148,47.

ნეტარძი მას, ვინცა ასეთი ქმარი მაჭუდა (ნეტავ მას, ვისაც ასეთი ქმარი შევდება) (ვისრ., 157,14).

ამ მაგალითებში -ცა მიმართებითი შინაარსისაა, მაგრამ ზმნა-შემასმენელი მომავალ დროში გადაჰყავს.

გ) დასტურდება მაგალითები -ცა ნაწილაკიანი წყვეტილის მწკრივისა II რეზულტატივის გაგებით, მაგალითად:

თუცა გულოვანი იყავ, მრავალიმცა ომი გარდაგიხდიათ (გულადი რომ ყოფილიყავ, მრავალ ომს გადაიხდიდით – წესით უნდა იყოს ასე: თუმცა გულოვანი იყავ) (ამირ., 79,42).

თუცა მოხარულ იყო კოველი ქუგანა ჩუენდა შეელად, მაშინცა მე ესე მერჩივნა (მთელი ქვეყანა რომ მოხარული ყოფილიყო ჩვენ საშველად, მაშინაც ასე მერჩია) (ამირ., 31,40).

თუცა დირს ვიყავ ხილვახა თქუებსა, ვითამცა დმერთი მიხილავს (დირსი რომ გავმხდარიყავი თქვენი ხილვის, ვითომც დმერთი მეხილოს) (ამირ., 6,17).

განხილულ მაგალითებში კარგად ჩანს, რომ -ცა ნაწილაკი -მცა ნაწილაკის ფარდი ფუნქციის მატარებელია.

დ) პარალელურად გვხვდება -ცა ნაწილაკი კავშირებითის მწკრივებთან:

**თუცა** ღმრთისაგან არ გეშინოდეს, თავსა მოგკუთ (ამირ., 8,6).

**თუცა** უკეთესა გიქმოდეთ, მაშინცა უუკლასა ესე ხჯობს, რომელ თუცა უოლე არა წავიდოდით (ამირ., 54,19).

**თუცა** დიდისა ხელმწიფისაგან გამოგზავნი არ იყვნეთ, ... თავსა დაგჭრიდით (ამირ., 5,38).

გ) განსაკუთრებით ხშირია -ცა ნაწილაკი II რეზულტატივის მწკრივთან:

მოუკიდა კალთასა, **თუცა** არა გაეშეა (ამირ., 57,19).

**თუცა** გენახა პატრონი ჩემი, რაღამცა ებრძანა მეფობასა თქუებსა (ამირ., 6,39).

კლამოდით, **თუცა** გამოსულიყო იგი ბაყბაყ დუკი და შევუკეყრა (ამირ., 19,27).

ბერჩივნა ესე ღმერთო, **თუცა** მეჯობნა (ამირ., 91,3).

**თუცა** გენახა, საზაროდ კმა იყო (ამირ., 92,19).

გ) საინტერესოდ გვხვენება ის ფაქტი, რომ “ამირანდარეჯანიანში” პირობითდამოკიდებული წინადადების შემცველი ქვეწყობილი წინადადებების გამოხატვა მთლიანად -ცა ნაწილაკიან კონსტრუქციებს აქვთ დაგალებული, იმ განსხვავებით, რომ -ცა სინტაქსურ ზეგავლენას ვერ ახდენს წინადადებაზე: დამოკიდებულში პირობა II რეზულტატივით არის გადმოცემული, ხოლო მთავარში შედეგი – ხოლმეობითის მწკრივით, მაგალითად:

**მაშინცა** გენახა მხეჭაბუკი, ღმერთო, **მოგეწონებოდა** (ამირ., 93,5).

**თუცა** გენახა, **მოგეწონებოდა** (ამირ. 9,30. 15,30).

**თუცა** არ მოსრულიყო კარსა ზედა ჩემსა და **მუნით-მცა** ებრძანა, ამას გიქმოდი (ამ მაგალითში კარგად ჩანს, რომ -მცა და -ცა იდენტურებია ფუნქციით) (ამირ., 24,44).

**თუცა** ხელი მიგუეყო, დავიწუებოდითო (ამირ., 95,25).

**თუცა** წინასა იგი ფრინველნი დაგეხოცნეს, მშეიდობით დარჩებოდითო (ამირ., 95,16).

**თუცა** შენ არა გეთქვა, მე არა გიტყოდი (ამირ., 77,6).

**თდებცა** ერთად გენახნეს, ამას იტყოდი (ამირ., 49,9).

**თუცა** არა მოსულიყვენით აქა და სახლით თქუენით გეთხოვნეს, ... მოგცემდი ახულთა ჩემთა ცოლად (ამირ., 41,6).

**თუცა გენახებს, ამას პრძანებდი (ამირ., 90,11).**

**თუცა** იგი არ გხლებოდა ჭირის მაქარვებლად, დილად დამუშავი მუხ კოფნასა კერ გასძლებდით (ვისრ., 161,44).

**თუცა** ესე სიტყვა გულსა შიგან დაეხწავლა ... ეგრეცა შესჭირდებოდა (ვისრ., 167,27).

პირობით-შედეგობით წინადადებებში **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციების ნაცვლად **-ცა-ს** გამოყენება ნორმად არის გატარებული “ამირანდარეჯანიანში”, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, **-ცა** ვერ ახდენს კონსტრუქციაზე სინტაქსურ ზეგავლენას: მასთან დაკავშირებული ზმნა-შემასმენელი II რეზულტატივის მწკრივით არის გადმოცემული, ხოლო მთავრ წინადადებაში ჩამოყალიბებული I ხოლმეობითის მწკრივია, ყოველგვარი ნაწილაკის გარეშე.

“ამირანდარეჯანიანში” **-ცა** ნაწილაკი II რეზულტატივთან (**-მცა-ს** ნაცვლად) გვაქვს 23-ჯერ, ამათგან 15-ჯერ პირობით-შედეგობით წინადადებაში. “ვისრა-მიანში” სულ ორი მაგალითია.

მაშასადამე, **-ცა** ნაწილაკი რიგ შემთხვევებში დასტურდება **-მცა-ს** შესაბამისი ფუნქციებით: ერთვის თხრობითი კილოს რომელიმე მწკრივს და ზმნა-შემასმენელს ა) მომავალი დროის მნიშვნელობას ანიჭებს; ბ) კავშირებითის კილოს გაგებას აძლევს; გ) ნამყო წინარე წარსულად მოაქცევს; რიგ შემთხვევებში კი ერთვის II რეზულტატივის მწკრივს ისეთ კონსტრუქციებში, რომლებშიც ძველ ქართულში **-მცა** ნაწილაკიანი თხრობითი კილოს მწკრივი შეგვხვდებოდა იმავე ნამყო წარსულის გაგებით.

რა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ **-ცა** ნაწილაკი გარკვეულ შემთხვევებში **-მცა-ს** ნაცვლად გვევლინება წინადადებებში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიგვიყვანს **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციების წესის შერყევის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზთან:

ზემოთ გამოვთქმით ვარაუდი იმის თაობაზე, რომ **-მცა** ნაწილაკის **მ** ბგერა უნდა იყოს ისეთი სიტყვის ნაშთი, რომლის საშუალებითაც **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციები მომავალი დროის ნაკლებობას ავსებენ წინადადებაში, აღვნიშნეთ ასევე, რომ **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციებით პირობითი მოდალობებისა და II რეზულტატივის გამოხატვის ფუნქციები შედარებით უფრო გვიანი მოვლენა უნდა იყოს ძველ ქართულში, როცა პიპოტაქსური კონსტრუქცია უკვე მყარადაა ჩამოყალიბებული და მაშასადამე, როცა **მ** (<მე) ნაწილაკის

კავშირი განუსაზღვრელ შინაარსთან და, შესაბამისად, მომავალ დროსთან აღარ მოიაზრება, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ამ ნაწილაკის ფუნქციების მოშლა: ერთის მხრივ, მათი გამოყენება კავშირებითის მწკრივებთან, ახლებური მომავლის ფორმებთან და განსაკუთრებით ხშირად კი II რეზულტატითან, ხოლო, მეორე მხრივ, -მცა-ს ნაცვლად -ცა ნაწილაკის გამოყენება პირობითი მოდალობების მქონე დამოკიდებულ წინადადებებში (მომავლის მნიშვნელობა ამ ფორმებში ისედაც არ იყო საჭირო).

-მცა ნაწილაკის ფუნქციის მოშლის მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის თხერობითი კილოს მყოფადის ფორმების ჩამოყალიბება, რის შედეგადაც -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციებით მომავალი დროის გამოხატვისა და კავშირებითი კილოს გამოხატვის აუცილებლობა შემცირდა.

მესამეა ისეთი კავშირების მომრავლება, რომლებშიც -მცა კომპლექსს -მცა ნაწილაკის ფუნქცია აღარ აქვს. განხილული მასალიდან გამომდინარე მხედველობაში გვაქვს განადამცა (მნიშვნელობით დიადაც, მართლაც) და **თუმცა** კავშირები.

**თუმცა/თუმცა** პარალელური ფორმებია განხილულ ძეგლებში, მათი მნიშვნელობაა **რომ** (**თუ+მცა**). ამ კავშირში -მცა ნაწილაკის ფუნქცია მაშინ უნდა მოშლილიყო, როცა მან მაქვემდებარებლის გარდა, მაპირისპირებელი კავშირის მნიშვნელობაც შეიძინა.

### 3.4. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები საშუალი პერიოდის სხვა ძეგლებში

საშუალი პერიოდის სხვა ძეგლებში -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები გაცილებით ნაკლებად გვხვდება. მათში -მცა ნაწილაკს აღარ აქვს სინგაქსური ზემოქმედების უნარი: გვხვდება ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმებთან და არ უცვლის დრო-კილოს მნიშვნელობას, ძირითადად ერთვის კავშირებს, რის გამოც პარალელურ ფორმებს ვიღებთ: თუ – თუმცა, უკეთუ – უპეტუმცა, უპუეთუ – უპუეთუმცა, რათა – რათამცა, ცალკე თუმცა – თუმცადა და .შ., მაგალითად:

**თუმცა მიჯობდა შტოდ თქმასა, ხწორედ სახელი მეტოდა (გურ., 28,5,ა).**

**თუმცა ბრძა გარ, მაინც კხედავ (გურ., 35,64,ა).**

აღაბრუნებდა ბევრს წილებილს, **თუმცა** სდებოდა ღარები (გურ., 70,315,ღ).  
**თუმცა** სესხი შვილს დასჯიდა, რად იღებდა მამა ვალხა? (გურ., 170,2,ღ).  
**თუმცა** ვარ საცოლო, შვილი რომ მაყოლო, მერმე რაღა ვქნა? (გურ., 191,76,გდე).

ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავ! (გურ., 51,177,ღ).

ასეთს ცოდვილს ნუმცა გნახავ, რომ გაგირისხდეთ (გურ., 128,46,ა).

აგრემც გაგ ზრდის ღმერთი – ნაჭერი მაჭამე ჸორცი! (გურ., 204,166,გ).

ნეტამც ჩემთვის ძირით გჭრიდეს, ჩემთვის შხამო, რას ხეს ესხი (გურ., 170,2,ბ).

შენ რთხ რიგად გული დამწვი, არამც მე კი განვახუთო (გურ., 272,ბ).

იხე გახადებ, შარშანწინდელიც დაავიწყებ, არამც თუ წლუკლი ეშოვნათ (სიბრ., 280,9).

რახაც კაცს მამის ანდურძი არ დაუსწავლია, უარესიმც დაემართებათ (სიბრ., 300,11).

ნეტამც თორმეტი ათახი კაცი ამოვიდეს, მეფეს ვირიცა და საფქველიც წამირთონ და მომიტანონ-მეთქი! (სიბრ., 205,23).

მას არაბს თურე არც დგთის სახელი ასმიოდა, არამც თუ ლოცვა სცოდნოდა (სიბრ., 63,21).

რახაც მოძღვარს აღხარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიმც დაემართებათ (სიბრ., 48,19).

თუცა შენ გერგება, ჩემი თავი შენი ჭირისამც ნაცვალი იყოს (სიბრ., 183,10).

დიდი ფიცი არის და არამც ჸელმწიფებ ფიცი გაუტყდეს (მეფეთ. სალ., 273,35).

ამისთვის უბრძანა, რომე არამც სხვა უტკბოხი და უკეთესი წყალი ნახოს და უკწილდეხო (მეფეთ. სალ., 249,33).

შენ თვითოს ნაბიჯე თვითოს ქვეყნად აფასებ, ან ერთხ რაგვარად აუგალ თავსა, არამც თუ სრულად სყიდვა შემეძლოს (მეფეთ. სალ., 255,6).

კინც ხელმწიფებ შესცოდოს, ასრემც დაემართების (მეფეთ. სალ., 258,11).

უბუეთუმცა გხიცე მე ამას უფროხი საჭმელი, ამანცა უკვე უფროს ამისა კერცხი დამიღვას (ესოპ., 281,38).

თუმცა არა ყოფილიყავ შენ უკუდო, არა თანაგვეზრახებოდი ჩვენ ამისთვის (ესოპ., 286,16).

აღუთქა მან სასყიდელი წეროსა, უბუეთუმცა შთაუყოს თავი ყელსა შინა და აღმოუდის ძვალი იგი (ესოპ., 286,32).

ევედრებოდა მას დღე კოველ შინა, რათამცა კეთილი რამე უყოს მას (ესოპ., 287,23).

არღარა ეძლოთ ზეაღდგომად, რათამცა წარედოთ მისგან (ესოპ., 283,34).

... უხმარ ტყეთა ხმარებათ, თუმცა არს ნებასა ზედა პატრონისასა დამოკიდებულ, მაგრა ... აქუნდეს ნებათ ხეუასაცა ხმარებისა (სამართ. დავ., 142,11).

უკეთუ იყოსმცა თეთრზედ ნაკლებ, მაშინ მიიღოს თეთრისა ნაცვლად გირაოი თვისი (სამართ. დავ., 135,17).

და მისცეს ნებათ, რათამცა აქუნდეს შეზიარებათ ცოლთა და შვილთა წოდებისა აზნაურებითისა, და აგრეთვე ასეულთაცა, უკეთუ შეგულდომსცა გლუხთა (უნდა იყოს შეეუდლოსმცა) (სამართ. დავ., 151,10).

უკეთუ მხაჯულთა პხცნან, ვითარმედ სიტყვისმცებულსა განუზრახავს ფიცი განმარტლებისათვის თავისა თვისისა,... მაშინ ქრისტიანისებრი სინდისი გვაწვევს, რათამცა დაუტეოს საქმე იგი ნებასა ზედა კოვლისა შემძლებელისასა (სამართ. დავ., 103,27).

-მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებს ძირითადად III პირის ბრძანებითის ფუნქცია აქვთ შენარჩუნებული გ. წ. წყევლა-პრულვისა და დალოცვის ფორმებში, მაგალითად:

კურთხეულმცა არს ლკოისაგან პეტრეს ხელმწიფის ხეენება (კურთხეულ იყოს)! (გურ., 54,194,ა).

ხადაც კრულ იყვნეთ მტერთაგან, მუხ ლმერთიმც თქვენი მხსნელია (თქვენი მხსნელი იყოს)! (გურ., 101,533,დ).

ბედნიერმცა არს ძე შენი და კურთხეულ (ბედნიერი იყოს) (სიბრძ., 12,14).

დამბადებელიმცა შენი დიდებულ არს, სვემცა შენი ბედითურთ ამაღლებულ არს, სახელიმცა შენი ნუ დაილუვის (დიდებული იყოს ... ამაღლებული იყოს)! (სიბრძ., 144,14).

ასემც მამა-დედათა შენთა სული განისვენებს, ვითა მე განმასვენე-მეოქი (სიბრძ., 173,3).

ამისთანა მასპინძელიმც თქვენ დაგიხვდებათ, როგორც თქვენ ამას დახვდით (თქვენ დაგიხვდეთ)! (სიბრძ., 79,18).

დადასტურდა -მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს მაგალითები კავშირებითი კილოს გაგებით:

აგრეთვე კაცი რიტორი რაზომც ამჟერვებს ენასა, დაშვრების ... კერ აქებს (როგორც უნდა ენამჭევრობდეს) (გურ., 46,137,8).

რაზომცა აღვლენ მაღლამდე, კვლავ იხევ ქვე ბრუნდებიან (რაც უნდა მაღლა იარონ) (გურ., 29,13,8).

არამც ახლოს კაცნი იყვნენ, ხმა ეხმათ, წაგვიუვანონ და უარესიძც გვიყონო (ახლოს არ იყვნენ) (სიბრძ., 108,11).

ოდესმე შეემშია მგელსა ერთსა და წარვიდა, რათამცა მოიპოვა საზრდელი (...რომ მოიპოვოს საზრდელი ან რომ მოეპოვებინა საზრდელი) (ესოპ., 287,2).

უწინამც ეს ჩემი დარიბი თავი მოკუდების, სანამდის შენს სიკვდილს გუნდაში გავიკლებდე და შენის სისხლის ფასს ავიდებდე (უწინამც მოკუდეს) (მეფეთ. სალ., 269,21).

ცოლიმც დამიგდია, თუ შენ მავ ბაღის ხილი სჭამო (ცოლიმც დამეგდოს) (მეფეთ. სალ., 273,22).

დადასტურდა ასევე -მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმები მომავალი დროის, I ხოლმეობითისა და II პირის ბრძანებითი კილოს მნიშვნელობით:

ნუმცა ვინ არს ურჩი შენი (ნურავინ იქნება) (სიბრძ., 142,10).

არა დირს იყავ დიდებასა და ნუმცა გაქვს-მეთქი (ნუ გექნება) (სიბრძ., 71,2).

თუმცა შიმშილით არ მომყმარიყო, რამცა იცის, გლახაკთა და უდონოთა შიან, ანუ სხვათა ვინმე საჭმელი აკლე? (რა ეცოდინება) (სიბრძ., 55,23).

თუცა ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, ... ჭირი (რა ეცოდინება) (სიბრძ., 55,15).

თუცა ერთსა ერქვა, ტყუილიმცა იყო (ტყუილი იქნებოდა) (სიბრძ., 30,7).

უკეთუმცა კერვოთენ, ოდეს მოვიპარე წიგნი, არამცა მოსრულ გიგაზ მე ამას ადგილსა და არცა გამოვიყვანებოდი სიკვდილად (არ მოვიდოდი ამ ადგილას სასიკვდილოდ) (ესოპ., 288,33).

ჯორო, ჭეშმარიტად მეშინოდა-მცა მე შენი, უკუთუმცა არა მესმინა მე ხმა შენი (ნამდვილად შემეშინდებოდა...) (ესოპ., 281,14).

უკეთუ ხწადდამცა კაცსა მას ყოფად მებატონესა მისთა თანა, არამცა განივლ-ტა იგი მისგან (არ გაიქცეოდა მისგან) (სამართ. დავ., 101,14).

შენმც კურთხეულ ხარ (კურთხეულ იყავი) (სიბრძ., 241,21).

გვაქვს მაგალითები პოლისემიური მნიშვნელობით:

მითხრა: “შენგნით ნუმც მსმენია სიტყვა მაგის მეტი” (შეიძლება გავიგოთ: ნუმც მსმენია – ნუ გავიგებ) (გურ., 144,5,ა).

მე სიხარულით დაგიცლი, **თუმცა** ხელმწიფებ ინება (თუ ინება – თუ ინებებს) (გურ., 99, 513,ღ).

მე მას შვილად მოვიკიდებ, კეშვილები, **თუმცა** უნდო (თუ ვუნდივარ – თუ ვენდომები) (გურ., 60,238,ბ).

**თუმცა** შენი ვირი მას ზედა გაატარო, **უგუნურმცა არს** (უგუნური იყოს ან იქნება) (სიბრძ., 13,15).

ერთგან -მცა გამოტოვებულია, მაგრამ, როგორც ჩანს, იგულისხმება:

**თუმცა** პირველი, დამამჟნობელი, დაუტეოს და რომელმან გაასუქა, მას გავყვეხ, **ორგულ არს** (უნდა იყოს ორგულმცა არს – ორგული იყოს ან იქნება) (სიბრძ., 13,20).

პოლისემიური ფორმებიც, რა თქმა უნდა, ამ ნაწილაკის სინტაქსური ძალის დაკარგვაზე მიუთვებს.

სულ “დავითიანში” -მცა ნაწილაკიანი ფორმების 48 მაგალითი დადასტურდა, მათგან მხოლოდ 4-ჯერ აქვს -მცა-ს სინტაქსური ზემოქმედების უნარი შენარჩუნებული;

სულხან-საბას იგავ-არაკებში -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების 38 მაგალითია, 15 მათგანში სინტაქსური ზემოქმედება ამ ნაწილაკს შენარჩუნებული აქვს;

“მეფეთა სალაროში” -მცა სულ 8 წინადაღებაში გვხვდება და მხოლოდ ორჯერ აქვს ფუნცია ძველი ქართული ენობრივი ნორმის მიხედვით შენარჩუნებული;

ესოპეს იგავებში თერთმეტი ფორმაა, ამ ნაწილაკის სინტაქსური ძალა მხოლოდ სამ მაგალითშია გამოვლენილი;

სამართალი ბატონიშვილის დავითისა -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებს 47 შემთხვევაში გამოავლენს (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით -მცა ნაწილაკიან კავშირებს) და მხოლოდ ერთხელ იყენებს ამ ნაწილაკს ძველი ქართულის ნორმების შესაბამისად, ისიც ნაწილობრივ (როგორ ქვემობილ წინადაღებაში ზმნა-შემასმენელს ხოლმეობითის მწერივად მოაქცევს).

**-მცა ნაწილაკიანი ფორმები თედო უორდანიას “ქრონიკების” მიხედვით**

**-მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების განხილვა თედო უორდანიას “ქრონიკების” მიხედვით ცალკე გადავწყვიტეთ, ვინაიდან ეს ძეგლი მოიცავს დროის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს – 1213 წლიდან 1700 წლამდე.**

ირკვევა, რომ **-მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებს სინტაქსური ზემოქმედების უნარი რიგ შემთხვევებში შენარჩუნებული აქვთ.**

ა) ფუნქციათაგან ყველაზე ხშირად თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვისა და III პირის ბრძანებითი კილოს გადმოცემა დადასტურდა, ძირითადად წყევლა-კრულვისა და დალოცვის ფორმებში, მაგალითად:

**-მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია გამოხატავს თხრობითი კილოს მომავალ დროს:**

1103 წ. ძეგლის-წერა რუის-ურბნისის კრებისა:

**რომლისა ქმნავ ნუდარამცა ვის უკადრებიეს (ნუდარავინ იკადრებს) (ქრონ., 63,23).**

**ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროვსი, ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა (ნუ იქნება) (ქრონ., 64,22).**

**კრულმცა არის სული მიხი და ნეხტორის და ორიგინებ თანამცა დაისაჯების სული მიხი (დაწყევლილი იქნება) (ქრონ., 246,26).**

1460 წ. 12 ივნისი, მეფე გიორგის სიგელი ჟურულს:

**ნუმცა ვინ არის მშეღლი და მქუველი ჩუებან ბოძებულისა ამის სასისხლოსა სიგლისა (ნურავინ იქნება) (ქრონ., 279,27).**

1484 წ. ჩაწერილი აღაპი სამების “სულთა მატიანასა”:

**ვინცა გამოხსწიოს ანუ მეფემან, ანუ სხუმან მებატონებან, რისხავხმცა წ'ა სამებავ ერთარსებავ; კრულმცა არს სული მიხი, ნეხტორ და ორიგენისთანამცა დაისჯების (შერისხავს წმიდა სამება; კრული იქნება მისი სული) (ქრონ., 303,8).**

**-მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციებით გადმოცემულია III პირის ბრძანებითი კილო წყევლისა და დალოცვის ფორმებში:**

XII ს. მეფესა დავითს მონაზონი არსენი:

**კოველნიმცა მწვალებელნი შეჩუტნებულ არიან: კოველნიმცა მართლ- მადიდებელნი კურთხეულ არიან: კოველთა მართლმადიდებელთა წელნიმცა**

**მრავალ არიან:** ყოველთა მართლმადიდებელთა, საუკუნომცა არს ჯენებავ ... (ქრონ., 72,6).

1296 წ. ტყავზე დაწერილი გუჯარი:

რაიცა ძმისა მისისა კერძი მამული პმართებოდეს, განაღამცა ჯელთა პქუნდა მასა ვაჟასა (პქონდეს) (ქრონ., 169,12).

1227 – 1230 წ. გუჯარი ცხირეთ ცხავერისა:

და კურცთაგან განსვლასა მისსა შინა სატანამცა ახლაგს შემწყნარებლად ხულისა მისისა საწყალობელისად (სატანაც ახლდეს) (ქრონ., 99,23).

როგორც “ქრონიკების” მასალიდან ირკვევა, -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების ეს ფუნქცია შენარჩუნებულია გვიანი პერიოდის სიგალგუჯრებშიც, რაც სტილის მაჩვენებელი უნდა იყოს, მაგალითად:

1506 წ. მცხეთის ნუსხა № :რდბ:

და ჩემიმც მტერი დაეხწრება იმათ ომსა შებმაშია (ჩემი მტერი დაესწროს) (ქრონ., 325,29).

1529 წ. ქ'ს :სიზ:

საუკუნოდამცა არს ხენება მათი (საუკუნოდ იყოს მათი ხსენება)(ქრონ., 372,37).

1609 წ. ქ'ს :სეზ:

მრავალმცა არიან წელნი ცხორბისა მისისანი ა'ნ (მრავალი იყოს)(ქრონ., 438,6).

-მცა ნაწილაკიანი ზმნა-შემასმენელი II რეზულტატივის მნიშვნელობით:

წ'ის ევთიმე-მთაწმიდელის წერილი:

ესე კულა მოციქულთა და მოწამეთავ მას წყეულსა ივლიანეს განხრახვით განურევნიან, რათამცა ყოველი ნაცილად შეპრაცხეს (რათა შეერაცხათ) (ქრონ., 84,5).

1376 წ. ეტრატის მხედრულად ნაწერი გუჯარი შიომღვიმისა:

მოგაგონა ღ'ნ ხულისა შენისათუის უმჯობესი, რათამცა ამას შ'ა სალოცველი და მშობელთა შენთა ხაჭენებული იყო ვიდრუმდის უდაბნო ესე ევოს (რათა ყოფილიყო) (ქრონ., 189,27).

1554 წ. სიგელი შერგილაძისადმი ბაგრატიონ დიდისაგან:

მოვიდეს წინაშე ჩუქნსა ჩუქნი დიდათ ერთგულნი ... შერგილაძენი ჯაკვა და მათნი შვილნი ... რათამცა დაგუგაჯნებ ... (რათა ეთხოვათ) (ქრონ., 397,13).

ამ ფუნქციით დასტურდება -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია XVII საუკუნის ძეგლშიც, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ იგი გადაწერილია ”მოქცევად ქართლისავსაგან”:

XVII ს.-ში გადაწერილი ვარიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა:

და ენება, რათამცა აფხურნა იგინი ქვეყანისა მიხვან (რათა აღმოეფხვრა) (ქრონ., 519,36).

და ენება, რათამცა აღფხურნა იგინი (ქრონ., 521,13).

-მცა ნაწილაკთან დაკავშირებული ზმნა-შემასმენელი კავშირებითი კილოს გაგებით:

1446 წ. იკორთის ტყავის ზატიკის წარწერა:

აღმძრა მე სიყუარულმან სამსახურებელმან ტაძრისა თქებისამან, ... რათამცა შევამჯევით ტაძარი თქ'ნი იკორთავ ... (რათა შევამკოთ) (ქრონ., 258,9).

1452 წ. ”ავშანდაძეთა” გუჯარი:

მას უკანა დაგვევაჯენით, რათამცა თქვენი ძველი სიგელი გაგიახლეთ (რომ გაგიახლოთ) (ქრონ., 265,22).

1662 წ. ქვ'სა :ტნ:

შემოგწირეთ ხოველი შუაცხირი, ... რათამცა შევამჯეთ ტაძარი თქვენი და განვადიდეთ (რათა შევამკოთ და განვადიდოთ) (ქრონ., 480,11).

-მცა ნაწილაკთან დაკავშირებული ზმნა-შემასმენელი კავშირებითი კილოსა და II რეზულტატივის ფუნქციებით მხოლოდ წარმოდგენილ მაგალითებშია დადასტურებული ”ქრონიკების” მასალაში. ყველაზე ხშირად თხრობითი კილოს მომავალი დროისა და III პირის ბრძანებითი კილოს მნიშვნელობებითაა გამოყენებული.

III პირის ბრძანებითის ფუნქციით შეგვხვდა -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები (წყვეტა-კრულვის ნიუანსით) ასევე ბაბილინა ლომინაძის მიერ გამო-ცემულ სიგელ-გუჯრებში, მოვიყვანთ რამოდენიმე ნიმუშს:

1447 წლის სიგელი:

ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან, ანუ დიაცმან, ანუ მძღავრმან მძღავრობითა, ... შეცვალოს, შემცაიცვალების სჯულისაგან ქრისტიანეთასა, რისხავსმცა დაუსაბამო დ/მერ/თი, მამა, ძე და სული ცხოველი (საქ., საპ., 18,9).

ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან ანუ დიაცმან მოიგონაოს და შეცვალოს, ... ძრულმცა არს ცათა შინა და ქუფანასა ზედა, შემცა-ელების ძრწოლა კაუნისი, კეთრი გეზისი, ... (საქ., საპ., 18,16).

1579 (1589) წლის სიგელი:

აწ' ვინცა და რამანცა ამის დაშლად და ქცვალ ხელყოს, ... ჯერგმც რისხავს დამბადებელი დმერთი, მამა, ძე და სული წმინდა... (საქ., საპ., 20,32).

ბ) -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებში დაკარგულია სინტაქსური ზემოქმედების უნარი:

ყველაზე ხშირად -მცა უკავშირდება II რეზულტატივის მწერივს და არ ცვლის ზმნა-შემასმენლის დრო-კილოს, მაგალითად:

ძეგლი ერისთავთა:

უკეთუმცა აქა არა ყოფილგიყვენით, მოვიდოდა გირშელი და ყოველი ლაშქარი მისი (ქრონ., 18,11).

1233 წ. ოთანე შავთელის პპნკლოსი:

მე უკეთუმცა წუმთიცა ერთი მიმედო მისგანი არამცა ესრულ აღმელაგმა ენად ქებად შენობს (ქრონ., 109,2).

1377 წ. გუჯარი მაყაშვილთა:

გვეაჯა და მოგვახსენია, რათამცა შეგვეწყალა და ... მიგვებობა (ქრონ., 190,21).

1441 წ. თფილისის სინოდ. კანტ. სიგელი №107:

და მენება, რათამცა თქუენი სოფელნიყოფვლისა სათხოვრისაგან გამეთა-გისუფლებეს (ქრონ., 250,37).

1655 წ. ქ'კს :ტმბ:

... გელ გვავ წისა ამის...გულანისა აღწერად, რათამცა ესრულ სრული და უკლები არავის კელეულ (ქრონ., 468,35).

-მცა ნაწილაკი ხშირად გვხვდება მომავალი დროის ახლებურ ფორმებთან:

1103 წ. ძეგლის-წერა რუის-ურბნისის კრებისა:

და ნუმცა მიიღებენ რაღოურთით ნუ რას (ქრონ., 63,24).

1189წ. გელათის მონასტრის სიგელი, თამარ მეფის ხელით დაწერილი:

...იგი დღესა განიკითხვისასა და სიტყუა იგი მ[ა]ს ზედამცა აღ[ესრულების] (ქრონ., 74,19).

1648 წ. მცხეთის ნუსხის სიგელი:

**ნუმცა დავიწყებულ ვიქმნებით თქ' მიერ** (ქრონ., 464,19).

1682 წ. ქბს :ტობ:

უკეთუ ვინგე ... ეს საფლავი გახსნას..., იგიმცა განიკითხვის ... (ქრონ., 499,35).

ნაწყვეტი სინოდ. კანტ, გუჯრისა №67:

ერთ მაგალითში გვაქვს -მცა ნაწილაკი კავშირებითის მწერივის ზმნასთან:

1582 წ. წერა-კითხ. ხელნაწერი №29:

... ესრეთ განაჩინა, რათამცა ნახევარი იგი გოლგოთის მთისა, რომელზედა  
ჯარს აცუცს ქრისტე, მიეცეს კათოლიკთა (ქრონ., 421,14).

განადამცა ნაწილაკთან (მნიშვნელობით დიადაც) -მცა ნაწილაკი უფრნეციოა:

განადამცა დამიმტკიცებია (ქრონ., 100,15).

1246 – 1250 წ. სიგელი მეფე-დავით-ნარინის დროსა:

განადამცა პაგრევე მას მსახურებდებ (ქრონ., 128, 32).

ორჯერ დადასტურდა -ცა ნაწილაკი -მცა-ს ფუნქციით:

წერილი წ'ის გიორგი-მთაწმიდელის ბიოგრაფის გიორგი მონაზონისა:

და მერმეცა აღიგხენ პირი ჩუმინი გალობითა, რათა ქებავ დ'თისა ჩუმინისა  
იხილოხ მრავალთავ (აღიგხენა ჩვენი პირი გალობით) (ქრონ., 76,32).

1453. წ. მცხეთის სიგელი №296:

ვინცა ანუ სამწყემან, ანუ სხუამან ვინ შემიწყნაროს, იგიცა კაცი ძრულია...  
(ვინც შემიწყნარებს, დაწყევლილი იქნება) (ქრონ., 268,16).

-მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებში სშირია პოლისემური მნიშვნელობები:

1020 წ. სიგელი მელქიზედეპ კათალიკოზისა:

და თუ უქციოს და ამისგან შესცვალოს, არსმცა კრული, წყვული დგომისაგან  
და ჩუქუპან (ქრონ., 36,12).

1470 – 1474 წ. “მცნება სასჯულო”:

ვინცა სჯულისა შემცოდე პატრონმან არ მისცეს ეპისკოპოსება და  
ხორებისკოპოსთა, სასჯულოდ არ მიანებოს და ძალი არ მისცეს, ამა სოფლისა  
ცოდვა მან გარდაიგადოს და შეუნდობელმცა არს (ქრონ., 296,3).

1459 წ. სამთავრელთა სარგო და საკანონონი:

ვინც ეს ასე არ გაათაოს ანუ სამთავრელმან და ანუ სხუა კაცმან, **რისხავსბურგი** მამა, ძე და სული წ'ა (ქრონ., 277,10).

მოცემულ წინადადებებში **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციები შეიძლება III პირის ბრძანებითი კილოსა და თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობებით გავიაზროთ: ეს დამოკიდებულია იმაზე, რომელ კილოს ვგულისხმობთ დამოკიდებულ წინადადებაში:

დამოკიდებულში კილო კავშირებითია – **-მცა** ნაწილაკიან მთავარ წინადადებაში კილო ბრძანებითია; დამოკიდებულ წინადადებაში კილო თხრობითია მომავალი დროის მნიშვნელობით – **-მცა** ნაწილაკიან მთავარ წინადადებაშიც თხრობითი კილოს მომავალი დრო იგულისხმება (ამ საკითხზე ზემოთაც გვქონდა საუბარი, როცა პოლისემიურ ფორმებს ვიხილავდით, ამიტომ აქ მხოლოდ სამი წინადადებით შემოვიფარგლეთ).

### III თავის დასკვნები:

1. მიუხედავად მიღებული და საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულებისა, რომ -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების უმთავრესი დანიშნულება ძველ ქართულ ში არის კავშირებითი კილოს გადმოცემა, გამოგვეთვო გარკვეული კანონზომიერება სინტაქსურ კონსტრუქციებში, რომლის მიხედვით დასტურდება, რომ -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების უპირველესი ფუნქცია უნდა იყოს თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვა.

რას ეყრდნობა ჩვენი ვარაუდი?

ა) -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებს თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვა შეუძლია ყველანაირი აგებულების წინადადებაში. თავად -მცა ნაწილაკი შეიძლება დაერთოს ნებისმიერ მეტყველების ნაწილს, მათ შორის კავშირსაც.

ბ) -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციები ბრძანებითების ფუნქციით გვხვდება მხოლოდ მთავარ წინადადებაში, შესაბამისად, -მცა ნაწილაკი არასდროს არ ერთვის კავშირს.

გ) -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციებით კავშირებითი კილოსა და II რეზულტატივის ფარდი ფორმების გამოხატვა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში. -მცა ნაწილაკი ამ ფუნქციების გადმოცემისას ერთვის მხოლოდ შესაბამის კავშირს.

მაშასადამე, -მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ზმნა-შემასმენელმა რომ კავშირებითი კილო გამოხატოს, ისევ პიპოტაქსურ კონსტრუქციას უნდა გაუწიოს ანგარიში. მომავალი დროის გარეშე კი კონსტრუქცია ვერცერთ ფუნქციას ვერ შეასრულებდა.

მიგვაჩნია, რომ -მცა ნაწილაკის -მ ელემენტი უნდა იყოს ნაშთი განუსაზღვრულობითი მე ნაწილაკისა, რომელსაც საბოლოოდ მომავალი დროის შინაარსთან მივყავართ, ხოლო -ცა ნაწილაკით გაძლიერებულია იმ სიტყვის მნიშვნელობა, რომელიც ხელს უწყობს ამა თუ იმ ფუნქციის გამოვლენას (მაგ., კავშირს კავშირებითი კილოს გამოხატვისას).

2. საშუალი პერიოდის საორიენტაციო ძეგლების მიხედვით -მცა ნაწილაკიანი ფორმები ხშირად დასტურდება სამიჯნურო-სარაინდო პოეზიასა და პროზაში, რაც შოთა რუსთაველის გენიალური “ვეფხისტყაოსნის” სტილის გავლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან სწორედ რუსთაველს აქვს -მცა ნაწილაკიანი

კონსტრუქციები ძალიან ხშირად და ზედმიწევნით მწიგნობრული ენობრივი ნორმების დაცვით გამოყენებული.

პოეტმა შესანიშნავად იცის, რომ **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციების ფუნქციები კავშირებითის მწკრივების ფუნქციათა ანალოგიურია და იმდენად აფართოებს მათი გამოყენების არეალს, რამდენადაც მატულობს ამ პერიოდში კავშირებითის მწკრივები სხვადასხვა ფორმასთან, გვულისხმობთ **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციების გამოყენებას

ა) კავშირებითი კილოს ფუნქციით მოდალური მნიშვნელობის ნაწილაკებთან და სიტყვებთან;

ბ) კითხვითი ინტონაციის მქონე წინადაღებებში, ასევე კავშირებითი კილოს ფუნქციით;

გ) “უნდაობითი” მოდალობის შემცველ ფორმებში;

დ) I და II პირის ბრძანებითების მნიშვნელობით მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში;

ე) პოლისემიური მნიშვნელობებით.

დველ ქართულში **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციები მსგავსი დანიშნულებებით არ გვხვდება.

3. ჩვენ მიერ განხილულ სხვა ქანრის ძეგლებში **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციების გამოყენება სხადასხვა ფუნქციით ძალიან მცირდება.

**-მცა** ნაწილაკიანი ოხრობითი კილოს ზმნა-შემასმენელი ძირითადად დასტურდება III პირის ბრძანებითი კილოს ფუნქციით ე.წ. წყევლისა და დალოცვის ფორმებში, აქა-იქ, ძალიან იშვიათად, სხვადასხვა დანიშნულებითაც.

4. საშუალი პერიოდის ძეგლებში **-მცა** ნაწილაკის ნაცვლად იშვიათად გვხვდება **-ცა** ნაწილაკიც, რაც **-მცა-ს** ფუნქციის მოშლაზე მიუთითებს.

## ცხრილები:

თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვის ცხრილი საშუალი პერიოდის ძეგლების მიხედვით:

	გისრ.	ამირ.	გეფხ.	გურ.	სიბრძ.	მეფ.სალ.	ესოპ.	სამართლავ.	ვახტ.	მოგზ.	მგზ.
გაგშირებითის მწერივით	221	305	486	219	157	141	20	1683	704	11	25
ახლებური მომავალი	399	388	772	861	575	373	38	736	482	შველა დანარჩ.	შველა დანარჩ.

II პირის ბრძანებითი კილოს გამოხატვის ცხრილი გაგშირებითის მწერივებით:

	გისრ.	ამირ.	გურ.	სიბრძ.	ესოპ.	მოგზ.	მგზ.	ქრონ.
I გაგშირებითით	2	9	48	8	1	2	1	16
II გაგშირებითით	0	10	5	2	0	0	1	2

სარაინდო-სამიჯნურო პოეზიასა და პროზაში

1. -მცა ნაწილაკიანი ფორმები თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობით:

	გეფხ.	ამირ.	გისრ.
სულ	80	4	6
წყვეტილის მწერივთან	64	2	3
უწყვეტის მწერივთან	9	0	2
II რეზულტატივთან	3	0	0
აწმეოს მწერივთან	4	2	1

2. -მცა ნაწილაკიანი ფორმები კაგშირებითი კილოს გაგებით:

	გეფხ.	ამირ.	გისრ.
სულ	14	19	21
წყვეტილის მწერივთან	9	11	11
უწყვეტის მწერივთან	2	4	0
აწმეოს მწერივთან	3	4	8
მყოფადის მწერივთან	0	0	2

**3.-მცა ნაწილაკიანი ფორმები “უნდას” შემცველ წინადადებებში:**

	გეფ.	ამირ.	გისრ.
სულ	27	1	10
წევეტილის მწერივთან	11	1	7
უწევეტლის მწერივთან	2	0	0
აწყოს მწერივთან	14	0	2
I რეზულტატივთან	0	0	1

**4.კითხვითი ინტონაციის შემცველი -მცა ნაწილაკიანი ფორმები კაგშირებითი კილოს გაგებით:**

	გეფ.	ამირ.	გისრ.
სულ	29	0	2
წევეტილის მწერივთან	28	0	2
უწევეტლის მწერივთან	1	0	0

**5.-მცა ნაწილაკიან სინტაქსურ კონსტრუქციებში ნატვრითი კილოს გაგებაა:**

	გეფ.	ამირ.	გისრ.
სულ	7	0	6
წევეტილის მწერივთან	7	0	6

**6.-მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციები I, II და III პირის ბრძანებითების ფუნქციით:**

I ბრძან.	გეფ.	ამირ.	გისრ.	II ბრძან.	გეფ.	ამირ.	გისრ.	III ბრძან.	გეფ.	ამირ.	გისრ.
სულ	6	1	1	სულ	7	4	3	სულ	20	15	5
უწევეტლ.	1	0	0	უწევეტლ.	0	0	0	უწევეტლ.	2	0	0
წევეტილის	2	0	0	წევეტილის	0	0	0	წევეტილის	1	0	0
აწყოს	2	0	1	აწყოს	6	4	3	აწყოს	14	15	5
მყოფადის	1	0	0	მყოფადის	0	0	0	მყოფადის	2	0	0
I რეზულტ.	0	1	0	I რეზულტ.	1	0	0	II რეზულტ.	1	0	0

7.-მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია შემასმენელს მომავალი დროის პირობითი გილოს შინაარსს ანიჭებს:

	ვეზ.	ამირ.	გისრ.
სულ	29	5	1
უწყვეტლის მწერივთან	4	1	1
წყვეტილის მწერივთან	24	4	0
აწმეოს მწერივთან	1	0	0

8.-მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციების საერთო რაოდენობა სამიჯნურო-სარაინდო პოეზიასა და პროზაში:

	ვეზ.	ამირ.	გისრ.
სულ	261	118	89
სხვადასხვა ფუნქციით	230	55	51
უფუნქციონ	31	63	38

-მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციები საშუალი პერიოდის სხვა ძეგლებში:

	გურ.	სიბრძ.	მეფ-სალ.	ესოპ.	სამართ.დაგ.
სულ	47	38	8	11	47
სხვადასხვა ფუნქციით	4	15	2	3	1
უფუნქციონ	44	23	6	8	46

## **ძირითადი დასკვნები:**

1. XII – XVIII სს.-ის ძეგლების შესწავლამ აჩვენა, რომ კავშირებითის მწერივებს ფუნქციებისა და მაწარმოებლების მიხედვით ძველი ქართულისგან განსხვავებით არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის ტექსტებში კავშირებითის მწერივთა ფუნქციების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ქართული ენის განვითარების გზაზე ძველსა და ახალს შორის გარდამავალი პერიოდის გამოყოფა გამართლებულია. თუმცა ძველი და ახალი ქართულის გვერდით საშუალი ქართული მათ თანაბარ ერთეულად ვერ ჩაითვლება, მაინც ვთვლით, რომ საშუალი, გარდამავალი, პერიოდის გამოყოფა ქართული ენის განვითარების ცალკე ეტაპად გააადვილებს ამ ენობრივი ფორმებით აჭრელებული და მრავალფეროვნებით გამორჩეული პერიოდის შესწავლას, მაგრამ ტერმინად “საშუალი ქართულის” ნაცვლად ვარჩევთ გამოვიყენოთ “საშუალი პერიოდის ქართული”.

ა.წ. კავშირებითის მწერივთა ფუნქციების თავისებურება დროის ამ ვრცელი მონაკვეთის ჟანრობრივად განსხვავებულ თხზულებებში ვლინდება.

2. კავშირებითის მწერივები საშუალი პერიოდის ქართულის ჩვენ მიერ განხილულ ძეგლებში გამოიყენება შემდეგი დანიშნულებით:

1) გადმოსცემს თხრობითი კილოს მომავალ დროს; 2) გამოხატავს I, II და III პირის ბრძანებითებს მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში; 3) გადმოსცემს საკუთრივ კავშირებით კილოს რთული ქვეწყობილი წინადაღების დამოკიდებულ ნაწილში, კითხვითი ინტონაციის მქონე ნებისმიერი აგებულების წინადაღებებში, “უნდაობითი” მოდალობის შემცველ წინადაღებებში და ისეთ სიტყვებსა თუ ნაწილაკებთან, რომლებიც შესაძლო, სათუო, საეჭვო, საგარაუდო ნიუანსებს გამოხატავს.

კავშირებითის მწერივებით გამოიხატება სამივე კილო: თხრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი და სამივე დრო: ახლანდელი (I სერიის უზმნისწინო ფორმებში), მომავალი და წარსული (III სერიის კავშირებითებში). ამიტომ მწერივის გაგებით ამ ტერმინის გამოყენება ძველი და რამდენადმე საშუალი პერიოდის ქართულისათვის შეუსაბამოდ მიგვაჩნია.

სამივე დროის გადმოცემა კავშირებითის მწერივებს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი გამოიყენება კავშირებითი კილოს ფუნქციით;

კავშირებითის მწერივებით მომავალი დროის გამოხატვა თანდათან მცირდება გვიანი პერიოდის ძეგლებში, მათ ადგილს იკავებს მომავალი დროის ახლებური, ზმინისწინიანი ფორმები.

კავშირებითის მწერივებით მომავალი დროის გამოხატვა XVIII ს.-ის სამართლის ძეგლების სტილის მახასიათებელია. ეს ფაქტი, ჩვენი დაკვირვებით, სიგალ-გუჯრების ენის გავლენით არის განპირობებული.

ყველაზე დიდხანს კავშირებითის მწერივებით თხრობითი კილოს მომავალი დროის წარმოება შენარჩუნებულია პირობით დამოკიდებული წინადაღებების და დროის დამოკიდებული წინადაღებების, ქვემდებარულ და დამატებით დამოკიდებული წინადაღებების შემცველ რთულ ქანქობილ კონსტრუქციებში.

3. გარდამავალი პერიოდის ძეგლებში შეიმჩნევა კავშირებითების მიერ თხრობითი კილოს ზოგადი აწმყოს გამოხატვის უნარი რთული ქვეწყობილი წინადაღებების დამოკიდებულ ნაწილში. რაც უფრო გვიანი პერიოდისაა ძეგლი, მით მეტია ამგვარი ფორმები. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება კავშირებითის მწერივები თხრობითი კილოს ზოგადი აწმყოს მნიშვნელობით ვახტანგ VI-ისა და დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნებში, ასევე სულხან-საბასა და გ. ავალიშვილის მოგზაურობის უანრის თხზულებებში.

“გისრამიანში” დადასტურდა ამ მოვლენის საპირისპირო შემთხვევა – აწმყოს მწერივის გამოყენება მომავალი დროის გაგებით (რაც ორიგინალური ენის გავლენით უნდა აიხსნას);

4. ამავე პერიოდის ძეგლების მიხედვით დასტურდება კავშირებითის მწერივთა პოლისემანტიზმი, რაც თავისთავად ართულებს ამ ძეგლებში კავშირებითების მწერივების ამა თუ იმ ფუნქციისთვის უპირატესობის მინიჭებას.

კავშირებითის მწერივებში ფუნქციათა აღრევა გვიანი პერიოდის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი და გამოწვეული უნდა იყოს ამ მწერივების უმთავრესი ფუნქციის – თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვის უნარის თანდათანობითი დაკარგით, ასევე იმით, რომ ამ პერიოდში სხვადასხვა სახის ჰიპოტაქსური კონსტრუქციები თანდათან ყალიბდება, კავშირთა სისტემაც ჩამოყალიბების პროცესშია.

5. პირობით დამოკიდებული წინადაღებების შესახებ ზოგადად უნდა ითქვას:

ა) ყველაზე დიდხანს ამგვარ წინადაღებებშია თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვა შენარჩუნებული კავშირებითის მწერივებით;

ბ) პოლისემიური ფორმები უმეტესად ამ ტიპის წინადაღებებშია გამოვლენილი;

გ) პირობით დამოკიდებულიან როულ ქვეწყობილ წინადაღებებში მომავალი დრო აორისტითაა გადმოცემული, ანუ აორისტის ფორმებს შეთავსებული აქვთ კავშირებითის მწკრივის ფუნქცია.

6. საშუალი საუკუნეების ძეგლებში III კავშირებითი ხშირად დასტურდება.

III კავშირებითს თანამედროვე ქართულში აქვს მომავალი დროის გამოხატვის უნარი (დაյ, ყოფილიყოს მშვიდობა დედამიწაზე!), მაგრამ დასახელებულ ძეგლებში III კავშირებითი მომავალი დროის მნიშვნელობით არ შეგვხვედრია (ამ ფორმებში წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგია მომავალში).

7. I სერიის ე. წ. კავშირებითის მწკრივებში უნიფიკაციის პროცესი დასრულებულია: კავშირებითის ნიშნად ძირითადად -ე მაწარმოებელი გვაქვს, -ი მხოლოდ -ოდ სავრცობიანი ფორმების რამდენიმე მაგალითში დადასტურდა.

8. I და II კავშირებითების III პირის დაბოლოებად მრავლობით რიცხვში ძირითადად გვაქვს -ენ მაწარმოებელი, თუმცა პარალელურად მატულობს -ნენ სუფიქსის გამოყენება.

9. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების უმთავრესი დანიშნულება ძველ ქართულში უნდა იყოს თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვა.

-მცა ნაწილაკის ფუნქციები “გეფხისტყაოსანში” მატულობს იმდენად, რამდენადაც იზრდება კავშირებითის მწკრივთა ფუნქციები. რაც შეეხება “ვისრამიანსა” და “ამირანდარეჯანიანს”, -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების მომრავლება ამ ძეგლებში რუსთაველის გავლენად უნდა მივიჩნიოთ.

სხვა უანრის თხზულებებში -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების გამოყენება კავშირებითების მწკრივების ფუნქციების შესაბამისად ძალზე შემცირებულია, ძირითადად გვხვდება ისინი III ბრძანებითის გაგებით ე. წ. წყევლა-კრულვის, დალოცვის გაქვავებულ ფორმებში.

XII – XIII საუკუნის ძეგლებში დასტურდება -ცა ნაწილაკის აღრევის შემთხვევები -მცა ნაწილაკთან, უფრო გვიანი პერიოდის ძეგლებში კი ამ ნაწილაკს ვხვდებით ძალიან ინტენსიურად პირობით-შედეგობითი მოდალობების გადმოცემისას, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ -მცა ნაწილაკის შემადგენელ გ (ქვემენტს მომავალი დროის შინაარსთან უნდა ჰქონდა კავშირი, ხოლ

ამ შინაარსის დაკარგვის შემდეგ -ცა ნაწილაკმა მყარად დაიკავა აღგილი ამ მოდალობის მქონე რთულ კონსტუქციებში -მცა-ს ნაცვლად.

## დამუშავებული ძეგლები და სახელწოდებათა შემოკლებანი

- აბო – “მარტვილობა პაბოვსი”, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946.
- ათონ. – “ცხორება გიორგი ათონელისაა”, იხ. აბო.
- ამირ. – მოსე ხონელი, “ამირანდარეჯანიანი”, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ თბილისი, 1949.
- ალაპ. – ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბილისი, 1901.
- გობრ. – “მარტვლობა გობრონისი”, იხ. აბო.
- ხანძთ. – ცხორება გრიგოლ ხანძთელისაა, იხ. აბო.
- დაბ. – (დაბადება) “წიგნი ძუღლისა აღუთქუმისანი”, ტ. I. ნაკვ. I. გამოსცა აქაკი შანიძემ, 1947.
- გურ. – დავით გურამიშვილი, “დავითიანი”, სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ალ. ბარამიძე, ნ. ბერძენიშვილი, პ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, თბილისი, 1955.
- დავით და კოსტ. – “მარტვილობა დავით და კოსტანტინესი”, იხ. აბო.
- ევსტ. – “მარტვლობა ევსტათი მცხეთელისაა”, იხ. აბო.
- ესოპ. – “იგავნი ესოპესნი”, იხ. ამირ.
- ექუსთ. – ბასილი დიდი, “ექუსთა დდეთავ”, ტექსტი გამოსცა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბილისი, 1947.
- ვახტ. – ვახტანგ VI, “სამართლის წიგნი”, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბ. 1955.
- ვისრ. – სარგის თმოგველი, “ვისრამიანი”, იხ. ამირ.
- ვეფხ. – შოთა რუსთაველი, “ვეფხისტყაოსანი”, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და განმარტებანი, კომენტარი და ბოლოსიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ, თბილისი, 1986.
- ზარზმ. – “ცხორება სერაპიონ ზარზმელისაა”, იხ. აბო.
- ზედაზნ. – “ცხორება იოანე ზედაზნელისაა”, იხ. აბო.
- ი. – (იოვანე) ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936, 973წწ.) გამოსცა ა. შანიძემ, 1945.
- იად. – დავით ბაგრატიონი, “იადიგარ დაუდი”, რედაქტორი კ. დანელია,

თბილისი, 1992.

ილარ. – “ცხორებად ილარიონ ქართველისად”, იხ. აბო.

იობ. – (იობისი) “წიგნი ძუელისა აღთქუმისანი”, ტ. I, ნაკვ. 2, გამოსცა ა. შანიძემ, 1948.

იოვ. და ეფთ. – “ცხორებად იოვანესი და ეფთქმესი”, იხ. აბო.

კოსტ. კახ. – “მარტვილობად კოსტანტი კახისად”, იხ. აბო.

კიმ. I – კიმენი, ნაწილი პირველი, ტომი I, პ. პმპელიძის რედაქტორობით, ტფილისი, 1918.

კოლ. – “მარტვილობად ცხრათა ძმათა კოლაელთად”, იხ. აბო.

ლევიტ. – “წიგნი ძუელისა აღთქუმისანი”, ტ. I, ნაკვ. I, “ლევიტელთა”, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1948.

ლ. – (ლუკა) იხ. ი.

ლ. – (მათე) იხ. ი.

მგზ. – გიორგი ავალიშვილი, “მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე”, ტექნ. ტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი 1967.

მოგზ. – სულხან-საბა ორბელიანი “მოგზაურობა ევროპაში”, სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბილისი, 1940.

მეფ. სალ. – “მეფეთა სალარო”, იხ. ამირ.

მრვლთ. – მრავალთავი, ტექსტები, ილ. აბულაძის გამოცემა, ნაკვეთი პირველი, ენიმკის მოამბე, XIV, 1944.

მრკ. – (მარკოზი) იხ. ი.

ნინო – “ცხორებად ნინოდსი”, იხ. აბო.

რაჟდ. – “მარტვილობად რაჟდენ პირველმოწამისად”, იხ. აბო.

სამართ. დავ. – “სამართალი ბატონიშვილის დავითისა”, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბილისი, 1964.

სას. პ. – პ. ინგოროვგა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, VIII–X საუკუნეები, 1913.

საქ. საპ. – ბაბილინა ლომინაძე, “საქართველოს საპატრიარქო და მისი მიწათმფლობელი”, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული გელათის მეცნიერებათა აკადემია, გამომც. ნეკერი, 2010.

სიბრძ. – სულხან-საბა ორბელიანი, “სიბრძნე სიცრუისა”, რედაქტორი ვ.

ჭელიძე, თბილისი, 1970.

უდაბნ. მრ. – “უდაბნოს მრავალთავი”, აკაკი შანიძისა და ზურაბ ჭუმბურიძის  
რედაქციით, ძველი ქართული ენის კათედრის ჟრომები, თბილისი, 1994.

ქრონ. – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლო-  
ბისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ.

ქორდანიას მიერ, წიგნი მეორე (1213 წლიდამ 1700 წლამდე), ტფილი-  
სი, 1897.

შიო და ევაგ. – “ცხორებად შიომსი და ევაგრცხისი”, იხ. აბო.

შუშ. – “მარტბლობად შუშანიკისი”, იხ. აბო.

ცხორ. – გიორგი მთაწმინდელი, “ცხორება იოვანესი და ეფთაზმესი”, გამოსაცე-  
მად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, 1946.

## დამოწმებული ლიტერატურის სია

- ავალიშვილი 1967: ავალიშვილი გ., მგზავრობა თბილისიდან იერუსა-  
ლიმამდე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და  
ლექსიკონი დაურთო ელ. მეტრეველმა.
- ანტონი 1885: ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის  
მიერ, თბ., 1885.
- აფრიდონიძე 1971: აფრიდონიძე შ., სიტყვათგანლაგება ქართულ წინადა-  
დებაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1971.
- ახვლედიანი 1949: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები,  
თსუ., 1949.
- ბარამიძე 2003: ბარამიძე ლ., სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა განაწი-  
ლებისათვის ძველ ქართულში, თბ., 2003.
- გაიოზი 1789: გაიოზ რექტორი, ღრამმატიკა, კრემენჩუგი, 1789.
- გაჩეჩილაძე 1960: გაჩეჩილაძე პ., “კვლავ მცა ნაწილაკისათვის”, იბერიულ-  
კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XII, 1960.
- გიგინეიშვილი 2009: ქართული ენა და ლიტერატურა, X კლასის სახელმძღ-  
ვანელო, ავტორ-შემდგენლები: მანანა გიგინეიშვილი, ლაურა  
გრიგოლაშვილი, ვახტანგ როდონაია, “სწავლანი”, 2009.
- გოგოლაშვილი 1984: გოგოლაშვილი გ., დრო-კილოთა მეორე სერიის  
ფორმები ახალ ქართულში, თბილისის უნივერსიტეტის  
გამომცემლობა, 1984.
- გოგოლაშვილი 1988: გოგოლაშვილი გ., ქართული ზმის უდვლილების  
სისტემა, თბ., 1988.
- Deeters 1925: Deeters G., Das khartvelische verbum, L. 1930.
- Deeters 1926: Deeters G. Armenisch und Sudkaukasisch (Ein Beitrag zur Frage der  
Sprachmischung), Leipzig, Caucasica, №3, 1926.
- დოდაშვილი 1830: დოდაშვილი სოლ., შემოკლებული ქართული  
ღრამმატიკა, 1830.
- დონდუა 1957: დონდუა პ., დამოკიდებული წინადადების განვითრების  
ისტორიიდან ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 65, 1957.

- ერთელიშვილი 1963: ერთელიშვილი ფ., რთული წინადაღების ისტორიისათვის ქართულში, I, პიპოტაქსის საკითხები, თბილისი, 1963.
- თოფურია 1931: თოფურია ვ., სვანური ენა, 1, ზმნა, 1931.
- იმნაიშვილი 1957: იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თსუ, თბ., 1957.
- იმნაიშვილები 1996: იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში, I, მ.ვ. 1996.
- ოოსელიანი 1840: იოსელიანი, პ., პირველდაწყებითნი კანონი ქართულისა დრამატიკისა, 1840.
- კეკელიძე 1951: კეკელიძე პ., ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951.
- კოტინოვი 1986: კოტინოვი ნ., კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, 1986.
- კუბლაშვილი 1952-1953: კუბლაშვილი პ., ბრძანებითი კილოს ზოგიერთი ფორმის შესახებ ქართულში, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური შრომები, XI, 1952-1953.
- ლომინაძე 2010: ლომინაძე ბ., „საქართველოს საპატრიარქო და მისი მიწათმფლობელობა”, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული გელათის მეცნიერებათა აკადემია, გამომც., ნეკერი, 2010.
- Марр 1925: Марр Н. Я., Грамматика древнелитературного языка, Ленинград, 1925.
- მარტინოსოვი 1955: მარტინოსოვი ა., მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში, იკა, ტ. V, თბ. 1955,
- მეგრელიშვილი 1986: მეგრელიშვილი მ., ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში, თბ., 1986.
- მელიქიშვილი 1980: მელიქიშვილი დ., მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთობის საკითხისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწ., ტ. VII, 1980.
- მელიქიშვილი 2001: ქართული ზმნის უდლების სისტემა, თბილისი 2001.
- Мейе 1954: Мейе А., Сравнительный метод в историческом языкознании. М., изд. иностр. лит., 1954.
- მეტრეგალი 1967: მეტრეგალი ელ., მგზავრობა თბილისიდან იურუსალიმანდე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი

- და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1967.
- ნათაძე ნ., დრო-კილოთა წარმოება ძველ ქართულში, სადი-სეურტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1956.
- ნინუა 1968: ნინუა გ., ბრძანებითი კილო ქართულ ენაში, სადისეურტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1968.
- ოქროპირიძე 1975: ოქროპირიძე ნ., კავშირებითი კილოს მოდალური ფუნქციები ქართულ ენაში საქათველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1975.
- პაპიძე 1981: პაპიძე ა., II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოთხე, მეცნიერება, 1981.
- როგავა 1945: როგავა გ., აორისტისა და კავშირებითი მეორის ზოგადიქსონური გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1945.
- როგავა 1948: როგავა გ., ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში: ალ. წულუკიძის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948.
- სარჯველაძე 1984: სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984.
- სურგულაძე 1959: სურგულაძე ივ., სულხან-საბა თრბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 1959.
- Топуриа, Гигинеишвили 1957: Топуриа В. Т., Гигинеишвили И. М., О формировании грузинского литературного языка, Труды объединенной научной сессии по общественным наукам, Баку, 1957.
- ფურცელაძე 1964: ფურცელაძე დ., სამართალი ბატონიშვილის დაგითისა, თბილისი, 1964.
- ქავთარაძე 1984: ქავთარაძე ივ., ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ. 1984.

- ქართველი შვილი 1815: ქართველი შვილი ი., ქართული დრამმატიკა, 1815.
- შანიძე 1953: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
- შანიძე 1935: შანიძე ა., ძველი ქართულის ქრესტომათია, 1935.
- შანიძე 1978: შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1978.
- შანიძე 1918: შანიძე ა., მცა ნაწილაკი ძველ ქართულში, ჟურნ.  
“პრომეთე”, №1, 1918.
- შანიძე 1945: შანიძე ა., სამი მწკრივის თავისებურებანი ქართულში, საქ.  
მეცნ. აკად. მოამბე, 1945, ტ. 6, №10.
- შანიძე 1964: შანიძე ა., ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე,  
“ძველი ქართული ენის კათედრის შრომები”, 9, თბილისი, 1964.
- შანშოვანი 1881: შანშოვანი ზ., მოკლე ლრამმატიკა ქართულისა ენისა,  
ტფ. 1881.
- ჩიქობავა 1946: ჩიქობავა არნ. მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი  
პრინციპებისათვის ქართული ზმნის უდვლილების სისტემაში:  
იკე, I, 1946.
- ჩიქობავა 1963: ჩიქობავა არნ., ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები  
ძველი ქართულის ძეგლთა ჩვენებაში და კვლევა-ძიების  
ძირითადი ამოცანა ამ მხრივ: ფილოლოგიის ფაკულტეტის VII  
სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, 1963.
- ჩიქობავა 1948: ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა  
იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ. 1948.
- ჩიქობავა 1929: ჩიქობავა არნ., რით არის წარმოდგენილი მრავლობითში  
დასტული მორფოლოგიური ობიექტი ძვ. ქართულში: ტფ. უნი-  
ვერსიტეტის მოამბე, IX, 1929.
- ჩიქობავა 1952: ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი,  
1952.
- ჩხეიძიანი შვილი 1972: ჩხეიძიანი შვილი დ., ინფინიტივის საკითხებისათვის  
ძველ ქართულში, “მეცნიერება”, თბ. 1972.
- ციხი შვილი 2009: მეორე სერიის მწკრივთა წარმოება საშუალ ქართულში.  
დისერტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის (P.h.D.) აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად.

- ძიძიგური 1973: ძიძიგური შ., კავშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1973.
- ჭუმბურიძე, გაბეჩავა 1999: ჭუმბურიძე ზ., გაბეჩავა რ., ქართული ენა, XI კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1999.
- ჭუმბურიძე 1986: ჭუმბურიძე ზ., მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი, 1986.
- ჯავახიშვილი 1956: ჯავახიშვილი ივ., ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956.
- ჯორბენაძე 1998: ჯორბენაძე ბ., ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციისათვის, ბურჯი ეროვნებისა, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების ჟურნალი, 1, თბილისი, 1998.

## სარჩევი

შესავალი ----- 2-7

თავი I: კავშირებითის მწერივთა წარმოება და ფუნქციები ძვ. ქართულში	
1. კავშირებითი კილოსა და თხრობითი კილოს მომავალი დროის ურთიერთ- მიმართების შესახებ ----- 8-15	
1.2. კავშირებითის მწერივთა მაწარმოებლები გველ ქართულში ----- 15-16	
1.3. კავშირებითის მწერივთა ფუნქციები გველ ქართულში ----- 16-17	
1.3.1. კავშირებითის მწერივები გამოხატავს თხრობითი კილოს მომავალ დროს ----- 17-20	
1.3.2. კავშირებითის მწერივები გამოხატავს პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ბრძანებითს ----- 20	
1.3.3. ბრძანებითის იშვიათი ფორმები ----- 21-25	
1.3.4. უკუთქმითი ბრძანებითი ძველ ქართულში ----- 25-27	
1.3.5. კავშირებითის მწერივები გადმოსცემს კავშირებით კილოს ----- 27-30	
1.4. კავშირებითი კილოს გამომხატველი ფორმების აღგილი პიპოტაქსის გენეზისის საკითხთან დაკავშირებით ----- 30-36	
I თავის დასკვნები ----- 37	

თავი II: კავშირებითის მწერივთა წარმოება და ფუნქციები

საშუალი პერიოდის ქართულში

2.1. -დ და -ოდ სავრცობიან ზმნათა ნიშნები

I კავშირებითის მწერივში ----- 38-40

2.2. კავშირებითის მწერივთა ფუნქციები	
საშუალი პერიოდის ქართულში:	
კავშირებითის მწერივი გამოხატავს	
თხრობითი კილოს მომავალ დროს - - - - -	41–61
2.3. კავშირებითის მწერივით გადმოცემულია	
საკუთრივ კავშირებითი კილო - - - - -	61
2.3.1. კავშირებითი კილო ქვეწყობილი	
წინადაღების დამოკიდებულ ნაწილში - - - - -	61–73
2.3.2. კავშირებითის მწერივი კავშირებითი	
კილოს გაგებით სხვადასხვა მოდალურ	
ნაწილაკებთან და სიტყვებთან - - - - -	73–75
2.3.3. კავშირებითი კილო კითხვითი	
ინტონაციის შემცველ წინადაღებებში - - - - -	75–76
2.3.4. კავშირებითი კილო “უნდას” შემცველ	
წინადაღებებში - - - - -	76–79
2.4. კავშირებითის მწერივი გამოიყენება	
ბრძანებითი კილოს გადმოსაცემად - - - - -	79
2.4.1. კავშირებითის მწერივი გამოყენებულია	
I პირის მრავლობითი რიცხვის	
ბრძანებითი კილოსათვის - - - - -	79
2.4.2. კავშირებითის მწერივი გამოხატავს	
III პირის ბრძანებითს - - - - -	79–80
2.4.3. ბრძანებითის იშვიათი ფორმები - - - - -	80–88
2.5. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის	
ასახვა კავშირებითის მწერივებში - - - - -	88–98
2.6. პოლისემიური ფორმები	
კავშირებითის მწერივებში - - - - -	99–104
2.7. კავშირებითის მწერივებით	
გადმოცემულია თხრობითი	
კილოს ახლანდები დრო - - - - -	104–106
2.8. III კავშირებითის წარმოება	

საორიენტაციო ძეგლების მიხედვით	107–109
II თავის დასკვნები	110–118
თავი III: -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციების ფუნქციები ძველსა და საშუალი პერიოდის ქართულში	
3.1. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციებით სხვადასხვა ფუნქციების გამოვლენისათვის აუცილებელი ფაქტორები ძველ ქართულში	119–128
3.2. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების სემანტიკის განვითარებისათვის ქართულ სარაინდო პოეზიასა და პროზაში	128–129
3.2.1. -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციები თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობით	129–131
3.2.2. -მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმები კავშირებითი კილოს გაგებით	131–132
3.2.3. პოლისემიური ფორმები -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებში	133
3.2.4. კავშირებითი კილო “უნდაობითი” მოდალობის შემცველ -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებში	133–135
3.2.5. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები კითხვითი შინაარსის მქონე წინადადებებში	135–136
3.2.6. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები ნატერითი კილოს გაგებით	136–137
3.2.7. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები I, II და III პირის ბრძანებითების საწარმოებლად	137–140
3.2.8. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები	

პირობითი კილოს შინაარსით	140–141
3.2.9. –მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები	
ნამყო წინარე წარსულის გაგებით	141–143
3.2.10. –მცა ნაწილაკს ფუნქცია არა	
აქვს წინადაღებაში	143–148
3.3. –ცა ნაწილაკი –მცა-ს ფუნქციით	148–152
3.4. –მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები	
გ.წ. საშუალი პერიოდის სხვა ძეგლებში	152–161
 III თავის დასკვნები	162–163
ცხრილები	164–166
ძირითადი დასკვნები	167–170
დამუშავებული ძეგლები და სახელწოდებათა შემოკლებანი	171–173
დამოწმებული ლიტერატურის სია	174–178
სარჩევი	179–182